

# **ადმინისტრაციული აქტი და ჩეალაქტი**

კრებულში გამოქვეყნებულია ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისა და სამართლის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები. ამ და სხვა საქმეთა მოძებნა შესაძლებელია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებ-გვერდზე: <http://www.supremecourt.ge/court-decisions/>

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი  
**ადმინისტრაციულ საქმეებზე**

2023, № 1

Decisions of the Supreme Court of Georgia  
**on Administrative Cases**  
(in Georgian)

2023, № 1

Entscheidungen des Obersten Gerichts von Georgien  
**in Verwaltungssachen**  
(in der georgischen Sprache)

2023, № 1

Решения Верховного Суда Грузии  
**по административным делам**  
(на грузинском языке)

2023, № 1

გადაწყვეტილებების შერჩევასა და დამუშავებაზე პასუხისმგებელი  
**ლიანა ლომიძე**

ტექნიკური რედაქტორი

**მარიკა მაღალაშვილი**

რედაქციის მისამართი:

0110, თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. №6, ტელ: 298 20 75;  
[www.supremecourt.ge](http://www.supremecourt.ge)

ჟურნალი გამოდის საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და  
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების  
დეპარტამენტის მხარდაჭერით

## საქიჯბელი

### 1. ბინადრობის თაობაზე აქტების კანონიერება

|                                                                                        |       |
|----------------------------------------------------------------------------------------|-------|
| უცხოელისთვის საქართველოში ბინადრობის ნებართვის<br>გაცემაზე უარის თქმის საფუძველი ..... | 4; 21 |
| შრომითი ბინადრობის მიღებისა და საქართველოში მუშაობის<br>გაგრძელების წინაპირობები ..... | 36    |
| საქართველოში მუდმივი ცხოვრების ნებართვის გაცემაზე<br>უარის თქმის კანონიერება .....     | 44    |

### 2. სხვა ადმინისტრაციული აქტების კანონიერება

|                                                                                                                       |    |
|-----------------------------------------------------------------------------------------------------------------------|----|
| ჩატარებული რევიზიით გამოვლენილი დარღვევის გამო<br>სამედიცინო დაწესებულებისთვის<br>თანხის დაკისრების კანონიერება ..... | 56 |
| სამოქალაქო აქტის ჩანაწერებში<br>შესწორების შეტანის საფუძველი .....                                                    | 66 |
| პროექტთან დაკავშირებით შემფასებელი კომისიის მიერ<br>მიღებული გადაწყვეტილების კანონიერება .....                        | 88 |

### 3. ქმედების განხორციელების თაობაზე მოთხოვნის კანონიერება

|                                                                                    |     |
|------------------------------------------------------------------------------------|-----|
| ეკომიგრანტისთვის კომპენსაციის გაცემის თაობაზე<br>დავალების კანონიერება .....       | 110 |
| ადმინისტრაციული ორგანოსთვის მოქმედების<br>განხორციელების დავალების საფუძველი ..... | 134 |

# 1. ბინადრობის თაობაზე აქტების კანონიერება

## უცხოელისთვის საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის საფუძველი

### განჩინება საქართველოს სახელით

№ბს-470(კ-21)

14 აპრილი, 2022 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
გ. აბუსერიძე,  
ბ. სტურუა

**დავის საგანი:** ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებ-  
რივი აქტის ბათილად ცნობა, ახალი ინდივიდუალურ ადმინისტრა-  
ციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალეზა

#### აღწერილობითი ნაწილი:

2018 წლის 14 დეკემბერს ა. ა. მ-მა სასარჩელო განცხადებით  
მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა კოლეგიას, მოპასუხის – სსიპ სახელმწიფო სერვისების  
განვითარების სააგენტოს მიმართ.

მოსარჩელის განმარტებით, იგი წარმოადგენს სირიის მოქალა-  
ქეს, რომელიც საქართველოში ჩამოვიდა სასწავლებლად და ჩაი-  
რიცხა ...ს უნივერსიტეტში, 2017 წელს გაცემულ იქნა დროებითი  
ბინადრობის ნებართვა სასწავლო კატეგორიის და მიენიჭა პირადი  
ნომერი. 2018 წლის 29 ოქტომბერს განაცხადით მიმართა სახელ-  
მწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს სასწავლო კატეგო-  
რიის დროებითი ბინადრობის ნებართვის გასაგრძელებლად, ვინა-  
იდან წარმოადგენდა აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტს. გა-  
ნაცხადს თან ერთვოდა ცნობა სასწავლო დაწესებულებიდან და  
ცნობა ბანკიდან. სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენ-  
ტოს 2018 წლის 27 ნოემბრის გადაწყვეტილებით უარი ეთქვა სა-  
ქართველოში სასწავლო კატეგორიის დროებითი ბინადრობის ნე-  
ბართვის გაცემაზე იმ საფუძველით, რომ საფრთხეს წარმოადგენ-  
და საქართველოს მოქალაქეებისთვის და საქართველოში მცხოვ-  
რები უცხოელებისთვის. აღნიშნულს გაუგებრად და დაუსაბუთებ-  
ლად მიიჩნევს მოსარჩელე და აღნიშნავს, რომ საქართველოში  
ყოფნის დროს არანაირი დანაშაული ან კანონდარღვევა არ ჩაუდე-

ნია.

ამდენად, მოსარჩელემ ა. ა. მ-ისათვის სასწავლო ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის თაობაზე სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2018 წლის 27 ნოემბრის №1000636037 გადაწყვეტილების ბათილად ცნობა და სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსათვის ა. ა. მ-ისათვის სასწავლო ბინადრობის ნებართვის გაცემის შესახებ ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 12 თებერვლის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლოს მითითებით, სირიის არაბული რესპუბლიკის მოქალაქე – ა. ა. მ-მა (...; დაბ. ... წელს, პასპორტის №...) 2018 წლის 29 ოქტომბერს განცხადებით მიმართა სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს და მოითხოვა საქართველოში სასწავლო ბინადრობის ნებართვის გაცემა.

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მოსარჩელე ა. ა. მ-ს საქართველოში შემოვიდა 2018 წლის 28 სექტემბერს (15:17:39 სთ), სასაზღვრო გამშვებ პუნქტ – თბილისის აეროპორტის საშუალებით.

საქმის მასალებში წარმოდგენილი შპს ...ს უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის ადმინისტრირების სამსახურის უფროსის მიერ 2018 წლის 25 ოქტომბერს გაცემული №05-12519 ცნობის თანახმად, ა. მ. ა- (პირადი №...) არის მედიცინის ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის მიმდინარე სტუდენტი და ...ს უნივერსიტეტში ჩარიცხულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანების და ...ს უნივერსიტეტის პრეზიდენტების №... ბრძანების საფუძველზე. პროგრამის დასრულების სავარაუდო თარიღია 20.02.2024 წელი.

სს „...ი“ ადასტურებს, რომ ა. ა. მ- (პირადი №...) სს „...ში“ სარგებლობს ანგარიშით და 27.10.2018 წლის მდგომარეობით ერიცხებოდა ნაშთი 5693,41 ლარი.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ 2018 წლის 30 ოქტომბერს №1000636037/1 წერილით მიმართა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტს ინფორმაციის მისაღებად, არსებობდა თუ არა ა. ა. მ-ისთვის სასწავლო ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის კანონიერი საფუძვლები. საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტის 2018 წლის 26 ნოემბრის SSG 1 18 00185678

წერილით სააგენტოს ეცნობა, რომ დეპარტამენტს მიზანშეუწონ-  
ლად მიაჩნდა ა. ა. მ-ისთვის საქართველოში სასწავლო ბინადრობის  
ნებართვის მინიჭება.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვი-  
სების განვითარების სააგენტოს 2018 წლის 27 ნოემბრის  
№1000636037 გადაწყვეტილებით არ დაკმაყოფილდა სასწავლო ბი-  
ნადრობის ნებართვის გაცემის თაობაზე სირიის არაბული რესპუბ-  
ლიკის მოქალაქე – ა. ა. მ-ის (...; დაბ. ... წელს, პასპორტის №...) 2018  
წლის 29 ოქტომბრის №1000636037 განცხადება. განცხადების გან-  
ხილვისას დადგინდა, რომ ა. ა. მ-ის მიმართ არსებობდა „უცხოელ-  
თა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარე-  
ობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნ-  
ქტის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ბინადრობის  
ნებართვის გაცემაზე უარის თქმის საფუძველი, შესაბამისად, უა-  
რი ეთქვა საქართველოში სასწავლო ბინადრობის ნებართვის გა-  
ცემაზე.

საქალაქო სასამართლოს მითითებით, თბილისის საქალაქო სა-  
სამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, 2018 წლის 19  
დეკემბრის განჩინების (საქმე №3/7813-18) პასუხად, საქართვე-  
ლოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა 2018 წლის 28 დე-  
კემბერს გამოუგზავნა საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოე-  
ბის სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტის 2018 წლის 28  
დეკემბრის №7/03/9/3-3684-სს წერილი სირიის მოქალაქე ა. ა. მ-  
თან დაკავშირებით. აღნიშნული წერილი წარმოადგენს სახელმწი-  
ფო საიდუმლოებას.

სასამართლოს მითითებით, „უცხოელთა და მოქალაქეობის არ-  
მქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართვე-  
ლოს კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თა-  
ნახმად, საქართველოში გაიცემა სასწავლო ბინადრობის ნებართვა,  
რომელიც გაიცემა საქართველოში ავტორიზებულ საგანმანათლებ-  
ლო დაწესებულებაში სწავლის მიზნით. ამავე კანონის მე-18 მუხ-  
ლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, უცხოელს სა-  
ქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემაზე შეიძლება უარი  
ეთქვას, თუ არსებობს უფლებამოსილი ორგანოს დასკვნა სახელ-  
მწიფო ან/და საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესების დაც-  
ვის უზრუნველსაყოფად მისი საქართველოში ცხოვრების მიზან-  
შეუწონლობის შესახებ, ხოლო „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად კი, უც-  
ხოელს საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემაზე შეიძლე-  
ბა უარი ეთქვას ასევე თუ იგი ახორციელებს საქმიანობას, რომე-  
ლიც საფრთხეს უქმნის საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოე-  
ბას ან/და საზოგადოებრივ წესრიგს.

სასამართლომ მხარეების ყურადღება მიაქცია აღნიშნული კანონის მე-18 მუხლის მე-2 პუნქტზე, რომელიც ამომწურავად განსაზღვრავს ისეთ შემთხვევებს, რომელიც მოიცავს ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების ან/და საზოგადოებრივი უსაფრთხოების (ნესრიგის) დაცვის ინტერესებს, კერძოდ: ა) პირის საქართველოში ყოფნა საფრთხეს უქმნის საქართველოს სხვა სახელმწიფოებთან ან/და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობას; ბ) არსებობს ინფორმაცია, რომელიც ალბათობის მაღალი ხარისხით მიუთითებს პირის კავშირზე: ბ.ა) საქართველოს თავდაცვისა და უსაფრთხოებისადმი მტრულად განწყობილი ქვეყნის/ორგანიზაციის შეიარაღებულ ძალებთან; ბ.ბ) სხვა სახელმწიფოს სადაზვერვო სამსახურებთან; ბ.გ) ტერორისტულ ან/და ექსტრემისტულ ორგანიზაციებთან; ბ.დ) ნარკოტიკების, შეიარაღების, მასობრივი განადგურების იარაღის ან მათი კომპონენტების უკანონო ბრუნვასთან, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) ან/და სხვა სახის დანაშაულებრივ ორგანიზაციებთან (მათ შორის, ტრანსნაციონალურ დანაშაულებრივ ორგანიზაციებთან).

სასამართლოს მითითებით, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 1 სექტემბრის №520 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემის საკითხის განხილვისა და გადაწყვეტის წესით“ განსაზღვრულია უცხოელისათვის საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემის წესი და პირობები. ბინადრობის ნებართვის გაცემის საკითხის განხილვა-გადაწყვეტის წესი რეგლამენტირებულია ამავე წესის მე-13 მუხლით, რომლის მე-5 პუნქტის თანახმად, საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის საფუძვლების გამოსავლენად, სააგენტო უფლებამოსილია, ხოლო კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „გ“, „დ“ და „ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საფუძვლების გამოსავლენად ვალდებულია, განცხადების მიღებიდან 3 დღეში გამოითხოვოს შესაბამისი ინფორმაცია საქართველოს სახელმწიფო ორგანოებისაგან. სახელმწიფო ორგანოები, ფიზიკური და იურიდიული პირები, მიმართვის მიღებიდან 5 დღეში წარუდგენენ სააგენტოს მოთხოვნილ ინფორმაციას. თუ აღნიშნული ვადა საკმარისი არ არის წერილობითი ინფორმაციის გასაცემად, საქართველოს სახელმწიფო ორგანოები, ფიზიკური და იურიდიული პირები ამის თაობაზე აცნობებენ სააგენტოს, რის შემდეგაც მათ მიეცემათ დამატებითი ორდღიანი ვადა. საქართველოს სახელმწიფო ორგანოების, ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ აღნიშნულ ვადებში სააგენტოსათვის საჭირო ინფორმაციის წარუდგენლობის შემთხვევაში, ითვლება, რომ არ არსებობს საქართველოში ბინად-

რობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის საფუძვლები (გარდა კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტისა) და სააგენტო ვალდებულია საკითხის განხილვა დაასრულოს კანონით განსაზღვრულ ვადაში.

სასამართლომ საქმის მასალებით დადგენილად მიიჩნია, რომ სააგენტომ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 1 სექტემბრის №520 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-13 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, შეამოწმა ა. ა. მ-ის მიერ წარდგენილი დოკუმენტები, მიმართა საქართველოს სახელმწიფო ორგანოს – სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტს და მიღებული ინფორმაციის შედეგად „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტების საფუძველზე მიიღო გადაწყვეტილება მოსარჩელისათვის საქართველოში სასწავლო ბინადრობის ნებართვის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ.

სასამართლომ მიზანშეწონილად მიიჩნია ასევე მიეთითებინა „კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონზე, რომლის მე-6 მუხლის პირველი და მეორე პუნქტების თანახმად, კონტრდაზვერვითი საქმიანობა გასაიდუმლოებულია. ამ საქმიანობის ამსახველი დოკუმენტები, მასალები და სხვა მონაცემები წარმოადგენს სახელმწიფო საიდუმლოებას. კონტრდაზვერვითი საქმიანობის პროცესში ოპერატიული და ოპერატიულ-ტექნიკური ღონისძიებების შედეგად მიღებული დოკუმენტები, მასალები და სხვა მონაცემები არ შეიძლება გამოყენებული იქნეს სამართალდაცვითი მიზნებისათვის, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა. „კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ქვეყანაში ერთიანი კონტრდაზვერვითი საქმიანობის ორგანიზაცია და სპეციალური სამსახურების საქმიანობის კოორდინაცია ეკისრება სპეციალურ სამსახურს - საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტს.

სასამართლოს მითითებით, განსახილველ შემთხვევაში, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტის 2018 წლის 26 ნოემბრის SSG 1 18 00185678 წერილით სააგენტოს ეცნობა, რომ დეპარტამენტს მიზანშეწონილად მიაჩნდა ა. ა. მ-ისთვის საქართველოში სასწავლო ბინადრობის ნებართვის მინიჭება.

სასამართლომ მიუთითა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ლ“ ქვეპუნქტზე,



მე-6-მე-7 მუხლებზე და მიიჩნია, რომ უცხოელისათვის საქართველოში სასწავლო ბინადრობის ნებართვის მინიჭების საკითხის გადაწყვეტა სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს დისკრეციულ უფლებამოსილებას განეკუთვნება. იგი ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის საფუძვლების გამოსავლენად უფლებამოსილია გამოითხოვოს ინფორმაცია საქართველოს სახელმწიფო ორგანოებიდან და მიღებული ინფორმაციის საფუძველზე შეარჩიოს ყველაზე მისაღები გადაწყვეტილება. სასამართლომ მიიჩნია, რომ საქმის მასალებით არ დასტურდება „შეცდომა დისკრეციაში“ – დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელების კანონით დადგენილი ფარგლების გადაცილება ან/და იმ მიზნის უგულებელყოფა, რის მისაღწევადაც მას მინიჭებული აქვს იგი. სააგენტომ აღნიშნული უფლებამოსილება განახორციელა იმ მიზნით, რა მიზნითაც მას ჰქონდა მინიჭებული ეს უფლებამოსილება. სასამართლოს მითითებით, სააგენტომ აღნიშნული უფლებამოსილება განახორციელა იმ მიზნით, რა მიზნითაც მას ჰქონდა მინიჭებული ეს უფლებამოსილება. სასამართლო მიუთითებს, რომ საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტის 2018 წლის 26 ნოემბრის წერილში ასახულ უარყოფით დასკვნას საფუძვლად უდევს გასაიდუმლოებული საქმიანობის შედეგად მოპოვებული ინფორმაციის დამუშავების შედეგები, რომლებიც არც ერთი მხარის მიერ არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს სამართალდაცვითი მიზნებისათვის. შესაბამისად, სააგენტო მოკლებული იყო შესაძლებლობას გასაჩივრებული გადაწყვეტილების გამოცემისას შემოწმებინა წერილის საფუძველად მითითებული გარემოებები და დოკუმენტაცია. ამდენად, სასამართლომ მიიჩნია, რომ სააგენტოს სადავო გადაწყვეტილების მოტივირება „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტების გამოყენებით, შეესაბამება კანონმდებლობას და წინააღმდეგობაში არ მოდის მოცემული ურთიერთობის მარეგულირებულ სამართლებრივ ნორმებთან.

სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტიდან გამოთხოვილ იქნა ინფორმაცია, მოსარჩელისათვის საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემის მიზანშეუწონლად მიჩნევის საფუძვლის დასადგენად. ინფორმაცია, საიდუმლოების შემცველობის გამო, წარმოდგენილ იქნა მხოლოდ სასამართლოსათვის და არ დაერთო საქმეს, ამასთან, მტკიცებულებათა გამოკვლევის ეტაპზე ამ ნაწილში დახურულ სასამართლო სხდომაზე საიდუმლო ინფორმაციის შესწავლა და შემოწმება განხორციელდა კანონით დად-

გენილი წესით მათი სხვა მტკიცებულებებთან ერთობლიობაში, თუმცა მასში მითითებულმა ფაქტებმა ასახვა ვერ ჰპოვა სასამართლო გადაწყვეტილებაში.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 12 თებერვლის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ა. ა. მ-მა, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 25 თებერვლის განჩინებით ა. ა. მ-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 12 თებერვლის გადაწყვეტილება.

სააპელაციო პალატა სრულად დაეთანხმა და გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებები და დასკვნები საქმის ფაქტობრივ და სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით და მიუთითა მათზე. სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, პირველი ინსტანციის სასამართლომ სადავო საკითხი არსებითად სწორად გადანყვიტა, სამართლებრივი თვალსაზრისით სწორად შეაფასა საქმეში წარმოდგენილი ყველა ფაქტობრივი გარემოება. თავის მხრივ, აპელანტმა სააპელაციო საჩივარში ვერ გააქარწყლა პირველი ინსტანციის სასამართლოს სამართლებრივი დასკვნები, ვერ მიუთითა და ვერ წარმოადგინა ისეთი არგუმენტები, რომლებზე დაყრდნობითაც შესაძლებელი იქნებოდა საქმეზე დადგენილი ფაქტების სხვაგვარი სამართლებრივი შეფასება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 25 თებერვლის განჩინება საკასაციო წესით ა. ა. მ-მა, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

კასატორის განმარტებით, სასამართლომ ყურადღება არ გაამახვილა იმ მნიშვნელოვან გარემოებაზე, რომ მას სასარჩელო მოთხოვნაზე უარის თქმით შეეზღუდა ან საერთოდ წაერთვა განათლების უფლება. იგი წლებია ცხოვრობს საქართველოში, რისი ერთადერთი მიზანი არის განათლების მიღება, რომელსაც წარმატებით უძღვება, აქვს კარგი აკადემიური მოსწრება და დაუსაბუთებლად ერთმევა განათლების უფლება. კასატორის მითითებით, სასამართლომ ყურადღება არ გაამახვილა იმ ფაქტზეც, რომ მან გადაიხადა სოლიდური თანხა განათლების მიღებაში, რომელიც ოჯახის ინვესტიციას წარმოადგენს, ვინაიდან იგი სტუდენტია და არ აქვს პირადი შემოსავალი შრომითი საქმიანობიდან; თუკი მას არ ექნება საქართველოში სასწავლო ბინადრობის ნებართვა, ის გა-

ნათლების უფლებასთან ერთად დაკარგავს ასევე იმ ფინანსებს, რაც უკვე გადაიხადა უნივერსიტეტში სწავლის მისაღებად.

კასატორის მითითებით, ასევე საყურადღებოა ის ფაქტი, რომ თუკი ამდენი ხნის განმავლობაში არსებობს შესაბამისი უწყების დასკვნა, სადაც საუბარია, რომ იგი კონკრეტული მუხლის გათვალისწინებით საფრთხეს უქმნის საზოგადოებრივ წესრიგს ან/და საშიშა მისი აქ ყოფნა სახელმწიფო უსაფრთხოებისთვის, მაშინ რატომ არ არის იგი დაკითხული შესაბამისი უწყებების მხრიდან. სწორედ აღნიშნულის გამო კასატორი მნიშვნელოვნად მიიჩნევდა სააპელაციო სასამართლოს მიერ თუნდაც ნაწილობრივ საჩივრის დაკმაყოფილებას და სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ საკითხის ხელახლა განხილვას, რათა რაიმე შეცდომის გამოსარიცხად, მომხდარიყო შესაბამისი უწყებისთვის ხელახლა მიმართვა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 4 ივნისის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული ა. ა. მ-ის საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 23 დეკემბრის განჩინებით ა. ა. მ-ის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად და მისი განხილვა დაიწყო მხარეთა დასწრების გარეშე.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ა. ა. მ-ის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 25 თებერვლის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმის მასალებში ასახულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: მოსარჩელე ა. ა. მ- საქართველოში შემოვიდა 2018 წლის 28 სექტემბერს (15:17:39 სთ), სასაზღვრო გამშვებ პუნქტ – თბილისის აეროპორტის საშუალებით. საქმის მასალებში წარმოდგენილი შპს ...ს უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის ადმინისტრირების სამსახურის უფროსის მიერ 2018 წლის 25 ოქტომბერს გაცემული №05-12519 ცნობის თანახმად, ა. მ. ა- (პირადი №...) არის მედიცინის ინგლისურენოვანი საგანმანათ-

ლებლო პროგრამის მიმდინარე სტუდენტი და ...ს უნივერსიტეტში ჩარიცხულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანების და ...ს უნივერსიტეტის პრეზიდენტების №... ბრძანების საფუძველზე. პროგრამის დასრულების სავარაუდო თარიღია 20.02.2024 წელი.

სს „...ი“ ადასტურებს, რომ ა. ა. მ- (პირადი №...) სს „...ში“ სარგებლობს ანგარიშით და 27.10.2018 წლის მდგომარეობით ერიცხებოდა ნაშთი 5693,41 ლარი.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ 2018 წლის 30 ოქტომბერს №1000636037/1 წერილით მიმართა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტს ინფორმაციის მისაღებად, არსებობდა თუ არა ა. ა. მ-ისთვის სასწავლო ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის კანონიერი საფუძვლები. საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტის 2018 წლის 26 ნოემბრის SSG 1 18 00185678 წერილით სააგენტოს ეცნობა, რომ დეპარტამენტს მიზანშეუწონლად მიაჩნდა ა. ა. მ-ისთვის საქართველოში სასწავლო ბინადრობის ნებართვის მინიჭება.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2018 წლის 27 ნოემბრის №1000636037 სადავო გადაწყვეტილებით არ დაკმაყოფილდა სასწავლო ბინადრობის ნებართვის გაცემის თაობაზე სირიის არაბული რესპუბლიკის მოქალაქე – ა. ა. მ-ის (...; დაბ. ... წელს, პასპორტის №...) 2018 წლის 29 ოქტომბრის №1000636037 განცხადება. განცხადების განხილვისას დადგინდა, რომ ა. ა. მ-ის მიმართ არსებობდა „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის საფუძველი, შესაბამისად, მას უარი ეთქვა საქართველოში სასწავლო ბინადრობის ნებართვის გაცემაზე.

საკასაციო სასამართლოს მითითებით, „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის სადავო აქტის გამოცემის დროს მოქმედი რედაქციის მე-14 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საქართველოში კანონიერი საფუძველით მყოფ უცხოელზე საქართველოში ბინადრობის ნებართვას გასცემს სააგენტო; ხოლო ამავე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, საქართველოში კანონიერი საფუძველით მყოფ უცხოელს, რომელსაც აქვს ამ კანონის მე-15 მუხლით გათვალისწინებული რომელიმე სახის ბინადრობის ნებართვა, უფლე-

ბა აქვს, სხვა სახის ბინადრობის ნებართვის მისაღებად სააგენტოს მიმართოს, თუ იგი შესაბამისი სახის ბინადრობის ნებართვის გასაცემად დადგენილ მოთხოვნებს აკმაყოფილებს. მითითებული კანონის მე-15 მუხლის „ბ“ პუნქტის თანახმად, საქართველოში ბინადრობის ნებართვის ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს სასწავლო ბინადრობის ნებართვა, რომელიც გაიცემა საქართველოში ავტორიზებულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის მიზნით. ამავე კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი განსაზღვრავს, რომ უცხოელს საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემაზე შეიძლება უარი ეთქვას, თუ არსებობს უფლებამოსილი ორგანოს დასკვნა სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესების დაცვის უზრუნველსაყოფად მისი საქართველოში ცხოვრების მიზანშეუწონლობის შესახებ. ამავე მუხლის ამავე პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი კი უცხოელისთვის საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის შესაძლებლობას ითვალისწინებს იმ შემთხვევაში, თუ იგი ახორციელებს საქმიანობას, რომელიც საფრთხეს უქმნის საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოებას ან/და საზოგადოებრივ წესრიგს.

საკასაციო სასამართლო ასევე მიუთითებს საქართველოს მთავრობის 2014 წლის 1 სექტემბრის №520 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემის საკითხის განხილვისა და გადაწყვეტის წესის“ მე-13 მუხლის მე-5 პუნქტზე, რომლის შესაბამისად, საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის საფუძვლების გამოსავლენად, სააგენტო უფლებამოსილია, ხოლო კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „გ“, „დ“ და „ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საფუძვლების გამოსავლენად, ვალდებულია, განცხადების მიღებიდან 3 დღეში გამოითხოვოს შესაბამისი ინფორმაცია საქართველოს სახელმწიფო ორგანოებისაგან. სახელმწიფო ორგანოები, ფიზიკური და იურიდიული პირები, მიმართვის მიღებიდან 5 დღეში წარუდგენენ სააგენტოს მოთხოვნილ ინფორმაციას.

საკასაციო პალატა ასევე მიუთითებს „კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველ პუნქტზე, რომლის თანახმად, კონტრდაზვერვითი საქმიანობა გასაიდუმლოებულია. ამ საქმიანობის ამსახველი დოკუმენტები, მასალები და სხვა მონაცემები წარმოადგენს სახელმწიფო საიდუმლოებას. ამავე მუხლის მე-2 პუნქტი კი განსაზღვრავს, რომ კონტრდაზვერვითი საქმიანობის პროცესში ოპერატიული და ოპერატიულ-ტექნიკური ღონისძიებების შედეგად მიღებული დოკუმენტები, მასალები და სხვა მონაცემები არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს სამართალდაცვითი მიზნებისათვის, გარდა საქართველოს

კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს კონსტიტუციის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტზე, რომლის თანახმად, საქართველოს უმაღლეს სახელმწიფო ორგანოთა განსაკუთრებულ გამგებლობას მიეკუთვნება კანონმდებლობა ადამიანის უფლებების, საქართველოს მოქალაქეობის, მიგრაციის, ქვეყანაში შემოსვლისა და ქვეყნიდან გასვლის, საქართველოში სხვა სახელმწიფოს მოქალაქეთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა დროებით ან მუდმივად ყოფნის შესახებ. საკასაციო პალატა ასევე მიუთითებს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მსჯელობაზე, რომლის თანახმად „სახელმწიფო უფლებამოსილია, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური გამოწვევების შესაბამისად შეიმუშაოს სათანადო საიმეგრაციო პოლიტიკა და განსაზღვროს უცხო ქვეყნის მოქალაქეებისა და მოქალაქეობის არმქონე პირთა საქართველოში შესვლის, დროებით ან მუდმივად ყოფნის პირობები და წესი. საიმეგრაციო საკითხების რეგულირებისას, მათი პოლიტიკური ხასიათიდან გამომდინარე, საკანონმდებლო ხელისუფლება ფართო მიხედულების ზღვრით სარგებლობს...“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 7 დეკემბრის №2/9/810,927 გადაწყვეტილება საქმეზე სომხეთის რესპუბლიკის მოქალაქეები – გარნიკ ვარდერესიანი, არტავაზ ხაჩატრიანი და ანი მინასიანი საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ, II-13). საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, „სახელმწიფოსა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელებს შორის, საქართველოს მოქალაქეების მსგავსად, არსებობს განსაკუთრებულად მჭიდრო კავშირი, რაც მრავალ ასპექტში გამოიხატება“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 12 სექტემბრის №2/3/540 გადაწყვეტილება საქმეზე „რუსეთის მოქალაქეები – ოგანეს დარბინიანი, რუდოლფ დარბინიანი, სუსანა ჟამკოციანი და სომხეთის მოქალაქეები – მილენა ბარსელიანი და ლენა ბარსელიანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-6). „საქართველოში მცხოვრები უცხოელები მჭიდროდ არიან დაკავშირებული სახელმწიფოსთან, ისინი წარმოადგენენ ქართული საზოგადოების წევრებს და საქართველოს მოქალაქეების მსგავსად მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ქვეყნის ყოფა-ცხოვრებაში, მის წინსვლასა და განვითარებაში. უცხოელები, რომლებიც საქართველოში ცხოვრობენ, ინტენსიურად ექცევიან საქართველოს სამართლებრივი რეგულირების სფეროში და ნორმატიული წესრიგის ფორმირება, როგორც წესი, საქართველოს მოქალაქის თანაბრად ახდენს გავლენას მათ საქმიანობაზე, არსებობასა და განვითარებაზე. დემოკრატიული საზოგადოების არსებო-

ბა მოითხოვს მისი თითოეული წევრის უფლების პატივისცემას. საზოგადოების წევრებისათვის განვითარების თანაბარი შესაძლებლობების შექმნას. სწორედ საქართველოში მცხოვრები უცხოელის სახელმწიფოსთან მჭიდრო კავშირი განაპირობებს იმას, რომ კონსტიტუციამ მათ განსაკუთრებული სტატუსი მიანიჭა და კონსტიტუციური უფლებებით სარგებლობის კონტექსტში მნიშვნელოვნად გაუთანაბრა საქართველოს მოქალაქეებს“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 26 ივნისის №3/1/512 გადაწყვეტილება საქმეზე „დანიის მოქალაქე ჰეიკე ქრონქვისტი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-94,95).

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სახელმწიფოს ლეგიტიმური ინტერესია უზრუნველყოს სახელმწიფო უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის სათანადოდ დაცვა. ამგვარად, სწორედ სახელმწიფოა უფლებამოსილი სახელმწიფო უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ინტერესებიდან და საჭიროებებიდან გამომდინარე, განსაზღვროს, თუ რა ფორმით დააწესდეს უცხოელთა სამართლებრივი სტატუსი სახელმწიფოში. აღნიშნული ინტერესების დაცვის მნიშვნელობასა და სახელმწიფოს ფართო მიხედულების ზღვარზე მიუთითებს საქართველოს მთავრობის 2014 წლის 1 სექტემბრის №520 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემის საკითხის განხილვისა და გადაწყვეტის წესის“ მე-13 მუხლის მე-5 პუნქტიც, რომელიც მიუთითებს ადმინისტრაციული ორგანოს უფლებამოსილებაზე ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის საფუძვლების გამოსავლენად განცხადების მიღებიდან 3 დღეში გამოითხოვოს შესაბამისი ინფორმაცია საქართველოს სახელმწიფო ორგანოებისაგან, ხოლო „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „გ“, „დ“ და „ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საფუძვლების გამოსავლენად კი იგი ვალდებულია, რომ ინფორმაცია გამოითხოვოს შესაბამისი ორგანოებიდან.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საკონსტიტუციო სასამართლოს მსჯელობაზე, რომ „კონსტიტუციური უფლებების... შეზღუდვის შეფასების საზომი, თანაზომიერების პრინციპია. აღნიშნული პრინციპი წარმოადგენს ადამიანის უფლების შეზღუდვისას კანონმდებლის შებოჭვის მექანიზმს და, შესაბამისად, კონსტიტუციური კონტროლის ელემენტს. თანაზომიერების პრინციპის მოთხოვნაა, რომ უფლების მზღუდავი საკანონმდებლო რეგულირება უნდა წარმოადგენდეს ღირებული საჯარო (ლეგიტიმური) მიზნის მიღწევის გამოსაღებ და აუცილებელ საშუალებას. ამავე დროს,

უფლების შეზღუდვის ინტენსივობა მისაღწევი საჯარო მიზნის პროპორციული, მისი თანაზომიერი უნდა იყოს. დაუშვებელია ლეგიტიმური მიზნის მიღწევა განხორციელდეს ადამიანის უფლების მომეტებული შეზღუდვის ხარჯზე.“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 26 ივნისის №3/1/512 გადაწყვეტილება საქმეზე „დანის მოქალაქე ჰეიკე ქრონქვისტი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-60).

საკასაციო სასამართლო მიუთითებს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ლ“ ქვეპუნქტზე, რომლის შესაბამისად, დისკრეციულ უფლებამოსილებას წარმოადგენს უფლებამოსილება, რომელიც ადმინისტრაციულ ორგანოს ან თანამდებობის პირს ანიჭებს თავისუფლებას საჯარო და კერძო ინტერესების დაცვის საფუძველზე კანონმდებლობის შესაბამისი რამდენიმე გადანყვეტილებიდან შეარჩიოს ყველაზე მისაღები გადანყვეტილება. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სასწავლო ბინადრობის ნებართვის გაცემის საკითხის გადანყვეტა სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს დისკრეციულ უფლებამოსილებას განეკუთვნება. იგი სასწავლო ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის საფუძველების გამოსავლენად, უფლებამოსილია გამოითხოვოს ინფორმაცია საქართველოს სახელმწიფო ორგანოებიდან და მიღებული ინფორმაციის საფუძველზე შეარჩიოს ყველაზე მისაღები გადანყვეტილება. თუმცა, საკასაციო სასამართლო ასევე მიუთითებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-7 მუხლის პირველ ნაწილზე, რომელიც განსაზღვრავს, რომ დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას არ შეიძლება გამოიყენოს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, თუ პირის კანონით დაცული უფლებებისა და ინტერესებისათვის მიყენებული ზიანი არსებითად აღემატება იმ სიკეთეს, რომლის მისაღებადაც იგი გამოიყენა. ამავე მუხლის მე-2 ნაწილი კი განსაზღვრავს, რომ დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით გათვალისწინებულმა ზომებმა არ შეიძლება გამოიწვიოს პირის კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დაუსაბუთებელი შეზღუდვა. აღნიშნული მეტყველებს იმაზე, რომ დისკრეციული უფლებამოსილება არ არის შეუზღუდავი და ადმინისტრაციულმა ორგანომ მხედველობაში უნდა მიიღოს ფაქტობრივი გარემოებები, საჯარო და კერძო ინტერესების პროპორციულობა და ამის საფუძველზე მიიღოს დასაბუთებული გადანყვეტილება.

ამდენად, განსახილველ შემთხვევაში, სამართალწარმოება ემსახურება იმის გამორკვევას, ა. ა. მ-ის სასწავლო ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმა წარმოადგენდა თუ არა თანაზომი-



ერ ჩარევას მის უფლებებში და იყო თუ არა აღნიშნული სახელმწიფო უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისთვის აუცილებელი ღონისძიება, რამეთუ მოსარჩელის სწავლის ფაქტი იმთავითვე არ ქმნის ადმინისტრაციული ორგანოს მიერ სასწავლო ბინადრობის ნებართვის გაცემის ვალდებულებას, რამდენადაც სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო გადაწყვეტილებას უნდა იღებდეს საქმის გარემოებათა ყოველმხრივ გამოკვლევის შედეგად. სასწავლო ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმა უნდა ეფუძნებოდეს სათანადო გარემოებებს, კერძო და საჯარო ინტერესების სათანადო ურთიერთშეძარების შედეგად.

2021 წლის 6 დეკემბერს საქართველოს უზენაესმა სასამართლომ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტს მიმართა. მიმართვაში აღნიშნულია, რომ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2018 წლის 27 ნოემბრის №1000636037 გადაწყვეტილებით ა. ა. მ-ის (დაბ.: ...წ., არაბთა გაერთიანებული საემიროები, პასპორტის ნომერი: ...) „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტების შესაბამისად, უარი ეთქვა სასწავლო ბინადრობის ნებართვის გაცემაზე. აღნიშნულ გადაწყვეტილებას საფუძვლად დაედო საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტის 2018 წლის 26 ნოემბრის SSG 1 18 00185678 წერილი, რომლითაც სააგენტოს ეცნობა, რომ დეპარტამენტმა მიზანშეუწონლად მიიჩნია ა. ა. მ-ისთვის საქართველოში სასწავლო ბინადრობის ნებართვის მინიჭება. შესაბამისად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2021 წლის 6 დეკემბრის მიმართვით, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტს ეთხოვა, საქართველოს უზენაესი სასამართლოსათვის წარმოედგინა ინფორმაცია/მასალები (მათ შორის საიდუმლო), რომელიც საფუძვლად დაედო საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტის 2018 წლის 26 ნოემბრის SSG 1 18 00185678 წერილის გაცემას და მოსარჩელისათვის სასწავლო ბინადრობის ნებართვის მიცემის მიზანშეუწონლად მიჩნევას.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ არსებითია სახელმწიფო და საზოგადოებრივი ინტერესების დაცვის საკითხები, თუმცა მიდგომა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა იყოს თანმიმდევრული და არ უნდა ქმნიდეს შეუსაბამო დასკვნების გაკეთების შესაძლებლობას. განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო პალატა კონტრდაზვერვის დეპარტამენტიდან წარმოდგენილი ინფორმაციის/მასალების გაცნობის საფუძველზე მიიჩნევს, რომ მხოლოდ აღნიშნული ინ-

ფორმაცია არ არის საკმარისი მოსარჩელის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმისთვის, რამდენადაც გადანყვეტილება საქმესთან დაკავშირებით არსებული ყველა ფაქტობრივი გარემოების გამოკვლევისა და ერთობლივი შეჯერების საფუძველზე უნდა იქნეს მიღებული. საკასაციო სასამართლო ხაზგასმით მიუთითებს, რომ ზოგადად ადმინისტრაციული ორგანო არ არის შეზღუდული, დაეყრდნოს საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტიდან გამოთხოვილ ინფორმაციას და მხოლოდ მის საფუძველზე მიიღოს გადანყვეტილება. ინფორმაციის გამოთხოვის შემდგომ, მასში მითითებული ცნობები გარკვეულ შემთხვევებში შესაძლოა პირდაპირ მიუთითებდეს ისეთი გარემოებების არსებობაზე, რომელიც სახელმწიფო და საზოგადოებრივი ინტერესებისთვის საფრთხის მიყენების რისკის არსებობაზე და საბუთებულ ეჭვს იწვევს და აბსოლუტურად საკმარისია პირის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმისთვის, თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში, შესაძლოა საიდუმლო მასალებში მითითებული ინფორმაცია იყოს ზოგადი, შეიცავდეს საფრთხის მხოლოდ აბსტრაქტულ ფორმულირებას, არ ქმნიდეს ზემოხსენებული ინტერესებისთვის საფრთხის მიყენების საფუძვლიან ეჭვს და მოითხოვდეს დამატებით სხვა გარემოებების მხედველობაში მიღებასა და ერთობლივ გამოკვლევას. განსახილველ შემთხვევაში კი, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ საიდუმლო მასალაში მითითებული ინფორმაცია არ ქმნიდა მოსარჩელის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საკმარის საფუძველს და საჭირო იყო მისი დამატებითი კვლევა და სხვა გარემოებებთან ერთობლივი ანალიზი, რის გამოც სააპელაციო სასამართლომ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურისგან მიღებული ინფორმაციის, არსებობის შემთხვევაში ახალი მტკიცებულებებისა და საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების ურთიერთშეჯერებისა და ანალიზის საფუძველზე, საჯარო და კერძო ინტერესების ურთიერთშეპირისპირების შედეგად, უნდა მიიღოს სათანადო გადანყვეტილება.

სასამართლო მხედველობაში იღებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ განხილულ საქმეს ლუპსა რუმინეთის წინააღმდეგ (*Lupsa v. Romania*, №10337/04). აღნიშნულ საქმეზე, რუმინეთის პროკურატურის ბრძანებით, მომჩივნის რუმინეთის ტერიტორიაზე ყოფნა გამოცხადდა არასასურველად და მიღებულ იქნა გადანყვეტილება მისი რუმინეთიდან 10 წლით გაძევებისა და დეპორტირების შესახებ იმ საფუძველით, რომ რუმინეთის დაზვერვის სამსახურს მიღებული ჰქონდა „საკმარისი და სერიოზული სადაზვერვო ინფორმაცია, რომ მისი საქმიანობა საფრთხეს უქმნიდა ეროვნულ უშიშროებას“ (*Lupsa v. Romania*, №10337/

04, §39, 08 ივნისი 2006). ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ სიცხადის ხარისხი, რაც შიდასახელმწიფოებრივ კანონმდებლობას მოეთხოვება, მეტწილად რეგულირების კონკრეტულ სფეროზეა დამოკიდებული. საფრთხეები, რომლებიც ეროვნულ უშიშროებას ემუქრება განსხვავდება ხასიათისა და დროის მიხედვით და ამიტომ წინასწარ მათი განსაზღვრა რთულია. თუმცა პირს, რომლის მიმართაც ხორციელდება ეროვნული უშიშროების ინტერესებზე დამყარებული ღონისძიება, არ უნდა წაერთვას თვითნებობის გამომრიცხავი ყველა გარანტია, რაც ნიშნავს იმას, რომ სადავო ღონისძიება ზედმიწევნით უნდა გამოიკვლიოს დამოუკიდებელმა და მიუკერძოებელმა ორგანომ, რომელიც უფლებამოსილია შეამოწმოს ყველა შესაბამისი ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოება, რათა შეაფასოს ღონისძიების კანონიერება და უზრუნველყოს ხელისუფლების მიერ შესაძლო თვითნებობის პრევენცია (იქვე, §37-38).

ამასთან, საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საქმის მასალებში წარმოდგენილი შპს ...ს უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის ადმინისტრირების სამსახურის უფროსის მიერ 2018 წლის 25 ოქტომბერს გაცემული №05-12519 ცნობის თანახმად, ა. მ. ა- (პირადი №...) არის მედიცინის ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის მიმდინარე სტუდენტი და ...ს უნივერსიტეტში ჩარიცხულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანების და ...ს უნივერსიტეტის პრეზიდენტების №... ბრძანების საფუძველზე. პროგრამის დასრულების სავარაუდო თარიღია 20.02.2024 წელი. საკასაციო საჩივარში აღნიშნულია, რომ კასატორი – ა. ა. მ-ი წლებია ცხოვრობს საქართველოში, რისი ერთადერთი მიზანი არის განათლების მიღება, რომელსაც წარმატებით უძღვება, აქვს კარგი აკადემიური მოსწრება. თუმცა, საქმის ხელახლა განხილვისას სააპელაციო სასამართლოს მიერ გამოსარკვევია, დღეის მდგომარეობით ისევ არსებობს თუ არა ა. ა. მ-ისთვის სასწავლო ბინადრობის მინიჭების კანონიერი საფუძველი, რამდენადაც საქმის მასალებში წარმოდგენილი შპს ...ს უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის ადმინისტრირების სამსახურის უფროსის მიერ 2018 წლის 25 ოქტომბერს გაცემული №05-12519 ცნობის თანახმად, ა. მ. ა- (პირადი №...) არის მედიცინის ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის მიმდინარე სტუდენტი, თუმცა ფაქტი, რომ ა. ა. მ-ი ამჟამადაც წარმოადგენს სტუდენტს, სააპელაციო სასამართლოს მხრიდან დამატებით კვლევას საჭიროებს. სააპელაციო სასამართლოს მიერ გამოსარკვევ გარემოებას – მოსარჩელის სწავლის ფაქტის დადგენას, ასევე არსებითი მნიშვნელობა აქვს საქმის საბოლოო გადაწყვეტაზე. სააპელაციო სასამართლომ სარ-

ჩელის უარყოფის საფუძვლად გამოიყენა ადმინისტრაციული წარმოებისა და სამართალწარმოების პროცესში გამოკვლეველი გარემოება – კონტრდაზვერვის დეპარტამენტის წერილი და ინფორმაცია რომელიც მას დაედო საფუძვლად, თუმცა სააპელაციო სასამართლომ ასევე უნდა გამოიკვლიოს ამჟამად მოსარჩელის სწავლის ფაქტი და სხვა ფაქტობრივ გარემოებებთან ერთობლიობაში გადაწყვიტოს სარჩელის ბედი. საქართველოში კანონიერი საფუძვლით მყოფ უცხოელზე საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემის საკითხის გადაწყვეტისას საფუძვლიანად უნდა იქნეს შესწავლილი და გამოკვლეული თითოეული ფაქტი ბინადრობის ნებართვის მინიჭებასთან დაკავშირებით და მხოლოდ ამის შემდეგ, სათანადო მტკიცებულებებზე დაყრდნობით, იქნეს მიღებული დასაბუთებული გადაწყვეტილება.

ამასთანავე, განსახილველ შემთხვევაში აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს გადაწყვეტილებით მოსარჩელე ერთხელ უკვე ფლობდა საქართველოში სასწავლო ბინადრობის ნებართვას 2017 წლის 11 დეკემბრიდან 2018 წლის 11 დეკემბრამდე.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საკასაციო სასამართლოში საქმის წარმოების დროს, სასამართლო მოკლებულია ახალი მტკიცებულებების მოპოვების შესაძლებლობას, იგი არ წარმოადგენს საქმის ფაქტობრივი გარემოებების დამდგენ სასამართლოს. საპროცესო კანონმდებლობა არ ითვალისწინებს საკასაციო სასამართლოში ახალი ფაქტობრივი გარემოებების დადგენის და მტკიცებულებების მიღების შესაძლებლობას, რის გამოც მოცემულ შემთხვევაში იქმნება საქმის სააპელაციო სასამართლოში დაბრუნების პროცესუალური საჭიროება, რა დროსაც სააპელაციო სასამართლომ ხელახლა უნდა გამოიკვლიოს კონტრდაზვერვის დეპარტამენტის მიერ მიწოდებული ინფორმაცია, ამავდროულად, გამოიკვლიოს მოსარჩელის ამჟამად სწავლის ფაქტი და აღნიშნული ინფორმაციისა და გარემოებების ერთობლიობაში დამუშავების შემდგომ, მიიღოს სათანადო გადაწყვეტილება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ა. ა. მ-ის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის თანახმად, საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ად-

მინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. ა. ა. მ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 25 თებერვლის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. სასამართლო ხარჯების განაწილების საკითხი გადაწყდეს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას;
4. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## **უცხოელისთვის საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის საფუძველი**

### **გადანყვანილობა საქართველოს სახელით**

№ბს-233(კ-22)

27 მაისი, 2022 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა**

**შემაღგენლობა: თ. ოქროპირიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),**

**ქ. ცინცაძე,**

**გ. მაკარიძე**

**დავის საგანი:** ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა, ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება

### **აღწერილობითი ნაწილი:**

მ. ა. ბ. ა-ი-მა 2021 წლის 23 ივლისს სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხე სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიმართ. მოსარჩელემ მოითხოვა მუდმივი ცხოვრების ნებართვის გაცემაზე უარის თქმის შესახებ სსიპ სახელმწიფო სერვისე-

ბის განვითარების სააგენტოს 2021 წლის 21 ივნისის №1000683301 გადაწყვეტილების ბათილად ცნობა და მოპასუხისათვის ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება, მუდმივი ცხოვრების ნებართვის გაცემის თაობაზე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 6 ოქტომბრის გადაწყვეტილებით მ. ა. ხ. ა-ი-ის სარჩელი დაკმაყოფილდა; ბათილად იქნა ცნობილი სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2021 წლის 21 ივნისის №1000683301 გადაწყვეტილება, მუდმივი ცხოვრების ნებართვის გაცემაზე უარის თქმის თაობაზე; მოპასუხე სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს დაევალა ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა, მ. ა. ხ. ა-ისათვის მუდმივი ცხოვრების ნებართვის გაცემის თაობაზე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 6 ოქტომბრის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოპასუხე სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 21 იანვრის განჩინებით სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 6 ოქტომბრის გადაწყვეტილება.

**სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:**

2019 წლის 30 აგვისტოს, მ. ა. ხ. ა-ი-მა განცხადებით მიმართა სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს, მუდმივი ცხოვრების ნებართვის გაცემის მოთხოვნით.

2019 წლის 5 ივლისის ქორწინების მოწმობის მიხედვით, ერაყის რესპუბლიკის მოქალაქემ მ. ა. ხ. ა-ი-მა იქორწინა საქართველოს მოქალაქე ა. შ-აზე (ქორწინების რეგისტრაციის თარიღი – 2019 წლის 5 ივლისი).

... წლის ... ..ის დაბადების მოწმობის თანახმად, ... წლის ... ..ს დაბადებული ს. ა-ი-ის მშობლები არიან: მამა – მ. ა. ხ. ა-ი-ი და დედა – ა. შ-ა.

2019 წლის 2 სექტემბერს, სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ №1000683301/1 წერილით მიმართა საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტს და გამოითხოვა ინფორმაცია – არსებობდა თუ არა მ. ა. ხ. ა-ი-ისათვის საქართველოში მუდმივი ცხოვრების ნებართვის გაცემაზე უარის თქმის კანონიერი საფუძვლები.

საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტის 2019 წლის 24 სექტემბრის №SSG 719 00175160 წერილით სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ეცნობა, რომ „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „გ“ ქვეპუნქტების გათვალისწინებით, დეპარტამენტს მიზანშეუწონლად მიაჩნია მ. ა. ხ. ა-ი-ისათვის მუდმივი ცხოვრების ნებართვის გაცემა.

სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2019 წლის 27 სექტემბრის №1000683301 გადაწყვეტილებით, „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „გ“ ქვეპუნქტების შესაბამისად, მ. ა. ხ. ა-ი-ს უარი ეთქვა საქართველოში მუდმივი ცხოვრების ნებართვის გაცემაზე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 26 თებერვლის გადაწყვეტილებით (საქმე №3/7407-19) მ. ა. ხ. ა-ი-ის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2019 წლის 27 სექტემბრის №1000683301 გადაწყვეტილება მ. ა. ხ. ა-ი-ის მუდმივი ცხოვრების ნებართვის გაცემაზე უარის თქმის თაობაზე; სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს დაევალა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ, კანონით დადგენილ ვადაში, ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა, მ. ა. ხ. ა-ი-ისათვის მუდმივი ცხოვრების ნებართვის გაცემის თაობაზე.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 15 დეკემბრის №3პ/723-20 განჩინებით არ დაკმაყოფილდა სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს სააპელაციო საჩივარი, უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 26 თებერვლის გადაწყვეტილება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 28 აპრილის №138(კ-21) განჩინებით დაუშვებლად იქნა მიჩნეული სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს საკასაციო საჩივარი, უცვლელად დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 15 დეკემბრის განჩინება.

კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით, 2021 წლის 9 ივნისს, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ №01/109891 წერილით განმეორებით მი-

მართა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტს და გამოითხოვა ინფორმაცია – არსებობდა თუ არა მ. ა. ხ. ა-ი-ისათვის საქართველოში მუდმივი ცხოვრების ნებართვის გაცემაზე უარის თქმის საფუძვლები.

საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტის 2021 წლის 15 ივნისის №SSG 1 21 00077269 წერილით სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ეცნობა, რომ „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „გ“ ქვეპუნქტების გათვალისწინებით, დეპარტამენტს მიზანშეუწონლად მიაჩნია მ. ა. ხ. ა-ი-ისათვის მუდმივი ცხოვრების ნებართვის გაცემა.

სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2021 წლის 21 ივნისის №1000683301 გადაწყვეტილებით, „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „გ“ ქვეპუნქტების შესაბამისად, მ. ა. ხ. ა-ი-ს უარი ეთქვა საქართველოში მუდმივი ცხოვრების ნებართვის გაცემაზე.

საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 6 ოქტომბრის გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების დასაბუთებაში სააპელაციო პალატამ მიუთითა „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონზე და აღნიშნა, რომ კანონმდებლის მხრიდან ადმინისტრაციული ორგანოსთვის დისკრეციული უფლებამოსილების დელეგირება გულისხმობს მისთვის გარკვეულ საკითხში მოქმედების თავისუფლების მინიჭებას, უფლებამოსილების განსაზღვრას, გარკვეული საკითხის გადაწყვეტის ორი ან მეტი ალტერნატივიდან შეარჩიოს ერთ-ერთი, მისი შეხედულებისამებრ. დისკრეციის ფარგლებში ადმინისტრაციული ორგანოს ამოცანას წარმოადგენს, ყოველ ინდივიდუალურ შემთხვევას შეუსაბამოს ოპტიმალური გადაწყვეტა კეთილსინდისიერად, მიუკერძოებლად, ყოველგვარი დისკრიმინაციისა და თვითნებობის გარეშე. ობიექტური გადაწყვეტილების მისაღებად აუცილებელია, გადაწყვეტილება ემყარებოდეს კანონით წინასწარ განსაზღვრულ, ობიექტურ და გადამოწმებად კრიტერიუმებს. ასეთ პირობებშია შესაძლებელი გადაწყვეტილების მიმღები პირების თვითნებობის, მიკერძოებულობისა და დისკრეციული უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისა და დიფერენცირების საფრთხეების მაქსიმალურად გამორიცხვა.

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, ადმინისტრაციულ დისკრეციას, პოზიტიურ ასპექტებთან ერთად, თან ახლავს ძალაუფლების ბოროტად გამოყენების მომეტებული რისკი და აუცი-



ლებელია, ადმინისტრაციული ორგანოსთვის დისკრეციის დეფიციტის გირება ხდებოდა მკაცრად განსაზღვრული კრიტერიუმების, პირობების შესაბამისად, რაც მინიჭებულ უფლებამოსილებას მოაქცევს სამართლებრივ ჩარჩოში და უზრუნველყოფს სამართლიანი ბალანსის დაცვას, დისკრეციის მიზნებსა და მისი ბოროტად გამოყენების რისკს შორის, ამასთან, განჭვრეტადს გახდის დისკრეციის განხორციელების საფუძველს და წინაპირობებს ნებისმიერი ადმინისტრაციული ორგანოს უფლებამოსილებას დაქვემდებარებული პირისათვის. ადმინისტრაციული ორგანოსთვის საკითხის გადასაწყვეტად მინიჭებული დისკრეციული უფლებამოსილების არსებობა, უპირობოდ არ გულისხმობს მისი გამოყენებით მიღებული გადაწყვეტილების მართლზომიერებას. თავის მხრივ, სასამართლო ვალდებულია, გააკონტროლოს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განხორციელებული დისკრეციული უფლებამოსილების კანონიერება – ხომ არ დასტურდება ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელება კანონით დადგენილ ფარგლებს გადაცილებით და კანონის მიზნის უგულვებელყოფით. იცავს რა ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციის სფეროს, სასამართლოს აქვს შესაძლებლობა, მოახდინოს ზემოქმედება მმართველობის ამ სფეროზე, ვინაიდან არ არსებობს აბსოლუტურად დისკრეციული უფლებამოსილება, ისევე, როგორც აბსოლუტური საკანონმდებლო განსაზღვრულობა.

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, მოსარჩელეს საქართველოში მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარი ეთქვა „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „გ“ ქვეპუნქტებზე მითითებით. სადავო აქტის გამოცემის საფუძველი კი, გახდა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტის წერილი, რომლითაც სააგენტოს ეცნობა, რომ დეპარტამენტს მიზანშეუწონლად მიაჩნია მ. ა. ხ. ა-ი-ისათვის მუდმივი ცხოვრების ბინადრობის ნებართვის მინიჭება. სააპელაციო პალატა გაეცნო საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურიდან გამოთხოვილ საიდუმლო ინფორმაციას, რომელიც სახელმწიფო საიდუმლოებას წარმოადგენს და მხარეებისთვის ხელმისაწვდომი არ არის. სასამართლომ ჩათვალა, რომ მართალია, პრიორიტეტულია სახელმწიფო და საზოგადოებრივი ინტერესების დაცვის საკითხები, თუმცა მიდგომა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა იყოს ინდივიდუალური, თანმიმდევრული და არ უნდა ქმნიდეს შეუსაბამო დასკვნების გაკეთების შესაძლებლობას.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა საქართველოს ზოგადი ად-

მინისტრაციული კოდექსის 53-ე, 96-ე მუხლებზე და ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 26 თებერვლის გადაწყვეტილებით ნაწილობრივ დაკმაყოფილდა მ. ა. ხ. ა-ი-ის სარჩელი; სადავო საკითხის გადაწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2019 წლის 27 სექტემბრის №1000683301 გადაწყვეტილება მ. ა. ხ. ა-ი-ის მუდმივი ცხოვრების ნებართვის გაცემაზე უარის თქმის თაობაზე და სააგენტოს დაევალა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ, კანონით დადგენილ ვადაში, ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა მ. ა. ხ. ა-ისათვის მუდმივი ცხოვრების ნებართვის გაცემის თაობაზე. სასამართლომ ასევე საყურადღებოდ მიიჩნია, რომ მ. ა. ხ. ა-ი-მა იქორწინა საქართველოს მოქალაქე ა. შ-აზე (ქორწინების რეგისტრაციის თარიღი – 2019 წლის 5 ივლისი). მათ ჰყავთ 2020 წლის 24 სექტემბერს დაბადებული შვილი – ს. ა-ი-ი, რომელიც საქართველოს მოქალაქეა. მოსარჩელისათვის მუდმივი ცხოვრების ნებართვის საკითხთან დაკავშირებით მოპასუხემ სადავო გადაწყვეტილება დააფუძნა მხოლოდ საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტის წერილებს, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის სავალდებულო წინაპირობას კი, წარმოადგენს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოების გამოკვლევა, გაანალიზება, შესწავლა და გადაწყვეტილების მიღება სწორედ ამ გარემოებათა შეფასების შედეგად, რაც მოცემულ შემთხვევაში, ადმინისტრაციულ ორგანოს არ განუხორციელებია.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2021 წლის 21 ივნისის №1000683301 გადაწყვეტილება მიღებულია კანონის მოთხოვნათა დარღვევით, ხელყოფს მოსარჩელის კანონიერ ინტერესს, პირდაპირ და უშუალო ზიანს აყენებს მას, რის გამოც, სარჩელი უნდა დაკმაყოფილდეს, ბათილად უნდა იქნეს ცნობილი სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2021 წლის 21 ივნისის №1000683301 გადაწყვეტილება, მუდმივი ცხოვრების ნებართვის გაცემაზე უარის თქმის თაობაზე. ამავდროულად, მოპასუხეს უნდა დაევალოს ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა, მ. ა. ხ. ა-ი-ის მუდმივი ცხოვრების ნებართვის გაცემის თაობაზე.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 21 იანვრის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს

ტომ.

კასატორის მოსაზრებით, საქმის სააპელაციო წესით განხილვისას, მატერიალური სამართლის ნორმები არსებითად არასწორად განიმარტა საქმის ფაქტობრივ გარემოებებთან მიმართებით, რამაც გამოიწვია საქმეზე ჭეშმარიტების დადგენა. სააგენტოს 2021 წლის 21 ივნისის №1000683301 გადაწყვეტილება მიღებულია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის, „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოს მთავრობის 2014 წლის პირველი სექტემბრის №520 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემის საკითხის განხილვისა და გადაწყვეტის წესის“ შესაბამისად.

კასატორი ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ გაცემს რა ბინადრობის მოწმობას უცხოელზე, სახელმწიფო იღებს ვალდებულებას, უზრუნველყოს მისი უფლებების და თავისუფლებების დაცვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე. ეს გულისხმობს გარკვეული პრივილეგიების მინიჭებას კონკრეტული პირისათვის დროის იმ მონაკვეთში, რა პერიოდშიც უცხოელი კანონიერად იმყოფება საქართველოში. ბინადრობის სამართლებრივი ბუნება ანიჭებს ადმინისტრაციულ ორგანოს დისკრეციულ უფლებამოსილებას – საჯარო და კერძო ინტერესების დაცვის საფუძველზე, კანონმდებლობის შესაბამისი რამდენიმე გადაწყვეტილებიდან შეარჩიოს ყველაზე მისაღები გადაწყვეტილება. კასატორის განმარტებით, მართალია, თბილისის სააპელაციო სასამართლომ გამოიყენა „უცხოელთა და სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონი, თუმცა, არასწორად განმარტა იგი. სასამართლომ არ მიიღო მხედველობაში, რომ დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას, ადმინისტრაციული ორგანო, საჯარო და კერძო ინტერესების შეპირისპირების მიზნით, იკვლევს და გამოითხოვს მტკიცებულებებს, რაც ხდება გადაწყვეტილების მიღების საფუძველი. „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონით, ასევე საქართველოს მთავრობის 2014 წლის პირველი სექტემბრის №520 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემის საკითხის განხილვისა და გადაწყვეტის წესით“ გათვალისწინებული ვალდებულებიდან გამომდინარე, სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით, სააგენტომ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურიდან გამოითხოვა ინფორმაცია – არსებობდა თუ არა მ. ა. ხ. ა-ი-ისათვის საქართველოს ტერიტორიაზე მუდმივი ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის კანონიერი საფუძვლები. მიღებული 2021 წლის 15 ივნისის SSG 1 21

0077269 წერილით ირკვევა, რომ საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტს მიზანშეუწონლად მიაჩნია მ. ა. ხ. ა-ი-ისთვის მუდმივი ბინადრობის ნებართვის მინიჭება. სააგენტომ იხელმძღვანელა „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში და დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში მიიღო კანონის შესაბამისი გადაწყვეტილება, რომლის ფაქტობრივი საფუძველი გახდა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტის 2021 წლის 15 ივნისის SSG 1 21 0077269 წერილი.

კასატორის განმარტებით, „კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი და მეორე პუნქტების თანახმად, კონტრდაზვერვითი საქმიანობა გასაიდუმლოებულია. ამ საქმიანობის ამსახველი დოკუმენტები, მასალები და სხვა მონაცემები წარმოადგენს სახელმწიფო საიდუმლოებას. კონტრდაზვერვითი საქმიანობის ძირითად ამოცანას წარმოადგენს სახელმწიფო უსაფრთხოების უზრუნველყოფა. სასამართლოს მხედველობაში უნდა მიეღოს ის გარემოება, რომ „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ინფორმაციის მოპოვება/დამუშავებაზე ერთადერთ უფლებამოსილ ორგანოს წარმოადგენს საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტი. სააგენტო დაეყრდნო ამ კომპეტენტური ორგანოს მიერ წარმოდგენილ დასკვნას და უპირატესობა მიანიჭა საჯარო ინტერესს, მაშინ, როდესაც საკითხი ეხებოდა სახელმწიფო უსაფრთხოებას. განცხადების განმხილველი ადმინისტრაციული ორგანო კანონმდებლობით შეზღუდულია, მოიპოვოს კონკრეტული პირის საქართველოში ცხოვრების მიზანშეუწონლობის თაობაზე კომპეტენტური ორგანოს დასკვნის გამაბათილებელი მტკიცებულება. გასაჩივრებული გადაწყვეტილებით არ დგინდება, კანონის რა მოთხოვნა დაარღვია სააგენტომ, რაც შეიძლება გამხდარიყო 2021 წლის 21 ივნისის №1000683301 გადაწყვეტილების ბათილად ცნობის საფუძველი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორის მოსაზრებით, თბილისის სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული, ადგილი აქვს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“, „ე<sup>1</sup>“ ქვეპუნქტების დარღვევას, შესაბამისად, არსებობს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და სარჩელის დაკმაყოფილებაზე უა-

რის საფუძველი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2022 წლის 22 მარტის განჩინებით სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში, ხოლო 2022 წლის 6 აპრილის განჩინებით საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, დადგინდა მხარეთა დასწრების გარეშე საქმის განხილვა.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საქმის მასალების შესწავლის, გასაჩივრებული განჩინების კანონიერებისა და საკასაციო საჩივრის საფუძველიანობის შემოწმების შედეგად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ უცხოელთა საქართველოში შემოსვლის, ყოფნის, ტრანზიტით გავლისა და საქართველოდან გასვლის სამართლებრივ საფუძვლებსა და მექანიზმებს, აგრეთვე უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა უფლებებსა და მოვალეობებს არეგულირებს „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ კანონი. აღნიშნული კანონის მე-15 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ბინადრობის ერთ-ერთი სახეა მუდმივი ცხოვრების ნებართვა, რომელიც გაიცემა საქართველოს მოქალაქის მეუღლეზე, არასრულწლოვან შვილზე, საქართველოს არასრულწლოვანი მოქალაქის მშობელზე. მუდმივი ცხოვრების ნებართვა გაიცემა აგრეთვე უცხოელზე, რომელიც დროებითი ბინადრობის ნებართვის საფუძველზე საქართველოში ცხოვრობდა ბოლო 10 წლის განმავლობაში. ამ ვადაში არ ითვლება საქართველოში სწავლის ან მკურნალობის მიზნით ცხოვრებისა და დიპლომატიურ წარმომადგენლობებსა და მათთან გათანაბრებულ წარმომადგენლობებში მუშაობის პერიოდი. ამავე კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, უცხოელს საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემაზე შეიძლება უარი ეთქვას, თუ არსებობს უფლებამოსილი ორგანოს დასკვნა სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესების დაცვის უზრუნველსაყოფად მისი საქართველოში ცხოვრების მიზანშეუწონლობის შესახებ. ამავე პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, უცხოელს საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემაზე შეიძლება უარი ეთქვას, თუ იგი ახორციელებს საქმიანობას, რომელიც საფრთხეს უქმნის საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოებას ან/და საზოგადოებრივ წესრიგს.

საკასაციო პალატა ასევე მიუთითებს, რომ საქართველოს მთავრობის 2014 წლის პირველი სექტემბრის №520 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემის საკითხის განხილვისა და გადაწყვეტის წესის“ მე-3 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ბინადრობის ნებართვის მიღების ან მისი მოქმედების ვადის გაგრძელების მიზნით, უცხოელი განცხადებით მიმართავს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს. ამავე „წესის“ მე-10 მუხლში მოცემულია მუდმივი ცხოვრების ნებართვის მოპოვების საკითხის განხილვისათვის საჭირო საბუთების ნუსხა. აღნიშნული „წესის“ მე-13 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის საფუძვლების გამოსავლენად, სააგენტო უფლებამოსილია, ხოლო კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „გ“, „დ“ და „ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საფუძვლების გამოსავლენად, ვალდებულია, განცხადების მიღებიდან 3 დღეში გამოითხოვოს შესაბამისი ინფორმაცია საქართველოს სახელმწიფო ორგანოებისაგან. სახელმწიფო ორგანოები, ფიზიკური და იურიდიული პირები, მიმართვის მიღებიდან 5 დღეში წარუდგენენ სააგენტოს მოთხოვნილ ინფორმაციას.

ზემოაღნიშნული ნორმების შინაარსის გათვალისწინებით, საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ პირისათვის ბინადრობის ნებართვის მინიჭების საკითხის გადაწყვეტის შესახებ შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის მიზნით, სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო ატარებს ადმინისტრაციულ წარმოებას, რომლის ფარგლებშიც, შესაბამისი კომპეტენტური ორგანოდან გამოითხოვს ინფორმაციას საქართველოში პირის ცხოვრების მიზანშეწონილობის შესახებ. ადმინისტრაციული ორგანოს აღნიშნული ქმედების აუცილებლობა მდგომარეობს იმაში, რომ გადაწყვეტილების მიღებისას გამოირიცხოს კანონის მე-18 მუხლში მითითებული პირისათვის ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის საფუძველი.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ უცხოელისათვის საქართველოში ბინადრობის მინიჭების საკითხის გადაწყვეტა დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში, უპირობოდ არ გულისხმობს მისი გამოყენებით მიღებული გადაწყვეტილების მართლზომიერებას. სასამართლოს ვალდებულებას წარმოადგენს, შეამოწმოს, ხომ არ დასტურდება ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელება კანონით დადგენილი ფარგლების გადაცილებით და კანონის მიზნის უგულებელყოფით. დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში გადაწყვეტილების მიღებისას, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია, საჯარო და

კერძო ინტერესების დაცვის საფუძველზე, კანონმდებლობის შესაბამისად, რამდენიმე გადაწყვეტილებიდან შეარჩიოს ყველაზე მისაღები. ამასთან, გადაწყვეტილებაში უნდა აისახოს საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები.

მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელის ინტერესი უკავშირდება საქართველოში მის სახელზე მუდმივი ცხოვრების ნებართვის გაცემას, „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონისა და საქართველოს მთავრობის 2014 წლის პირველი სექტემბრის №520 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემის საკითხის განხილვისა და გადაწყვეტის წესის“ შესაბამისად.

დადგენილია, რომ 2019 წლის 30 აგვისტოს, მ. ა. ხ. ა-ი-მა განცხადებით მიმართა სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს, მუდმივი ცხოვრების ნებართვის გაცემის მოთხოვნით. სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2019 წლის 27 სექტემბრის №1000683301 გადაწყვეტილებით მ. ა. ხ. ა-ი-ს უარი ეთქვა საქართველოში მუდმივი ცხოვრების ნებართვის გაცემაზე. გადაწყვეტილების მიღების ფაქტობრივი საფუძველი გახდა საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტის 2019 წლის 24 სექტემბრის №SSG 719 00175160 წერილი, რომლითაც „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „გ“ ქვეპუნქტების გათვალისწინებით, დეპარტამენტმა მიზანშეუწონლად მიიჩნია მ. ა. ხ. ა-ი-ისათვის მუდმივი ცხოვრების ნებართვის გაცემა.

საქმის მასალებით დადგენილია, რომ მოსარჩელის მიმართ არსებობს თბილისის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 26 თებერვლის კანონიერ ძალაში შესული №3/7407-19 გადაწყვეტილება, რომლითაც მ. ა. ხ. ა-ი-ის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2019 წლის 27 სექტემბრის №1000683301 გადაწყვეტილება მ. ა. ხ. ა-ი-ის მუდმივი ცხოვრების ნებართვის გაცემაზე უარის თქმის თაობაზე; სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს დაევალა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ, კანონით დადგენილ ვადაში, ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა, მ. ა. ხ. ა-ი-ისათვის მუდმივი ცხოვრების ნებართვის გაცემის თაობაზე.

მოცემულ საქმეზე სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი – სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს

2021 წლის 21 ივნისის №1000683301 გადაწყვეტილება გამოცემულია სწორედ ზემოაღნიშნული, კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით. კერძოდ, დადგენილია, რომ ახალი ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში, 2021 წლის 9 ივნისს, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ განმეორებით მიმართა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტს და გამოითხოვა ინფორმაცია – არსებობდა თუ არა მ. ა. ხ. ა-ი-ისათვის საქართველოში მუდმივი ცხოვრების ნებართვის გაცემაზე უარის თქმის საფუძვლები.

საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტის 2021 წლის 15 ივნისის №SSG 1 21 00077269 წერილით სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ეცნობა, რომ „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „გ“ ქვეპუნქტების გათვალისწინებით, დეპარტამენტს მიზანშეუწონლად მიაჩნია მ. ა. ხ. ა-ი-ისათვის მუდმივი ცხოვრების ნებართვის გაცემა.

სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2021 წლის 21 ივნისის №1000683301 გადაწყვეტილებით, მ. ა. ხ. ა-ი-ს უარი ეთქვა საქართველოში მუდმივი ცხოვრების ნებართვის გაცემაზე. ადმინისტრაციულმა ორგანომ მიიჩნია, რომ მ. ა. ხ. ა-ი-ის მიმართ არსებობს „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის საფუძვლები.

საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მიღების ერთ-ერთი უმთავრესი მიზანი, სახელმწიფო ინტერესების უზრუნველყოფაა. კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ამ კანონის მიზანია, ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებებისა და თავისუფლებების, აგრეთვე სახელმწიფო ინტერესების შესაბამისად, საქართველოში მყოფ უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთათვის შექმნას სამართლებრივი გარანტიები. ამასთანავე, კანონის 25-ე მუხლის მე-4 პუნქტი მიუთითებს, რომ საქართველოში უცხოელის უფლებების განხორციელება და მოვალეობების შესრულება არ უნდა ლახავდეს საქართველოს ინტერესებს, არ უნდა ზღუდავდეს საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ სხვა პირთა უფლებებს და არ უნდა უგულებელყოფდეს მათ კანონიერ ინტერესებს.



ზემოაღნიშნული ნორმებიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, ბინადრობის ნებართვის მინიჭების საკითხის გადაწყვეტისას, ადმინისტრაციულმა ორგანომ უნდა შეისწავლოს საქმის გარემოებები, შეაპირისპიროს საჯარო და კერძო ინტერესები და თანაზომიერების პრინციპის დაცვით მიიღოს გადაწყვეტილება. უცხოელისთვის ბინადრობის ნებართვის გაცემა არ უნდა მოხდეს სახელმწიფოს ინტერესების ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების ხელყოფის ხარჯზე.

საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ „კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლით, კონტრდაზვერვით საქმიანობად მიიჩნევა სახელმწიფო უსაფრთხოების უზრუნველყოფის სფეროში საქმიანობის სპეციალური სახე, რომლის მიზანია უცხო ქვეყნის სპეციალური სამსახურების, ორგანიზაციების, პირთა ჯგუფისა და ცალკეულ პირთა საქართველოს სახელმწიფო ინტერესების წინააღმდეგ მიმართული სადაზვერვო ან/და ტერორისტული საქმიანობიდან მომდინარე საფრთხეების გამოვლენა და თავიდან აცილება. აღნიშნული კანონის მე-6 მუხლის პირველი და მეორე პუნქტების თანახმად, კონტრდაზვერვითი საქმიანობა გასაიდუმლოებულია. ამ საქმიანობის ამსახველი დოკუმენტები, მასალები და სხვა მონაცემები წარმოადგენს სახელმწიფო საიდუმლოებას. კონტრდაზვერვითი საქმიანობის პროცესში ოპერატიული და ოპერატიულ-ტექნიკური ღონისძიებების შედეგად მიღებული დოკუმენტები, მასალები და სხვა მონაცემები არ შეიძლება გამოყენებული იქნეს სამართალდაცვითი მიზნებისათვის, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ამავე კანონის მე-7 მუხლის შესაბამისად, ქვეყანაში ერთიანი კონტრდაზვერვითი საქმიანობის ორგანიზაცია და სპეციალური სამსახურების საქმიანობის კოორდინაცია ეკისრება სპეციალურ სამსახურს – საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტს.

ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში, უცხოელის მხრიდან ქვეყნისა და საზოგადოებისთვის შესაძლო საფრთხის არსებობისა და ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის კანონისმიერი საფუძვლების დასადგენად, სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო სწორედ საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტიდან გამოითხოვს შესაბამის ინფორმაციას. თავის მხრივ, კონტრდაზვერვის დეპარტამენტი ამზადებს დასკვნას, რომელსაც საფუძვლად უდევს გასაიდუმლოებული საქმიანობის შედეგად მოპოვებული ინფორმაციის დამუშავების შედეგები.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მოცემულ შემთხვევაში, სა-

დავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების საკითხის გადაწყვეტისათვის, აუცილებელია იმ ინფორმაციის გაცნობა და შესწავლა, რომელიც კონტრდაზვერვის დეპარტამენტის 2021 წლის 15 ივნისის №SSG 1 21 00077269 დასკვნის გაკეთების მიზეზი გახდა. ამ მიზნით, საკასაციო სასამართლომ, ქვედა ინსტანციის სასამართლოთა ანალოგიურად, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტიდან დამატებით გამოითხოვა ინფორმაცია და დეტალურად გაეცნო მას. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ ვინაიდან საქმეზე გამოთხოვილი ინფორმაცია სახელმწიფო საიდუმლოებას წარმოადგენს, სასამართლო არ არის უფლებამოსილი, მისი შინაარსი მხარეებს გააცნოს და სასამართლო გადაწყვეტილებაში ასახოს. საკასაციო პალატა, მიღებული საიდუმლო ინფორმაციის შესწავლის შედეგად, ადასტურებს, რომ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტის დასკვნის არსებობის პირობებში, სააგენტო უფლებამოსილი იყო, მიეღო გადაწყვეტილება, მოსარჩელისათვის საქართველოში მუდმივი ცხოვრების ნებართვის გაცემაზე უარის თქმის შესახებ. საკასაციო სასამართლო თვლის, რომ მოცემულ შემთხვევაში, ადგილი არ ჰქონია შეცდომას დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებაში, სააგენტომ მინიჭებული უფლებამოსილება განახორციელა კანონმდებლობის მიზნების მხედველობაში მიღებით, „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტების დაცვით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ქვედა ინსტანციის სასამართლოებმა არასწორი სამართლებრივი შეფასება მისცეს საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს. გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემულია კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით და არ არსებობს მისი ბათილად ცნობის საფუძველი. შესაბამისად, უსაფუძვლოა ასევე სასარჩელო მოთხოვნა მოპასუხისთვის ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალების თაობაზე. ამდენად, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე და 394-ე მუხლების გათვალისწინებით, უნდა გაუქმდეს სააპელაციო პალატის გასაჩივრებული განჩინება და მიღებულ უნდა იქნეს ახალი გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის საფუძველზე, არსებობს გასაჩივრებული განჩინების გაუქმებისა და სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარე-

ბის სააგენტოს საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილების საფუძველი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, იგი შესაბამისად შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც. ამავდროულად მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე გათავისუფლებული იყოს სახელმწიფოს ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. ამდენად, სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის პირობებში, მ. ა. ხ. ა-ი-ის მიერ სარჩელზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟი 100 (ასი) ლარის ოდენობით, უნდა ჩაითვალოს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ გადახდილად. ამასთანავე, მ. ა. ხ. ა-ი-ს უნდა დაეკისროს მოპასუხე სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ სააპელაციო სასამართლოში გადახდილი 150 ლარის და საკასაციო სასამართლოში გადახდილი 300 ლარის (სულ 450 ლარის) ანაზღაურება.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

### **გ ა დ ა ნ ე ყ ვ ი ტ ა :**

1. სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 21 იანვრის განჩინება და მიღებული იქნეს ახალი გადაწყვეტილება;

3. მ. ა. ხ. ა-ი-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდეს;

4. მ. ა. ხ. ა-ი-ის მიერ სარჩელზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟი 100 (ასი) ლარის ოდენობით ჩაითვალოს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ გადახდილად;

5. მ. ა. ხ. ა-ი-ს დაეკისროს მოპასუხე სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ სააპელაციო და საკასაციო სასამართლოებში საქმის განხილვისათვის სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი 450 (ოთხას ორმოცდაათი) ლარის ანაზღაურება;

6. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**შრომითი ბინადრობის მიღებისა და საქართველოში  
მუშაობის გაგრძელების წინაპირობები**

**ბანკინება  
საქართველოს სახელით**

№ბს-920(კ-20)

12 ივლისი, 2022 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: გ. აბუსერიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
მ. ვაჩაძე,  
ბ. სტურუა**

**დავის საგანი:** ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამარ-  
თლებრივი აქტის ბათილად ცნობა; ახალი ინდივიდუალური ადმი-  
ნისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება

**აღწერილობითი ნაწილი:**

მ. მ-მა 2019 წლის 23 იანვარს სარჩელით მიმართა თბილისის სა-  
ქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მო-  
პასუხე – სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს  
მიმართ და მოითხოვა „მ.მ-ის შრომითი ბინადრობის ნებართვის გა-  
ცემაზე უარის თქმის თაობაზე“ სსიპ სახელმწიფო სერვისების გან-  
ვითარების სააგენტოს 2018 წლის 26 დეკემბრის №1000644490 გა-  
დანყევტილების ბათილად ცნობა და მ. მ-ისათვის შრომითი ბინად-  
რობის ნებართვის გაცემის თაობაზე მოპასუხისთვის ახალი ინდი-  
ვიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის  
დავალება მოითხოვა.

მოსარჩელე აღნიშნავდა, რომ სსიპ სახელმწიფო სერვისების  
განვითარების სააგენტოს 2018 წლის 26 დეკემბრის გადანყევტი-  
ლება პირდაპირ ზიანს აყენებდა მის უფლებებსა და ინტერესებს,  
მათ შორის შრომით უფლებას, ვინაიდან 2018 წლის 26 ოქტომბრი-  
დან იგი სახელშეკრულებო ურთიერთობაში იმყოფებოდა შპს  
„...სთან“, სადაც იგი მუშაობს პროექტის ...ის პოზიციაზე და იღებს  
შესაბამის ანაზღაურებას. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომ-  
დინარე, მოსარჩელე მიიჩნევდა, რომ გააჩნდა შრომითი ბინადრო-  
ბის მიღებისა და საქართველოში მუშაობის გაგრძელების ყველა  
წინაპირობა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმე-  
თა კოლეგიის 2019 წლის 27 თებერვლის გადანყევტილებით, მ. მ-ის  
სარჩელი არ დაკმაყოფილდა. აღნიშნული გადანყევტილება სააპე-

ლაციო წესით გასაჩივრდა მ. მ-ის მიერ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 28 ნოემბრის განჩინებით, მ. მ-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა გასაჩივრებული გადაწყვეტილება.

სააპელაციო პალატამ სრულად გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და მათი სამართლებრივი შეფასებები, მიუთითა „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ კანონის მე-15 მუხლზე და აღნიშნა, რომ ბინადრობის ნებართვის ერთ-ერთი სახეა შრომითი ბინადრობის ნებართვა, რომელიც გაიცემა საქართველოში სამენარმო და შრომით საქმიანობის განსახორციელებლად, აგრეთვე თავისუფალი პროფესიის ადამიანზე. ამავე კანონის მე-18 მუხლის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტების თანახმად, უცხოელს საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემაზე შეიძლება უარი ეთქვას, თუ არსებობს უფლებამოსილი ორგანოს დასკვნა სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესების დაცვის უზრუნველსაყოფად მისი საქართველოში ცხოვრების მიზანშეუწონლობის შესახებ ან თუ იგი ახორციელებს საქმიანობას, რომელიც საფრთხეს უქმნის საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოებას ან/და საზოგადოებრივ წესრიგს. სწორედ ამ ნორმებზე მითითებით სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტმა მიზანშეუწონლად მიიჩნია მოსარჩელისათვის ბინადრობის ნებართვის გაცემა, რაც გახდა სააგენტოს მიერ სადავო აქტის გამოცემის საფუძველი. სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტის წერილი წარმოადგენდა „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ კომპეტენტური ორგანოს დასკვნას, ვინაიდან მითითებულ უარყოფით დასკვნის საფუძველს წარმოადგენდა გასაიდუმლოებული საქმიანობის შედეგად მოპოვებული ინფორმაციის დამუშავების შედეგები, რომელიც კანონის მოთხოვნებიდან გამომდინარე, სრულად აღნიშნულ დოკუმენტში ვერ აისახებოდა.

სააპელაციო პალატის განმარტებით, სამართლის ნორმის ფაქტობრივი შემადგენლობისა და ფაქტის შესაბამისობის დადგენის შემთხვევაში ადმინისტრაციული ორგანოს უფლებამოსილება თვითონ განსაზღვროს სამართლებრივი შედეგები ჩამოთვლილთაგან და არჩიოს ყველაზე მისაღები საშუალება წარმოადგენდა ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციულ უფლებამოსილებას, აღნიშ-

ნულმა კი შეიძლება მოიცვას ადმინისტრაციული ორგანოს არჩევანის შესაძლებლობა – კონკრეტულ შემთხვევაში განახორციელოს თუ არა რაიმე ღონისძიება ან მისაღები ღონისძიებებიდან რომელი გამოიყენოს. სააპელაციო პალატის მოსაზრებით, უცხოელისათვის საქართველოში შრომითი ბინადრობის ნებართვის მინიჭების საკითხის გადაწყვეტა სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს დისკრეციულ უფლებამოსილებას განეკუთვნება. იგი ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის საფუძვლების გამოსავლენად, უფლებამოსილია გამოითხოვოს ინფორმაცია საქართველოს სახელმწიფო ორგანოებიდან და მიღებული ინფორმაციის საფუძველზე შეარჩიოს ყველაზე მისაღები გადაწყვეტილება.

სააპელაციო პალატამ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასება, რომლის თანახმადაც, საქმეში დაცული მტკიცებულებებით არ დასტურდებოდა დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელების კანონით დადგენილი ფარგლების გაცემა. ქვედა ინსტანციის სასამართლოების მოსაზრებით, სააგენტოს მიერ მინიჭებული დისკრეციული უფლებამოსილება განხორციელდა იმ მიზნით, რა მიზნითაც მას ჰქონდა მინიჭებული ეს უფლებამოსილება – საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტის წერილის არსებობის პირობებში, მას შეეძლო მიეღო გადაწყვეტილება მოსარჩელისათვის საქართველოში შრომითი ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის შესახებ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 28 ნოემბრის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა მ. მ-მა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 02 ოქტომბრის განჩინებით მ.მ-ის საკასაციო საჩივარი წარმოებაში იქნა მიღებული, ხოლო 2021 წლის 12 ოქტომბრის განჩინებით, ზემოხსენებული საკასაციო საჩივარი საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, მიჩნეულ იქნა დასაშვებად და გადაწყდა მისი მხარეთა დასწრების გარეშე განხილვა.

საკასაციო საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის გასაჩივრებული განჩინება ეწინააღმდეგება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის დათქმებსა და პრინციპებს. კასატორის მოსაზრებით, მოპასუხე ადმინისტრაციულმა ორგანომ ვერ წარმოადგინა ის გარემოებები, რომლებიც უტყუარად დაადასტურებდნენ მოსარჩელისათვის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის შე-

სახებ აქტის კანონიერებას. შესაბამისად ითხოვს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 28 ნოემბრის განჩინების გაუქმებას და სარჩელის დაკმაყოფილებას.

სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ წარადგინა საკასაციო შესაგებელი, სადაც იგი აღნიშნავს, რომ სააგენტომ იხელმძღვანელა „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, ამავედროულად გაითვალისწინა რა კერძო და საჯარო ინტერესი, დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში მიიღო კანონის შესაბამისი გადაწყვეტილება. სააგენტოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების ფაქტობრივი საფუძველი გახდა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტიდან მიღებული წერილი. „კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების თანახმად, კონტრდაზვერვითი საქმიანობა გასაიდუმლოებულია. ამ საქმიანობის ამსახველი დოკუმენტები, მასალების და სხვა მონაცემები წარმოადგენს სახელმწიფო საიდუმლოებას. ქვედა ინსტანციის სასამართლომ საკუთარი ინიციატივით გამოითხოვა ინფორმაცია სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტიდან და დახურულ სხდომაზე გაეცნო აღნიშნულ ინფორმაციას. შესაბამისად, სასამართლომ სრულად გამოიკვლია საქმისთვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და მტკიცებულება. ამასთან, საკასაციო საჩივარში კასატორის მიერ არ არის მითითებული არც ერთი ფაქტობრივი ან სამართლებრივი გარემოება, რაც შეიძლება გახდეს სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი. საკასაციო შესაგებლის ავტორის მოსაზრებით, სააგენტო გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქმედებდა ადმინისტრაციული ორგანოსთვის მინიჭებული დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში, რის საფუძველზეც სააგენტოს მიერ გამოკვლეულ იქნა მხარის მიერ სააგენტოში წარდგენილი ყველა მტკიცებულება, ასევე გამოთხოვილ იქნა აღნიშნული პირის შესახებ ინფორმაცია შესაბამისი ორგანოებიდან და კერძო და საჯარო ინტერესის შეპირისპირებით მიღებულ იქნა აღნიშნული გადაწყვეტილება. მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს წარმომადგენლის მოსაზრებით, აღნიშნული კიდეც ერთხელ დადასტურდა სასამართლოს გადაწყვეტილებით, რომლითაც არ დადგინდა შეცდომა დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ადმინისტრაციული ორგანოს წარმომადგენელი მიიჩნევს, რომ თბილისის სააპელაციო სასა-

მართლოს 2019 წლის 28 ნოემბრის განჩინება გამოცემულია კანონმდებლობის სრული დაცვით და არ არსებობს მისი გაუქმების აბსოლუტური საფუძვლები.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საქმის მასალების გაცნობის, გასაჩივრებული გადაწყვეტილებისა და საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლის შედეგად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ და საქმე ხელახალი განხილვისთვის უნდა დაუბრუნდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას შემდეგ გარემოებათა გამო:

განსახილველ შემთხვევაში, გასაჩივრებული სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2018 წლის 26 დეკემბრის №1000644490 გადაწყვეტილებით, „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტების საფუძველზე, მ. მ-ს უარი ეთქვა საქართველოში შრომითი ბინადრობის ნებართვის გაცემაზე; შესაბამისად, სასამართლოს მსჯელობის საგანია მიღებული გადაწყვეტილება ემყარება თუ არა ისეთი სახის ინფორმაციას, რომელიც ადასტურებს მოსარჩელის მხრიდან სახელმწიფო უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგისთვის საფრთხის შექმნის სამიშროებას.

საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ბინადრობის ნებართვა არის საქართველოს ტერიტორიაზე კანონიერად ყოფნის საფუძველი, რისი მიღების შემდეგაც, ამავე კანონის მე-20 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, გაიცემა შესაბამისი ბინადრობის მოწმობა. აღნიშნული იურიდიული ძალის მქონე დოკუმენტი უცხო ქვეყნის მოქალაქეს ან მოქალაქეობის არმქონე პირს საშუალებას აძლევს ჩაებას სხვადასხვა სახის სამართლებრივ ურთიერთობებში, ისარგებლოს სამედიცინო, სადაზღვევო თუ საბანკო და სხვა მსგავსი ტიპის მომსახურებით. შესაბამისად, სახელმწიფო მისი დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში წყვეტს იკისროს თუ არა ვალდებულებები კონკრეტული უცხოელის მიმართ. ბინადრობის მოწმობის გაცემით სახელმწიფო იღებს ვალდებულებას, უზრუნველყოს უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე მისი საქართველოში კანონიერად ყოფნის მთელი პერიოდის განმავლობაში.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ უცხოელისათვის საქარ-



თველოში ბინადრობის ნებართვის მინიჭების საკითხის გადაწყვეტა უნდა მოხდეს უცხოელისა და სახელმწიფო ინტერესების გათვალისწინებით. საქართველოში კანონიერი საფუძვლით მყოფ უცხოელზე საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უფლებამოსილი ორგანოს – სააგენტოს (კანონის მე-14 მუხლის პირველი პუნქტი) მიერ კანონით დადგენილი მოთხოვნების სრული დაცვით და საფუძვლიანად უნდა იქნეს შესწავლილი და გამოკვლეული თითოეული ფაქტი ბინადრობის ნებართვის მინიჭებასთან დაკავშირებით და მხოლოდ ამის შემდეგ, სათანადო მტკიცებულებებზე დაყრდნობით, მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილება საკითხის დადებითად ან უარყოფითად გადაწყვეტის შესახებ.

„უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის თანახმად, ბინადრობის ნებართვის მოპოვების საფუძვლებისა და მიზნების გათვალისწინებით, საქართველოში გაიცემა რამდენიმე სახის ბინადრობის ნებართვა, მათ შორის, ამავე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, შრომითი ბინადრობის ნებართვა, რომელიც გაიცემა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით საქართველოში სამენარმო ან შრომითი საქმიანობის განსახორციელებლად, აგრეთვე თავისუფალი პროფესიის ადამიანზე (სადავო პერიოდში მოქმედი რედაქციით).

საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის საფუძვლებს ითვალისწინებს „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ კანონის მე-18 მუხლი, რომლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით, უცხოელს საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემაზე შეიძლება უარი ეთქვას, თუ არსებობს უფლებამოსილი ორგანოს დასკვნა სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესების დაცვის უზრუნველსაყოფად მისი საქართველოში ცხოვრების მიზანშეუწონლობის შესახებ, ხოლო „გ“ ქვეპუნქტი უარის თქმის საფუძვლად ადგენს ისეთი საქმიანობის განხორციელების დადასტურებას, რომელიც საფრთხეს უქმნის საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოებას ან/და საზოგადოებრივ წესრიგს.

„უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის მე-10 ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემის საკითხი განიხილება და წყდება საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად. საქართველოს მთავრობის 2014 წლის 01 სექტემბრის №520 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემის საკითხის განხილვისა და გადაწყვეტის წესის“ მე-13 მუხლით დადგენი-

ლია საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემის საკითხის განხილვა-გადაწყვეტის წესი და ვადები. ამავე მუხლის მე-5 პუნქტით საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის საფუძვლების გამოსავლენად, სააგენტო უფლებამოსილია, ხოლო კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „გ“, „დ“ და „ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საფუძვლების გამოსავლენად ვალდებულია, განცხადების მიღებიდან 3 დღეში გამოითხოვოს შესაბამისი ინფორმაცია საქართველოს სახელმწიფო ორგანოებისაგან. მითითებული საფუძვლები ემსახურება სახელმწიფო და საზოგადოებრივი უსაფრთხოების მიზნებს. ამგვარად, მოქმედი კანონმდებლობა უცხოელისათვის ბინადრობის ნებართვის მინიჭების საკითხის გადაწყვეტის პროცესში რიგ შემთხვევებში ავალდებულებს სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს, ბინადრობის ნებართვის გაცემის საკითხის გადაწყვეტის მიზნით, მიმართოს და გამოითხოვოს ინფორმაცია საქართველოს სახელმწიფო ორგანოებიდან და მათზე დაყრდნობით მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება.

განსახილველ შემთხვევაში დადგენილია, რომ სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ, 2018 წლის 18 დეკემბერს №1000644490/1 წერილით მიმართა საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტს და სთხოვა ეცნობებინა – არსებობდა თუ არა მოსარჩელისათვის ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის საფუძვლები. საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტის 2018 წლის 24 დეკემბრის SSG 6 18 00206 101 წერილით, სააგენტოს შესაბამის სამართლებრივ ნორმებზე მითითებით ეცნობა, რომ დეპარტამენტს მიზანშეუწონლად მიაჩნდა მ. მ-ისთვის შრომითი ბინადრობის ნებართვის გაცემა, რის საფუძველზეც გამოიცა სადავო აქტი.

საკასაციო სასამართლოს მიერ 2021 წლის 12 აპრილის №ბს-920(კ-20) წერილით სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტიდან გამოთხოვილ იქნა ის ინფორმაცია, რომლის საფუძველზეც მიზანშეუწონლად იქნა მიჩნეული მოსარჩელისთვის ბინადრობის ნებართვის გაცემა, რისი შესწავლის შედეგად, სამართალწარმოების ამ ეტაპზე, მ. მ-თან დაკავშირებით არ დასტურდება სააპელაციო სასამართლოს მიერ გასაჩივრებულ განჩინებაში მითითებული გარემოებები (საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 20<sup>1</sup> მუხლის შესაბამისად, დოკუმენტების საიდუმლო ხასიათის გამო მათი შინაარსის სასამართლოს გადაწყვეტილებებში ასახვის შესაძლებლობა არ არსებობს).

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 377-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლო ამონებს გადანყევტილებას სააპელაციო საჩივრის ფარგლებში ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით. ამდენად, სააპელაციო პალატა არა მარტო უფლებამოსილია შეამოწმებს პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მტკიცებულებათა გამოკვლევასთან მიმართებით დარღვევების არსებობა და პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტების შესახებ მსჯელობა, არამედ თავად გამოიკვლიოს და შეაფასოს მტკიცებულებები, რომელიც აუცილებელია საქმის გარემოებების სრულყოფილად გამოკვლევისთვის. სააპელაციო სასამართლოსაგან განსხვავებით, საკასაციო სასამართლოს მიერ ფაქტობრივი გარემოებების დადგენასთან დაკავშირებული პროცესუალური საქმიანობა გამოიხატება არა ფაქტების დადგენაში, არამედ დასადგენ ფაქტებზე მითითებაში. პროცესუალური დანაწესებიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო აფასებს არა მტკიცებულებებს, არამედ ამ მტკიცებულებათა სააპელაციო სასამართლოს მიერ შეფასების მართებულობას (სუს განჩინება საქმეზე №ბს-985(კ-20), 24.11.2021 წ.).

მოცემულ შემთხვევაში დასადგენია არსებობს თუ არა მოსარჩელის მხრიდან სახელმწიფო უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგისთვის საფრთხის შექმნის საშიშროება, რისი დადგენის პროცესუალური უფლებამოსილება საკასაციო სასამართლოს არ გააჩნია, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით კი სააპელაციო სასამართლოს დასკვნა დაუსაბუთებელია, რა მიმართებითაც საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა, დავის გადაჭრისათვის საჭირო ყველა ფაქტობრივი გარემოების დადგენა, მათი სამართლებრივი ანალიზისა და მიღებული დასკვნების საფუძველზე დავის გადანყევტა, სსკ-ის 377-ე მუხლის მოთხოვნათა დაცვით პირველი ინსტანციის სასამართლოს გადანყევტილების სააპელაციო საჩივრების ფარგლებში ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით სრულყოფილი შემოწმება. იმის გათვალისწინებით, რომ სადავო საკითხთან დაკავშირებით სააპელაციო სასამართლოს გადანყევტილება მოკლებულია სათანადო ფაქტობრივ და პროცესუალურ წინამძღვრებს, სახეზეა სსკ-ის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის აბსოლუტური საფუძველი – გადანყევტილება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია, რაც თავის მხრივ წარმოადგენს სსკ-ის 412-ე მუხლის საფუძველზე გასაჩივრებული განჩინების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოსათვის ხელახალი განხილვისათვის დაბრუნების საფუძველს.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილით, 34-ე მუხლის 1<sup>2</sup> ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე, 399-ე, 412-ე მუხლებით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. მ. მ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 28 ნოემბრის განჩინება და საქმე ხელახალი განხილვისთვის დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. სასამართლო ხარჯები გადანაწილდეს საქმეზე საბოლოო განწყვეტილების დადგენისას;
4. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## **საქართველოში მუდმივი ცხოვრების ნებართვის გაცემაზე უარის თქმის კანონიერება**

### **გადანყვეთილება საქართველოს სახელით**

№ბს-474(კ-20)

3 ნოემბერი, 2022 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: ქ. ცინცაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ნ. სხირტლაძე,  
გ. გოგიაშვილი**

**დავის საგანი:** ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა; ახალი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება

### **აღწერილობითი ნაწილი:**

2019 წლის 27 ივნისს ო. მ. ბ. ბ-მა (დაბ. ...წ. პასპორტის №...) სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამარ-

თლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხის – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიმართ.

მოსარჩელემ ო. მ. ბ. ბ-ის მიმართ მუდმივი ცხოვრების ნებართვის გაცემის შესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2019 წლის 31 მაისის №1000395711/5 გადაწყვეტილების ბათილად ცნობა და მოპასუხისათვის ო. მ. ბ. ბ-ისათვის მუდმივი ცხოვრების ნებართვის გაცემის თაობაზე, ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 2 აგვისტოს გადაწყვეტილებით ო. მ. ბ. ბ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც მოსარჩელემ სააპელაციო წესით გაასაჩივრა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 31 იანვრის განჩინებით ო. მ. ბ. ბ-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 2 აგვისტოს გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14, მე-15, მე-18 და 21-ე მუხლებზე, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 01 სექტემბრის №520 დადგენილებით დამტკიცებულ „საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემის საკითხის განხილვისა და გადანყვეტის წესის“ პირველ, მე-10, მე-13, მე-15 მუხლებზე, „კონტრადაზვერვითი საქმიანობის შესახებ“ კანონზე და აღნიშნა, რომ სააგენტოს სადავო გადანყვეტილებას საფუძვლად ედო გასაიდუმლოებული საქმიანობის შედეგად მოპოვებული ინფორმაციის დამუშავების შედეგები, რაც არცერთი მხარის მიერ არ შეიძლებოდა გამოყენებულიყო სამართალდაცვითი მიზნებისათვის. სასამართლომ კანონით დადგენილი წესით გამოითხოვა საიდუმლო ინფორმაცია, რაც საფუძვლად დაედო ო. მ. ბ. ბ-ისათვის მინიჭებული მუდმივი ცხოვრების ნებართვის ძალადაკარგულად გამოცხადებას. ინფორმაციის გაცნობის შედეგად, სასამართლომ მიიჩნია, რომ არ დასტურდებოდა მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელების კანონით დადგენილი ფარგლების გადაცილება ან/და იმ მიზნის უგულებელყოფა, რის მისაღწევადაც

მას მინიჭებული ჰქონდა იგი. ამდენად, პალატის მოსაზრებით, სა-  
აგენტოს სადავო გადანყვეტილების მოტივირება „უცხოელთა და  
მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შე-  
სახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი ნაწილით, შე-  
ესაბამებოდა კანონმდებლობას და წინააღმდეგობაში არ მოდიო-  
და მოცემული ურთიერთობის მარეგულირებელ სამართლებრივ  
ნორმებთან. პალატის მითითებით, საქალაქო სასამართლომ სწო-  
რად გადანყვიტა, რომ მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს  
მხრიდან ადგილი არ ჰქონია ზოგადი ადმინისტრაციული კოდექ-  
სით გათვალისწინებული მოთხოვნის დარღვევას, შესაბამისად, არ  
არსებობდა სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენ-  
ტოს 2019 წლის 31 მაისის №1000395711/5 გადანყვეტილების ბა-  
თილად ცნობის საფუძველი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-  
მეთა პალატის 2020 წლის 31 იანვრის განჩინება საკასაციო წესით  
გაასაჩივრა ო. მ. ბ. ბ-მა, რომელმაც გასაჩივრებული გადანყვეტი-  
ლების გაუქმება და ახალი გადანყვეტილებით სარჩელის დაკმაყო-  
ფილება მოითხოვა.

კასატორი მიუთითებს საქმის ფაქტობრივ გარემოებებზე და აღ-  
ნიშნავს, რომ მოპასუხის მიერ დისკრეციული უფლებამოსილების  
განხორციელებისას ადგილი ჰქონდა კანონით დადგენილი ფარ-  
გლების გადაცილებას. ადმინისტრაციულმა ორგანომ საქმის გარე-  
მოებების გამოკვლევისა და ურთიერთშეჯერების გარეშე, მხოლოდ  
„უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი  
მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლზე მი-  
თითებით მიიღო გადანყვეტილება. კასატორი აღნიშნავს, რომ იგი  
არის კანონმორჩილი და კეთილსინდისიერი ადამიანი და არ არსე-  
ბობდა მის მიმართ ზემოხსენებული ნორმის გამოყენების წინაპი-  
რობები. მხოლოდ ის ფაქტი, რომ იგი იყო ერაყის მოქალაქე, არ  
ქმნის მისი დისკრიმინაციის საფუძველს.

კასატორის მითითებით, მის მიმართ გაცემული იყო მუდმივი  
ცხოვრების ნებართვის გაცემის შესახებ აქტი და იგი წლების გან-  
მავლობაში ქართველ მეუღლესთან და ორ არასრულწლოვან შვილ-  
თან ერთად მუდმივად ცხოვრობდა საქართველოში, მუშაობდა კე-  
თილსინდისიერად და შემწიეული არ ყოფილა კანონსაწინააღმდე-  
გო ქმედებაში. კასატორის მოსაზრებით, მისთვის ცნობილი უნდა  
იყოს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დისკრეციული უფლება-  
მოსილების განხორციელების საფუძველი, კონკრეტულ შემთხვე-  
ვაში – კონტრდაზვერვის დეპარტამენტიდან გამოთხოვილი საი-  
დუმლო ინფორმაცია, რათა სრულყოფილად შეძლოს საკუთარი უფ-  
ლებების დაცვა. ო. მ. ბ. ბ-ი ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოე-

ბაზე, რომ კონტრდაზვერვის დეპარტამენტის 2014 წლის 25 აგვისტოს წერილით დასტურდება, რომ მისთვის მუდმივი ცხოვრების ნებართვის გაცემა მიზანშეუწონლად იყო მიჩნეული. ამის მიუხედავად, სასამართლოს მითითებების გათვალისწინებით, სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ 2015 წლის 20 მაისს მოსარჩელის სახელზე გასცა მუდმივი ცხოვრების ნებართვა. კასატორისათვის გაუგებარია რა ფაქტობრივი გარემოებები შეიცვალა, რამაც მისთვის ნებართვის ძალადაკარგულად გამოცხადების საფუძველი შექმნა.

კასატორი მიუთითებს „ბავშვის უფლებების შესახებ“ კონვენციის მე-9 მუხლზე და აღნიშნავს, რომ მოპასუხის სადავო გადანაცვეტილება იწვევს მისი ცოლ-შვილთან დაშორებას და ბავშვთა კონვენციით გათვალისწინებული უფლებების დარღვევას.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 10 ივლისის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა ო. მ. ბ. ბ-ის საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 9 სექტემბრის განჩინებით საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტს დაევალა წერილობითი ინფორმაცია/მასალების (მათ შორის საიდუმლო) წარმოდგენა, რომელიც საფუძვლად დაედო სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2019 წლის 31 მაისის №1000395711/5 გადანაცვეტილებას ო. მ. ბ. ბ-ის (დაბ. ...წ. პასპორტის №...) მუდმივი ცხოვრების ნებართვის გაცემაზე უარის თქმის თაობაზე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 7 აპრილის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დასაშვებად იქნა მიჩნეული ო. მ. ბ. ბ-ის საკასაციო საჩივარი და მისი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრების გარეშე.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო ზეპირის მოსმენის გარეშე, საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ო. მ. ბ. ბ-ის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

საკასაციო სასამართლო დადგენილად მიიჩნევს შემდეგ ფაქ-

ტობრივ გარემოებებს:

ო. მ. ბ. ბ-ი (დაბ. ...ნ. პასპორტის №...) არის ერაყის რესპუბლიკის მოქალაქე.

ო. მ. ბ. ბ-ი 2014 წლის 6 თებერვლიდან რეგისტრირებულ ქორწინებაშია საქართველოს მოქალაქე ნ. დ-თან.

სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2018 წლის 13 თებერვლის №1000395711/5 გადაწყვეტილებით ძალადაკარგულად გამოცხადდა სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ 2015 წლის 20 მაისს გამოცემული №1000395711 ადმინისტრაციული აქტი ო. მ. ბ. ბ-ისათვის საქართველოში მუდმივი ბინადრობის ნებართვის გაცემის თაობაზე, „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლზე მითითებით.

აღნიშნული გადაწყვეტილება გასაჩივრდა სასამართლოში და თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 21 აგვისტოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ო. მ. ბ. ბ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; სადავო საკითხის გადაწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2018 წლის 13 თებერვლის №1000395711/5 გადაწყვეტილება და მოპასუხე – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს დაევალა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ, კანონით დადგენილ ვადაში, ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის – ო. მ. ბ. ბ-ისათვის საქართველოში მუდმივი ცხოვრების ნებართვის გაცემასთან დაკავშირებით გამოცემა.

ახალი ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2019 წლის 31 მაისის №1000395711/5 გადაწყვეტილებით 2019 წლის 31 მაისიდან კვლავ ძალადაკარგულად გამოცხადდა სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ 2015 წლის 20 მაისს გამოცემული №1000395711 ადმინისტრაციული აქტი ო. მ. ბ. ბ-ისათვის საქართველოში მუდმივი ბინადრობის ნებართვის გაცემის თაობაზე, „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლზე მითითებით.

საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტის 2019 წლის 5 აპრილის №SSG 4 19 00062676 წერილში ასახულ უარყოფით დასკვნას საფუძვლად უდევს გასაიდუმლოებული საქმიანობის შედეგად მოპოვებული ინ-



ფორმაციის დამუშავების შედეგები.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ უცხოელთა საქართველოში შემოსვლის, ყოფნის, ტრანზიტით გავლისა და საქართველოდან გასვლის სამართლებრივ საფუძვლებსა და მექანიზმებს, აგრეთვე უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა უფლებებსა და მოვალეობებს არეგულირებს „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ კანონი, რომლის მე-15 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის შესაბამისად (სადავო პერიოდში მოქმედი რედაქცია), ბინადრობის ერთ-ერთი სახეა მუდმივი ცხოვრების ნებართვა, რომელიც გაცივმა საქართველოს მოქალაქის მეუღლეზე, არასრულწლოვან შვილზე, საქართველოს არასრულწლოვანი მოქალაქის მშობელზე, მუდმივი ცხოვრების ნებართვა გაცივმა აგრეთვე უცხოელზე, რომელიც დროებითი ბინადრობის ნებართვის საფუძველზე საქართველოში ცხოვრობდა ბოლო 6 წლის განმავლობაში. ამ ვადაში არ ითვლება საქართველოში სწავლის ან მკურნალობის მიზნით ცხოვრებისა და დიპლომატიურ წარმომადგენლობებსა და მათთან გათანაბრებულ წარმომადგენლობებში მუშაობის პერიოდი. ამავე კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი განსაზღვრავს, რომ უცხოელს საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცივმაზე შეიძლება უარი ეთქვას, თუ არსებობს უფლებამოსილი ორგანოს დასკვნა სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესების დაცვის უზრუნველსაყოფად მისი საქართველოში ცხოვრების მიზანშეუწონელობის შესახებ. ამავე მუხლის ამავე პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი კი უცხოელისთვის საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცივმაზე უარის თქმის შესაძლებლობას ითვალისწინებს იმ შემთხვევაში, თუ იგი ახორციელებს საქმიანობას, რომელიც საფრთხეს უქმნის საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოებას ან/და საზოგადოებრივ წესრიგს.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს ზემოაღნიშნული კანონის 21-ე მუხლზე (სადავო პერიოდში მოქმედი რედაქცია), რომელშიც მოცემულია საქართველოში ყოფნის ვადის შეწყვეტის საფუძველები, რომლის პირველი ნაწილის თანახმად, უცხოელს საქართველოში ყოფნის ვადა შეიძლება შეუწყდეს, თუ: ა) თუ მან საქართველოში ბინადრობის ნებართვის ან საქართველოს ვიზის მისაღებად ყალბი ან იურიდიული ძალის არმქონე დოკუმენტები წარადგინა; ბ) თუ იგი ახორციელებს საქმიანობას, რომელიც საფრთხეს უქმნის საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოებას; გ) თუ მან საქართველოში ყოფნის ვადის გასვლამდე შეწყვიტა ან დაასრულა სწავლა საქართველოში ავტორიზებულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში, თუკი საქართველოში ბინადრობის ნებართვა ამ საფუძველ-

ზე ჰქონდა მიღებული; დ) თუ მან შეწყვიტა ის საქმიანობა ან ურთიერთობა, რომლის საფუძველზედაც მიღებული ჰქონდა საქართველოში ბინადრობის ნებართვა; ე) თუ აღარ არსებობს ან არ შესრულდა ის მიზანი, რომლის უზრუნველსაყოფადაც გაიცა საქართველოს ვიზა; ვ) თუ იგი აღარ არის საქართველოს მოქალაქის მეურვე ან მზრუნველი ან აღარ იმყოფება საქართველოს მოქალაქის მეურვეობის ან მზრუნველობის ქვეშ, თუკი საქართველოში ბინადრობის ნებართვა ამ საფუძველზე ჰქონდა მიღებული; ზ) თუ საქართველოში ბინადრობის ნებართვის მისაღებად იგი ფიქციურად დაქორწინდა; თ) თუ იგი გააძევეს საქართველოდან; ი) თუ მან შესაბამის განცხადებაში არასწორი მონაცემი მიუთითა ან დამალა მნიშვნელოვანი ინფორმაცია იმ გარემოებების შესახებ, რომლებსაც არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემის შესახებ გადანყევტილების მისაღებად; კ) მოქალაქეობრივი კუთვნილების ცვლილების შემთხვევაში, თუ მას საქართველოში მუდმივი ბინადრობის მონაწილეობა ბინადრობის ნებართვის მიღების გარეშე ჰქონდა აღებული; ლ) თუ მან საქართველოში ბინადრობის ნებართვის მიღებიდან 6 თვის ვადაში არ მიმართა სააგენტოს ბინადრობის მონაწილეობის ასაღებად.

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 1 სექტემბრის №520 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემის საკითხის განხილვისა და გადანყევტილების წესის“ მე-13 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის საფუძვლების გამოსავლენად, სააგენტო უფლებამოსილია, ხოლო კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „გ“, „დ“ და „ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საფუძვლების გამოსავლენად, ვალდებულია, განცხადების მიღებიდან 3 დღეში გამოითხოვოს შესაბამისი ინფორმაცია საქართველოს სახელმწიფო ორგანოებისაგან. სახელმწიფო ორგანოები, ფიზიკური და იურიდიული პირები, მიმართვის მიღებიდან 5 დღეში წარუდგენენ სააგენტოს მოთხოვნილ ინფორმაციას.

საკასაციო პალატა მიუთითებს „კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლზე, რომლის თანახმად, კონტრდაზვერვითი საქმიანობა არის სახელმწიფო უსაფრთხოების უზრუნველყოფის სფეროში საქმიანობის სპეციალური სახე, რომლის მიზანია უცხო ქვეყნის სპეციალური სამსახურების, ორგანიზაციების, პირთა ჯგუფისა და ცალკეულ პირთა საქართველოს სახელმწიფო ინტერესების წინააღმდეგ მიმართული სადაზვერვო ან/და ტერორისტული საქმიანობიდან მომდინარე საფრთხეების გამოვლენა და თავიდან აცილება. კონტრდაზვერვითი საქმიანობა გასაიდუმლოებულია, ამ საქმიანობის ამსახველი დოკუმენ-

ტები, მასალები და სხვა მონაცემები წარმოადგენს სახელმწიფო საიდუმლოებას.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ლ“ ქვეპუნქტის თანახმად, დისკრეციული უფლებამოსილება არის უფლებამოსილება, რომელიც ადმინისტრაციულ ორგანოს ან თანამდებობის პირს ანიჭებს თავისუფლებას საჯარო და კერძო ინტერესების დაცვის საფუძველზე კანონმდებლობის შესაბამისი რამდენიმე გადაწყვეტილებიდან შეარჩიოს ყველაზე მისაღები გადაწყვეტილება. აღნიშნული კოდექსის მე-7 მუხლის პირველ ნაწილის თანახმად, დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას არ შეიძლება გამოიყენოს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, თუ პირის კანონით დაცული უფლებებისა და ინტერესებისათვის მიყენებული ზიანი არსებითად აღემატება იმ სიკეთეს, რომლის მისაღებადაც იგი გამოიცა. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით გათვალისწინებულმა ზომებმა არ შეიძლება გამოიწვიოს პირის კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დაუსაბუთებელი შეზღუდვა.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მუდმივი ცხოვრების ნებართვის გაცემის საკითხის გადაწყვეტა სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს დისკრეციულ უფლებამოსილებას განეკუთვნება. იგი მუდმივი ცხოვრების ნებართვის გაცემაზე უარის თქმის საფუძველების გამოსავლენად, უფლებამოსილია გამოითხოვოს ინფორმაცია საქართველოს სახელმწიფო ორგანოებიდან და მიღებული ინფორმაციის საფუძველზე შეარჩიოს ყველაზე მისაღები გადაწყვეტილება.

მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლოს მსჯელობის საგანია – ო. მ. ბ. ბ-ისათვის მუდმივი ცხოვრების ნებართვის გაცემაზე უარის თქმა (ნებართვის ძალადაკარგულად გამოცხადება) წარმოადგენდა თუ არა თანაზომიერ ჩარევას მის უფლებებში და იყო თუ არა აღნიშნული ქმედება სახელმწიფო უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისთვის აუცილებელი ღონისძიება.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ გასაჩივრებულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს – სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2019 წლის 31 მაისის № 1000395711/5 გადაწყვეტილებას, საფუძველად უდევს საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტის 2019 წლის 5 აპრილის №SSG 4 19 00062676 წერილში ასახული დასკვნა, რომელიც ეყრდნობა გასაიდუმლოე-

ბული საქმიანობის შედეგად მოპოვებულ ინფორმაციას.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 21 სექტემბრის განჩინებით, გამოთხოვილ იქნა ინფორმაცია, რომელიც საფუძვლად დაედო სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2019 წლის 31 მაისის №1000395711/5 გადაწყვეტილებას ო. მ. ბ. ბ-ის (დაბ. ...ნ. პასპორტის №...) მუდმივი ცხოვრების ნებართვის გაცემაზე უარის თქმის თაობაზე. გამოთხოვილი ინფორმაციის შინაარსის გაცნობის შედეგად საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია, სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს სადავო აქტი და სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება, სრულად ვერ აქარწყლებს და პასუხობს კასატორის მიერ წარმოდგენილ არგუმენტებს, მისი ოჯახის ერთიანობის და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლების შესაძლო დარღვევის შესახებ.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას მიაქცევს იმ ფაქტობრივ გარემოებაზე, რომ საკასაციო საჩივარს ერთვის დამატებითი მტკიცებულებები შვილების დაბადების მოწმობები, რომლითაც დასტურდება, რომ ო. მ. ბ. ბ-ს და მის მეუღლეს, ნ. ბ-ს (ქორწინებამდე გვარი: დ-ი) ქორწინების შემდგომ შეეძინათ ორი შვილი: ... წლის ... ...ს – ლ. ბ-ი და ... წლის ... ...ს – დ. ბ-ი.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სააპელაციო სასამართლო გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერებასა და დასაბუთებულობას ამოწმებს, როგორც ფაქტობრივი, ისე სამართლებრივი თვალსაზრისით. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლო უფლებამოსილია დაადგინოს ახალი ფაქტები, ხოლო საქმეში მონაწილე პირებს უფლება აქვთ სააპელაციო სასამართლოში წარადგინონ ახალი მტკიცებულებები (კანონით დადგენილი წესით), ამდენად, სააპელაციო სასამართლო, საკასაციო სასამართლოსაგან განსხვავებით, შეიძლება არაა პროცესუალური შესაძლებლობით, საქმეზე დაადგინოს ახალი ფაქტობრივი გარემოებები, გამოითხოვოს ან შეაფასოს ახალი მტკიცებულებები.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ დაუშვებელია სასამართლო გადაწყვეტილებას საფუძვლად დაედოს ფაქტობრივი გარემოება/მტკიცებულება, რომელიც სამართალწარმოების პროცესში მხარეთა აქტიური მონაწილეობით სათანადო წესით არ ყოფილა გამოკვლეული და რომელთან დაკავშირებითაც მხარეებს არ მისცემიათ საკუთარი მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა. მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ ისე მიიღო გადაწყვეტილება მოსარჩელისათვის ბინადრობის ნებართვის ძალა-

დაკარგულად ცნობის კანონიერების შესახებ (სადავო აქტის ძალაში დატოვების შესახებ), რომ მხედველობაში არ მიუღია და საერთოდ არ უმსჯელია მოსარჩელის არასრულწლოვან შვილებზე (რომლებიც დაბადებულნი არიან საქართველოში და რომელთა დედაც საქართველოს მოქალაქეა), მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულზე სააპელაციო საჩივარში აპელანტი პირდაპირ მიუთითებდა. სააპელაციო სასამართლოს ერთმანეთთან არ შეუპირისპირებია ერთი მხრივ, მოსარჩელის ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება და მისი არასრულწლოვანი შვილების საუკეთესო ინტერესები და მეორე მხრივ, სახელმწიფოს უსაფრთხოების მიზნებისათვის მოსარჩელისათვის ბინადრობის ნებართვის გაუქმების აუცილებლობა.

ბავშვის ინტერესების დაცვის განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე დეპორტაციის საქმესთან მიმართებით იმსჯელა ევროპულმა სასამართლომ საქმეზე ნუნეზი ნორვეგიის წინააღმდეგ (*Nunez v. Norway*, № 55597/09, §..., 28 ივნისი, 2011 წ, პარაგრაფი 176). აღნიშნულ საქმეში სასამართლომ განმარტა, რომ მშობლის დეპორტაცია გავლენას მოახდენდა ბავშვების საუკეთესო ინტერესებზე და შესაბამისად, დაირღვეოდა ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მყარად დადგენილი პრაქტიკის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია ერთმანეთს დაუპირისპირდეს ერთი მხრივ, ოჯახის ერთიანობისა და ბავშვთა საუკეთესო ინტერესების დაცვის უფლება, ხოლო მეორე მხრივ, ეროვნული უშიშროებისა და საზოგადოებრივი უსაფრთხოების მიზნებისათვის პირის ამ უფლებაში ჩარევის თანაზომიერება და აუცილებლობა. ამდენად, სასამართლო ვალდებულია ყველა მსგავს შემთხვევაში გადწყვეტილება სწორედ ამ ორი საკითხის ურთიერთშეპირისპირების შედეგად მიიღოს, რაც ერთ შემთხვევაში გულისხმობს, ეროვნული უშიშროებისა და საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვის მიზნებიდან გამომდინარე კონვენციის მე-8 მუხლით დაცულ უფლებაში თანაზომიერი და აუცილებელი ჩარევის კანონიერად მიჩნევას, ხოლო მეორე შემთხვევაში – მე-8 მუხლით დაცულ უფლებაში ჩარევის არათანაზომიერად/არააუცილებელ ღონისძიებად მიჩნევას (*Jeunesse v. The Netherlands*, დიდი პალატა, №12738/10, 3 ოქტომბერი, 2014წ.; *Liu v. Russia* №42086/05, 6 დეკემბერი, 2007წ.; *Nunez v. Norway*, №55597/09, 28 ივნისი, 2011წ.).

ამასთან, კასატორის არგუმენტზე, ინფორმაციის სახელმწიფო საიდუმლოებას მიკუთვნების პირობებში საკუთარი უფლებების დაცვის შეუძლებლობასთან მიმართებაში, საკასაციო სასამართლო

მიუთითებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადანიშნულებაზე (*Dalea v. France* – 964/07; 02.02.2010), რომელშიც განმარტა, რომ „განმცხადებლის მიერ მოთხოვნილი ყველა ინფორმაციის პირადად გაცნობის შეუძლებლობა, თავისთავად არ ამტკიცებს, რომ სახელმწიფოს მხრიდან ჩარევა არ იყო გამართლებული ეროვნული უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე, საფრანგეთის ხელისუფლების მიერ განმცხადებლის პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლებაში ჩარევა იყო მიზნის პროპორციული და აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში“. შესაბამისად, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ შესაბამისი ინფორმაციის საიდუმლოდ მიჩნევა და მხარის მიერ გაცნობის შეუძლებლობა ავტომატურად არ გულისხმობს პირის უფლებაში არათანაზომიერ ჩარევას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ გადანიშნულება საქმესთან დაკავშირებით არსებული ყველა ფაქტობრივი გარემოების შეფასებისა და ურთიერთშეჯერების, ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლებისა და ეროვნული უშიშროებისა და საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვის პრინციპის ურთიერთშეპირისპირების შედეგად უნდა იქნეს მიღებული. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით კი სააპელაციო სასამართლოს დასკვნა აბსოლუტურად დაუსაბუთებელია, რა მიმართებითაც საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა, დავის გადაჭრისათვის საჭირო ყველა ფაქტობრივი გარემოების დადგენა, მათი სამართლებრივი ანალიზისა და მიღებული დასკვნების საფუძველზე დავის გადაწყვეტა, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 377-ე მუხლის მოთხოვნათა დაცვით პირველი ინსტანციის სასამართლოს გადანიშნულებების სააპელაციო საჩივრების ფარგლებში ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით სრულყოფილი შემოწმება. იმის გათვალისწინებით, რომ სადავო საკითხთან დაკავშირებით სააპელაციო სასამართლოს გადანიშნულება მოკლებულია სათანადო ფაქტობრივ და პროცესუალურ წინამძღვრებს, სახეზე გვაქვს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული გადანიშნულებების გაუქმების აბსოლუტური საფუძველი, რაც თავის მხრივ წარმოადგენს ამავე კოდექსის 412-ე მუხლის საფუძველზე გასაჩივრებული განჩინების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოსათვის ხელახალი განხილვისათვის დაბრუნების საფუძველს. ამასთან, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, განსახილველ საქმეზე განეული სასამართლო ხარჯების განაწილების საკითხი უნდა გადაწყდეს

საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე, 412-ე მუხლებით და

**და ა დ გ ი ნ ა:**

1. ო. მ. ბ. ბ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 31 იანვრის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. სასამართლო ხარჯების განაწილების საკითხი გადაწყდეს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას;
4. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## **2. სსკპ ადმინისტრაციული აქტების კანონიერება**

**ჩატარებული რევიზიით გამოვლენილი დარღვევის  
გამო სამედიცინო დაწესებულებისთვის თანხის  
დაკისრების კანონიერება**

**გადაწყვეტილება  
საქართველოს სახელმთრო**

№ბს-132(კ-21)

1 ივნისი, 2022 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა**

**შემაღვლენობა: გ. გოგიაშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ქ. ცინცაძე,  
ნ. სხირტლაძე**

**დავის საგანი: თანხის დაკისრება**

**აღწერილობითი ნაწილი:**

სსიპ სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტომ 2017 წლის 9 აგვისტოს სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხის – შპს „...ის“ მიმართ და მოპასუხისათვის სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ 168 ლარის გადახდის დაკისრება მოითხოვა.

სარჩელის თანახმად, სსიპ სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტომ შპს „...აში“ შეისწავლა ა. გ-ის განცხადებაში მოყვანილი ფაქტები, რომელიც ეხებოდა დასახელებულ სამედიცინო დაწესებულებაში პაციენტი ქ. გ-ის სამედიცინო მომსახურებაზე გადახდილი თანხის მართლზომიერების საკითხს. საკითხის შესწავლით დადგინდა, რომ 2015 წლის 12 აგვისტოს, პაციენტი ქ. გ-ი (11 წლის და 11 თვის), მშობლებმა მიიყვანეს შპს „...ის“ ანტირაბიულ კაბინეტში. ანტირაბიული ქირურგიული დახმარების და აცრების ბარათის მიხედვით, პაციენტს აღენიშნებოდა ნაკანრები ორივე მტევანზე (კატის ნაკანრი), რის გამოც პაციენტს ჩაუტარდა ვაქცინაცია. ანტირაბიული ხელმძღვანელის ახსნა-განმარტებით, პაციენტი კლინიკაში შევიდა 2015 წლის 12 აგვისტოს. მშობელმა აღნიშნა, რომ ბავშვი იყო ბელგიის მოქალაქე. ელექტრონულ პორტალზე გადამოწმებულ იქნა პაციენტი ქ. გ-ის მონაცემები და დადგინდა, რომ იმ მომენტისთვის ქ. გ-ი არ ფლობდა საქართვე-



ლოს მოქალაქის პირად ნომერს, რის გამოც მომსახურება გაენია კლინიკაში არსებული შიდა სტანდარტით. პირველ ვიზიტზე პაციენტს გადახილი აქვს 56 ლარი. 2015 წლის 17 აგვისტოს, სამედიცინო დაწესებულებაში წარდგენილ იქნა პაციენტის „არასრულწლოვნის რეგისტრაციის ბარათი“, რომელიც ადასტურებდა ქ. გ-ისთვის პირადი ნომრის მინიჭებას, რის საფუძველზეც, მეორე და მომდევნო ვიზიტი განხორციელდა საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში. კასატორის მოსაზრებით, სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ინფორმაციით, პაციენტი ითვლება საქართველოს მოქალაქედ, შესაბამისად, სამედიცინო დაწესებულებისთვის მიმართვის დროს – 2015 წლის 12 აგვისტოს იყო საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის მოსარგებლე და პირველი ვიზიტის თანხა (56 ლარი) არ უნდა გადაეხადა, რადგან მოცემულ თანხას მთლიანად დაფარავდა პროგრამა. შპს „...ას“, 2015 წლის საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის“ დანართი 1-ის მე-19 მუხლის მე-13 პუნქტის შესაბამისად, დაეკისრა ჯარიმა შემთხვევის ღირებულების (56 ლარი) სამმაგი ოდენობით, სულ 168.00 ლარი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 27 დეკემბრის საოქმო განჩინებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საქმეში მესამე პირად ჩაერთო ქ. გ-ის კანონიერი წარმომადგენელი – ა. გ-ი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 21 მარტის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

პირველი ინსტანციის სასამართლომ საქმეზე დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

ა. გ-მა 2015 წლის 17 აგვისტოს განცხადებით მიმართა სსიპ სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს და აღნიშნა, რომ იმავე წლის 12 აგვისტოს შპს „...აში“ მის შეილს – ქ. გ-ს გაუკეთდა ცოფის სანაღალმდეგო აცრა. მიუხედავად იმისა, რომ ის სარგებლობდა საყოველთაო დაზღვევით, მაინც გადაიხადა 56 ლარი. განმცხადებელმა ითხოვა თანხის გადახდის მართებულობის შესწავლა და ასევე ამავე თანხის უკან დაბრუნება.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს 2016 წლის 8 აპრილის რევიზიის №12 აქტის თანახმად, დასტურდება, რომ 2015 წლის 12 აგვისტოს, პაციენტი ქ. გ-ი (11 წლის და 11 თვის), მშობლებმა მიიყვანეს შპს „...ის“ ანტი-

რაბიულ კაბინეტში. ცხოველის ნაკანრების გამო ჩაუტარდა ვაქცინაცია. კლინიკის ანტირაბიული კაბინეტის ხელმძღვანელის ახსნა-განმარტებით, პაციენტი კლინიკაში შევიდა 2015 წლის 12 აგვისტოს. მშობლის განმარტებით, ბავშვი იყო ბელგიის მოქალაქე. ელექტრონულ პორტალზე გადამოწმდა პაციენტი ქ. გ-ის მონაცემები და დადგინდა, რომ იმ მომენტისთვის ქ. გ-ი არ ფლობდა საქართველოს მოქალაქის პირად ნომერს, რის გამოც მომსახურება გაენია კლინიკაში არსებული შიდა სტანდარტით. პირველ ვიზიტზე პაციენტს გადახდილი აქვს 56 ლარი. 2015 წლის 17 აგვისტოს, სამედიცინო დაწესებულებაში წარდგენილ იქნა პაციენტის „არასრულწლოვნის რეგისტრაციის ბარათი“, რომელიც ადასტურებდა ქ. გ-ისთვის პირადი ნომრის მინიჭებას, რის საფუძველზეც, მეორე და მომდევნო ვიზიტი განხორციელდა საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში.

სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ინფორმაციით კი, პაციენტი ითვლება საქართველოს მოქალაქედ, შესაბამისად, სამედიცინო დაწესებულებისთვის მიმართვის დროს – 2015 წლის 12 აგვისტოს იყო საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის მოსარგებლე. „საყოველთაო ჯანდაცვაზე გადასვლის მიზნით გასატარებელ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის №36 დადგენილებით დამტკიცებული 2015 წლის საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის“ დანართი 1-ის მე-19 მუხლის მე-13 პუნქტის შესაბამისად, შპს „...ას“ დაეკისრა ჯარიმა შემთხვევის ღირებულების (56 ლარი) სამმაგი ოდენობით – 168.00 ლარი.

შპს „...ის“ გენერალური დირექტორის 2015 წლის 21 დეკემბრის №2/261 ახსნა-განმარტებითი ბარათით დასტურდება, რომ ქ. გ-ის კანონიერი წარმომადგენლის მიერ შპს „...ასში“ წარდგენილი იყო ქ. გ-ის ბელგიის მოქალაქეობის დამადასტურებელი დოკუმენტი, ამასთან, პაციენტის კანონიერმა წარმომადგენელმა არ იცოდა, ჰქონდა თუ არა ბავშვს პირადი ნომერი და განმარტავდა, რომ ბავშვი იყო ბელგიის მოქალაქე. შესაბამისად, ხსენებულ პერიოდში კლინიკა მოკლებული იყო შესაძლებლობას, დაედგინა 2015 წლის 12 აგვისტოს ჰქონდა თუ არა ქ. გ-ს პირადი ნომერი და იყო თუ არა იგი საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის მონაწილე.

სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2016 წლის 22 მარტის №01/68229 წერილის თანახმად, ქ. გ-ს (პ/ნ ..., დაბ. ...) საქართველოს პრეზიდენტის 2015 წლის 28 ოქტომბრის №342 ბრძანებულებით შეუწყდა და იმავდროულად მიენიჭა საქართველოს მოქალაქეობა. შესაბამისად, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოში დაცული მონაცემებით იგი ითვლებოდა სა-

ქართველოს მოქალაქედ.

ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასებისას, პირველი ინსტანციის სასამართლომ მიუთითა „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლზე, „საყოველთაო ჯანდაცვაზე გადასვლის მიზნით გასატარებელ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ“ 2013 წლის 21 თებერვლის საქართველოს მთავრობის №36 დადგენილების მე-2 თავის. მე-11 მუხლის მე-3 პუნქტზე და დასახელებულ ნორმათა საფუძველზე, საქალაქო სასამართლომ დაუსაბუთებლად მიიჩნია მოსარჩელის მითითება, რომ სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ინფორმაციით, პაციენტი ითვლებოდა საქართველოს მოქალაქედ. შესაბამისად, სამედიცინო დაწესებულებისთვის მიმართვის დროს – 2015 წლის 12 აგვისტოს იყო საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის მოსარგებლე და პირველი ვიზიტის თანხა (56 ლარი) არ უნდა გადაეხადა, რადგან მოცემულ თანხას მთლიანად დაფარავდა პროგრამა. სასამართლომ აღნიშნა, რომ ქ. გ-ის კანონიერი წარმომადგენლის მიერ შპს „...აში“ წარდგენილი იყო ქ. გ-ის ბელგიის მოქალაქეობის დამადასტურებელი დოკუმენტი, ამასთან, პაციენტის კანონიერი წარმომადგენელი აღნიშნავდა, რომ არ იცის ბავშვს აქვს თუ არა პირადი ნომერი და განმარტავდა, რომ ბავშვი იყო ბელგიის მოქალაქე. შესაბამისად, ვინაიდან ხსენებულ პერიოდში შეუძლებელი იყო იმის დადგენა, იყო თუ არა ქ. გ-ი საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის მონაწილე, კლინიკა მოკლებული იყო შესაძლებლობას, დაედგინა 2015 წლის 12 აგვისტოს ჰქონდა თუ არა ქ. გ-ს პირადი ნომერი. ამასთან, საქმის მასალებით დგინდება, პაციენტის მეორე და მომდევნო ვიზიტი განხორციელდა საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში და პაციენტის კანონიერი წარმომადგენლის განუხლ სამედიცინო მომსახურებაში საფასური არ გადაუხდია, ვინაიდან 17 აგვისტოს კლინიკაში წარდგენილ იქნა არასრულწლოვანის რეგისტრაციის ბარათი, რომელიც ადასტურებდა ქ. გ-ისათვისათვის პირადი ნომრის მინიჭებას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქალაქო სასამართლოს მიერ სამედიცინო დაწესებულების ქმედება კანონიერად იქნა მიჩნეული, რის გამოც სასამართლომ მიიჩნია, რომ სსიპ სამედიცინო საქმიანობის რეგულირების სააგენტოს სარჩელი უსაფუძვლო იყო და არ არსებობდა მისი დაკმაყოფილების წინაპირობები.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 21 მარტის გადაწყვეტილება სსიპ სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტომ სააპელაციო წესით გაასაჩივრა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 30 ივლისის გადაწყვეტილებით სსიპ სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა; გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 21 მარტის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც სსიპ სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს სარჩელი დაკმაყოფილდა; შპს „...ას“ სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ 168 ლარის გადახდა დაეკისრა; მასვე დაეკისრა სააპელაციო საჩივარზე გადასახდელი სახელმწიფო ბაჟის – 150 ლარის გადახდა.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა საქალაქო სასამართლოს სამართლებრივი შეფასებები, კერძოდ, პალატამ მიუთითა „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონსა და საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის №36 დადგენილებაზე და აღნიშნული ნორმატიული აქტებიდან გამომდინარე, სარჩელი საფუძვლიანად და დასაბუთებულად მიიჩნია.

სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ სსიპ სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს 2016 წლის 8 აპრილის რევიზიის №12 აქტი წარმოადგენდა ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, რომელიც კლინიკის გენერალურმა დირექტორმა ჩაიბარა. აღნიშნული აქტი, კანონმდებლობით დადგენილი წესით, მოწინააღმდეგე მხარის მიერ არ გასაჩივრებულა. სადავო პერიოდში მოქმედი საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის №36 დადგენილების მე-20 მუხლის მე-5 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის მიხედვით, მიმწოდებელი ვალდებული იყო ზედამხედველობის შედეგად დაკისრებული საჯარიმო სანქციების შესრულება უზრუნველყო ალიარებიდან არაუგვიანეს 60 კალენდარული დღისა. სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ ალიარება უკავშირდება აქტის გასაჩივრების კანონით დადგენილი ვადის გასვლას. მოცემულ შემთხვევაში კლინიკას არ გამოუყენებია აქტის გასაჩივრების უფლება, შესაბამისად აქტის ალიარებიდან 60 დღის ვადაში დაწესებულება ვალდებული იყო გადაეხადა აქტით დარიცხული თანხა, რაც არ განუხორციელებია.

გარდა ამისა, სააპელაციო სასამართლომ კვლავ მიუთითა ზემოაღნიშნული დადგენილების მე-2 თავის, მე-11 მუხლის მე-3 პუნქტზე და განმარტა, რომ იმ შემთხვევაში, თუ ვერ ხდება პაციენტის იდენტიფიცირება, მიმწოდებელი მაინც აკეთებს შეტყობინებას და პაციენტი დროებით ფიქსირდება, როგორც „უცნობი“. პაციენტის საბოლოო იდენტიფიცირება უნდა მოხდეს არა უგვიანეს შემთხვევის დასრულებისა ან საანგარიშგებო დოკუმენტაციის წარ-

მოდგენისა. წინააღმდეგ შემთხვევაში არ მოხდება მომსახურების ანაზღაურება. ამდენად, საკანონმდებლო რეგულაციით დადგენილი ქცევის ზოგადი წესის თანახმად, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ კლინიკა ვალდებული იყო განეხორციელებინა შეტყობინება, რამდენადაც პაციენტის კანონიერი წარმომადგენელი განმარტავდა, რომ არ იცოდა, ჰქონდა თუ არა მის შვილს პირადი ნომერი. ამასთან, პალატა მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი საკითხების შეფასება და მასზე სამართლებრივი რეაგირება მომხდარიყო 2016 წლის 8 აპრილის რევიზიის №12 აქტით, რომელიც, როგორც უკვე აღინიშნა, შპს „...ის“ მიერ არ გასაჩივრებულა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ საფუძვლიანად მიიჩნია სასარჩელო მოთხოვნა და დააკმაყოფილა იგი. შესაბამისად, შპს „...ას“ სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ დაეკისრა 168 ლარის გადახდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 30 ივლისის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა შპს „...ამ“, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

კასატორი აღნიშნავს, რომ „საყოველთაო ჯანდაცვაზე გადასვლის მიზნით გასატარებელ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის №36 დადგენილების დანართი №1-ის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, დადგენილებით დამტკიცებული პირობების მოსარგებლეები არიან საქართველოს მოქალაქეობის დამადასტურებელი დოკუმენტის მქონე პირები. განსახილველ შემთხვევაში, პაციენტის კანონიერი წარმომადგენლის მიერ კლინიკაში წარდგენილ იქნა ბელგიის სამეფოს პირადობის და მოქალაქეობის დამადასტურებელი დოკუმენტი, რის გამოც მასზე ვერ გავრცელდებოდა საყოველთაო ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამა.

კასატორის მოსაზრებით, ასევე უსაფუძვლოა სააპელაციო პალატის მითითება, რომ პაციენტის იდენტიფიცირების შეუძლებლობის შემთხვევაში, ის დროებით უნდა დაფიქსირებულიყო როგორც „უცნობი“, რადგან საქმეში არსებული მასალებით დასტურდება, რომ კლინიკაში შესვლისას პაციენტის ყველა მონაცემი იყო ცნობილი, კერძოდ: სახელი, გვარი, დაბადების თარიღი, დაბადების ადგილი და მოქალაქეობა. ამასთან, აღსანიშნავია, რომ პაციენტი არ ფლობდა კანონმდებლობით გათვალისწინებულ საქართველოს მოქალაქეობის დამადასტურებელ არცერთ დოკუმენტს, რაც შეუძლებელს ხდიდა მისი საქართველოს მოქალაქეობისადმი კუთვნილების დადგენას. დასახელებული გარემოებების გათვალისწინ-

ნებით, კასატორი მიიჩნევს, რომ კონკრეტული პაციენტის მიმართ სამედიცინო მომსახურება ვერ განხორციელდებოდა საყოველთაო ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 15 აპრილის განჩინებით შპს „...ის“ საკასაციო საჩივარი დასაშვებად იქნა მიჩნეული. მხარეებს განემარტათ, რომ საკასაციო საჩივარი არსებითად განხილულ იქნებოდა მათი დასწრების გარეშე.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო, საქმის მასალებისა და საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლის შედეგად, მიიჩნევს, რომ შპს „...ის“ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს გასაჩივრებული გადაწყვეტილება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელი არ დაკმაყოფილდეს.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ განსახილველ შემთხვევაში მთავარ სადავო საკითხს სსიპ სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს მიერ ჩატარებული რევიზიისას გამოვლენილი დარღვევის გამო, სამედიცინო დაწესებულებისთვის სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ თანხის – 168 ლარის დაკისრების კანონიერება წარმოადგენს.

საკასაციო სასამართლო თავდაპირველად მიუთითებს 2013 წლის 21 თებერვლის საქართველოს მთავრობის №36 დადგენილებით დამტკიცებული საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის დანართ №1-ზე, რომლითაც განსაზღვრულია საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის მიზანი და ამ პროგრამის მოსარგებლე პირები. ამავე დანართის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ამ დადგენილებით დამტკიცებული დანართი №1.1-ით განსაზღვრული პირობების მოსარგებლეები არიან საქართველოს მოქალაქეობის დამადასტურებელი დოკუმენტის მქონე პირები. ამრიგად, აღნიშნული ნორმის თანახმად, საყოველთაო ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამა არ ვრცელდება უცხო ქვეყნის მოქალაქის მიმართ, ამასთანავე, პროგრამით სარგებლობისთვის აუცილებელია საქართველოს მოქალაქეობის დამადასტურებელი დოკუმენტის ფლობა.

საკასაციო სასამართლო საქართველოს მოქალაქეობის ცნების განსაზღვრებასთან დაკავშირებით მიუთითებს საქართველოს კონსტიტუციის სადავო პერიოდში მოქმედ მე-12 მუხლის მე-2 პუნქტზე, რომლის თანახმად, საქართველოს მოქალაქე იმავდროულად არ შეიძლება იყოს სხვა სახელმწიფოს მოქალაქე, გარდა ამ პუნქტით გათვალისწინებული გამონაკლისის შემთხვევებისა. საქარ-

თველოს პრეზიდენტის მიერ საქართველოს მოქალაქეობა შეიძლება მიენიჭოს უცხო ქვეყნის მოქალაქეს, რომელსაც საქართველოს წინაშე აქვს განსაკუთრებული დამსახურება ან მისთვის საქართველოს მოქალაქეობის მინიჭება გამომდინარეობს სახელმწიფო ინტერესებიდან. ამავე მუხლის მე-3 პუნქტით კი განსაზღვრულია, რომ საქართველოს მოქალაქეობის მოპოვებისა და დაკარგვის წესი განისაზღვრება ორგანული კანონით.

განსახილველ შემთხვევაში, საქმის მასალებში წარმოდგენილი სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2016 წლის 22 მარტის №01/68229 წერილით დასტურდება, რომ ქ. გ-ას (პ/ნ ..., დაბ. ...) საქართველოს პრეზიდენტის 2015 წლის 28 ოქტომბრის №342 ბრძანებულებით შეუწყდა და იმავდროულად მიენიჭა საქართველოს მოქალაქეობა. შესაბამისად, სამედიცინო დაწესებულებაში პირველადი ვიზიტის დროს – 2015 წლის 12 აგვისტოს, პაციენტი იყო ბელგიის მოქალაქე, რასაც ამავედროულად ადასტურებდა კლინიკაში ქ. გ-ის მშობლის მიერ წარდგენილი ბელგიის მოქალაქის პასპორტი. ამრიგად, საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, მართებულია კასატორის მითითება, რომ კლინიკაში ვიზიტის დროს პაციენტს საქართველოს მოქალაქეობა არ ჰქონდა, რამეთუ კლინიკაში პირველადი მიმართვის დროს ბელგიის მოქალაქეობის ფაქტის დადასტურება, გამორიცხავს ამავედროულად საქართველოს მოქალაქეობის ქონასაც. საქმის მასალებით ასევე დასტურდება, რომ სამედიცინო დაწესებულებაში მიმართვის დროს და მანამდეც ქ. გ-ის მიმართ საქართველოს მოქალაქეობის დამადასტურებელი, კანონმდებლობით გათვალისწინებული რაიმე დოკუმენტი გაცემული არ ყოფილა. შესაბამისად, სამედიცინო დაწესებულება არ იყო უფლებამოსილი უცხო ქვეყნის მოქალაქის მიმართ გაეგრძელებინა საყოველთაო ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამა, რის გამოც სამედიცინო მომსახურება განახორციელა შიდა სტანდარტით დამტკიცებული ტარიფის საფუძველზე.

რაც შეეხება სააპელაციო პალატის მსჯელობას იმასთან დაკავშირებით, რომ კლინიკა ვალდებული იყო განეხორციელებინა შეტყობინება და პაციენტი დაერეგისტრირებინა როგორც „უცნობი“, რამდენადაც არ დასტურდებოდა ქ. გ-ისთვის პირადი ნომრის მინიჭება, საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს და კვლავ მიუთითებს „საყოველთაო ჯანდაცვაზე გადასვლის მიზნით გასატარებელ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის №36 დადგენილების მე-2 თავის, მე-11 მუხლის პირველ პუნქტზე, რომლის მიხედვით (სადავო პერიოდში მოქმედი რედაქცია), მიმწოდებელი ვალდებულია შემთხვევის (განმახორციელების მიერ განსაზღვრული კოდირების შესაბამისად) შე-

სახებ შეტყობინება გააკეთოს დაუყოვნებლივ, მაგრამ არა უგვიანეს 24 საათისა, ან შემთხვევის დასრულებამდე (თუ პაციენტი ეწერება 24 საათზე ადრე, გარდა გარდაცვალებისა) განმახორციელების მიერ განსაზღვრული სპეციალური კომპიუტერული პროგრამის საშუალებით. აღნიშნული მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, შეტყობინების გაკეთებისას მიმწოდებელი ვალდებულია დააფიქსიროს შემდეგი ინფორმაცია: ა) მოსარგებლის სახელი, გვარი, პირადი ნომერი და დაბადების თარიღი; ბ) წინასწარი დიაგნოზი დადგენილი კლასიფიკატორის შესაბამისად; გ) შემთხვევის დაწყებისა და დასრულების ზუსტი დრო. ამავე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად კი იმ შემთხვევაში, თუ ვერ ხდება პაციენტის იდენტიფიცირება, მიმწოდებელი მაინც აკეთებს შეტყობინებას და პაციენტი დროებით ფიქსირდება, როგორც „უცნობი“. პაციენტის საბოლოო იდენტიფიცირება უნდა მოხდეს არა უგვიანეს შემთხვევის დასრულებისა ან საანგარიშგებო დოკუმენტაციის წარმოდგენისა. წინააღმდეგ შემთხვევაში არ მოხდება მომსახურების ანაზღაურება. დასახელებული ნორმის ანალიზის შედეგად, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ პაციენტის დროებით „უცნობად“ დარეგისტრირება შესაძლებელია განხორციელდეს მხოლოდ მაშინ, როცა გარკვეული მიზეზების გამო პაციენტს თან არ აქვს საქართველოს მოქალაქეობის დამადასტურებელი დოკუმენტი, რის გამოც ვერ ხორციელდება პიროვნების იდენტიფიცირება. ამასთან, პიროვნების საბოლოო იდენტიფიცირებამდე ელექტრონულ პროგრამაში იგი მიეთითება როგორც „უცნობი“. განსახილველ შემთხვევაში კი, არ არსებობდა პაციენტ ქ. გ-ის „უცნობად“ რეგისტრირების კანონისმიერი წინაპირობა.

საკასაციო პალატის მოსაზრებით, აღნიშნულ ნაწილშიც დასაბუთებულია საკასაციო პრეტენზია, ვინაიდან საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის №36 დადგენილებით დამტკიცებული საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის დანართი №1-ის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ამ დადგენილებით დამტკიცებული დანართი №1.1-ით განსაზღვრული პირობების მოსარგებლეები არიან საქართველოს მოქალაქეობის დამადასტურებელი დოკუმენტის მქონე პირები. აღნიშნულ დოკუმენტს კი, პაციენტი კლინიკაში ვიზიტის დროს არ ფლობდა, ამასთანვე, საქმის მასალებით უპირობოდ დასტურდება, რომ კლინიკისთვის ცნობილი იყო პაციენტის ყველა მონაცემი, სახელი, გვარი, დაბადების თარიღი, დაბადების ადგილი, მათ შორის მოქალაქეობა. სწორედ ამიტომ, მოცემულ ვითარებაში, სამედიცინო დაწესებულება პაციენტის მიმართ სამედიცინო მომსახურებას ვერ განახორციელებდა საყოველთაო ჯანდაცვის სახელმწიფო პროგ-



რამის ფარგლებში, რადგან დადასტურებული გარემოებების მიხედვით, ქ. გ-ი არ წარმოადგენდა ამავე პროგრამით მოსარგებლე პირს, ამასთანავე, არ არსებობდა მისი როგორც „უცნობად“ დარეგისტრირების არავითარი წინაპირობა.

ამრიგად, საკასაციო სასამართლო, საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებისა და მათი სამართლებრივი შეფასების გათვალისწინებით, ასკვნის, რომ სსიპ სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს სარჩელი უსაფუძვლოა და არ არსებობს მისი დაკმაყოფილების საფუძველი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორი სამართლებრივი შეფასება მისცა საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და სახეზეა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე და 394-ე მუხლებით გათვალისწინებული ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლები, რის გამოც უნდა გაუქმდეს სააპელაციო პალატის გასაჩივრებული გადაწყვეტილება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

საკასაციო პალატა ასევე მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე გათავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. ამავე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების მიხედვით კი, ამ მუხლში აღნიშნული წესები შეეხება აგრეთვე სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც გასწიეს მხარეებმა საქმის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას. თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, შესაბამისად, იგი შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც.

განსახილველ შემთხვევაში, სსიპ სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს მიერ სარჩელსა და სააპელაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟი – 250 (100+150) ლარის ოდენობით უნდა ჩაითვალოს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ გადახდილად; მასვე შპს „...ის“ სასარგებლოდ უნდა დაეკისროს საკასაციო საჩივარზე მოპასუხის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 300 ლარის ანაზღაურება.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ად-

მინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე, 394-ე, 411-ე მუხლით და

### **გ ა ღ ა ნ ყ ვ ი ტ ა :**

1. შპს „...ის“ საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 30 ივლისის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. სსიპ სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს სარჩელი არ დაკმაყოფილდეს;
4. სსიპ სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს შპს „...ის“ (ს/ნ ...) სასარგებლოდ დაეკისროს საკასაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 300 (სამასი) ლარის ანაზღაურება;
5. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## **სამოქალაქო აქტის ჩანაწერებში შესწორების შეთანხმებული საფუძველი**

### **გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ს ა ხ ე ლ ი თ**

№ბს-390(კ-21)

9 ივნისი, 2022 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ნ. სხირტლაძე,  
ბ. სტურუა**

**დავის საგანი:** ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა, ახალი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება

### **აღწერილობითი ნაწილი:**

2019 წლის 25 მარტს ნ. გ-ამ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კო-

ლეგიას, მოპასუხეების – სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსა და სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს თბილისის სამოქალაქო რეესტრის სამსახურის მიმართ.

სარჩელის თანახმად, 2018 წლის 24 მაისს ნ. ს-ის (ქორწინების შემდეგ გვარი – გ-ა) წარმომადგენელმა ლ. ა-მა განცხადებით მიმართა სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს თბილისის სამოქალაქო რეესტრის სამსახურს მისი შვილის, მისი მარწმუნებლის ნ. ს-ის დაბადების აქტის ჩანაწერში შესწორების თაობაზე, ვინაიდან ნ. ს-ი დაბადებული იყო ... წელს, დაბადების შემდგომ ყველა საბუთი (პირადობის მოწმობა, პასპორტი, ქორწინების მოწმობა, ბავშვების დაბადების მოწმობები და სხვ.) აღებული ჰქონდა თავისი დაბადების თარიღით – ... წლით, მაგრამ პირადობის მოწმობის და პასპორტის გამოცვლის დროს სახელმწიფო სერვისების სააგენტომ აღმოაჩინა, რომ მისი დაბადების თარიღი იყო – ... წელი და არა ... წელი.

სარჩელის მიხედვით, შპს „...ის“ მიერ გაიცა ცნობა, რომლითაც დადასტურდა, რომ ...ში ლ. ა-მა იმპობიარა საკეისრო კვეთის გზით ... წლის ... ...ს და შეეძინა ცოცხალი, დროული, ქალი, წონა – 3600, სიგრძე – 50 სმ. ამასთან, თბილისის სამოქალაქო რეესტრის სამსახურის მიერ გაიგზავნა წერილი შპს „ჰ...-ში“, რომელსაც მოეთხოვა განემარტა თუ რის საფუძველზე გაიცა 2018 წლის 24 მაისს ზემოაღნიშნული ცნობა, რის შედეგადაც ირკვევა, რომ დოკუმენტი გაიცა ძველი საბუთისა და ლ. ა-ის გადმოცემული ინფორმაციის მიხედვით.

სარჩელში აღნიშნულია, რომ 2018 წლის 20 აგვისტოს ნ. ს-ის წარმომადგენელმა ლ. ა-მა ითხოვა საქმის წარმოების გაგრძელება მაქსიმალური ვადით, დამატებითი ინფორმაციის წარსადგენად, მაგრამ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს თბილისის სამოქალაქო რეესტრის სამსახურის განმარტებით, ვინაიდან მითითებულ ვადაში განმცხადებლის მიერ არ იქნა წარდგენილი დამატებითი დოკუმენტები, მოკვლეული გარემოებებით ვერ დადგინდა ნ. ს-ის დაბადების აქტის ჩანაწერში მონაცემის არასწორად მითითების ფაქტი, რის გამოც განმცხადებლის მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა. ლ. ა-მა სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიმართა დამატებითი მასალების წარდგენის შესახებ, ასევე მიმართა საჩივრით, თუმცა სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ ლ. ა-ის საჩივარი არ დააკმაყოფილა.

ამდენად, მოსარჩელემ სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს თბილისის სამოქალაქო რეესტრის სამსახურის 2018 წლის 22 ნოემბრის №... გადაწყვეტილებისა და სსიპ სა-

ხელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2019 წლის 21 თებერვლის №... გადაწყვეტილების ბათილად ცნობა და სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსთვის ახალი აქტის გამოცემის დავალება მოითხოვა, რომლითაც დადგინდება ნ. გ-ას დემოგრაფიული მონაცემები: ნ. ს-ი (ქორწინების შემდეგ გვარი – გ-ა) დაბადებული: ... წლის ... ...ს, პირადი №....

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 27 ნოემბრის გადაწყვეტილებით ნ. გ-ას სარჩელი დაკმაყოფილდა; ბათილად იქნა ცნობილი სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს თბილისის სამოქალაქო რეესტრის სამსახურის 2018 წლის 22 ნოემბრის №... გადაწყვეტილება და სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2019 წლის 21 თებერვლის №... გადაწყვეტილება; სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს დაევალა ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა, რომლითაც განხორციელდება შესწორება ნ. ს-ის (ქორწინების შემდეგ – გ-ა, პ/ნ ...) დაბადების სააქტო ჩანაწერში და ბავშვის დაბადების თარიღად – „...წ“ ნაცვლად მიეთითება – „...წ“.

საქალაქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ლ. ა-მა 2018 წლის 24 მაისის განცხადებით მიმართა სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს თბილისის სამოქალაქო რეესტრის სამსახურს და მოითხოვა, თავისი მარწმუნებლის – ნ. ს-ის (ქორწინების შემდეგ – გ-ა, პ/ნ ...) დაბადების სააქტო ჩანაწერში ბავშვის დაბადების თარიღის – „...წ“ თარიღით – „...წ“ შესწორება. სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს თბილისის სამოქალაქო რეესტრის სამსახურის 2018 წლის 22 ნოემბრის №... გადაწყვეტილებით ლ. ა-ის 2018 წლის 24 მაისის განცხადება ნ. გ-ას დაბადების თარიღის შესწორების თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

ნ. გ-ას (ს-ის) წარმომადგენელმა ლ. ა-მა 2018 წლის 21 დეკემბერს №... ადმინისტრაციული საჩივრით მიმართა სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს და მოითხოვა თბილისის სამოქალაქო რეესტრის სამსახურის 2018 წლის 22 ნოემბრის სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს №... გადაწყვეტილების ბათილად ცნობა და ახალი გადაწყვეტილების მიღება ნ. გ-ას დაბადების თარიღის შესწორების თაობაზე. სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2019 წლის 21 თებერვლის №... გადაწყვეტილებით არ დაკმაყოფილდა ნ. გ-ას (ს-ის) წარმომადგენლის ლ. ა-ის 2018 წლის 21 დეკემბრის №... ადმინისტრაციული საჩივარი; ძალაში დარჩა სააგენტოს თბილისის სამოქალაქო რეესტრის სამსახურის 2018 წლის 22 ნოემბრის №... გადაწყვეტილება.

თბილისის ...ის განყოფილების მიერ ... წლის ... ...ს რეგისტრირებულია №... დაბადების აქტის ჩანაწერი, რომელშიც მითითებულია შემდეგი მონაცემები: სახელი – ნ., გვარი – ს-ი, დაბადების თარიღი გადასწორების გარეშე – ... წლის ... ...ი; მშობლები: მამა – ს-ი მ., დაბ. ...ნ.; დედა – ა-ი ლ., დაბ. ...ნ. დაბადების აქტი რეგისტრირებულია მამის – მ. ს-ის განცხადების საფუძველზე და ფიქსირდება მისი ხელმოწერა. დაბადების აქტის ჩანაწერზე გრაფაში – „ბავშვის დაბადების ფაქტის დამადასტურებელი საბუთები“ – დაფიქსირებულია ... წლის ... ...ს გაცემული .....ის ცნობა.

ნ. ს-ის სახელზე 2000 წლის 22 ივნისს, დაბადების მოწმობის ამონაწერის (აქტი №..., 17.06.2000წ. გაცემული ქალაქის ...ის არქივის მიერ) საფუძველზე, ისანი-სამგორის შს განყოფილების მიერ გაიცა პირადობის მოწმობა ... მონაცემებით: ნ. ს-ი, დაბადების თარიღი – ...ნ.) სახელზე იდენტური დაბადების თარიღით, ასევე, გაცემულია შემდეგი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტები: 2008 წლის 28 მარტს პირადობის მოწმობა ..., 2008 წლის 14 აპრილს საქართველოს მოქალაქის პასპორტი ....

თბილისის ქორწინების სასახლემ 2005 წლის 3 სექტემბერს დაარეგისტრირა მნ №... ქორწინების აქტის ჩანაწერი, რომელშიც მითითებულია საცოლის შემდეგი მონაცემები: სახელი – ნ., გვარი – ს-ი, ქორწინების შემდგომი გვარი – გ-ა, დაბადების თარიღი – ... წლის ... ...ი. ქორწინების აქტი შეწყვეტილია 2016 წლის 22 აგვისტოს №... განქორწინების აქტის ჩანაწერის საფუძველზე. აღნიშნულ განქორწინების აქტის ჩანაწერში მითითებულია ქალის განქორწინების შემდეგი გვარი – გ-ა.

სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში იძებნება სხვა №... დაბადების აქტის ჩანაწერი, რეგისტრირებული ... წლის ... ...ს, რომელშიც მითითებულია შემდეგი მონაცემები: ბავშვი დაიბადა მკვდრად ... წლის ... ...ს; მშობლები: მამა – ს-ი მ.; დედა – ა-ი ლ.. დაბადების აქტის ჩანაწერზე გრაფაში – „ბავშვის დაბადების ფაქტის დამადასტურებელი საბუთები“ მითითებულია ...ი.

შპს „...ის“ 2018 წლის 24 მაისის ცნობის თანახმად, ლ. ა-მა ... წლის ..., საკეისრო კვეთით, ნამდვილად იმშობიარა ქალი. ამავე სამშობიარო სახლის მიერ 2018 წლის 17 აგვისტოს №02 წერილით დგინდება, რომ მათ მიერ გაცემული ცნობა შედგენილი იყო ძველი საბუთისა და ლ. ა-ის ზეპირად გადმოცემული ინფორმაციით. კლინიკამ ამავე წერილით სააგენტოს აცნობა, რომ შპს „...ი“ არ ფუნქციონირებს 2011 წლიდან, წილის მფლობელია შპს „ჰ...“. შპს „ჰ...“-ის 2019 წლის 18 თებერვლის წერილის თანახმად, შპს „ჰ...“-ს სამედიცინო დოკუმენტაცია და სხვა საარქივო მასალა შპს „...ის“ მიერ არ გა-

დასცემია. შესაბამისად, შპს „ჰ...“ არ ფლობს ინფორმაციას ლ. ა-ის ... და ... წლებში მშობიარობის შესახებ, ასევე, ინფორმაციას – ირიცხებოდა თუ არა ჯ. ჭ-ი ... წელს თანამშრომლად.

სს „...ის“ 2019 წლის 28 იანვრის №34 წერილის თანახმად, სს „...ის“ არქივში დაცულ დოკუმენტაციაში ინფორმაცია ლ. ა-ის ..., ... და ... წლებში მშობიარობის შესახებ არ მოიძებნა.

საქართველოს ეროვნული არქივის თბილისის ცენტრალური არქივის 2019 წლის 29 იანვრის №14/10740 წერილის თანახმად, ...ის (...ს) დოკუმენტები თბილისის ცენტრალურ არქივში არ არის დაცული. ასევე, საქართველოს ეროვნული არქივის თბილისის ცენტრალური არქივის 2019 წლის 17 იანვრის №14/5808 წერილით დგინდება, რომ ...ის დოკუმენტები თბილისის ცენტრალურ არქივში არ არის დაცული, რის გამოც ინფორმაცია აღნიშნულ სამშობიარო სახლებში ლ. ა-ის მშობიარობის შესახებ ვერ იქნა მოძიებული.

ლ. კ-მა (პ/ნ ...), მ. რ-მა (პ/ნ ...), ლ. კ-ემ (პ/ნ ...), ჯ. ჭ-მა (პ/ნ ...; მეან-გინეკოლოგი), მ. ს-მა (პ/ნ ...) დაადასტურეს, რომ ლ. ა-ს ... წლის ივნისში შეეძინა ქალიშვილი.

საქალაქო სასამართლოს მითითებით, „სამოქალაქო აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, ამ კანონის მიზანს წარმოადგენს სამოქალაქო აქტების რეგისტრაციისა და აღრიცხვის ერთიანი სისტემის ფორმირება. კანონი განსაზღვრავს სამოქალაქო აქტების სახეებს, მათი რეგისტრაციის, სამოქალაქო აქტის ჩანაწერში ცვლილების, შესწორების, დამატების შეტანის, სამოქალაქო აქტის ხელახალი რეგისტრაციის, დაბადებისა და გარდაცვალების სამოქალაქო აქტების ჩანაწერების ბათილად ცნობის, დაბადებისა და გარდაცვალების რეგისტრაციის, აგრეთვე პირის გარკვეულ დროსა და ვითარებაში დაბადებისა და გარდაცვალების იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტების დადგენის, სამოქალაქო აქტის რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტის გაცემის ძირითად პირობებს და სამოქალაქო აქტების სფეროში უფლებამოსილ ორგანოებს. მითითებული კანონის მე-3 მუხლის თანახმად, ამ კანონის მიზნებისათვის, მასში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა: ა) სამოქალაქო აქტი – ამ კანონით გათვალისწინებული იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტი: დაბადება, მამობის დადგენა, შვილად აყვანა, ქორწინება, განქორწინება, სახელის ან/და გვარის შეცვლა, გარდაცვალება; ბ) სამოქალაქო აქტის ჩანაწერი – ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომელიც ადასტურებს ამ კანონით გათვალისწინებულ იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტს; გ) შესწორება სამოქალაქო აქტის ჩანაწერში – სამოქალაქო აქტის ჩანაწერში არსებული არასწორი მონაცემის სწორი მონაცემით შეცვლა.

„სამოქალაქო აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 76-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სამოქალაქო აქტის ჩანაწერში ცვლილების, შესწორების ან/და დამატების შეტანის საფუძველია უფლებამოსილი პირის განცხადება და ამ კანონის 78-ე–80-ე მუხლებით გათვალისწინებული შესაბამისი გარემოების არსებობა. 77-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სამოქალაქო აქტის ჩანაწერში ცვლილების, შესწორების ან/და დამატების შეტანის შესახებ განცხადებით სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოსთვის მიმართვის უფლება აქვს პირს, რომლის მიმართაც შედგენილია შესაბამისი სამოქალაქო აქტის ჩანაწერი. ამავე კანონის 79-ე მუხლის თანახმად, სამოქალაქო აქტის ჩანაწერში შესწორების შეტანის საფუძველია ერთ-ერთი შემდეგი გარემოების არსებობა: ა) სამოქალაქო აქტის ჩანაწერის რეგისტრაციისას დაშვებული შეცდომის აღმოჩენა; ბ) სასამართლოს გადაწყვეტილება სამოქალაქო აქტის ჩანაწერში მითითებული მონაცემის უზუსტობის დადგენის შესახებ; გ) უფლებამოსილი ორგანოს გადაწყვეტილება იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენის შესახებ. „სამოქალაქო აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 92-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად კი, სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანო უფლებამოსილია იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენისას, გარდა წერილობითი და ნივთიერი მტკიცებულებებისა, ასევე გამოიყენოს და დაეყრდნოს მხარეთა ახსნა-განმარტებებს, მოწმეთა ჩვენებებს და სხვა მტკიცებულებებს.

სასამართლომ მიიჩნია, რომ განსახილველ შემთხვევაში საქმეში მოპოვებული წერილობითი დოკუმენტები, მხარეთა ახსნა-განმარტებებთან და მოწმეთა ჩვენებებთან ურთიერთშეჯერებით, მოპასუხეებს აძლევდა შესაძლებლობას შესწორება შეეტანათ მოსარჩელის დაბადების აქტის ჩანაწერში. კერძოდ, მოპასუხე აპელირებს იმ გარემოებაზე, რომ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში იძებნება სხვა №... დაბადების აქტის ჩანაწერი, რეგისტრირებული ... წლის ... ..ს, სადაც იგივე მშობლების მონაცემია დაფიქსირებული, რაც ... წლის ... ..ს რეგისტრირებულ №... დაბადების აქტის ჩანაწერში. №... დაბადების აქტის ჩანაწერში მითითებული დაბადების თარიღი (...წ.) კი გამოორიცხავს ნ. გ-ას (ქორწინებამდელი გვარი – ს-ი) ... წლის ... ..ს დაბადების ფაქტს. სასამართლოს მოსაზრებით, ზემოაღნიშნული გარემოება ვერ იქნება მიჩნეული უტყუარ მტკიცებულებად იმისა, რომ ორივე დაბადების აქტში მშობლებად მითითებული არიან ერთი და იგივე პირები, ვინაიდან მხოლოდ სახელის, გვარისა და მამის სახელის თანხვედრა არ ქმნის პირის იდენტიფიცირებისთვის საკმარის საფუძველს. შესაბამისად, აღნიშნული დოკუმენტის შეფა-

სება უნდა მოხდეს საქმეზე შეკრებილ სხვა მტკიცებულებებთან ერთობლიობაში. იმის გათვალისწინებით, რომ სხვა წერილობითი მტკიცებულებები ლ. ა-ის მშობიარობის შესახებ ვერ იქნა მოძიებული, „სამოქალაქო აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 92-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მხარეთა ახსნა-განმარტებები და მოწმეთა ჩვენებები წარმოადგენს იმ სათანადო მტკიცებულებებს, რომელთა სრულყოფილი და ყოველმხრივი გამოკვლევის საფუძველზეც უნდა მომხდარიყო მოპასუხეთა მხრიდან სადავო საკითხის გადაწყვეტა. ადმინისტრაციულ ორგანოში წერილობით წარდგენილი მოწმეთა ახსნა-განმარტებებითა და სასამართლოს მიერ საქმეზე მოწმის სტატუსით გამოკითხულ პირთა ჩვენებებით კი, მათ შორის, მეან-გინეკოლოგის განმარტებით, დგინება, რომ ლ. ა-ს ქალიშვილი – ნ. გ-ა (ქორწინებამდელი გვარი – ს-ი) შეეძინა ... წლის ...ში. რაც შეხება ... წლის ... ..ის №... დაბადების აქტის ჩანაწერის რეგისტრირაციის საფუძველს – ...ის მიერ ... წლის ... ..ის გაცემულ ცნობას, სასამართლომ მიიჩნია, რომ ცნობის გაცემის თარიღი ავტომატურად არ წარმოადგენს ბავშვის დაბადების თარიღს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 27 ნოემბრის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ და სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს თბილისის სამოქალაქო რეესტრის სამსახურმა, რომლებმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 22 თებერვლის განჩინებით სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსა და სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს თბილისის სამოქალაქო რეესტრის სამსახურის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 27 ნოემბრის გადაწყვეტილება.

სააპელაციო პალატა სრულად ეთანხმება და იზიარებს პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებებს და დასკვნებს საქმის ფაქტობრივ და სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით, კერძოდ, პალატამ მიიჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ სრულად და ყოველმხრივ გამოიკვლია დავასთან დაკავშირებული ყველა ფაქტობრივი გარემოება; ასევე, სამართლებრივი თვალსაზრისით სწორად შეაფასა საქმესთან დაკავშირებული ყველა ფაქ-



ტობრივი გარემოება და დამატებით მიუთითა, რომ აპელანტი ადმინისტრაციული ორგანოების მიერ მოთხოვნა – ნ. ს-ის დაბადების თარიღის შესწორების თაობაზე არ დაკმაყოფილდა იმ საფუძველით, რომ მოკვლეული გარემოებებით ვერ დგინდებოდა ნ. ს-ის დაბადების აქტის ჩანაწერში მონაცემის არასწორად მითითების ფაქტი.

პალატამ აღნიშნა, რომ სამოქალაქო აქტის ჩანაწერში შესწორების შეტანის სამართლებრივ საფუძვლებს განსაზღვრავს რა „სამოქალაქო აქტების შესახებ“ საქართველოს კანონი, საეალდეულოდ მიიჩნევს სამოქალაქო აქტის ჩანაწერის რეგისტრაციისას დაშვებული შეცდომის აღმოჩენას, რაც სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანომ შესწორების შესახებ გადაწყვეტილების გამოტანისას, საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევის, მტკიცებულებების შეფასების და ურთიერთშეჯერების საფუძველზე უნდა დაადგინოს. შესაბამისად, განსახილველ შემთხვევაში, ვინაიდან არსებობდა სხვადასხვა შინაარსის რიგ შემთხვევაში ურთიერთსაინააღმდეგო მტკიცებულებები, აპელანტი ადმინისტრაციული ორგანოების კომპეტენციას წარმოადგენდა ადმინისტრაციული წარმოების ჩატარების გზით განეხილათ დაინტერესებული პირის მოთხოვნა და ნ. ს-ის დაბადების სამოქალაქო აქტის ჩანაწერში შეცდომის აღმოჩენის შემთხვევაში, შეეტანათ შესაბამისი შესწორება.

პალატამ აღნიშნა, რომ განსახილველ შემთხვევაში, განმცხადებლის მიერ ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე ადმინისტრაციული ორგანოსთვის წარდგენილი იქნა ყველა ის მტკიცებულება, რაც მას მოეპოვებოდა და რაც სხვადასხვა ორგანოდან ინფორმაციის გამოთხოვის შედეგად გახდა მისთვის ცნობილი. ამასთან, პირველი ინსტანციის სასამართლო სხდომაზე ასევე გამოკითხული იქნენ მოწმეები, რომელთა ჩვენებები და განმარტებები მომეტებული ინფორმაციულობით გამოირჩეოდა და წარმოადგენდა მტკიცებულების მნიშვნელოვან წყაროს გარკვეული ფაქტობრივი გარემოებების დადგენის თვალსაზრისით. საქმეში წარმოდგენილი ლ. კ-ის, მ. რ-ის, ლ. კ-ისა და ჯ. ჭ-ის ახსნა-განმარტებებიდან დასტურდება, რომ ლ. ა-ს ... წლის .....ში შეეძინა ქალიშვილი. ამასთან, სააპელაციო სასამართლომ მიუთითა ნ. ს-ის სახელზე გაცემულ პირადობის მოწმობაზე, საქართველოს მოქალაქის პასპორტსა და ქორწინების მოწმობის ჩანაწერზე, სადაც ნ. ს-ის დაბადების თარიღია ...ნ.

პალატის მითითებით, დადგენილია, რომ შპს „...ის“ 2018 წლის 24 მაისის ცნობის თანახმად, ლ. ა-მა ... წლის ... ...ს, საკეისრო კვეთით, ნამდვილად იმშობიარა ქალი. ამავდროულად სამშობიარო სახლის მიერ 2018 წლის 17 აგვისტოს №02 წერილით დგინდება, რომ მათ მიერ

გაცემული ცნობა შედგენილი იყო ძველი საბუთისა და ლ. ა-ის ზეპირად გადმოცემული ინფორმაციით. ამასთან, 2011 წლიდან აღნიშნული კლინიკის წილის მფლობელია შპს „პ...“, რომელიც არ ფლობს ინფორმაციას ლ. ა-ის ... და ..... წლებში მშობიარობის შესახებ.

პალატის მითითებით, გარდა ამისა, საქმეში წარმოდგენილი საქართველოს ეროვნული არქივის თბილისის ცენტრალური არქივის წერილით ირკვევა, რომ საქართველოს .....ის დოკუმენტები თბილისის ცენტრალურ არქივში არ არის დაცული, რის გამოც ინფორმაცია აღნიშნულ სამშობიარო სახლში ლ. ა-ის მშობიარობის შესახებ ვერ იქნა მოძიებული.

რაც შეეხება თბილისის ...ის განყოფილების მიერ ... წლის ... ..ს რეგისტრირებულ №..... დაბადების აქტის ჩანაწერს და მის საფუძველად მითითებულ ...ის მიერ ... წლის ... ..ს გაცემულ ცნობას, პალატამ მიიჩნია, რომ ცნობის გაცემის თარიღი სავალდებულოდ არ გულისხმობს ბავშვის დაბადების თარიღს, აღნიშნულის შეფასება უნდა განხორციელდეს საქმეზე შეკრებილ სხვა მტკიცებულებებთან ერთობლიობაში, რის გამოც მასში არსებული მონაცემი არ შეიძლება გახდეს დაბადების სააქტო ჩანაწერში შესწორების შეტანაზე უარის თქმის უპირობო საფუძველი. პალატამ გაიზიარა საქალაქო სასამართლოს მოსაზრება მასზედ, რომ ვინაიდან სხვა წერილობითი მტკიცებულებები ლ. ა-ის მშობიარობის შესახებ ვერ იქნა მოძიებული, განსახილველ შემთხვევაში საქმეში მოპოვებული წერილობითი დოკუმენტები, მხარეთა ახსნა-განმარტებებთან და მოწმეთა ჩვენებებთან ურთიერთშეჯერებით, მოპასუხეებს აძლევდა შესაძლებლობას შესწორება შეეტანათ მოსარჩელის დაბადების აქტის ჩანაწერში.

პალატამ განმარტა, რომ ფაქტის დადგენა უნდა მოხდეს კანონით დადგენილი წესით, სათანადო მტკიცებულებების საფუძველზე. კერძოდ, მიუთითა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლზე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლზე, 105-ე მუხლის მე-2 ნაწილზე და განსახილველ შემთხვევაში საქმეზე შეკრებილი წერილობითი მტკიცებულებების და მოწმეთა განმარტებების საფუძველზე, პალატამ აღნიშნა, რომ დაუშვებელია ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მოთხოვნილი იქნეს იმგვარი მტკიცებულებები, რისი წარმოდგენის საშუალებაც ობიექტური მიზეზების გამო განმცხადებელს არ გააჩნია. ამდენად, პალატის მოსაზრებით, მოცემულ შემთხვევაში არსებული ფაქტობრივი გარემოებების ურთიერთშეჯერების შედეგად, საქალაქო სასამართლომ მართებულად მიიჩნია დადასტურებულად ნ. ს-ის დაბადების სამოქალაქო აქტის ჩანაწერის რეგისტრაციისას დაშვე-

ბული შეცდომის არსებობა, რაც ქმნიდა შესაბამისი შესწორების შეტანის სათანადო საფუძველს. შესაბამისად, პალატამ მიიჩნია, რომ სახეზეა გასაჩივრებული სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს თბილისის სამოქალაქო რეესტრის სამსახურის 2018 წლის 22 ნოემბრის №... და სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2019 წლის 21 თებერვლის №... გადაწყვეტილებების ბათილად ცნობისა და მოპასუხე სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს თბილისის სამოქალაქო რეესტრის სამსახურისთვის ნ. ს-ის (ქორწინების შემდეგ – გ-ა, პ/ნ ...) დაბადების სააქტო ჩანაწერში შესწორების შეტანის და ბავშვის დაბადების თარიღად – „...ნ“ ნაცვლად „...ნ“ მითითების შესახებ ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალების საფუძველი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 22 თებერვლის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრეს სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ და სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს თბილისის სამოქალაქო რეესტრის სამსახურმა, რომლებმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვეს.

კასატორები დაუსაბუთებლად მიიჩნევენ სასამართლოს გადაწყვეტილებას, ვინაიდან საქმეზე არსებული ფაქტობრივი გარემოებები არასწორად იქნა შეფასებული კანონმდებლობასთან მიმართებით, რამაც გამოიწვია საქმეზე ქეშმარიტების დადგენა. სააგენტო და სააგენტოს თბილისის სამოქალაქო რეესტრის სამსახური გადაწყვეტილების მიღებისას მოქმედებდნენ კანონიერების პრინციპის დაცვით.

კასატორების განმარტებით, სამოქალაქო აქტების შესწორების საკითხი რეგულირებულია „სამოქალაქო აქტების შესახებ“ საქართველოს კანონით. აღნიშნული კანონის 76-82-ე მუხლებით დადგენილია სამოქალაქო აქტის ჩანაწერში ცვლილების, შესწორების ან/და დამატების შეტანის წესი, კერძოდ, 79-ე მუხლით დადგენილია სამოქალაქო აქტის ჩანაწერში შესწორების სამართლებრივი საფუძვლები. სამოქალაქო აქტის ჩანაწერში შესწორების შეტანის საფუძველია ერთ-ერთი შემდეგი გარემოების არსებობა: ა) სამოქალაქო აქტის ჩანაწერის რეგისტრაციისას დაშვებული შეცდომის აღმოჩენა; ბ) სასამართლოს გადაწყვეტილება სამოქალაქო აქტის ჩანაწერში მითითებული მონაცემის უზუსტობის დადგენის შესახებ; გ) უფლებამოსილი ორგანოს გადაწყვეტილება იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენის შესახებ. ამავე კანონის მე-3 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტით განმარტებულია თუ რას გულისხმობს

სამოქალაქო აქტის ჩანაწერში მონაცემების შესწორება. შესწორება სამოქალაქო აქტის ჩანაწერში არის სამოქალაქო აქტის ჩანაწერში არსებული არასწორი მონაცემის სწორი მონაცემით შეცვლა. ამდენად, აუცილებელია ადმინისტრაციული წარმოებისას დადასტურდეს 79-ე მუხლით დადგენილი რომელიმე ფაქტობრივი მოცემულობა, რათა სააგენტომ შეძლოს სამოქალაქო აქტის ჩანაწერში შესწორების შეტანა. შესაბამისად, ადმინისტრაციული წარმოებისას უნდა დადასტურებულიყო, რომ დაბადების თარიღი, რომლის შესწორებასაც ნ. გ-ა ითხოვდა, არასწორი იყო და იგი შეცდომით მიეთითა მის მიმართ რეგისტრირებულ დაბადების სამოქალაქო აქტის ჩანაწერში.

კასატორები აღნიშნავენ, რომ ნ. გ-ას დაბადების აქტის ჩანაწერის რეგისტრაციის მომენტისათვის მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, კერძოდ, 1970 წლის 18 ივნისის საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის საქორწინო და საოჯახო კოდექსის 168-ე მუხლის მიხედვით, ბავშვის დაბადების რეგისტრაცია მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერ ორგანოში ხდებოდა ბავშვის დაბადების ადგილის, მშობლის ან ერთ-ერთი მშობლის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, ხოლო „საქართველოს სს რესპუბლიკაში მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების რეგისტრაციის წესის შესახებ“ მოქმედი ინსტრუქციის მე-20 მუხლის თანახმად, დაბადების რეგისტრაციის დროს წარდგენილი უნდა იქნეს დაბადების ფაქტისა და დროის დამადასტურებელი ცნობა სამშობიარო სახლიდან (საავადმყოფოდან) და მშობელთა ქორწინების ან მამობის დადგენის მოწმობა. განსახილველ შემთხვევაში, ნ. ს-ის მიმართ ... წლის ... ..ის თბილისის .....ის რაიონის სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის განყოფილების მიერ დარეგისტრირდა №..... დაბადების აქტის ჩანაწერი, სამოქალაქო აქტის ჩანაწერის რეგისტრაციის მიზნით განმცხადებელია მამა – მ. ს-ი. დაბადების აქტის ჩანაწერის რეგისტრაციის საფუძველია – ... წლის ... ..ის მიერ გაცემული ცნობა, რომლის თანახმად, ნ. ს-ი დაიბადა ... წლის ... ..ს. მამა – მ. ს-ი, დედა – ლ. ა-ი. მშობლების მონაცემის მითითების საფუძველია მათ მიმართ ... წლის ... ..ს რეგისტრირებული ქორწინების №... აქტის ჩანაწერი. დაბადების აქტის ჩანაწერი რეგისტრირებულია მშობლების საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. ამდენად, კასატორების მოსაზრებით, ნ. ს-ის მიმართ დაბადების აქტის ჩანაწერი რეგისტრირებულია კანონის მოთხოვნათა სრული დაცვით.

ამასთან, ... წლის ... ..ს რეგისტრირებული №... დაბადების აქტის ჩანაწერის საფუძველად მითითებული ...ის მიერ ... წლის ... ..ს გაცემული ცნობის თარიღთან სააპელაციო სასამართლოს მიერ გაკეთებულ შეფასებასთან დაკავშირებით კასატორები განმარტავენ,

რომ დაბადების სამოქალაქო აქტის ჩანაწერში დაბადების თარიღი მიეთითა სამედიცინო ცნობის საფუძველზე. აღნიშნული აქტის ჩანაწერი რეგისტრირებულია როგორც მიმდინარე ჩანაწერი და არ არის როგორც დაგვიანებით რეგისტრირებული. თუ გავიზიარებთ სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას სამშობიარო ცნობის გაცემის თარიღის უმნიშვნელობაზე და ჩავთვლით, რომ გაცემული ცნობა გვიან ... წელს გაიცა, ხოლო დაბადების თარიღად ცნობაში ..... წელი ფიქსირდება, მაშინ №..... დაბადების აქტის ჩანაწერის აღდგენით რეგისტრაცია მოხდებოდა. შესაბამისად, აღნიშნული კუთხითაც წინააღმდეგობაშია სასამართლოს მსჯელობა აქტის ჩანაწერის რეგისტრაციის წესთან მიმართებით.

კასატორები განმცხადებლის მიერ წარმოდგენილ შპს „...ის“ 2018 წლის 24 მაისის ცნობასთან დაკავშირებით, რომლის მიხედვით, ლ. ა-მა (პ/ნ ...) ... წლის ... ..ს, საკეისრო კვეთით, ნამდვილად იმშობიარა ქალი, განმარტავენ, რომ მათ მიერ გაცემული ცნობა შედგენილი იყო ძველი საბუთისა და ლ. ა-ის ზეპირად გადმოცემული ინფორმაციის საფუძველზე.

კასატორები მნიშვნელოვნად მიიჩნევენ იმ გარემოებას, რომ სააგენტოს მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში იძებნება სხვა №..... დაბადების აქტის ჩანაწერი, რეგისტრირებული ... წლის ... ..ს, სადაც მშობლების იგივე მონაცემებია დაფიქსირებული. თუმცა, მითითებულ დაბადების აქტის ჩანაწერში განსაზღვრული არ არის ბავშვის სახელი და გვარი, ხოლო სქესის გრაფაში მითითებულია მამრობითი სქესი. ამავე აქტის ჩანაწერში ბავშვის დაბადების თარიღად განსაზღვრულია ... წლის ... ..ი. აღნიშნული ფაქტობრივი გარემოებები გამორიცხავს ნ. გ-ას (ქორწინებამდელი გვარი – ს-ი) ... წლის ... ..ს დაბადების ფაქტს. ამასთან, კასატორების მითითებით, აღნიშნულ დაბადების აქტის ჩანაწერში იდენტურია არამართო სახელი, გვარი და მამის სახელი, არამედ, მშობელთა წლოვანებები, ასევე აქტის ჩანაწერის მეორე გვერდზე დაფიქსირებული მშობლების პროფესიებიც.

მოწმეთა ჩვენებებთან დაკავშირებით კასატორები ყურადღებას ამახვილებენ, რომ მოწმეთა ჩვენებები არის ურთიერთგამომრიცხავი და ზოგადი მითითება მოწმეთა ჩვენებებზე კიდევ ერთხელ მიუთითებს მტკიცებულებების არასათანადო გამოკლევაზე.

რაც შეეხება ნ. გ-ას (ქორწინებამდე გვარით ს-ის) სახელზე გაცემულ დოკუმენტებს (პირადობას), რომელშიც მითითებული მონაცემის მიხედვით, იგი დაბადებულია ... წლის ... ..ს, კასატორები მიიჩნევენ, რომ აღნიშნული წარმოადგენს არასწორ მონაცემს, ვინაიდან პირის მიერ წარდგენილ დოკუმენტებსა ან/და სააგენტოს

მონაცემთა ბაზაში არსებულ მონაცემებს შორის სახელის ან/და გვარის, ასევე დაბადების თარიღის ან/და ადგილის შეუსაბამობისას, ნამდვილად მიიჩნევა დაბადების აქტის ჩანაწერში დაფიქსირებული შესაბამისი მონაცემი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 18 ივნისის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსა და სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს თბილისის სამოქალაქო რეესტრის სამსახურის საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 23 დეკემბერის განჩინებით სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსა და სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს თბილისის სამოქალაქო რეესტრის სამსახურის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად და საქმის განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრების გარეშე.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, მათი შესწავლისა და ანალიზის, გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთებულობისა და წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის მოტივების შემოწმების საფუძველზე მიიჩნევს, რომ სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსა და სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს თბილისის სამოქალაქო რეესტრის სამსახურის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 22 თებერვლის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს, შემდეგ გარემოებათა გამო:

განსახილველი დავის ფარგლებში მოსარჩელე სადავოდ ხდის დაბადების აქტის ჩანაწერში მისი დაბადების თარიღს და მიუთითებს, რომ იგი დაიბადა ... წელს, დაბადების შემდგომ ყველა საბუთი (პირადობის მოწმობა, პასპორტი, ქორწინების მოწმობა, ბავშვების დაბადების მოწმობები და სხვ.) აღებული ჰქონდა თავისი დაბადების თარიღით – ... წლით, მაგრამ პირადობის მოწმობის და პასპორტის გამოცვლის დროს სახელმწიფო სერვისების სააგენტომ აღმოაჩინა, რომ მისი დაბადების თარიღი იყო – ... წელი და არა ... წელი, რასაც არ ეთანხმება მოსარჩელე და წარმოდგენილი სარჩელით სადავოდ ხდის სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების

სააგენტოს თბილისის სამოქალაქო რეესტრის სამსახურის 2018 წლის 22 ნოემბრის №... გადაწყვეტილებისა და სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2019 წლის 21 თებერვლის №... გადაწყვეტილების კანონიერებას და სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსთვის ახალი აქტის გამოცემის დავალებას მოითხოვს, რომლითაც დადგინდება ნ. გ-ას დემოგრაფიული მონაცემები: ნ. ს-ი (ქორწინების შემდეგ გვარი – გ-ა) დაბადებული: ... წლის ... ..ს, პირადი №.... შესაბამისად, განსახილველი სამართალურთიერთობის შეფასებისას გადაწყვეტი მნიშვნელობა აქვს იმ გარემოების დადგენას, საქმეზე არსებული ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, არსებობს თუ არა ნ. ს-ის (ქორწინებით – გ-ა) დაბადების აქტის ჩანაწერში დაბადების თარიღის შესწორების საფუძველი.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს „სამოქალაქო აქტების შესახებ“ საქართველოს კანონზე, რომლის მე-2 მუხლის თანახმად, ეს კანონი განსაზღვრავს სამოქალაქო აქტების სახეებს, მათი რეგისტრაციის, სამოქალაქო აქტის ჩანაწერში ცვლილების, შესწორების, დამატების შეტანის, სამოქალაქო აქტის ხელახალი რეგისტრაციის, დაბადებისა და გარდაცვალების სამოქალაქო აქტების ჩანაწერების ბათილად ცნობის, დაბადებისა და გარდაცვალების რეგისტრაციის, აგრეთვე პირის გარკვეულ დროსა და ვითარებაში დაბადებისა და გარდაცვალების იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტების დადგენის, სამოქალაქო აქტის რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტის გაცემის ძირითად პირობებს და სამოქალაქო აქტების სფეროში უფლებამოსილ ორგანოებს. მითითებული კანონის მე-3 მუხლის „ა“ პუნქტის თანახმად, სამოქალაქო აქტი არის ამ კანონით გათვალისწინებული იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტი: დაბადება, მამობის დადგენა, შვილად აყვანა, ქორწინება, განქორწინება, სახელის ან/და გვარის შეცვლა, გარდაცვალება. ამავე მუხლის „ბ“ პუნქტის მიხედვით, სამოქალაქო აქტის ჩანაწერი არის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომელიც ადასტურებს ამ კანონით გათვალისწინებულ იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტს, ხოლო „გ“ პუნქტის შესაბამისად, შესწორება სამოქალაქო აქტის ჩანაწერში არის სამოქალაქო აქტის ჩანაწერში არსებული არასწორი მონაცემის სწორი მონაცემით შეცვლა. ამავე კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით კი, სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო, რომელიც თავის უფლებამოსილებებს ახორციელებს ტერიტორიული

სამსახურების მეშვეობით, ხოლო მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოს ერთ-ერთ უფლებამოსილებას წარმოადგენს დაბადების, მამობის დადგენის, შვილად აყვანის, ქორწინების, განქორწინების, სახელის ან/და გვარის შეცვლისა და გარდაცვალების რეგისტრაცია. ამავე კანონის მე-9 მუხლის თანახმად, პირის მიმართ რეგისტრირებულ სამოქალაქო აქტების ჩანაწერებში ან სამოქალაქო აქტის ჩანაწერსა და სამოქალაქო აქტის რეგისტრაციის მონუმბაში მითითებული მონაცემების შეუსაბამობის შემთხვევაში საწინააღმდეგოს დადგენამდე ნამდვილად მიიჩნევა დაბადების სამოქალაქო აქტის ჩანაწერში მითითებული მონაცემები. აღნიშნული კანონის IX თავი არეგულირებს სამოქალაქო აქტის ჩანაწერში ცვლილების, შესწორების ან/და დამატების შეტანის წესსა და საფუძვლებს, რომლის 76-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სამოქალაქო აქტის ჩანაწერში ცვლილების, შესწორების ან/და დამატების შეტანის საფუძველია უფლებამოსილი პირის განცხადება და ამ კანონის 78-ე-80-ე მუხლებით გათვალისწინებული შესაბამისი გარემოების არსებობა; ხოლო იმ შემთხვევათა ჩამონათვალს, თუ რა შეიძლება გახდეს სამოქალაქო აქტის ჩანაწერში შესწორების შეტანის საფუძველი, განსაზღვრავს ამავე კანონის 79-ე მუხლი, რომლის მიხედვით, სამოქალაქო აქტის ჩანაწერში შესწორების შეტანის საფუძველია ერთ-ერთი შემდეგი გარემოების არსებობა: ა) სამოქალაქო აქტის ჩანაწერის რეგისტრაციისას დაშვებული შეცდომის აღმოჩენა; ბ) სასამართლოს გადაწყვეტილება სამოქალაქო აქტის ჩანაწერში მითითებული მონაცემის უზუსტობის დადგენის შესახებ; გ) უფლებამოსილი ორგანოს გადაწყვეტილება იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენის შესახებ.

განსახილველ შემთხვევაში დადგენილია, რომ ლ. ა-მა 2018 წლის 24 მაისს განცხადებით მიმართა სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს თბილისის სამოქალაქო რეესტრის სამსახურს თავისი მარწმუნებლის – ნ. ს-ის (ქორწინების შემდეგ – გ-ა, პ/ნ ...) დაბადების სააქტო ჩანაწერში ბავშვის დაბადების თარიღის – „...ნ“ თარიღით – „...ნ“ შესწორების მოთხოვნით. სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს თბილისის სამოქალაქო რეესტრის სამსახურის 2018 წლის 22 ნოემბრის №... გადაწყვეტილებით ლ. ა-ის 2018 წლის 24 მაისის განცხადება ნ. გ-ას დაბადების თარიღის შესწორების თაობაზე არ დაკმაყოფილდა იმ საფუძველით, რომ „სამოქალაქო აქტების შესახებ“ კანონის 79-ე მუხლის „ა“ პუნქტის თანახმად, სამოქალაქო აქტის ჩანაწერში შესწორების შეტანის ერთ-ერთ საფუძველს წარმოადგენდა სამოქალაქო აქტის ჩანაწერის რეგისტრაციისას დაშვებული შეცდომის აღმოჩენა; ამავე



კანონის მე-3 მუხლის „ვ“ პუნქტის თანახმად, შესწორება სამოქალაქო აქტის ჩანაწერში ნიშნავს სამოქალაქო აქტის ჩანაწერში არსებული არასწორი მონაცემის შეცვლას სწორი მონაცემით. მოკვლეული გარემოებებით კი ვერ დადგინდა ნ. ს-ის დაბადების აქტის ჩანაწერში მონაცემის არასწორად მითითების ფაქტი.

ნ. გ-ას (ს-ის) წარმომადგენელმა ლ. ა-მა 2018 წლის 21 დეკემბერს №... ადმინისტრაციული საჩივრით მიმართა სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს და მოითხოვა თბილისის სამოქალაქო რეესტრის სამსახურის 2018 წლის 22 ნოემბრის სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს №... გადაწყვეტილების ბათილად ცნობა და ნ. გ-ას დაბადების თარიღის შესწორების თაობაზე ახალი გადაწყვეტილების მიღება. სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2019 წლის 21 თებერვლის №... გადაწყვეტილებით არ დაკმაყოფილდა ნ. გ-ას (ს-ის) წარმომადგენელის ლ. ა-ის 2018 წლის 21 დეკემბრის №... ადმინისტრაციული საჩივარი და ძალაში დარჩა სააგენტოს თბილისის სამოქალაქო რეესტრის სამსახურის 2018 წლის 22 ნოემბრის №... გადაწყვეტილება.

საკასაციო სასამართლოს მითითებით, თბილისის ...ის განყოფილების მიერ ... წლის ... ..ს რეგისტრირებულია №..... დაბადების აქტის ჩანაწერი, რომელშიც მითითებულია შემდეგი მონაცემები: სახელი – ნ., გვარი – ს-ი, დაბადების თარიღი გადასწორების გარეშე – ... წლის ... ..ი; მშობლები: მამა – ს-ი მ., დაბ. ...წ.; დედა – ა-ი ლ., დაბ. ...წ. დაბადების აქტი რეგისტრირებულია მამის – მ. ს-ის განცხადების საფუძველზე და ფიქსირდება მისი ხელმოწერა. დაბადების აქტის ჩანაწერზე გრაფაში – „ბავშვის დაბადების ფაქტის დამადასტურებელი საბუთები“ – დაფიქსირებულია ... წლის ... ..ს გაცემული .....ის ცნობა.

ნ. ს-ის სახელზე 2000 წლის 22 ივნისს, დაბადების მოწმობის ამონაწერის (აქტი №..., 17.06.2000წ. გაცემული ქალაქის .....ის არქივის მიერ) საფუძველზე, ისანი-სამგორის შს განყოფილების მიერ გაიცა პირადობის მოწმობა ... მონაცემებით: ნ. ს-ი, დაბადების თარიღი – ...წ., იდენტური დაბადების თარიღით, ასევე, გაცემულია შემდეგი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტები: 2008 წლის 28 მარტს პირადობის მოწმობა ..., 2008 წლის 14 აპრილს საქართველოს მოქალაქის პასპორტი ....

თბილისის ქორწინების სასახლემ 2005 წლის 3 სექტემბერს დაარეგისტრირა მნ №..... ქორწინების აქტის ჩანაწერი, რომელშიც მითითებულია საცოლის შემდეგი მონაცემები: სახელი – ნ., გვარი – ს-ი, ქორწინების შემდგომი გვარი – გ-ა, დაბადების თარიღი – ... წლის ... ..ი. ქორწინების აქტი შეწყვეტილია 2016 წლის 22 აგვის-

ტოს №... განქორწინების აქტის ჩანაწერის საფუძველზე. აღნიშნულ განქორწინების აქტის ჩანაწერში მითითებულია ქალის განქორწინების შემდეგი გვარი – გ-ა.

სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში იძებნება სხვა №..... დაბადების აქტის ჩანაწერი, რეგისტრირებული ... წლის ... ..ს, რომელშიც მითითებულია შემდეგი მონაცემები: ბავშვი დაიბადა მკვდრად ... წლოს ... ..ს; სქესი – მამრ., მშობლები: მამა – ს-ი მ.; დედა – ა-ი ლ.. დაბადების აქტის ჩანაწერზე გრაფაში – „ბავშვის დაბადების ფაქტის დამადასტურებელი საბუთები“ მითითებულია ....

შპს „...ის“ 2018 წლის 24 მაისის ცნობის თანახმად, ლ. ა-მა ... წლის ... ..ს, საკეისრო კვეთით, ნამდვილად იმშობიარა ქალი. ამავე სამშობიარო სახლის მიერ 2018 წლის 17 აგვისტოს №02 წერილით დგინდება, რომ მათ მიერ გაცემული ცნობა შედგენილი იყო ძველი საბუთისა და ლ. ა-ის ზეპირად გადმოცემული ინფორმაციით. კლინიკამ ამავე წერილით სააგენტოს აცნობა, რომ შპს „...ი“ არ ფუნქციონირებს 2011 წლიდან, წილის მფლობელია შპს „პ...“. აღნიშნულის გათვალისწინებით, სააგენტომ შპს „...იდან“ გამოითხოვა ინფორმაცია ლ. ა-ის მშობიარობისა და ჯ. ჭ-ის .....ში მეან-გინეკოლოგად მუშაობის თაობაზე, ასევე – ინფორმაცია შპს „პ...-დან“ ლ. ა-ის მშობიარობისა და ...ის მასალის თაობაზე. შპს „პ...“-ის 2019 წლის 18 თებერვლის წერილის თანახმად, შპს „პ...“-ს სამედიცინო დოკუმენტაცია და სხვა საარქივო მასალა შპს „...ის“ მიერ არ გადასცემია. შესაბამისად, შპს „პ...“ არ ფლობდა ინფორმაციას ლ. ა-ის ... და ... წლებში მშობიარობის შესახებ, ასევე, ინფორმაციას – ირიცხებოდა თუ არა ჯ. ჭ-ი ... წელს თანამშრომლად; არც შპს „...ი“ ფლობდა აღნიშნულ ინფორმაციას, მასალის არქონის გამო.

სს „...ის“ 2019 წლის 28 იანვრის №34 წერილის თანახმად, სს „...ის“ არქივში დაცულ დოკუმენტაციაში ინფორმაცია ლ. ა-ის ..., ... და ... წლებში მშობიარობის შესახებ არ მოიძებნა.

საქართველოს ეროვნული არქივის თბილისის ცენტრალური არქივის 2019 წლის 29 იანვრის №14/10740 წერილის თანახმად, ...ის (...ას) დოკუმენტები თბილისის ცენტრალურ არქივში არ არის დაცული. ასევე, საქართველოს ეროვნული არქივის თბილისის ცენტრალური არქივის 2019 წლის 17 იანვრის №14/5808 წერილით დგინდება, რომ საქართველოს ...ის დოკუმენტები თბილისის ცენტრალურ არქივში არ არის დაცული, რის გამოც ინფორმაცია აღნიშნულ სამშობიარო სახლებში ლ. ა-ის მშობიარობის შესახებ ვერ იქნა მოძიებული.

ლ. კ-მა (პ/ნ ...), მ. რ-მა (პ/ნ ...), ლ. კ-ემ (პ/ნ ...), ჯ. ჭ-მა (პ/ნ ...; მეან-გინეკოლოგი), მ. ს-მა (პ/ნ ...) დაადასტურეს, რომ ლ. ა-ს ... წლის

...ში შეეძინა ქალიშვილი.

სადავო დასკვნის გამოტანისას კასატორები – სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო და სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს თბილისის სამოქალაქო რეესტრის სამსახური ძირითადად მიუთითებენ იმ გარემოებზე, რომ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში იძებნება სხვა №..... დაბადების აქტის ჩანაწერი, რეგისტრირებული ... წლის ... ...ს, სადაც იმავე მშობლების მონაცემია დაფიქსირებული, რაც ... წლის ... ...ს რეგისტრირებულ №... დაბადების აქტის ჩანაწერში. №... დაბადების აქტის ჩანაწერში მითითებული დაბადების თარიღი (...წ.) კი გამორიცხავს ნ. გ-ას (ქორწინებამდელი გვარი – ს-ი) ... წლის ... ...ს დაბადების ფაქტს.

ამასთან, კასატორები აღნიშნავენ, რომ ნ. გ-ას დაბადების აქტის ჩანაწერის რეგისტრაციის მომენტისათვის მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, კერძოდ, 1970 წლის 18 ივნისის საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის საქორწინო-საოჯახო კოდექსის 168-ე მუხლის მიხედვით, ბავშვის დაბადების რეგისტრაცია მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერ ორგანოში ხდებოდა ბავშვის დაბადების ადგილის, მშობლის ან ერთ-ერთი მშობლის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, ხოლო „საქართველოს სს რესპუბლიკაში მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების რეგისტრაციის წესის შესახებ“ მოქმედი ინსტრუქციის მე-20 მუხლის თანახმად, დაბადების რეგისტრაციის დროს წარდგენილი უნდა იქნეს დაბადების ფაქტისა და დროის დამადასტურებელი ცნობა სამშობიარო სახლიდან (სავადმყოფოდან) და მშობელთა ქორწინების ან მამობის დადგენის მოწმობა. განსახილველ შემთხვევაში, ნ. ს-ის მიმართ ... წლის ... ...ს თბილისის ...ის რაიონის სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის განყოფილების მიერ დარეგისტრირდა №..... დაბადების აქტის ჩანაწერი, სამოქალაქო აქტის ჩანაწერის რეგისტრაციის მიზნით განმცხადებელია მამა – მ. ს-ი. დაბადების აქტის ჩანაწერის რეგისტრაციის საფუძველია – ... წლის ... ...ს .....ის მიერ გაცემული ცნობა, რომლის თანახმად, ნ. ს-ი დაიბადა ... წლის ... ...ს. მამა – მ. ს-ი, დედა – ლ. ა-ი. მშობლების მონაცემის მითითების საფუძველია მათ მიმართ ... წლის ... ...ს რეგისტრირებული ქორწინების №... აქტის ჩანაწერი. დაბადების აქტის ჩანაწერი რეგისტრირებულია მშობლების საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. ამდენად, კასატორების მოსაზრებით, ნ. ს-ის მიმართ დაბადების აქტის ჩანაწერი რეგისტრირებულია კანონის მოთხოვნათა სრული დაცვით.

თავის მხრივ, ქვედა ინსტანციის სასამართლოების დასკვნა ნ. ს-ის (ქორწინების შემდეგ – გ-ა, პ/ნ ...) დაბადების სააქტო ჩანა-

წერში შესწორების შეტანის თაობაზე უმეტესად ეფუძნება მოწმეთა ჩვენებებს.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ სამოქალაქო აქტის ჩანაწერი ადასტურებს, აფიქსირებს იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგომას/არსებობას, შესაბამისად, ჩანაწერში უნდა აისახოს სწორედ კონკრეტული ფაქტის შესახებ რეალური მონაცემები. სააქტო ჩანაწერის სისწორე გულისხმობს იმის დადგენასა და შეფასებას, რამდენად აისახა მასში რეალური, ფაქტობრივი მდგომარეობა. დაბადების სააქტო ჩანაწერის მონაცემები უნდა დადგინდეს საქმის ყოველმხრივი, პირის მიმართ გაცემული დოკუმენტაციისა და არსებული ინფორმაციის სრულად გამოკვლევის, შესწავლისა და შეფასების შედეგად. აღნიშნულის საწინააღმდეგოდ, განსახილველ საქმეზე არსებული გარემოებების გათვალისწინებით, დაუსაბუთებელია ქვედა ინსტანციის სასამართლოების გადაწყვეტილება მოსარჩელის მოთხოვნის დაკმაყოფილების შესახებ. სასამართლოს დასკვნები ემყარება გამოუკვლეველ და შეუფასებელ მტკიცებულებებს, გადაწყვეტილების მიღებისას სათანადოდ არ არის დადგენილი საქმის გადაწყვეტისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები. მოსარჩელის მითითება რეალური დაბადების თარიღისა და სადავო სააქტო ჩანაწერში მითითებული თარიღის შეუსაბამობის შესახებ უნდა დადასტურდეს სათანადო მტკიცებულებებით.

საკასაციო პალატა მიუთითებს ნ. გ-ას დაბადების აქტის რეგისტრაციის დროს მოქმედი საქართველოს მინისტრთა საბჭოს 1971 წლის 9 მარტის №133 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს სს რესპუბლიკაში მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების რეგისტრაციის წესის შესახებ“ ინსტრუქციის მე-18 მუხლზე, რომლის მიხედვით, განცხადება ბავშვის დაბადების შესახებ შეტანილი უნდა ყოფილიყო ბავშვის დაბადებიდან არაუგვიანეს ერთი თვის ვადაში, ხოლო ამავე ინსტრუქციის მე-20 მუხლის მიხედვით, დაბადების რეგისტრაციის დროს წარსადგენი საბუთები იყო ბავშვის დაბადების ფაქტისა და დროის დამადასტურებელი ცნობა სამშობიარო სახლიდან (სავადმყოფოდან), მშობლების პირადობისა და ქორწინების მოწმობები.

ამდენად, დაბადების სააქტო ჩანაწერი გაიცემოდა სამშობიარო ცნობის საფუძველზე. განსახილველ შემთხვევაში, სადავო თბილისის ...ის განყოფილების მიერ ... წლის ... ის რეგისტრირებულ №... დაბადების აქტის ჩანაწერზე გრაფაში – „ბავშვის დაბადების ფაქტის დამადასტურებელი საბუთები“ – დაფიქსირებულია ... წლის ... ის გაცემული ...ის ცნობა.

საქმის მასალებით დასტურდება, რომ ადმინისტრაციული წარ-

მოგების ფარგლებში ადმინისტრაციული ორგანოს მიერ სამედიცინო დაწესებულებებიდან და ეროვნული არქივიდან ნ. ს-ის (ქორწინებით – გ-ას) საქმესთან დაკავშირებით გამოთხოვილ იქნა ინფორმაცია, თუმცა ამ დაწესებულებებში შესაბამისი ინფორმაცია დაცული არ აღმოჩნდა. შესაბამისად, დაუსაბუთებელია სასამართლოების დასკვნა მოსარჩელის ... ნელს დაბადების ფაქტის დადასტურების თაობაზე, იმ პირობებში, როდესაც მოწმეთა ჩვენებების გარდა საქმეში არსებული არცერთი მტკიცებულება არ შეიცავს ინფორმაციას ნ. ს-ის ... ნელს დაბადების თაობაზე. საქმეში არ არის წარმოდგენილი სამშობიარო ცნობა, რომელიც დაადასტურებდა ნ. ს-ის ... ნელს დაბადების ფაქტს, დაბადების სააქტო ჩანაწერი კი გაიცემოდა სწორედ სამშობიარო ცნობის საფუძველზე. ამასთან, მართალია, ასევე ვერ იქნა მოძიებული თბილისის ...ის განყოფილების მიერ ... წლის ... ...ს რეგისტრირებულ №... დაბადების აქტის ჩანაწერში მითითებული ... წლის ... ...ს გაცემული .....ის ცნობა, თუმცა, ვერც მისი უსწორობის დამადასტურებელი სათანადო მტკიცებულებები იქნა საქმეზე წარმოდგენილი. სადავო საკითხის გადანაცვებისას სააპელაციო სასამართლოს მხრიდან ასევე სათანადო შეფასება არ მიეცა იმ გარემოებას, რომ თბილისის ...ის განყოფილების მიერ ... წლის ... ...ს რეგისტრირებული №... სადავო დაბადების აქტის ჩანაწერში მშობლების მონაცემის მითითების საფუძველია მათ მიმართ ... წლის ... ...ს რეგისტრირებული ქორწინების №... აქტის ჩანაწერი.

საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, განსახილველ შემთხვევაში საქმეზე არსებული გარემოებები საკმარისი არ იყო იმის დასადასტურებლად, რომ მოსარჩელის სადავო სააქტო ჩანაწერი დაბადების თარიღის თაობაზე შეიცავს არასწორ ინფორმაციას. აღნიშნული საკითხის დადასტურება სათანადო მტკიცებულებებით ვერ იქნა უზრუნველყოფილი, მით უფრო იმ პირობებში, როდესაც სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში იძებნება სხვა №... დაბადების აქტის ჩანაწერი, რეგისტრირებული ... წლის ... ...ს, რომელშიც მითითებულია შემდეგი მონაცემები: ბავშვი დაიბადა მკვდრად ... წლის ... ...ს; სქესი – მამრ., მშობლები: მამა – ს-ი მ.; დედა – ა-ი ლ.. დაბადების აქტის ჩანაწერზე გრაფაში – „ბავშვის დაბადების ფაქტის დამადასტურებელი საბუთები“ მითითებულია ...ი. აღნიშნულ დაბადების აქტის ჩანაწერთან დაკავშირებით კასატორები მიუთითებენ იმ გარემოებაზე, რომ ჩანაწერში იდენტურია არამარტო სახელი, გვარი და მამის სახელი, არამედ, მშობელთა წლოვანებები, ასევე – აქტის ჩანაწერის მეორე გვერდზე დაფიქსირებული მშობლების პროფესიებიც. აღნიშნული კი, კასატორთა მტკიცებით, გამორიცხავს ნ.

გ-ას (ქორწინებამდელი გვარი – ს-ი) ... წლის ... .. დაბადების ფაქტს.

რაც შეეხება ნ. გ-ას სახელზე გაცემულ ოფიციალურ დოკუმენტებში დაფიქსირებულ დაბადების თარიღს – ... წელს, საკასაციო სასამართლო მიუთითებს „სამოქალაქო აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლზე, რომლის თანახმად, პირის მიმართ რეგისტრირებულ სამოქალაქო აქტების ჩანაწერებში ან სამოქალაქო აქტის ჩანაწერსა და სამოქალაქო აქტის რეგისტრაციის მოწმობაში მითითებული მონაცემების შეუსაბამობის შემთხვევაში საწინააღმდეგოს დადგენამდე ნამდვილად მიიჩნევა დაბადების სამოქალაქო აქტის ჩანაწერში მითითებული მონაცემები. განსახილველ შემთხვევაში კი საქმეზე დადგენილი გარემოებები არ არის საკმარისი იმის გამოსარიცხად, რომ ნ. ს-ი დაიბადა ..... წელს.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საკასაციო სასამართლოში საქმის წარმოების დროს, სასამართლო მოკლებულია ახალი მტკიცებულებების მოპოვების შესაძლებლობას, იგი არ წარმოადგენს საქმის ფაქტობრივი გარემოებების დამდგენ სასამართლოს. საპროცესო კანონმდებლობა არ ითვალისწინებს საკასაციო სასამართლოში ახალი ფაქტობრივი გარემოებების დადგენის და მტკიცებულებების მიღების შესაძლებლობას, რის გამოც მოცემულ შემთხვევაში იქმნება საქმის სააპელაციო სასამართლოში დაბრუნების პროცესუალური საჭიროება, რა დროსაც სააპელაციო სასამართლომ საქმეზე არსებული ინფორმაციისა და გარემოებების ერთობლიობაში დამუშავების შემდგომ უნდა მიიღოს სათანადო გადაწყვეტილება. სააპელაციო სასამართლო პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერებასა და დასაბუთებულობას ამოწმებს როგორც ფაქტობრივი, ისე სამართლებრივი თვალსაზრისით, ანუ საქმეს განიხილავს, როგორც ფაქტობრივი გარემოებების დადგენის, ისე მათი სამართლებრივი შეფასების კუთხით. სააპელაციო სასამართლოს უფლება აქვს დაადგინოს ახალი ფაქტები, ხოლო საქმის მონაწილე პირებს უფლება აქვთ პირველ ინსტანციაში უკვე განხილულთან ერთად სააპელაციო სასამართლოში წარადგინონ ახალი მტკიცებულებები. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლო, საკასაციო ინსტანციის სასამართლოსგან განსხვავებით, შებოჭილი არ არის პროცესუალური შესაძლებლობით, საქმეზე დაადგინოს ფაქტობრივი გარემოებები, გამოითხოვოს და შეაფასოს მტკიცებულებები. თუ დავის გადაწყვეტისას სასამართლო საჭიროდ მიიჩნევს გარკვეული ფაქტობრივი გარემოებების გამოკვლევას ან დადგენას, შესაძლებლობა აქვს ისარგებლოს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-4 და მე-19 მუხლებით მინიჭებული საპროცესო კომპეტენციით და თავად მოიპოვოს მტკიცებულებები.

საკასაციო პალატა მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტზე, რომლის თანახმად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ საქმის გარემოებები საპროცესო ნორმების ისეთი დარღვევითაა დადგენილი, რომ ამ დარღვევების შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი და საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსა და სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს თბილისის სამოქალაქო რეესტრის სამსახურის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 22 თებერვლის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსა და სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს თბილისის სამოქალაქო რეესტრის სამსახურის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 22 თებერვლის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;

3. სასამართლო ხარჯების განაწილების საკითხი გადაწყდეს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას;

4. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**პროექტთან დაკავშირებით შემფასებელი კომისიის  
მიერ მიღებული გადაწყვეტილების კანონიერება**

**გადაწყვეტილება  
საქართველოს სახელით**

№ბს-10(კ-22)

12 სექტემბერი, 2022 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: გ. მაკარიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ქ. ცინცაძე,  
თ. ოქროპირიძე**

**დავის საგანი:** ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამარ-  
თლებრივი აქტის ბათილად ცნობა, ახალი ინდივიდუალური ადმი-  
ნისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დაევალება

**აღწერილობითი ნაწილი:**

1. 2018 წლის 30 ოქტომბერს ნ. ქ-მა სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხე – სსიპ შოთა რუსთაველის საქარ-თველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიმართ.

მოსარჩელემ მოითხოვა: ა) ბათილად იქნეს ცნობილი სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გა-მოყენებითი კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტე-ბის 2018 წლის საგრანტო კონკურსის პირველ ეტაპზე პროექტე-ბის კონცეფციის შემფასებელი კომისიის 2018 წლის 26 სექტემ-ბრის გადაწყვეტილება – სხდომის ოქმი №1 – ნ. ქ-ის პროექტის უარყოფის ნაწილში; ბ) დაევალოს სსიპ შოთა რუსთაველის საქარ-თველოს ეროვნულ სამეცნიერო ფონდს, 2018 წლის საგრანტო კონ-კურსის პირველ ეტაპზე პროექტების კონცეფციის შემფასებელი კომისიის მეშვეობით, უზრუნველყოს კომისიაზე ნ. ქ-ის უშუალო მონაწილეობით „...“ „...“ „...“ ნ. ქ-ის პროექტის საფუძვლიანი განხილ-ვა და დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღება (იხ. 21.12.2018წ. დაზუსტებული სასარჩელო მოთხოვნა).

სარჩელის თანახმად, სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ 2018 წლის 13 ივლისს გა-მოცხადდა გამოყენებითი კვლევებისათვის სახელმწიფო სამეც-ნიერო გრანტების 2018 წლის საგრანტო კონკურსი და დამტკიცდა კონკურსის პირველ ეტაპზე პროექტების კონცეფციის შემფასე-ბელი კომისია. 2018 წლის 12 ოქტომბერს ნ. ქ-მა გამოცხადებულ



კონკურსში მონაწილეობის მისაღებად სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნულ სამეცნიერო ფონდში წარადგინა განაცხადი საპროექტო სახელწოდებით „... „...“ ...“. კონკურსის მე-2 ეტაპზე ნ. ქ-ის პროექტი ვერ გადავიდა, ხოლო მოსარჩელის წერილზე განემარტათ მის პროექტზე გაკეთებული შეფასებების საფუძვლიანობის თაობაზე, 2018 წლის 19 ოქტომბერს მომზადდა სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის პასუხი, რომლის თანახმად საქართველოს მთავრობის 2011 წლის 16 თებერვლის №85 დადგენილებით დამტკიცებული „გამოყენებითი კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების შესახებ“ დებულების მე-3 მუხლის თანახმად, ფონდი უზრუნველყოფს პროექტების შეფასებისათვის აუცილებელი პროცედურების ადმინისტრირებას, რომ ამავე დებულების მე-9 მუხლის თანახმად, პროექტების შეფასება ხორციელდება სამ ეტაპად, რომ პირველ ეტაპზე დამოუკიდებელ ექსპერტთა მიერ პროექტის კონცეფციის განხილვისას თითოეული კრიტერიუმის შეფასება ხორციელდება თვისებრივად, იწერება „კი“ „არა“, რომ კომისია შეფასებას ახორციელებს დამოუკიდებლად, მიუკერძოებლად, საკუთარი ცოდნისა და შეხედულებების შესაბამისად და ფონდი შეფასების პროცესში არ ერევა. ფონდის 2018 წლის 19 ოქტომბრის პასუხთან ერთად ნ. ქ-ს გაეგზავნა სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – „საქპატენტის“ ანგარიში.

სარჩელის თანახმად, კომისიის წევრებს ნ. ქ-ის პროექტი საერთოდ არ წაუკითხავთ, რაც დასტურდება თავად კომისიის სხდომის ოქმით და ფონდის მიერ ნ. ქ-ისთვის გადაცემული ცხრილით, რომლის ორ გრაფაში – იდეის პატენტუნარიანობის და კომერციალიზაციის პოტენციალის ნაწილში ჩაწერილია ორი „არა“. ფონდის კომისიის სხდომის ოქმის ამონაწერი ადასტურებს, რომ რაიმე საფუძვლიან განხილვას ადგილი არ ჰქონია. შესაბამისად, სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნულ სამეცნიერო ფონდს ნ. ქ-თან დაკავშირებით რაიმე დასაბუთებული გადაწყვეტილება არ მიუღია. სადავო 2018 წლის 19 ოქტომბრის წერილში არ არის ნ. ქ-ის პროექტის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების რაიმე არსებითი დასაბუთება, მასში ციტირებულია მხოლოდ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 16 თებერვლის №85 დადგენილებით დამტკიცებული „გამოყენებითი კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების შესახებ“ დებულების დანართი №2-ში მოცემული აღნიშვნა, რომ „თითოეული კრიტერიუმის შეფასება ხორციელდება თვისებრივად, იწერება „კი“ „არა“, რომ „პროექტის კონცეფციის მეორე ეტაპზე გადასვლისთვის აუცილებელია ორივე კრიტერიუმში პრო-

ექტის კონცეფციამ მიიღოს დადებითი შეფასება“. ანუ ფონდი აქცენტს აკეთებს ტერმინ „თვისებრივად“-ზე როგორც ზედაპირულ შეფასებაზე, მაშინ როცა თავად ეს სიტყვა რისიმე სიღრმისეულ შესწავლას გულისხმობს, რაც ფონდის კომისიას არც კი გაუკეთებია. საქართველოს მთავრობის დასახელებული დადგენილების საფუძველზე, კომისიის გადანყვეტილების თანახმად, ნ. ქ-ის პროექტმა უარყოფითი შეფასება დაიმსახურა ორი გადამწყვეტი კრიტერიუმის ფარგლებში: იგი არ არის ინოვაციური და პატენტუნარიანი და მას არ გააჩნია კომერციალიზაციის პოტენციალი. აღნიშნულზე მითითება გაკეთებული აქვს თავად პროექტის ავტორს ფონდში 2018 წლის 12 ოქტომბერს წარდგენილ განცხადებაში. საქართველოს მთავრობის 2011 წლის 16 თებერვლის №85 დადგენილებით დამტკიცებული „გამოყენებითი კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების შესახებ“ დებულების მე-5 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მნიშვნელოვანია კომერციალიზაციის პოტენციალის მქონე პროექტების გამოვლენა და კვლევის შედეგად სამრეწველო ნიმუშის/პროტოტიპის სახით ახალი/გაუმჯობესებული პროგრამული უზრუნველყოფის, მასალების, სამკურნალო საშუალების, მოწყობილობის, კონსტრუქციისა და ა. შ. შექმნა და შესაბამისი ტექნოლოგიის შემუშავება/სრულყოფა, ხოლო მე-2 პუნქტის თანახმად, ყველა პროექტი შეფასდება იდეის პოტენციური პატენტუნარიანობის მიხედვით და მხოლოდ დადებითი პერსპექტივის მქონე პროექტები გადავა შეფასების მეორე ეტაპზე. ნ. ქ-ის პროექტი ჯდება აღნიშნულ ნორმატიულ დანაწესში, რამდენადაც გრანტის მიღების შემთხვევაში მოხდება დანადგარის გაუმჯობესება და არსებითად გაიზრდება მისი კომერციალიზაციის პოტენციალი. ის საფუძვლიანი ეჭვი და ვარაუდი, რომ ფონდის კომისიის წევრებს ნ. ქ-ის პროექტი არ წაუკითხავთ და არ შეუსწავლიათ, დასტურდება იმითაც, რომ სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრში – „საქპატენტში“ გამოგონებაზე ანუ სიახლეზე პატენტის მისაღებად ნ. ქ-ს განაცხადი შეტანილი ჰქონდა 2016 წლის 21 სექტემბერს, რაზეც 2017 წლის 1 სექტემბერს „საქპატენტის“ მიერ გაცემულ იქნა ბრძანება №... „ნ. ქ-ის, ნ. ქ-ის სახელზე გამოგონების პატენტის გაცემის შესახებ“ და გაიცა პატენტი №..., რაც პროექტთან ერთად კანონმდებლობის მოთხოვნისამებრ წარდგენილი იყო სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნულ სამეცნიერო ფონდში, ანუ ფონდის კომისიას პროექტის განხილვის ეტაპზე ხელთ ჰქონდა უფლებამოსილი სახელმწიფო დაწესებულების გადამწყვეტილება და აღიარება, რომ ნ. ქ-ის გამოგონება იყო სიახლე, ნოვაცია და შესაბამისად, პატენტუნარიანი. აღნიშნული მტკიცებულება ფონდის კომი-

სიის მიერ იქნა უარყოფილი და გაკეთდა აღნიშვნა პროექტის – გამოგონების პატენტუნარიანობაზე. როგორც ჩანს, ეთქვა რა პროექტს უარი არაპატენტუნარიანობის მოტივით, ფონდის კომისიამ ავტომატურ რეჟიმში ასევე უარყო გამოგონების კომერციალიზაციის პერსპექტივა. აქაც იკვეთება ფონდის კომისიის ზედაპირული დამოკიდებულება და საფუძვლიანი ეჭვი, რომ პირველეთაპგადალახული პროექტები თავიდანვე, წინასწარი განზრახვით თუ სხვაგვარი მოტივით იყვნენ „განწირული“ წარმატებისთვის, ხოლო სხვა პროექტების, მათ შორის ნ. ქ-ის პროექტის ბედი მისი ფონდში წარდგენამდე იყო გადაწყვეტილი. საპროექტო განაცხადის კონცეფციის შესავალშივე აქცენტი გაკეთებულია მის კომერციულ დაწინაშეულებაზე და პერსპექტივაზე, რამდენადაც დანადგარის დაწინაშეულება არის აღმოჩენილი ტექნოლოგიით სათბობად განახლებადი ბიომასის და ადგილობრივი წვრილფრაქციული მყარი სათბობის გამოყენება, რაც ხელს შეუწყობს წარჩენი ბიომასისგან ტერიტორიების განტვირთვას, გათბობისთვის ხე-ტყის ეკონომიას და ტყის გაჩეხვის შემცირებას, ასევე შეამცირებს სათბური გაზების გარემოში გამოყოფას, ანუ ერთ-ერთ მიზნად გარემოს დაბინძურებისაგან დაცვაც და გარემოზე ზრუნვაც მოიაზრება. შესაბამისად, ახალი დანადგარის ფართოდ გავრცელება და რეალიზაცია ერთმნიშვნელოვნად მის კომერციულ სარგებლობას ნიშნავს და არა პირიქით, როგორც ეს ფონდის კომისიის მიერ „არა“-ს აღნიშვნით გაკეთდა. აღნიშნულიდან გამომდინარე, ნ. ქ-ის პროექტი მეორე ეტაპზე გადასასვლელად აკმაყოფილებდა ორივე დადგენილ კრიტერიუმს – პატენტუნარიანობას და კომერციულ ღირებულებას.

2. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 28 თებერვლის გადაწყვეტილებით ნ. ქ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; სადავო საკითხის გადაწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გამოყენებითი კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების 2018 წლის საგრანტო კონკურსის პირველ ეტაპზე პროექტების კონცეფციის შემფასებელი კომისიის 2018 წლის 26 სექტემბრის გადაწყვეტილება – სხდომის ოქმი №1 – ნ. ქ-ის პროექტის უარყოფის ნაწილში და დაევალა მოპასუხეს საქმის გარემოებათა გამოკვლევისა და ურთიერთშეჯერების შემდეგ, სადავო საკითხთან დაკავშირებით ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა.

3. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 28 თებერვლის გადაწყვეტილება სარ-

ჩელის დაკმაყოფილების ნაწილში სააპელაციო წესით გაასაჩივრა სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნულმა სამეცნიერო ფონდმა, რომელმაც გასაჩივრებულ ნაწილში გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე სრულად უარის თქმა მოითხოვა.

4. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 12 ოქტომბრის განჩინებით აპელანტის სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 28 თებერვლის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ მოცემული დავის ფარგლებში სასამართლოს შეფასების საგანს წარმოადგენდა სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გამოყენებითი კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების 2018 წლის საგრანტო კონკურსის პირველ ეტაპზე პროექტების კონცეფციის შემფასებელი კომისიის 2018 წლის 26 სექტემბრის გადაწყვეტილების – №1 სხდომის ოქმის კანონშესაბამისობის შემოწმება ნ. ქ-ის პროექტის უარყოფის ნაწილში.

საქართველოს მთავრობის 2011 წლის 16 თებერვლის №85 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის პირველ და მე-2 პუნქტებზე მითითებით სასამართლომ განმარტა, რომ სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2018 წლის 13 ივლისის №99 ბრძანებით გამოცხადდა 2018 წლის გამოყენებითი კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების კონკურსი და ამავე ბრძანებით დამტკიცდა კონკურსის პირობები ამ ბრძანების დანართი №1-ის შესაბამისად. კონკურსში, ნ. ქ-ის მიერ წარდგენილი იქნა საპროექტო განაცხადის კონცეფცია და კონკურსის პირველ ეტაპში მონაწილეობის შესახებ განცხადება, რომლის თანახმად, პროექტის სახელწოდებაა „... „...“ ...“. აღნიშნულ პროექტს მიენიჭა სარეგისტრაციო შიფრი – ....

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, საქართველოს მთავრობის 2011 წლის 16 თებერვლის №85 დადგენილებით დამტკიცებული №2 დანართით განსაზღვრულია საგრანტო პროექტის შეფასების კრიტერიუმები თითოეული ეტაპისთვის, მათ შორის, დადგენილია პირველ ეტაპზე პროექტების კონცეფციების შეფასების კრიტერიუმები: 1) მეცნიერება და ინოვაცია (მათ შორის იდეის პატენტუნარიანობა) და 2) ტექნოლოგიის ტრანსფერი და კომერციალიზაციის პოტენციალი. ამასთან, პირველ ეტაპზე დამოუკიდებელ ექსპერტთა მიერ პროექტის კონცეფციის განხილვისას თი-

თოეული კრიტერიუმის შეფასება ხორციელდება თვისებრივად, ინერება კი/არა. პროექტის კონცეფციის მეორე ეტაპზე გადასვლისთვის აუცილებელია ორივე კრიტერიუმში პროექტის კონცეფციამ მიიღოს დადებითი შეფასება. მოცემულ შემთხვევაში სადავო აქტით – სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გამოყენებითი კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების 2018 წლის საგრანტო კონკურსის პირველ ეტაპზე პროექტების კონცეფციის შემფასებელი კომისიის 2018 წლის 26 სექტემბრის საოქმო გადაწყვეტილებით (სხდომის ოქმი №1) ნ. ქ-ის პროექტის კონცეფციამ, სახელწოდებით „...“ „...“ „...“ (სარეგისტრაციო შიფრი – ...), შეფასების ორივე კრიტერიუმში – 1. მეცნიერება და ინოვაცია (მათ შორის იდეის პატენტუნარიანობა) და 2. ტექნოლოგიის ტრანსფერი და კომერციალიზაციის პოტენციალი, მიიღო უარყოფითი შეფასება („არა“). კომისიამ მიიჩნია, რომ არ არის კარგად დასაბუთებული ინოვაციური კომპონენტი, არ განეკუთვნება გამოყენებითი კვლევების კატეგორიას.

საქმეში წარმოდგენილი სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – „საქპატენტის“ 2018 წლის 17 სექტემბრის №... (...) წინასწარი ძიების ანგარიშით ირკვევა, რომ ნ. ქ-ის პროექტის ობიექტზე (დასახელება „...“) ჩატარდა კვლევა ტექნიკის დონის განსაზღვრისათვის და მიღებული შედეგების ანალიზი, რომელთა საფუძველზე გაიცა საქართველოს პატენტი .... ამავდროულად ანგარიშის მიხედვით, განაცხადის წარდგენის თარიღამდე ცნობილ დოკუმენტებში აღწერილი მოწყობილობები არ მოიცავდნენ კონსტრუქციული თუ არსებითი ნიშნების იმავე ერთობლიობას, რითაც გამოხატული იყო მოცემული გამოგონების ობიექტი გამოგონების ფორმულაში გადმოცემული ნიშნების ერთობლიობით. შესაბამისად, ისინი ვერ უკარგავენ მას სიახლეს და საგამომგონებლო დონეს და აქედან გამომდინარე განსაზღვრავენ ტექნიკის ზოგად დონეს. აღნიშნულიდან გამომდინარე, პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ პატენტის გაცემის პირობებში, საფუძველს მოკლებული იყო კომისიის მოსაზრება მასზედ, რომ ნ. ქ-ის პროექტის კონცეფციით კარგად არ იყო დასაბუთებული ინოვაციური კომპონენტი.

პალატამ არ გაიზიარა აპელანტის მოსაზრება მასზედ, რომ, თუკი პროექტს აქვს პატენტი, მაშინ იგი ვერ იქნება ინოვაციური. აღნიშნულთან დაკავშირებით სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ პატენტუნარიანობის ამგვარი განმარტება არ გამომდინარეობს კონკურსის მიზნებიდან და უკვე გაცემული პატენტის არსებობა არ გამორიცხავს სახელმწიფო სამეცნიერო გრანტის გაცემის შესაძლებლობას, პირიქით, არსებული პატენტი ადასტურებს გამო-

ყენებითი და ტექნოლოგიური ხასიათის სამეცნიერო კვლევების შემდგომი განვითარებისთვის ხელშეწყობის საჭიროებას. ამდენად, მოცემულ შემთხვევაში ნ. ქ-ის მიერ წარდგენილ პროექტს მიღებული ჰქონდა რა პატენტი, აღნიშნული მიუთითებდა გამოგონების სიახლეზე, საგამომგონებლო დონეზე და სამრეწველო გამოყენებადობაზე, რაც მოპასუხეს არ შეუფასებია.

სააპელაციო პალატის მოსაზრებით, კონცეფციის შემფასებელმა კომისიამ ისე მიიღო უარყოფითი გადაწყვეტილება, რომ ობიექტურად არ გამოუკვლევია საქმის გარემოებები და ზოგადად მიუთითა, რომ არ იყო კარგად დასაბუთებული ინოვაციური კომპონენტი და არ განეკუთვნებოდა გამოყენებითი კვლევების კატეგორიას, თუმცა კონკრეტულად რა გახდა კომისიის წევრების მხრიდან აღნიშნული პოზიციის დაფიქსირების საფუძველი პალატისათვის უცნობია, ვინაიდან გასაჩივრებული სხდომის ოქმიდან ვერ დგინდება, თუ რომელ მტკიცებულებებს დაეყრდნო კონცეფციის შემფასებელი კომისია და როგორ შეძლო დადგენილად მიეჩნია ზემოაღნიშნული გარემოებები, მით უფრო, რომ აღნიშნულის საწინააღმდეგოზე მიუთითებს საქმეში წარმოდგენილი სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – „საქ-პატენტის“ 2018 წლის 17 სექტემბრის №... (...) წინასწარი ძიების ანგარიში. ამასთან, სადავო აქტი არ შეიცავს დასაბუთებას იმ გარემოების შესახებ, თუ რატომ არ გააჩნდა წარდგენილ პროექტს კომერციალიზაციის პოტენციალი, მაშინ, როდესაც საპროექტო განაცხადის კონცეფციაში პროექტის ავტორი მიუთითებდა კომერციალიზაციის მიზნით გარკვეულ ეტაპებზე, კერძოდ, კონცეფციის მიხედვით, პროექტის კომერციალიზაციას სჭირდებოდა მხოლოდ სანვავის მოსამზადებელი მოწყობილობების შეძენა, პირველივე წლის დასასრულს (პირველი ტრანშის მიღების შემდეგ) შესაძლებელი იქნებოდა საცეცხლე მოწყობილობის დამზადება, ხოლო მეორე წლის დასაწყისში განხორციელდებოდა პროდუქტის ფართო მასშტაბიანი დანერგვის მიზნით, მოწყობილობის მონტაჟი საჯარო სკოლაში ან საბავშვო ბაღში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პალატამ მიიჩნია, რომ მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ პროექტის კონცეფციის განხილვისას, სრულყოფილად არ იქნა გამოკვლეული საკითხის გადაწყვეტისათვის აუცილებელი ყველა გარემოება და პირველ ეტაპზე პროექტის კონცეფციის შეფასების თითოეული კრიტერიუმი თვისებრივად არ შეფასებულა, როგორც ინოვაციურობის, ასევე კომერციალიზაციის პოტენციალის კუთხით. გარდა ამისა, არ შეფასებულა ის გარემოებები, რომლებსაც მოსარჩელე აღნიშნავდა მოცემულ საქმეზე და მოტივი თუ რატომ არ გაიზიარა ისინი ადმი-

ნისტრაციულმა ორგანომ მიღებულ გადაწყვეტილებაში მითითებული არ ყოფილა.

5. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 12 ოქტომბრის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდმა, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

კასატორის განმარტებით, საქართველოს მთავრობის 2011 წლის 16 თებერვლის №85 დადგენილებით დამტკიცებულ გამოყენებითი კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების შესახებ დებულების მე-3 მუხლის თანახმად: 1. გრანტის გაცემას ახორციელებს ფონდი. 2. ფონდი უზრუნველყოფს: ა) კონკურსის გამოცხადებას კანონმდებლობით დადგენილი წესით; ბ) კონკურსის ჩატარების წესისა და საკონკურსო დოკუმენტაციის მიღების ვადების დადგენასა და საჯაროდ გამოცხადებას, აგრეთვე საკონკურსო დოკუმენტაციისა და პროექტის შესრულების შუალედური და საბოლოო ანგარიშების ფორმების დამტკიცებას; გ) დამოუკიდებელ ექსპერტთა მიერ პროექტების შეფასებისთვის აუცილებელი პროცედურების ადმინისტრირებას; დ) დამოუკიდებელი ექსპერტებისა და კომისიისგან მიღებულ შეფასებებზე დაყრდნობით დასაფინანსებლად შერჩეული პროექტების გამოვლენას, დამტკიცებას, აგრეთვე, საჭიროების შემთხვევაში, პროექტში ცვლილებების შეტანას; ე) გამარჯვებული საგრანტო პროექტების დაფინანსებასა და მათი განხორციელების მონიტორინგს დადგენილი წესის შესაბამისად.

მოცემული დებულების მე-9 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად პროექტების შეფასება ხორციელდება სამ ეტაპად: ა) პირველ ეტაპზე პროექტის კონცეფციის შეფასება ხორციელდება კომისიის მიერ, რომელიც შედგება დარგობრივი ექსპერტებისაგან, „კვლევებისა და ინოვაციების საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 3 თებერვლის №32 დადგენილებით შექმნილი კვლევებისა და ინოვაციების საბჭოს, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, ბიზნესის, სსიპ – საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს, სსიპ – საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის (საქპატენტი) და ფონდის წარმომადგენლებისგან; კომისია შეფასებას ახორციელებს ამ დადგენილების დანართ №2-ის პირველი პუნქტით განსაზღვრული პროექტების შეფასების კრიტერიუმების შესაბამისად; აღნიშ-

ნული დანართი №2-ის პირველი პუნქტის თანახმად, პირველ ეტაპზე დამოუკიდებელ ექსპერტთა მიერ პროექტის კონცეფციის განხილვისას თითოეული კრიტერიუმის შეფასება ხორციელდება თვისებრივად, ინერება კი/არა. პროექტის მეორე ეტაპზე გადასვლისთვის აუცილებელია ორივე კრიტერიუმში პროექტის კონცეფციამ მიიღოს დადებითი შეფასება. მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელის პროექტთან დაკავშირებით კომისიის მიერ გაკეთებულ იქნა შეფასებები დადგენილების დანართის შესაბამისად, კერძოდ, 1. მეცნიერება და ინოვაცია – არა. 2. ტექნოლოგიის ტრანსფერი და კომერციალიზაციის პოტენციალი – არა. შესაბამისად, მოსარჩელის პროექტი ვერ გადავიდა კონკურსის მეორე ეტაპზე. ყურადღება გასამახვილებელია იმ გარემოებაზე, რომ პროექტს ორივე კრიტერიუმში უნდა მიეღო დადებითი შეფასება. სასამართლომ სადავო აქტი ბათილად ცნო მხოლოდ ერთ კრიტერიუმთან მიმართებით, კერძოდ, მეცნიერებისა და ინოვაციურობის მიმართულებით, რადგან პროექტს მიღებული ჰქონდა პატენტი. თუმცა, მან საერთოდ არაფერი მიუთითა მეორე კრიტერიუმზე – ტექნოლოგიურ ტრანსფერსა და კომერციალიზაციის პოტენციალზე. შესაბამისად, თუ ჩავთვლით, რომ პროექტი პირველ კრიტერიუმს აკმაყოფილებდა, ის მაინც ვერ გადავიდოდა მეორე ეტაპზე, რადგან მეორე კრიტერიუმში მიიღო უარყოფითი შეფასება და სასამართლომ საქმის დამატებით გამოკვლევასთან მიმართებით ვერ მიუთითა მოპასუხეს, თუ რა გარემოებები გამოეკვლია მეორე კრიტერიუმთან დაკავშირებით. ამდენად, გასაჩივრებული სასამართლო გადაწყვეტილებით იმგვარი შედეგი დგება, რომ მოსარჩელის იურიდიული ინტერესი მაინც ვერ იქნება მიღწეული – პროექტი ვერ გადავა მეორე ეტაპზე, ვინაიდან საუკეთესო შემთხვევაში მას ექნება ერთი კი და ერთი არა.

კასატორის განმარტებით, პროექტის შეფასების შესახებ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 16 თებერვლის №85 დადგენილებით დამტკიცებულ „საგრანტო პროექტის შეფასების კრიტერიუმების“ (დანართი №2) პირველი პუნქტის თანახმად, მეცნიერებისა და ინოვაციის კრიტერიუმში შედის ასევე იდეის პატენტუნარიანობა. აღნიშნული გულისხმობს იმას, რომ პროექტში მოცემულ იდეამ შესაძლოა მომავალში მოიპოვოს პატენტი. თუკი პროექტს უკვე აქვს პატენტი, მაშინ იგი ამ კონკურსის მიზნებთან შეუსაბამოა, კერძოდ, ზემოაღნიშნული დებულების მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, გამოყენებითი კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების მიზანია ხელი შეუწყოს გამოყენებითი და ტექნოლოგიური ხასიათის სამეცნიერო კვლევების შემდგომ განვითარებას. შესაბამისად, ამ კონკურსის მიზანია მისი მეშვეობით



გამოვლინდეს იდეები, რომლებმაც მომავალში განვითარების შედეგად შესაძლოა მიიღონ პატენტი (სიტყვა პატენტუნარიანი და არა პატენტის მქონე). თუკი დავუშვებდით, რომ აღნიშნულში მოიაზრება პატენტის მქონე პროექტი, მისი კონკურსში გამარჯვების შემთხვევაში ინოვაცია სახეზე აღარ გვექნებოდა, რადგან იგი ერთ დროს ნამდვილად იყო ინოვაციური და იმიტომაც მიიღო პატენტი. შესაბამისად, პატენტის მიღების შემდგომ იდეამ სხვა რას უნდა მიაღწიოს. ამდენად, კომისიამ სწორად მიიჩნია, რომ მოსარჩელის პროექტი ვერ იქნებოდა სიახლე – ვერ საბუთდებოდა მისი ინოვაციურობა.

კასატორის განმარტებით, პროექტის დასაბუთების შესახებ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის მე-7 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, წერილობითი ფორმით გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტი არ საჭიროებს დასაბუთებას, თუ კანონი ითვალისწინებს მისი დასაბუთების გარეშე გამოცემის შესაძლებლობას. საქართველოს მთავრობის 2011 წლის 16 თებერვლის №85 დადგენილებით დამტკიცებულ საგრანტო პროექტის შეფასების კრიტერიუმების (დანართი 2) პირველი პუნქტის თანახმად, პირველ ეტაპზე დამოუკიდებელ ექპერტთა მიერ პროექტის კონცეფციის განხილვისას თითოეული კრიტერიუმის შეფასება ხორციელდება თვისებრივად, იწერება კი/არა. პროექტის მეორე ეტაპზე გადასვლისთვის აუცილებელია ორივე კრიტერიუმში პროექტის კონცეფციამ მიიღოს დადებითი შეფასება. მოცემული ნორმატიული აქტი მოპასუხეს შესაძლებლობას აძლევდა თუნდაც დასაბუთების გარეშე შეეფასებინა პროექტი კი/არა პასუხებით. აღნიშნული განპირობებულია საკითხის თავისებურებებით და ამ ეტაპზე მისი სიახლისა და კომერციალიზაციის უნარის დასაბუთება არ მოითხოვება. თუმცა, მოპასუხემ საკმარისი დასაბუთება მაინც მიუთითა სადავო ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში.

კასატორის განმარტებით, გადანყვეტილებაში არაა მითითებული სახეზე დამდგარი შედეგის აღსრულების ბერკეტი/შესაძლებლობა. აღნიშნული პროექტი დასრულებულია, რაც იმას ნიშნავს, რომ გამოყოფილი გრანტი ათვისებულია, სამუშაო შესრულებულია და პროექტი დახურულია. შესაბამისად, ამ ეტაპზე, არ არსებობს სასამართლოს მიერ დაკმაყოფილებული სარჩელის აღსრულების მექანიზმები.

6. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 17 თებერვლის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარ-

მოებაში იქნა მიღებული სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 20 აპრილის განჩინებით სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 12 ოქტომბრის განჩინება და საქმეზე მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმის მასალებში ასახულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: ა) სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2018 წლის 13 ივლისის №99 ბრძანებით გამოცხადდა 2018 წლის გამოყენებითი კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების კონკურსი (შემდგომში – კონკურსი); ამავე ბრძანებით დამტკიცდა კონკურსის პირობები ამ ბრძანების დანართი №1-ის შესაბამისად; დამტკიცდა კონკურსის საპროექტო განაცხადის კონცეფციის ფორმა ამ ბრძანების დანართი №2-ის შესაბამისად; დამტკიცდა გამოგონების გახსნის ფორმა ამ ბრძანების დანართი №3-ის შესაბამისად; დამტკიცდა კონკურსის პირველ ეტაპზე მონაწილეობის შესახებ განაცხადის ფორმა ამ ბრძანების დანართი №4-ის შესაბამისად; დამტკიცდა კრებისითი ინფორმაცია პროექტის შესახებ – ფორმა ამ ბრძანების დანართი №5-ის შესაბამისად; დამტკიცდა კონკურსის საპროექტო წინადადების ფორმა ამ ბრძანების დანართი №6-ის შესაბამისად; დამტკიცდა პროექტის ძირითადი პერსონალის პროფესიული ბიოგრაფიის (CV) ფორმა ამ ბრძანების დანართი №7-ის შესაბამისად; დამტკიცდა პროექტის განხორციელების გეგმა-გრაფიკის ფორმა ამ ბრძანების დანართი №8-ის შესაბამისად; დამტკიცდა პროექტის განხორციელების ბიუჯეტის და ბიუჯეტის დასაბუთების ფორმა ამ ბრძანების დანართი №9-ის შესაბამისად; დამტკიცდა თანადაფინანსების შესახებ ცნობის ფორმა ამ ბრძანების დანართი №10-ის შესაბამისად; დამტკიცდა სხვა იურიდიული/ფიზიკური პირის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გამოყენების შესახებ თანხმობის წერილის ფორმა ამ ბრძანე-

ბის დანართი №11-ის შესაბამისად; დამტკიცდა კონკურსის მე-2 ეტაპზე მონაწილეობის შესახებ განცხადების ფორმა ამ ბრძანების დანართი №12-ის შესაბამისად; დამტკიცდა კონკურსის საგრანტო პროექტების საბიუჯეტო ხარჯების კლასიფიკაცია ამ ბრძანების დანართი №14-ის შესაბამისად; ბ) სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2018 წლის 19 ივლისის №103, 2018 წლის 9 ოქტომბრის №136 და 2018 წლის 11 ოქტომბრის №147 და 2018 წლის 26 ოქტომბრის №159 ბრძანებებით ცვლილებები შევიდა „2018 წლის გამოყენებითი კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების კონკურსის გამოცხადების, კონკურსის პირობებისა და საკონკურსო განაცხადების ფორმების დამტკიცების შესახებ“ სსიპ – შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2018 წლის 13 ივლისის №99 ბრძანებაში და ბრძანების დანართი №1 დამტკიცებულ კონკურსის პირობებში; გ) სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2018 წლის 7 სექტემბრის №134 ბრძანებით შეიქმნა გამოყენებითი კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების 2018 წლის საგრანტო კონკურსის პირველ ეტაპზე პროექტების კონცეფციის შემფასებელი კომისია. ამავე ბრძანებით დადგინდა, რომ კომისია აფასებს „გამოყენებითი კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების“ 2018 წლის საგრანტო კონკურსის პირველ ეტაპზე პროექტების კონცეფციას „გამოყენებითი კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 16 თებერვლის №85 დადგენილების დანართი №2 პირველი პუნქტით განსაზღვრული პროექტების შეფასების კრიტერიუმების შესაბამისად; დ) სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2018 წლის 13 ივლისის №99 ბრძანებით გამოცხადებულ კონკურსში, ნ. ქ-ის (პროექტის ხელმძღვანელი) მიერ წარდგენილ იქნა საპროექტო განაცხადის კონცეფცია და კონკურსის პირველ ეტაპში მონაწილეობის შესახებ განცხადება, რომლის თანახმად, პროექტის სახელწოდებაა „... ..“ ...“. აღნიშნულ პროექტს მიენიჭა სარეგისტრაციო შიფრი – ...; ე) სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გამოყენებითი კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების 2018 წლის საგრანტო კონკურსის პირველ ეტაპზე პროექტების კონცეფციის შემფასებელი კომისიის 2018 წლის 26 სექტემბრის საოქმოდ გადაწყვეტილებით (სხდომის ოქმი №1) ნ. ქ-ის პროექტის კონცეფციამ, სახელწოდებით „... ..“ ...“ (სარეგისტრაციო შიფრი – ...), შეფასების ორივე კრიტერიუმში (1. მეცნიე-

რება და ინოვაცია (მათ შორის იდეის პატენტუნარიანობა); 2. ტექნოლოგიის ტრანსფერი და კომერციალიზაციის პოტენციალი.) უარყოფითი შეფასება („არა“) მიიღო. კომისიამ მიიჩნია, რომ არ არის კარგად დასაბუთებული ინოვაციური კომპონენტი, არ განეკუთვნება გამოყენებითი კვლევების კატეგორიას; ვ) სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – „საქპატენტის“ 2018 წლის 17 სექტემბრის №... (...) წინასწარი ძიების ანგარიშის თანახმად, ნ. ქ-ის პროექტის ობიექტზე (დასახელება „...“) 2016 წლის 21 სექტემბერს წარდგენილი იყო განაცხადი გამოგონებაზე პატენტის მისაღებად, რომელზეც ჩატარდა კვლევა ტექნიკის დონის განსაზღვრისათვის და მიღებული შედეგების ანალიზი, რომელთა საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილებით გაიცა საქართველოს პატენტი .... ამავე დასკვნის შესაბამისად, განაცხადის წარდგენის თარიღამდე ცნობილ დოკუმენტებში აღწერილი მოწყობილობები არ მოიცავდნენ კონსტრუქციული თუ არსებითი ნიშნების იმავე ერთობლიობას რითაც გამოხატული იყო მოცემული გამოგონების ობიექტი გამოგონების ფორმულაში გადმოცემული ნიშნების ერთობლიობით, შესაბამისად, ისინი ვერ უკარგავენ მას სიახლეს და საგამომგონებლო დონეს და აქედან გამომდინარე განსაზღვრავენ ტექნიკის ზოგად დონეს; ზ) სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის 2018 წლის 19 ოქტომბრის №MES 1 18 01351634 წერილით ნ. ქ-ს ეცნობა, რომ „კომისია შეფასებას ახორციელებს საქართველოს მთავრობის 2011 წლის 16 თებერვლის №85 დადგენილების დანართი №2-ის პირველი პუნქტით განსაზღვრული პროექტების შეფასების კრიტერიუმების შესაბამისად. პირველ ეტაპზე დამოუკიდებელ ექსპერტთა მიერ პროექტის კონცეფციის განხილვისას თითოეული კრიტერიუმის შეფასება ხორციელდება თვისებრივად, ინერება კი/არა. პროექტის კონცეფციის მეორე ეტაპზე გადასვლისთვის აუცილებელია ორივე კრიტერიუმში პროექტის კონცეფციამ მიიღოს დადებითი შეფასება“; თ) სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის 2018 წლის 21 დეკემბრის №MES 2 18 01643785 წერილით ნ. ქ-ს ეცნობა, რომ ფონდს არ მოუპოვება ინფორმაცია კონკურსში მონაწილე პროექტი ფლობს თუ არა ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის საქპატენტის მიერ გაცემულ პატენტს. ამავე წერილის თანახმად, კონკურსის პროგრამისა და პირობების თანახმად, კონკურსის პირველი ეტაპისათვის პროექტის ხელმძღვანელს წამყვან ორგანიზაციასთან ერთად უნდა გაეკეთებინა წინასწარი ძიების განაცხადი საქპატენტში, რათა შეფასებულიყო პროექტით გათვალისწინებული კვლევის კონცეფციის საგამომგონებლო დონე და პატენტუნარიანობა, რაც აისახა კონ-

კურსის პირველი ეტაპის შეფასებაში.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის №62 ბრძანებით დამტკიცებულია საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის წესდება, რომლის პირველი მუხლის შესაბამისად ფონდი არის „მეცნიერების ტექნოლოგიებისა და მათი განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონით შექმნილი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი. ბრძანების მე-2 მუხლის შესაბამისად ფონდი მიზანია: ა) საქართველოში მეცნიერებასა და ცოდნაზე დაფუძნებული საზოგადოების განვითარების ხელშეწყობა საგრანტო და მინისტრის მიერ ხელმოწერილი საერთაშორისო ხელშეკრულებით, აგრეთვე ბილათერალური საერთაშორისო ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიზნობრივი პროგრამული დაფინანსებით. ბ) გამორჩეული, საუკეთესო ხარისხის აკადემიური კვლევების მხარდაჭერა; გ) სამეცნიერო-კვლევითი და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარება; დ) ახალგაზრდა მეცნიერთა მხარდაჭერა, მათი კვლევებისა და საგანმანათლებლო პროგრამებში ინტეგრაციის წახალისებით; ე) საქართველოს მეცნიერების პოპულარიზაცია; ვ) მეცნიერების სფეროში საერთაშორისო ურთიერთობებისა და თანამშრომლობის გაფართოება; ზ) საქართველოს მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და ინოვაციების სისტემის შეფასება და განვითარება; თ) ფონდის დაფინანსების წყაროების დივერსიფიკაცია.

საქართველოს მთავრობის 2011 წლის 16 თებერვლის №85 დადგენილებით დამტკიცებულია დებულება „გამოყენებითი კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების შესახებ“, რომლის პირველი მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად (სადავო პერიოდში მოქმედი რედაქცია) ეს დებულება ანესრიგებს კონკურსის გამართვის, გრანტის გაცემისა და საგრანტო პროექტების განხორციელების მონიტორინგის წესს. დებულების მე-2 მუხლის „ი“ ქვეპუნქტის შესაბამისად კომისია არის კონკურსის პირველ ეტაპზე პროექტის კონცეფციისა და მე-3 ეტაპზე პროექტის პრეზენტაციის შეფასებისა და გამარჯვებულების გამოვლენის მიზნით შექმნილი კომისიები.

განსახილველ შემთხვევაში დადგენილია, რომ სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2018 წლის 7 სექტემბრის №134 ბრძანებით შეიქმნა გამოყენებითი კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების 2018 წლის საგრანტო კონკურსის პირველ ეტაპზე

პროექტების კონცეფციის შემფასებელი კომისია.

დებულების მე-7 მუხლის თანახმად კონკურსის ძირითადი ეტაპებია: ა) კონკურსის გამოცხადება; ბ) კონკურსის პირველ ეტაპზე პროექტის კონცეფციის ფონდში წარდგენა; გ) კომისიის მიერ ფონდში წარდგენილი პროექტის კონცეფციების შეფასება; დ) კონკურსის მეორე ეტაპისთვის შერჩეული პროექტის კონცეფციების ავტორთა მიერ სრული პროექტების წარდგენა ფონდში; ე) მეორე ეტაპზე გადასული პროექტების შეფასება დამოუკიდებელ ექსპერტთა მეშვეობით; ვ) კონკურსის მე-3 ეტაპზე გადასული პროექტების პრეზენტაცია კომისიის წინაშე და გამარჯვებულების გამოვლენა; ზ) დასაფინანსებლად შერჩეული პროექტების საბოლოო სიების დამტკიცება გენერალური დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით და საგრანტო ხელშეკრულებების გაფორმება.

დებულების მე-9 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად პროექტების შეფასება ხორციელდება სამ ეტაპად: პირველ ეტაპზე პროექტის კონცეფციის შეფასება ხორციელდება კომისიის მიერ, რომელიც შედგება დარგობრივი ექსპერტებისაგან, „კვლევებისა და ინოვაციების საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 3 თებერვლის №32 დადგენილებით შექმნილი კვლევებისა და ინოვაციების საბჭოს, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, ბიზნესის, სსიპ – საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს, სსიპ – საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის (საქპატენტი) და ფონდის წარმომადგენლებისგან; კომისია შეფასებას ახორციელებს ამ დადგენილების დანართ №2-ის პირველი პუნქტით განსაზღვრული პროექტების შეფასების კრიტერიუმების შესაბამისად;

დანართი №2-ის პირველი პუნქტის მიხედვით პირველ ეტაპზე დამოუკიდებელ ექსპერტთა მიერ პროექტის კონცეფციის განხილვისას თითოეული კრიტერიუმის შეფასება ხორციელდება თვისებრივად, იწერება კი/არა. პროექტის კონცეფციის მეორე ეტაპზე გადასვლისთვის აუცილებელია ორივე კრიტერიუმში პროექტის კონცეფციამ მიიღოს დადებითი შეფასება.

ამავე მუხლის შესაბამისად პირველ ეტაპზე პროექტების კონცეფციის კრიტერიუმები არის: ა) მეცნიერება და ინოვაცია (მათ შორის იდეის პატენტუნარიანობა); ბ) ტექნოლოგიის ტრანსფერი და კომერციალიზაციის პოტენციალი.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებას, რომ კონკურსის პირველ ეტაპზე მხოლოდ იდეის პატენტუნარია-

ნობა საკმარისი არ არის პროექტის მეორე ეტაპზე გადასასვლელად და ეს კრიტერიუმი მხოლოდ ერთ-ერთი შემადგენელია მეცნიერებისა და ინოვაციის ნაწილის. შესაბამისად პროექტმა ერთდროულად დადებითი შეფასება უნდა დაიმსახუროს მეცნიერების, ინოვაციის, ტექნოლოგიის და კომერციალიზაციის პოტენციალის თვალსაზრისით.

მოცემულ შემთხვევაში ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოებმა მიუთითეს რა გამოყენებითი კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების შესახებ დებულების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტზე, ასევე საქართველოს საპატენტო კანონის მე-12 მუხლის 1-6 პუნქტებზე განმარტეს, რომ საკონკურსო კომისიის მიერ პროექტის შეფასება ხორციელდება იდეის პოტენციური პატენტუნარიანობის მიხედვით, ხოლო მოცემულ შემთხვევაში ნ. ქ-ის მიერ წარდგენილ პროექტს მიღებული ჰქონდა პატენტი, რაც მიუთითებს გამოგონების სიახლეზე, საგამომგონებლო დონეზე და სამრეწველო გამოყენებადობაზე.

საქართველოს კანონის „საქართველოს საპატენტო კანონის“ მე-12 მუხლის შესაბამისად (1) გამოგონება პატენტუნარიანია, თუ ის აკმაყოფილებს პატენტუნარიანობის კრიტერიუმებს – სიახლეს; (2) საგამომგონებლო დონესა და სამრეწველო გამოყენებადობას; (3) გამოგონებას აქვს სიახლე, თუ იგი ცნობილი არ არის ტექნიკის არსებული დონით; (4) გამოგონებას აქვს საგამომგონებლო დონე, თუ ის პრიორიტეტის თარიღისთვის სპეციალისტისათვის ცხადად არ გამომდინარეობს ტექნიკის არსებული დონიდან; (5) გამოგონება სამრეწველოდ გამოყენებადია, თუ შესაძლებელია მისი დამზადება ან მრეწველობაში ან სოფლის მეურნეობაში გამოყენება; (6) ტექნიკის არსებულ დონეს განსაზღვრავს ყველა ის მონაცემი, რომელიც პრიორიტეტის თარიღამდე საჯაროდ გახდა ხელმისაწვდომი წერილობით, ზეპირი აღწერით, საჯარო გამოყენებით ან სხვა გზით; (7) სიახლის დადგენისას ტექნიკის დონეს, ამ მუხლის მე-5 პუნქტში განსაზღვრულის გარდა, მიეკუთვნება საქპატენტში გამოგონებისა და სასარგებლო მოდელის პატენტის

მისაღებად შეტანილი ყველა განაცხადი, თუ მათ აქვთ უფრო ადრინდელი პრიორიტეტი იმ განაცხადთან შედარებით, რომლის სიახლეც დგინდება, და ისინი გამოქვეყნდა განაცხადის პრიორიტეტის თარიღის შემდეგ; (7) საგამომგონებლო დონის დადგენისას ტექნიკის დონეს არ მიეკუთვნება საქპატენტში გამოგონებისა და სასარგებლო მოდელის მისაღებად შეტანილ განაცხადებში მითითებული მონაცემები, რომლებიც არ არის საჯაროდ ხელმისაწვდომი.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სსიპ შოთა რუსთა-

ველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიზანი მო-  
ახდინოს გამორჩეული, საუკეთესო ხარისხის აკადემიური კვლე-  
ვების მხარდაჭერა, უზრუნველყოს საქართველოს მეცნიერების,  
ტექნოლოგიებისა და ინოვაციების სისტემის შეფასება და განვი-  
თარება, მიიღწევა კონკურსის ჩატარების გზით. საყურადღებოა,  
რომ საკონკურსო კომისია შედგება დარგობრივი ექსპერტებისა-  
გან, „კვლევებისა და ინოვაციების საბჭოს შექმნისა და მისი დებუ-  
ლების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის  
3 თებერვლის №32 დადგენილებით შექმნილი კვლევებისა და ინო-  
ვაციების საბჭოს, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სა-  
მინისტროს, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარე-  
ბის სამინისტროს, ბიზნესის, სსიპ – საქართველოს ინოვაციების  
და ტექნოლოგიების სააგენტოს, სსიპ – საქართველოს ინტელექ-  
ტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის (საქპატენტი) და ფონ-  
დის წარმომადგენლებისგან. ამდენად, ყველა გადაწყვეტილება,  
რაც უკავშირდება პროექტის შესაბამისობას მეცნიერების, ინოვა-  
ციის, ტექნოლოგიის და კომერციალიზაციის პოტენციალის თვალ-  
საზრისით, მიიღება დარგის შესაბამისი სპეციალისტების მიერ. ამი-  
ტომ, მხოლოდ ის გარემოება, რომ პროექტს აქვს პატენტი და აკ-  
მაყოფილებს პატენტუნარიანობის კრიტერიუმებს – სიახლეს, სა-  
გამომგონებლო დონეს, სამრეწველო გამოყენებადობას, არ გულის-  
ხმობს, რომ კომისიის მიერ აღარ უნდა მოხდეს მისი შეფასება და  
ასეთი პროექტი ავტომატურად უნდა გადავიდეს კონკურსის მომ-  
დევნო ეტაპზე. სასამართლო კიდეც ერთხელ მიაქცევს ყურადღე-  
ბას იმ ფაქტს, რომ იდეის პატენტუნარიანობა მხოლოდ ერთ-ერთი  
შემადგენელია მეცნიერებისა და ინოვაციის ნაწილის. ამასთან, სამ-  
რეწველო გამოყენებადობა არ შეიძლება უპირობოდ მიჩნეული იქ-  
ნეს ტექნოლოგიის ტრანსფერისა და კომერციალიზაციის პოტენ-  
ციალის წინაპირობად. ეს გარემოებები, კომისიის შეფასების სა-  
განს წარმოადგენს, რა დროსაც გაითვალისწინება პროდუქტზე ად-  
გილობრივ და/ან საერთაშორისო ბაზარზე მოთხოვნის არსებობა,  
რომელიც პასუხობს ახალი ტექნოლოგიების განვითარების სფე-  
როში არსებული პრობლემების გადაჭრას (გამოყენებითი კვლევე-  
ბისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების შესახებ დებულე-  
ბის პირველი მუხლის მე-2 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტი).

რაც შეეხება გამოყენებითი კვლევებისათვის სახელმწიფო სა-  
მეცნიერო გრანტების შესახებ დებულების მე-5 მუხლის მე-2  
პუნქტს (ყველა პროექტი შეფასდება იდეის პოტენციური პატენ-  
ტუნარიანობის მიხედვით და მხოლოდ დადებითი პერსპექტივის  
მქონე პროექტები გადავა შეფასების მეორე ეტაპზე), საკასაციო  
სასამართლო ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებას, რომ მხოლოდ



დასახელებული პუნქტი არ გამოიყენება პროექტის შეფასებისათვის კონკურსის პირველ ეტაპზე გამარჯვებული პროექტის გამოსავლენად, რასაც ცხადყოფს დებულების №2 დანართის მოთხოვნები და ზემოდასახელებული მე-5 მუხლის პირველი პუნქტი, რომლის თანახმად კონკურსში მონაწილეობისათვის სავალდებულოა პროექტის განხორციელების შედეგად პროტოტიპის, ნიმუშის, პროგრამული უზრუნველყოფის (software) ან ტექნოლოგიის შექმნა. აგრეთვე მნიშვნელოვანია კომერციალიზაციის პოტენციალის მქონე პროექტების გამოვლენა და კვლევის შედეგად სამრეწველო ნიმუშის/პროტოტიპის სახით ახალი/გაუმჯობესებული პროგრამული უზრუნველყოფის, მასალების, სამკურნალო საშუალების, მოწყობილობის, კონსტრუქციისა და ა. შ. შექმნა და შესაბამისი ტექნოლოგიის შემუშავება/სრულყოფა.

მოცემულ შემთხვევაში დადგენილია, რომ კონკურსის პირველ ეტაპზე პროექტების კონცეფციის შემფასებელი კომისიის 2018 წლის 26 სექტემბრის საოქმო გადაწყვეტილებით (სხდომის ოქმი №1) ნ. ქ-ის პროექტის კონცეფციამ, სახელწოდებით „...“ ...“ (სარეგისტრაციო შიფრი – ...), შეფასების ორივე კრიტერიუმში (1. მეცნიერება და ინოვაცია (მათ შორის იდეის პატენტუნარიანობა); 2. ტექნოლოგიის ტრანსფერი და კომერციალიზაციის პოტენციალი.) უარყოფითი შეფასება („არა“) მიიღო. კომისიამ მიიჩნია, რომ არ არის კარგად დასაბუთებული ინოვაციური კომპონენტი, არ განეკუთვნება გამოყენებითი კვლევების კატეგორიას.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მეორე მუხლის პირველი ნაწილის „ლ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დისკრეციულ უფლებამოსილებას წარმოადგენს უფლებამოსილება, რომელიც ადმინისტრაციულ ორგანოს ან თანამდებობის პირს ანიჭებს თავისუფლებას საჯარო და კერძო ინტერესების დაცვის საფუძველზე კანონმდებლობის შესაბამისი რამდენიმე გადაწყვეტილებიდან შეარჩიოს ყველაზე მისაღები გადაწყვეტილება.

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-6 მუხლით განსაზღვრულია ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელების წესი, კერძოდ, თუ ადმინისტრაციულ ორგანოს რომელიმე საკითხის გადასაწყვეტად მინიჭებული აქვს დისკრეციული უფლებამოსილება, იგი ვალდებულია, ეს უფლებამოსილება განახორციელოს კანონით დადგენილ ფარგლებში და მხოლოდ იმ მიზნით, რომლის მისაღწევადაც მინიჭებული აქვს ეს უფლებამოსილება. ამასთან, საჯარო და კერძო ინტერესების პროპორციულობიდან გამომდინარე, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-7 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, დისკრეციული უფ-

ლებამოსილების განხორციელებისას გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით გათვალისწინებულმა ზომებმა არ შეიძლება გამოიწვიოს პირის კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დაუსაბუთებელი შეზღუდვა.

განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებას, რომ პროექტების კონცეფციის კრიტერიუმები კონკურსის პირველ ეტაპზე იყო: ა) მეცნიერება და ინოვაცია (მათ შორის იდეის პატენტუნარიანობა); ბ) ტექნოლოგიის ტრანსფერი და კომერციალიზაციის პოტენციალი. ანუ გარდა ობიექტური ფაქტორებისა, პროექტის შეფასების კონკრეტული კომპონენტები იძლეოდა სუბიექტური შეფასების შესაძლებლობასაც, თუმცა მათი გადანყვევტა ხდებოდა დარგის შესაბამისი სპეციალისტების მიერ. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ სასამართლო ამონებს დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში მიღებული გადანყვევტილების მხოლოდ კანონიერებას და არა მიზანშეწონილობას. კომისიის მიერ მიღებული გადანყვევტილების გამოცემის სუბიექტური საფუძვლები და მიღებული გადანყვევტილების მიზანშეწონილობა კომისიის დისკრეციის სფეროს შეადგენს და მასში სასამართლო ვერ ჩაერევა. შესაბამისად, მხოლოდ ის ფაქტი, რომ მოსარჩელის მიერ წარდგენილ პროექტს ჰქონდა პატენტი არ ნიშნავს, რომ იგი არ შეიძლებოდა უარყოფითად შეფასებულიყო დამოუკიდებელ ექსპერტთა მიერ მეცნიერების, ინოვაციის, ტექნოლოგიის ტრანსფერის და კომერციალიზაციის პოტენციალის თვალსაზრისით.

საკასაციო სასამართლო ადასტურებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს არაერთ განჩინებაში მითითებულ დასკვნებს და განმარტებებს ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციულ უფლებამოსილებასთან დაკავშირებით და კვლავაც იზიარებს, რომ დისკრეცია არ წარმოადგენს სასამართლო ხელისუფლების კონტროლისაგან თავისუფალ სივრცეს (სუსგ 11.04.12წ. საქმე №ბს-1655-1627(კ-11), 20.10.10წ. საქმე №ბს-342-331(კ-10)), ადმინისტრაციული ორგანოს მიხედულება უკიდევანო არ არის და მის ფარგლებში თვითნებობის, დისკრიმინაციის, დისკრეციული უფლებამოსილების გადაჭარბების ან არამიზნობრივი გამოყენების გამოვლენა დაუშვებელია, ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეცია არ ნიშნავს თანასწორობის ან კანონიერების პრინციპის უგულვებელყოფას, დისკრეციული უფლებამოსილება სამართლებრივად შებოჭილი თავისუფლებაა. დისკრეციული უფლებამოსილების ცნებისათვის იმანენტურია მისი სამართლებრივი ბოჭვა, რაც სასამართლო კონტროლის პირობებშია შესაძლებელი (იხ. სუსგ 07/03/2019 საქმე №ბს-797(კ-18)).

რაც შეეხება განსახილველ შემთხვევას, საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებზე დაყრდნობით, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ საკონკურსო კომისიის საქმიანობაში არ ვლინდება კანონსაწინააღმდეგო ქმედების ნიშნები და კომისიის გადანაცვეტილება არ არის მიღებული საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გათვალისწინებული პროცედურების დარღვევით, ასევე არ დასტურდება შეცდომა დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებაში. მოპასუხე ადმინისტრაციულ ორგანოს, მისთვის მინიჭებული დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში, კანონმდებლობით განსაზღვრული ყველა კრიტერიუმის გამოკვლევის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების ვალდებულება ჰქონდა, რისი დარღვევაც საქმის მასალებიდან არ გამომდინარეობს, კერძოდ, ექსპერტთა მიერ კონკურსანტის პროექტის შეფასება განხორციელდა ზემოაღნიშნული წესით დადგენილი კრიტერიუმების შესაბამისად, რაც საფუძვლად დაედო სადავო გადანაცვეტილებას.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულებას წარმოადგენს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებათა გამოკვლევა და სწორედ საქმის გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე უნდა იქნეს ადმინისტრაციული ორგანოების მიერ გადანაცვეტილება მიღებული. ზემოაღნიშნული ნორმიდან გამომდინარე, თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ არ გამოიკვლია საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებები და ისე გამოსცა ადმინისტრაციული აქტი, იგი უფლებამოსილია სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად ცნოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.

საკასაციო სასამართლო უსაფუძვლოდ მიიჩნევს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას, მოცემულ შემთხვევაში საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის გამოყენების შესახებ და განმარტავს, რომ სასამართლოს უფლებამოსილება სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად ცნოს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული ადმინისტრაციული აქტი, განსაზღვრულია საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილით, კერძოდ, აღნიშნული ნორმის თანახმად, თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემულია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის გარემოების გამოკვლევისა და შეფასების გარეშე, იგი უფლებამოსილია სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად ცნოს და დაავალოს ადმინისტრაციულ ორ-

განოს ამ გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ გამოსცეს ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. სასამართლო ამ გადაწყვეტილებას იღებს, თუ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობისათვის არსებობს მხარის გადაუდებელი კანონიერი ინტერესი.

საკასაციო სასამართლოს მითითებით, კონკრეტულ შემთხვევაში არამართებულია სასამართლოს მიერ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის გამოყენება, ვინაიდან აღნიშნული მუხლით მინიჭებულ უფლებამოსილებას სასამართლო იყენებს იმ ვითარებაში, როცა სასამართლო წესით ვერ ხერხდება ფაქტობრივი გარემოებების დადგენა და შეფასება. შესაბამისად, შეუძლებელი ხდება სადავო ადმინისტრაციული აქტის მატერიალური კანონიერების შეფასება.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სადავო აქტი არ ეწინააღმდეგება კანონს, არსებითად არ არის დარღვეული მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები, რის გამოც არ არსებობს გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძველი. სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნულმა სამეცნიერო ფონდმა სადავო აქტი მიიღო საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შედეგად.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 12 ოქტომბრის განჩინება და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის საფუძველზე მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ნ. ქ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდება.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, იგი შესაბამისად შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც.

ამავე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე გათავისუფლებული იყოს სახელმწიფოს ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. ამდენად, სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის პირობებში, ნ. ქ-ს სსიპ შოთა რუსთაველის

საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს სახელმწიფო ბაჟის სახით სააპელაციო სასამართლოში გადახდილი 150 ლარის და საკასაციო სასამართლოში გადახდილი 300 ლარის (სულ 450 ლარის) ანაზღაურება, ხოლო ნ. ქ-ის მიერ სარჩელზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟი 100 ლარის ოდენობით, უნდა დარჩეს სახელმწიფო ბიუჯეტში გადახდილად.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე, 411-ე მუხლებით და

### **გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა :**

1. სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 12 ოქტომბრის განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;

3. ნ. ქ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდეს;

4. მოსარჩელე ნ. ქ-ს დაეკისროს სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის სასარგებლოდ, ამ უკანასკნელის მიერ სააპელაციო და საკასაციო სასამართლოში გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – ჯამში 450 ლარის (150 ლარი და 300 ლარი) ანაზღაურება;

5. ნ. ქ-ის მიერ სარჩელზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟი 100 ლარის ოდენობით, დარჩეს სახელმწიფო ბიუჯეტში გადახდილად.

6. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

### **3. ქმედების განხორციელების თაობაზე მოთხოვნის კანონიერება**

#### **აკომიგრანტისთვის კომპენსაციის გაცემის თაობაზე დავალების კანონიერება**

##### **განჩინება საქართველოს სახელმით**

№ბს-616(კ-21)

21 ივლისი, 2022 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ქ. ცინცაძე,  
გ. გოგიაშვილი**

**დავის საგანი:** ქმედების განხორციელების დავალება

##### **აღწერილობითი ნაწილი:**

ვ. ა-ემ, თ. ა-ემ, მ. ა-ემ და სხვებმა (სულ 53 პირი) 28.12.2017წ. სარჩელით მიმართეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხე საქართველოს მთავრობის მიმართ და მოითხოვეს საქართველოს მთავრობისთვის ქმედების განხორციელების დავალება, კერძოდ, მოსარჩელეთა 11 ოჯახისათვის ...ის რაიონის სოფელ ...ში მოსარჩელეთა საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე შესაბამისი ფართის საცხოვრებელი სახლების აშენება სულადობის შესაბამისად.

მოსარჩელებმა აღნიშნეს, რომ არიან აჭარაში, 1989წ. აპრილში მომხდარი სტიქიის შედეგად დაზარალებული პირები. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1989წ. №497 და 1990წ. №173 დადგენილებით ...ის რაიონის სოფ. ...ში სარგებლობაში გამოეყოთ მიწის ნაკვეთები, სადაც სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებით უნდა აშენებულიყო ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლები, რაც არ განხორციელდა. 2009 წ. დაზარალებული ოჯახებიდან თითო წევრმა ერთობლივად მიმართეს ჯერ საქართველოს მთავრობას, ხოლო შემდეგ – სასამართლოს, საცხოვრებელი სახლების აშენების მოთხოვნით. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის კანონიერ ძალაში მყოფი 12.09.2013წ. გადანყვეტილებით სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა და საქართველოს მთავრობას დაევალა ადმინისტრაციული წარმოების ჩატარება 49 ოჯახთან მიმართებით. ამ გადანყვეტილების აღსრულების მიზნით

საქართველოს მთავრობამ გამოსცა 03.11.2014წ. №1979 განკარგულება. აღნიშნული განკარგულებით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელების შესახებ მიღებულ იქნა მთავრობის 09.06.2017წ. №1182 განკარგულება, რომლითაც 36 ოჯახს აუნაზღაურდა შესაბამისი კომპენსაცია, მათ შორის არ იყვნენ მოსარჩევეები იმის მიუხედავად, რომ სააპელაციო პალატის კანონიერ ძალაში მყოფი გადაწყვეტილება მოსარჩელეთა ოჯახებსაც ეხებოდა. ამდენად, მოსარჩევეები მიიჩნევენ, რომ საცხოვრებელი სახლები უნდა გადაეცეთ: 1. ვ. ა-ეს, თ. ა-ეს, მ. ა-ეს, ნ. ა-ეს, დ. ა-ეს არასრულწლოვან შვილებთან ერთად – სულ 5 დაზარალებულზე; 2. ბ. მ-ეს, ნ. მ-ეს, თ. მ-ეს, ც. ფ-ეს არასრულწლოვან შვილებთან ერთად – სულ 5 დაზარალებულზე; 3. მ. მ-ეს, დ. მ-ეს, მ. მ-ეს, მ. მ-ეს, რ. ლ-ს, ი. ლ-ს არასრულწლოვან შვილებთან ერთად – სულ 7 დაზარალებულზე; 4. ო. მ-ეს, თ. მ-ეს, ა. მ-ეს, მ. ფ-ეს არასრულწლოვან შვილებთან ერთად – სულ 8 დაზარალებულზე; 5. შ. მ-ეს, პ. მ-ეს, ო. მ-ეს, ნ. მ-ეს, ნ. ქ-ეს, მ. ყ-ეს არასრულწლოვან შვილებთან ერთად – სულ 10 დაზარალებულზე; 6. მ. მ-ეს, ა. მ-ეს, გ. მ-ეს, ლ. მ-ეს არასრულწლოვან შვილებთან ერთად – სულ 5 დაზარალებულზე; 7. ჯ. ა-ეს, მ. დ-ს არასრულწლოვან შვილებთან ერთად – სულ 4 დაზარალებულზე; 8. ა. გ-ეს, ა. გ-ეს, ჯ. გ-ეს, რ. გ-ეს, ნ. გ-ეს, გ. შ-ეს, ნ. ს-ეს, მ. ლ-ეს, ე. ზ-ეს არასრულწლოვან შვილებთან ერთად – სულ 13 დაზარალებულზე; 9. ჯ. ძ-ეს, ფ. ძ-ეს, ნ. ძ-ეს, გ. ძ-ეს, ი. შ-ეს და ქ. ს-ეს არასრულწლოვან შვილებთან ერთად – სულ 7 დაზარალებულზე; 10. ჰ. ბ-ეს და ი. ბ-ეს არასრულწლოვან შვილებთან ერთად – სულ 4 დაზარალებულზე; 11. ი. ხ-ეს, ქ. ხ-ეს, ზ. ხ-ეს, ი. ბ-ეს, რ. ხ-ეს არასრულწლოვან შვილებთან ერთად – სულ 9 დაზარალებულზე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 08.05.2018წ. განჩინებით, სასკ-ის 16.2 მუხლის საფუძველზე, საქმეში ჩაბმულ იქნენ საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, ასევე საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო. თბილისის საქალაქო სასამართლოს 11.09.2018წ. განჩინებით ამ უკანასკნელის უფლებამონაცვლედ განისაზღვრა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 28.12.2018წ. გადაწყვეტილებით სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მოპასუხე საქართველოს მთავრობას დაეკისრა საცხოვრებელი სახლების მშენებლობის სანაცვლოდ მოსარჩელეთა (ვ. ა-ე, თ. ა-ე, მ. ა-ე, ნ. ა-ე, დ. ა-ე, ბ. მ-ე, ნ. მ-ე, თ. მ-ე, ც. ფ-ე,

მ. მ-ე, მ. ღ-ი, დ. მ-ე, მ.მ-ე, რ. ღ-ი, ი. ღ-ი, ო. მ-ე, თ. მ-ე, ა. მ-ე, მ. ფ-ე, შ. მ-ე, ნ. ქ-ე, ჰ. მ-ე, ო. მ-ე, მ. ყ-ე, ნ. მ-ე, მ. მ-ე, ა. მ-ე, ე. მ-ე, ლ. მ-ე, ჯ. ა-ე, მ. დ-ი, ა. გ-ე, გ. შ-ე, ა. გ-ე, ჯ. გ-ე, რ. გ-ე, ნ. ს-ე, მ. ლ-ე, ე. ზ-ე, ნ. გ-ე, ჯ. ძ-ე, ფ. ძ-ე, ნ. ძ-ე, ი. შ-ე, გ. ძ-ე, ქ. ს-ე, ჰ. ბ-ე, ი. ბ-ე, ი. ხ-ე, ქ. ხ-ე, ზ. ხ-ე, ი. ბ-ე, რ. ხ-ე) ოჯახების (სულ 13 ოჯახი) საკომპენსაციო თანხით უზრუნველყოფა, თითოეულ ოჯახზე (სულ 13 ოჯახი) 50 000 ლარის ოდენობით. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 28.05.2019წ. განჩინებით გასწორდა 28.12.2018წ. გადაწყვეტილებაში დაშვებული უსწორობა და ნაცვლად 13 ოჯახისა მიეთითა 11 ოჯახი.

საქალაქო სასამართლომ მიუთითა დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებზე და აღნიშნა, რომ სზაკ-ის მე-4 მუხლის თანახმად, კანონისა და ადმინისტრაციული ორგანოს წინაშე ყველა თანასწორია. საქმის გარემოებათა იდენტურობის შემთხვევაში დაუშვებელია სხვადასხვა პირის მიმართ განსხვავებული გადაწყვეტილების მიღება. იმ შემთხვევაშიც, თუ ადმინისტრაციული ორგანო რაიმე კონკრეტულ გარემოებათა არსებობისას დისკრეციულ უფლებამოსილებას იყენებს, იგი ვალდებულია ყველა სხვა ანალოგიური საქმის გარემოებების არსებობისას მიიღოს იგივე გადაწყვეტილება, ორგანო ვალდებულია კანონი ერთნაირად გამოიყენოს ყველას მიმართ. განსახილველ შემთხვევაში მოსარჩელებისათვის საცხოვრებელი სახლების აშენების ან მშენებლობის სანაცვლოდ კომპენსაციის გაცემაზე უარი განპირობებული იყო არა იმ გარემოებით, რომ სახელმწიფო არ აღიარებდა მათ წინაშე ნაკისრ ვალდებულებას, არამედ იმით, რომ მათ სახელმწიფოსაგან ბინები სიმბოლურ ფასად უკვე მიღებული ჰქონდათ. სასამართლომ მიიჩნია, რომ აღნიშნული გარემოება არ ქმნის საქმის გარემოებების იდენტურობის გამომრიცხველ საფუძველს, რამდენადაც სადავო არ არის, რომ ამ ოჯახებს/დაზარალებულ პირებს, როგორც ეკომიგრანტებს, საცხოვრებელი სახლები არ გადაცემიათ. სახელმწიფომ ყოველგვარი პირობის გარეშე აიღო ვალდებულება მათთვის, როგორც სტიქიური მოვლენებით დაზარალებულებისათვის, საცხოვრებელი ფართის გადაცემაზე, თავშესაფრით უზრუნველყოფის საჭიროების არსებობის მიუხედავად. ამდენად, ნაკისრი ვალდებულება უნდა შესრულებულიყო ყველა პირის მიმართ თანაბრად. სასამართლოს მოსაზრებით, დარჩენილ 11 ოჯახთან მიმართებით განსხვავებულ მოპყრობას არ ამართლებს ამ საკითხისგან დამოუკიდებლად სახელმწიფოს მიერ საცხოვრებელი სახლების სიმბოლურ ფასად საკუთრებაში გადაცემა. სადავო არ არის, რომ ეს ოჯახები სახელმწიფომ უზრუნველყო საცხოვრებელი ფართებით, თუმცა სახლების გადაცემა არ მომხდარა მათთვის, როგორც ეკომიგრანტები-



სათვის. ამასთანავე, კომპენსაციის მიმღები 36 ოჯახიდან 2 ოჯახსაც სხვა ვალდებულების ფარგლებში სახელმწიფოსგან მიღებული ჰქონდათ ბინები, რასაც მათთვის, როგორც ეკომიგრანტებისთვის, კომპენსაციის გადაცემა არ შეუფერხებია. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ მიიჩნია, რომ საქართველოს მთავრობამ საკითხის შეფასებისას დაარღვია კონსტიტუციით აღიარებული თანასწორობის პრინციპი, ვინაიდან საქმის მასალებით არ დგინდება დაზარალებული ოჯახებისათვის სიმბოლურ ფასად ბინების გადაცემის საფუძველი და მით უფრო ის ფაქტი, რომ მოსარჩელებმა ეს ბინები მიიღეს სახელმწიფოს მიერ მათ მიმართ ნაკისრი სადავო ვალდებულების შესრულების სანაცვლოდ. სასამართლომ ყურადღება გაამახვილა აგრეთვე იმ გარემოებაზე, რომ სახელმწიფომ ეკომიგრანტების წინაშე აიღო საცხოვრებელი სახლებით უზრუნველყოფის ვალდებულება, თუმცა მათთან შეთანხმებით და მათივე თანხმობით, თითოეულ დაზარალებულ ოჯახს გადაეცა კომპენსაცია 50 000 ლარის ოდენობით. მოსარჩელებმა სასამართლო სდომაზე ხაზგასმით დააფიქსირეს თანხმობა საცხოვრებელი სახლების სანაცვლოდ კომპენსაციის მიღებასთან დაკავშირებით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 28.12.2018წ. გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გასაჩივრდა საქართველოს მთავრობის მიერ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 01.03.2021წ. განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 28.12.2018წ. გადაწყვეტილება. სააპელაციო პალატამ გაიზიარა საქალაქო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები, მათი სამართლებრივი შეფასება და დამატებით აღნიშნა, რომ სასარჩელო მოთხოვნა პირველი ინსტანციის სასამართლოში იყო საქართველოს მთავრობისათვის ქმედების განხორციელების დავალება, კერძოდ, ...ის რაიონის სოფელ ...ში მოსარჩელეთა საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე შესაბამისი ფართის საცხოვრებელი სახლების აშენება, თუმცა 18.12.2018წ. სხდომაზე მოსარჩელებმა ხაზგასმით დააფიქსირეს თანხმობა საცხოვრებელი სახლების სანაცვლოდ კომპენსაციის მიღებასთან დაკავშირებით. სსკ-ის 83.4 მუხლის მიხედვით, სარჩელის შეცვლად არ ჩაითვლება მოსარჩელის მიერ სარჩელში მითითებული გარემოებების დაზუსტება, დაკონკრეტება და დამატება, აგრეთვე სასარჩელო მოთხოვნების ოდენობის შემცირება, ან ერთი ნივთის ნაცვლად მეორე ნივთის მიკუთვნება მისთვის, ანდა ამ ნივთის ღირებულების ანაზღაურება. პალატამ მიიჩ-

ნია, რომ მოსარჩელეთა მოთხოვნა თავსდება პირვანდელი სასარჩელო მოთხოვნის ჩარჩოებში, ამდენად, პირველი ინსტანციის სასამართლოს არ დაურღვევია საპროცესო კანონმდებლობა, არ გაცდენია დავის საგანს, არ დარღვეულა სსკ-ს 248-ე მუხლის დანაწესი. სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა მოსაზრება მოსარჩელეთათვის კომპენსაციის გაცემის დაუშვებლობის შესახებ და აღნიშნა, რომ მოსარჩელებისათვის საცხოვრებელი სახლების აშენების ან მათი თანხმობის პირობებში, მშენებლობის სანაცვლოდ კომპენსაციის გაცემაზე უარი განპირობებული იყო არა იმ გარემოებით, რომ სახელმწიფო არ აღიარებდა მათ წინაშე ნაკისრ ვალდებულებას, არამედ იმით, რომ მათ სახელმწიფოსაგან ბინები სიმბოლურ ფასად უკვე მიღებული ჰქონდათ. პალატამ მიიჩნია, რომ აღნიშნული გარემოება არ წარმოადგენს საქმის გარემოებების იდენტურობის გამომრიცხველ გარემოებას, რამდენადაც სადავო არ არის ის, რომ ამ ოჯახებს/დაზარალებულ პირებს, როგორც ეკომიგრანტებს, საცხოვრებელი სახლები არ გადაცემიათ. შესაბამისად, იმის გათვალისწინებით, რომ სახელმწიფომ ყოველგვარი პირობის გარეშე აიღო ვალდებულება მათთვის, როგორც სტიქიური მოვლენებით დაზარალებულებისათვის, საცხოვრებელი ფართის გადაცემაზე, მიუხედავად იმისა, თავშესაფრით უზრუნველყოფის საჭიროება იქნებოდა თუ არა სახეზე, მას უნდა შეესრულებინა ნაკისრი ვალდებულება ყველა პირის მიმართ თანაბრად. საქართველოს მთავრობას უნდა ემოქმედა სწორედ თანასწორობის პრინციპის დაცვით, რომელიც გარანტირებულია არა მხოლოდ სზაკ-ის მე-4 მუხლით, არამედ საქართველოს კონსტიტუციით აღიარებულ ძირითად უფლებას წარმოადგენს. სახელმწიფოს მხოლოდ ობიექტური საფუძვლით შეეძლო მოსარჩელისთვის კომპენსაციის ანაზღაურებაზე უარის თქმა, თუკი დაასაბუთებდა პირთა არაიდენტურ მდგომარეობაში ყოფნას ან განსხვავებული მოპყრობის გამართლების მიზეზებს დაასახელებდა. სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ 13 ოჯახთან მიმართებით განსხვავებულ მოპყრობას არ ამართლებს ამ საკითხისგან დამოუკიდებლად სახელმწიფოს მიერ საცხოვრებელი სახლების სიმბოლურ ფასად საკუთრებაში გადაცემა. სადავო გარემოებას არ წარმოადგენს, რომ ეს ოჯახები სახელმწიფომ უზრუნველყო საცხოვრებელი ფართებით, თუმცა სახლების გადაცემა არ მომხდარა მათთვის, როგორც ეკომიგრანტებისათვის იმ დროს, როდესაც 36 ოჯახიდან, რომელთაც კომპენსაცია მიიღეს, ორ ოჯახსაც სხვა საფუძვლით, სხვა ვალდებულების ფარგლებში სახელმწიფოსგან მიღებული ჰქონდათ ბინები, თუმცა ადმინისტრაციულმა ორგანომ კომპენსაცია მაინც გადასცა, როგორც ეკომიგრანტებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, უდავოა, რომ მოსარჩე-

ლევების საკითხის შეფასებისას საქართველოს მთავრობამ დაარღვია კანონით აღიარებული თანასწორობის პრინციპი, ვინაიდან საქმეში არსებული მასალებით არ დგინდება ამ ოჯახებისათვის სიმბოლურ ფასად ბინების გადაცემის საფუძველი და მით უფრო ის ფაქტი, რომ მოსარჩელებმა ეს ბინები მიიღეს სახელმწიფოს მიერ მათ მიმართ არსებული სადავო ვალდებულების შესრულების სანაცვლოდ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 01.03.2021წ. განჩინება საკასაციო წესით გასაჩივრდა საქართველოს მთავრობის მიერ. კასატორმა აღნიშნა, რომ მოსარჩელები დაკმაყოფილებულ იქნენ საცხოვრებელი ფართებით საქართველოს პრეზიდენტის 11.09.2012წ. №11/09/04 და 25.09.2012წ. №24/09/05 განკარგულებებით, კერძოდ, მათ სიმბოლურ ფასად – ერთ ლარად საკუთრებაში გადაეცათ საცხოვრებელი ფართები, რის გამო არ იდგა მათი თავშესაფრითი უზრუნველყოფის საკითხი და ამდენად, არ არსებობდა მათთვის კომპენსაციის გაცემის საფუძველი. კასატორი თვლის, რომ უკეთეს მთავრობას დაეკისრება მოსარჩელეთა სასარგებლოდ კომპენსაციის გადახდა, მაშინ მოსარჩელებს უნდა დაევალოთ საკუთრებაში მყოფი საცხოვრებელი ფართების დაბრუნება, წინააღმდეგ შემთხვევაში, მოსარჩელები სხვა ეკომიგრატებთან მიმართებით დაუსაბუთებელი პრივილეგიით ისარგებლებენ. კასატორი მიიჩნევს, რომ სასამართლო გაცდა სასარჩელო მოთხოვნის ფარგლებს და მოსარჩელებს მიაკუთვნა ის, რაც მათ არ მოუთხოვიათ, მოსარჩელებს ჰქონდათ საცხოვრებელი სახლების აშენების და არა კომპენსაციის გაცემის მოთხოვნა.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, გასაჩივრებული განჩინებისა და საკასაციო საჩივრის საფუძვლების შემოწმების შედეგად თვლის, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საცხოვრებელი ადგილის თავისუფლად არჩევა პირის ბუნებითი უფლებაა, ყველას, ვინც კანონიერად იმყოფება საქართველოში, აქვს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე თავისუფალი მიმოსვლისა და საცხოვრებელი ადგილის თავისუფლად არჩევის უფლება (საქართველოს კონსტიტუციის 14.1 მუხ.), თუმცა არის შემთხვევები, როდესაც პირი იძულებულია შეიცვალოს საცხოვრებელი ადგილი მაღალი ალბათობით მოსალოდნელი თუ უკვე რეალიზებული საფრთხის გათვალისწინებით. იძულებით გადაადგილების საფუძვლების მიხედვით განსხვავებულია

იძულებით გადაადგილებული პირისათვის მისანიჭებელი სტატუსი და მათი უფლებრივი მდგომარეობის განმსაზღვრელი ნორმატიული მოწესრიგება. იძულებითი გადაადგილების საფუძვლის მხედველობაში მიღებით პირს შესაძლოა მიენიჭოს ეკომიგრანტის, დევნილის, ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსი. ეკომიგრანტებად მიიჩნევა სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და გადაადგილებას დაქვემდებარებული პირი/ოჯახი. ეკომიგრანტად ჩაითვლება ოჯახი, რომლის საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი სახლი ან მისი ნაწილი დანგრეულია ან დაზიანებულია (საცხოვრებლად უვარგისია) და არ ექვემდებარება აღდგენას ან/და სახლი არ არის დანგრეული, მაგრამ მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული სტიქიური მოვლენები საფრთხეს უქმნის იქ მცხოვრებ ადამიანთა სიცოცხლეს, ჯანმრთელობასა და მათ საკუთრებაში არსებულ ქონებას მენყერის, ღვარცოფის, კლდეზავის, ქვათაცვენის, მდინარეების ნაპირების გარეცხვის, თოვლის ზეგვის, ჯდენადი გრუნტის გამო, გარდა მინისძვრისა და ვულკანისა (საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 13.11.2013წ. №779 ბრძანებით დამტკიცებული „სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და გადაადგილებას დაქვემდებარებული ოჯახების (ეკომიგრანტების) განსახლების პროცედურის“ 1-ლი მუხ.).

განსახილველ შემთხვევაში უდავოა, რომ მოსარჩელები არიან ეკომიგრანტები, 1989 წელს განვითარებული მოვლენების შედეგად ისინი იძულებული გახდნენ დაეტოვებინათ თავისი საცხოვრებელი ადგილი სტიქიური უბედურების გამო, კერძოდ, „აჭარის ასს რესპუბლიკაში სტიქიის შედეგების ლიკვიდაციის გადაუდებელ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 06.05.1989წ. №220 დადგენილების თანახმად, აჭარის მთიან ზონაში თოვლის ინტენსიური დნობის შედეგად წარმოქმნილმა ზეგავებმა და მენყერმა გამოიწვია მრავალი საცხოვრებელი სახლის დანგრევა და დაზიანება, საავტომობილო გზებისა და სასოფლო-სამეურნეო სავარგულების მწყობრიდან გამოსვლა (იხ. აგრეთვე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 29.03.1989წ. №151 დადგენილება). მოპასუხე სადავოდ არ ხდის აგრეთვე იმ გარემოებას, რომ სახელმწიფომ აიღო ეკომიგრანტების განსახლების, მათთვის ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების მშენებლობის ვალდებულება სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე. „საქართველოს სს რესპუბლიკაში სტიქიურ უბედურებათა შედეგების ლიკვიდაციის ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 14.06.1989წ. №285 დადგენილებით დამტკიცდა სტიქიურ უბედურებათა შედეგად დაზარალებული

ბულ მოქალაქეთა ჩასასახლებლად ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების მშენებლობის დავალებანი (1-ლი პ.), ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლებისა და სახაგრომრენვის კუთვნილი ყველა ობიექტისა და ნაგებობის მშენებლობის შემკვეთის ფუნქციები დაეკისრა საქართველოს სახაგრომრენვს (მე-6 პ.), სამინისტროებს, უწყებებსა და სამშენებლო ორგანიზაციებს დაეკისრათ ცენტრალიზებულ კაპიტალურ დაბანდებათა ხარჯზე ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლებისა და ობიექტების სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა შესრულება (მე-7, მე-10, 23-ე პ.). იმის გათვალისწინებით, რომ სტიქიამ საცხოვრებლად უვარგისი და საშიში გახადა აჭარის მთიანი ზონის რიგი დასახლებული პუნქტები, დადგინდა ამ ზონის მოსახლეობის სხვა რეგიონებში განსახლების საჭიროება, მიეთითა, რომ მათთვის უნდა მომხდარიყო საკარმიდამო მიწის ნაკვეთების დაუყოვნებლივ გამოყოფა, განსახლების რეგიონებს შორის მიეთითა ...ის რაიონი, სადაც უნდა მომხდარიყო 50 ოჯახის ჩასახლება („აჭარის ასს რესპუბლიკაში სტიქიის შედეგების ლიკვიდაციის გადაუდებელ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 06.05.1989წ. №220 დადგენილების მე-4, მე-7 პ.). მოგვიანებით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 09.10.1989წ. №497 დადგენილებით განისაზღვრა, რომ ...ის რაიონში, ...ის მიწებიდან გამოყოფილ 20 ჰექტარ ფართობზე გათვალისწინებული 50 ოჯახის ნაცვლად უნდა ჩასახლებულიყო 75 ოჯახი (1-ლი პ.) (ანალოგიურ დებულებას შეიცავს აგრეთვე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 10.04.1999წ. №179 დადგენილების მე-6 პუნქტი და აღნიშნული დადგენილების №1 დანართი). ამდენად, საქმეზე დადგენილად არის ცნობილი, რომ მოსარჩევეები არიან 1989 წელს აჭარის მთიან რეგიონში განვითარებული სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული პირები, რომელთა ჩასახლება განხორციელდა ...ის რაიონის სოფ. ...ში და რომელთათვის ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების მშენებლობის ვალდებულება იკისრა სახელმწიფომ.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქართველოს კონსტიტუციის პრეამბულის მიხედვით, საქართველოს მოქალაქეთა ნებაა სოციალური და სამართლებრივი სახელმწიფოს დამკვიდრება. სოციალური სახელმწიფო არის მმართველობის ფორმა, რომელშიც სახელმწიფო ზრუნავს მოქალაქეების ეკონომიკურ და სოციალურ კეთილდღეობაზე. სახელმწიფო ზრუნავს ადამიანის ჯანმრთელობისა და სოციალურ დაცვაზე, საარსებო მინიმუმითა და ღირსეული საცხოვრებელი უზრუნველყოფაზე, ოჯახის კეთილდღეობის დაცვაზე (საქართველოს კონსტიტუციის 5.4 მუხ.), კონსტიტუცი-

ით გარანტირებულია პირის უფლება ცხოვრობდეს ჯანმრთელობისთვის უვნებელ გარემოში (29.1 მუხ.). ამდენად, სახელმწიფოს კონსტიტუციური ვალდებულებაა ეკომიგრანტების, ანუ იმ პირთა უფლებების დაცვა, რომელთა სიცოცხლეს, ჯანმრთელობასა და ქონებას არსებული სტიქიური მოვლენების გამო რეალური და მნიშვნელოვანი საფრთხე ექმნება, რადგან ჯანმრთელობისათვის უვნებელ გარემოში ცხოვრება გულისხმობს, მათ შორის, შესაძლებლობის ფარგლებში მსგავსი საფრთხეების გამორიცხვას, სათანადო პრევენციული ღონისძიებების გატარებას და საფრთხის რეალიზების შემთხვევაში დაზარალებული ოჯახების დამდგარი შედეგებისაგან განრიდებას. ამასთანავე, სახელმწიფოს აღნიშნული ვალდებულების წინაპირობების არსებობა და ფარგლები ყოველ კონკრეტულ ოჯახთან მიმართებით უნდა შეფასდეს.

საქმეზე უდავოდ დადგენილად არის მიჩნეული, რომ მოსარჩელები არიან ეკომიგრანტები, რომელთათვის სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების მშენებლობის ვალდებულება იკისრა სახელმწიფომ. აღნიშნული ვალდებულების შესრულების მიზნით 2009 წელს საქართველოს მთავრობას განცხადებით მიმართა 49 ოჯახის წარმომადგენელმა, თუმცა მთავრობას რეაგირება არ მოუხდენია, რის შემდეგ დავა გაგრძელდა სასამართლოში. სასამართლოს კანონიერ ძალაში მყოფი 12.09.2013წ. გადანყევტილებით საქართველოს მთავრობას დაევალა ადმინისტრაციული წარმოების ჩატარება 49 ოჯახის განცხადებასთან მიმართებით. საქართველოს მთავრობის 09.06.2017წ. №1182 განკარგულებით მიღებულ იქნა გადანყევტილება 36 ოჯახისათვის კომპენსაციის მიკუთვნების მიზნით სახელმწიფო ბიუჯეტიდან შესაბამისი თანხების გამოყოფის შესახებ. №1182 განკარგულების განმარტებითი ბარათის მიხედვით, 49 ოჯახიდან 22 ოჯახს არ ჰქონდა ალტერნატიული საცხოვრებელი ფართი, 11 ოჯახს ალტერნატიული საცხოვრებელი ფართი შეძენილი ჰქონდა თავისი სახსრებით, 16 ოჯახს კი საცხოვრებელი ფართი სახელმწიფოსგან ჰქონდა გადაცემული. ამ 16 ოჯახიდან 1-ს ჩამოერთვა მისთვის სახელმწიფოს მიერ გადაცემული ფართი, ხოლო 2-ს საცხოვრებელი ფართი მიღებული ჰქონდა როგორც სამხედრო მოსამსახურეს სამხედრო სამსახურის გავლის შესახებ ხელშეკრულებიდან გამომდინარე. ამდენად, მიჩნეულ იქნა, რომ უნდა მომხდარიყო ჯამში 36 ოჯახის საცხოვრებლით დაკმაყოფილება ( $22+11+1+2$ ), ხოლო დანარჩენი 13 ოჯახის დაკმაყოფილების საფუძველი არ არსებობდა, რადგან მათ სახელმწიფოს მხრიდან გადაცემული ჰქონდა უძრავი ქონება პირდაპირი მიყიდვის წესით სიმბოლურ ფასად – 1 ლარად. მოსარჩელების 11 ოჯახი სწორედ აღნიშნულ 13 ოჯახში

ექცევა.

საქმის მასალებით დასტურდება, რომ სარჩელი აღძრული იყო 11 ოჯახის მიერ, თბილისის საქალაქო სასამართლოს 28.12.2018წ. გადაწყვეტილებით მართალია მოპასუხეს – საქართველოს მთავრობას დაეკისრა 13-დან თითოეული ოჯახის საკომპენსაციო თანხით 50000 ლარით უზრუნველყოფა, თუმცა საქალაქო სასამართლოს 28.05.2019წ. განჩინებით, სასკ-ის 260-ე მუხლის საფუძველზე, 28.12.2018წ. გადაწყვეტილებაში დაშვებული უსწორობა გასწორდა და ნაცვლად 13 ოჯახისა მიეთითა 11 ოჯახი. აღნიშნულის მიუხედავად სააპელაციო პალატა გასაჩივრებული განჩინების აღწერილობით და სამოტივაციო ნაწილში უთითებს ეკომიგრანტთა 13 ოჯახზე.

ქვედა ინსტანციის სასამართლოებმა მიიჩნიეს, რომ მოსარჩელებისათვის სახელმწიფოს მიერ ფართის საკუთრებაში გადაცემა არ გამოირიცხავდა მათი, როგორც ეკომიგრანტების, საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილების საჭიროებას, საწინააღმდეგო განმარტება კანონისა და ადმინისტრაციული ორგანოს წინაშე პირთა თანასწორობის პრინციპს დაარღვევდა. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ აღნიშნული დასკვნა არ არის სათანადოდ დასაბუთებული და არ ეფუძნება საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გაროებათა სრულყოფილ გამოკვლევას. ქვედა ინსტანციის სასამართლოებს არ გამოუჩვენიათ საცხოვრებელი ფართის საკუთრებაში გადაცემის საფუძველი, ისინი ერთი მხრივ აღნიშნავენ, რომ მოსარჩელებს საცხოვრებელი ფართი საკუთრებაში არ გადასცემიათ როგორც ეკომიგრანტებს, ხოლო მეორე მხრივ უთითებენ, რომ გაურკვეველია პრივატიზების საფუძველი. მართალია, საქართველოს მთავრობის წარმომადგენელმა სააპელაციო პალატის სხდომაზე აღნიშნა, რომ ფართის გადაცემა არ მომხდარა მოსარჩელებისთვის, როგორც ეკომიგრანტებისთვის, თუმცა ვერ მიუთითა საცხოვრებელი ფართის საკუთრებაში გადაცემის კონკრეტულ ფაქტობრივ და სამართლებრივ საფუძვლებზე. საქმის მასალების მიხედვით პრივატიზება განხორციელდა საქართველოს პრეზიდენტის 11.09.2012წ. №11/09/04 და 25.09.2012წ. №25/09/05 განკარგულებების შესაბამისად, განკარგულებების გამოცემის საფუძველად მითითებულია „სახელმწიფო ქონების შესახებ“ კანონის 7.3, 10.1, 10.2, 18.3 მუხლები. „სახელმწიფო ქონების შესახებ“ კანონის პრივატიზების პერიოდში მოქმედი რედაქციის ზემოაღნიშნული ნორმები არ მიუთითებდნენ პრივატიზების კონკრეტულ საფუძვლებზე, მხოლოდ განსაზღვრავენ სახელმწიფო ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების ზოგად მიზანს (10.1 მუხ.), პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ გადაწყვეტილე-

ბის საქართველოს პრეზიდენტის მიერ მიღების საჭიროებას (7.3, 18.3 მუხ.), სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის პირდაპირი მიყიდვის ქონების მმართველის ინიციატივის ან საქართველოს მთავრობის წარდგინების საფუძველზე განხორციელებას (10.2 მუხ.). პრივატიზების საფუძველებზე მითითება არ ხდება აგრეთვე განკარგულებებზე თანდართულ განმარტებით ბარათებში. საქართველოს პრეზიდენტის 25.09.2012წ. 25/09/05 განკარგულებაზე თანდართულია ბოლნისის, გარდაბნის, დმანისის, თეთრიწყაროს, მარნეულის, წალკის მუნიციპალიტეტებში და თვითმმართველ ქალაქ რუსთავში სახელმწიფო რწმუნებულის 07.09.2012წ. მიმართვა, რომლის თანახმად, გუბერნატორი შუამდგომლობს ქვემო ქართლში შემავალ მუნიციპალიტეტებში მცხოვრები მოქალაქეებისათვის სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი ფართების გადაცემას სათანადო საფუძვლის მითითების გარეშე, ხოლო საქართველოს პრეზიდენტის 11.09.2012წ. განკარგულებაზე მსგავსი მიმართვაც კი არ არის თანდართული. ამდენად, საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებებიდან და თანდართული მასალიდან არ ირკვევა პირდაპირი მიყიდვის წესით, სიმბოლურ ფასად პრივატიზების კონკრეტული საფუძველი, თუმცა აღნიშნული იმთავითვე არ გულისხმობს განკარგვის საფუძვლის დადგენის შეუძლებლობას. საკასაციო პალატა თვლის, რომ აღნიშნული გარემოების დადგენის კუთხით მოპასუხის საქართველოს მთავრობის განმარტებები შესაძლოა არ იყოს საკმარისი მონაცემის შემცველი, რადგან პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ გადწყვეტილება მიღებულ იქნა საქართველოს პრეზიდენტის მიერ, ხოლო იმ პერიოდში მოქმედი ნორმატიული მოწესრიგების შესაბამისად, სახელმწიფო ქონების მართვასა და განკარგვასთან დაკავშირებულ პოლიტიკას განსაზღვრავდა და წარმართავდა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო („სახელმწიფო ქონების შესახებ“ კანონის 1.7 მუხ), სახელმწიფო ქონების მართვასა და განკარგვას ახორციელებდა სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო („სახელმწიფო ქონების შესახებ“ კანონის 1.6 მუხ.). რომელიმე აღნიშნული ორგანოდან ან ადგილობრივი მუნიციპალიტეტებიდან პრივატიზების საფუძველებთან დაკავშირებით ინფორმაციის მოძიების მცდელობას ადგილი არ ჰქონია.

პრივატიზების საფუძველებთან მიმართებით საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ საქმის მასალებიდან არ იკვეთება ეკომიგრანტობის გარდა რაიმე სხვა საფუძველი, რომლის გათვალისწინებითაც შესაძლებელი გახდებოდა მოსარჩელეებისათვის ფართების გადაცემა. მხარეთა შორის დამყა-



რებული სამართალურთიერთობის საფუძველი კონკრეტულ ფაქტობრივ გარემოებებს ემყარება. საქმის მასალებით დგინდება, რომ მოსარჩელები ეკომიგრანტები არიან, რომელთა მიმართ სახელმწიფომ იკისრა საცხოვრებელი სახლების აშენების ვალდებულება, ამასთანავე, დგინდება, რომ სახელმწიფოს მიერ მოსარჩელეთა ნაწილს პირდაპირი მიყიდვის ფორმით საკუთრებაში გადაეცა საცხოვრებელი ბინები. ქვედა ინსტანციის სასამართლოებმა აღნიშნეს, რომ მოსარჩელებს საცხოვრებელი ფართი ეკომიგრანტობის საფუძველით არ გადასცემიათ საკუთრებაში, თუმცა ვერ უზრუნველყვეს აღნიშნული დასკვნის სათანადო დასაბუთება. საქმიდან იკვეთება მოსარჩელეთა მიმართ სახელმწიფოს მხოლოდ ერთი ვალდებულება (ეკომიგრანტების საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფა) და მხოლოდ ერთი შესრულება (საცხოვრებელი ფართების საკუთრებაში გადაცემა). ზოგადი წესის მიხედვით შესრულება ვალდებულების არსებობას გულისხმობს (სკ-ის 361.1 მუხ.). მართალია, შესრულება შესაძლებელია სხვადასხვა ვალდებულებიდან გამომდინარეობდეს, თუმცა ეკომიგრანტების საცხოვრებელით უზრუნველყოფის ვალდებულების გარდა სხვა რაიმე ვალდებულებაზე, რომლის შესასრულებლაც სახელმწიფოს შესაძლოა პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზებისას ემოქმედა, მხარეები ვერ უთითებენ. პირდაპირი მიყიდვის წესით მოსარჩელებს გადაეცათ სახელმწიფოს კუთვნილი ფართები, რომლებსაც ისინი ფაქტობრივად ფლობდნენ რაიმე საფუძვლის გარეშე, მოსარჩელეთა მიმართ სახელმწიფოს რაიმე სხვა ვალდებულების ან კანონიერი ინტერესის არსებობის დაუდგენლად სააპელაციო პალატამ დაადგინა, რომ პრივატიზება ეკომიგრანტობის საფუძველით არ მომხდარა.

გასათვალისწინებელია აგრეთვე, რომ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 16.09.2010წ. №1-1/1537 ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ დებულების“ პრივატიზების განხორციელებისას მოქმედი რედაქციის თანახმად, საქართველოს პრეზიდენტის განკარგულების გამოცემის შემდეგ ქონების შემძენთან იდებოდა ნასყიდობის ხელშეკრულება (3.1 მუხ.), რომელშიც მითითებოდა შეძენილი ქონების დასახელება, შემადგენლობა, მხარეთა ურთიერთვალდებულებები და სხვა მონაცემები, დასადები ხელშეკრულების სპეციფიკის გათვალისწინებით (3.4 მუხ.). სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ საქართველოს პრეზიდენტის 11.09.2012წ. №11/09/04 და 25.09.2012წ. №25/09/05 განკარგულებების საფუძველზე დადებული ხელშეკრულებების

(საჯარო რეესტრის მონაცემების თანახმად, ნასყიდობის ხელშეკრულებები 11 მოსარჩელესთან დადასტურებულია დროის მოკლე მონაკვეთში – 2012 წლის სექტემბერ-ოქტომბერში) შინაარსი არ შესწავლილა, ხელშეკრულებების მხარის – საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს განმარტებები მოსმენილი არ ყოფილა.

ზემოაღნიშნულთან ერთად, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ პრეზიდენტის განკარგულებებით „სახელმწიფო ქონების შესახებ“ კანონით დადგენილი ზოგადი წესით პრივატიზების განხორციელება არ გამორიცხავს მოსარჩელეთა ნაწილისთვის, როგორც ეკომიგრანტებისათვის, საცხოვრებელი ფართის საკუთრებაში გადაცემას, რადგან სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და გადაადგილებას დაქვემდებარებული ოჯახების (ეკომიგრანტების) განსახლების პროცედურა, განსახლების კრიტერიუმები, ერთიანი ელექტრონული მონაცემთა ბაზის წარმოების წესი განისაზღვრა პრივატიზაციის შემდგომ – საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 13.11.2013წ. №779 ბრძანებით. პრივატიზების პროცედურის განხორციელებისას არ არსებობდა ეკომიგრანტების საცხოვრებელი დაკმაყოფილების სპეციალური ნორმატიული მოწესრიგება, შესაბამისად, მათთვის სახელმწიფო ქონების საკუთრებაში გადაცემა მოხდებოდა არსებული ზოგადი წესის დაცვით. პრივატიზების მიზნის განსაზღვრისათვის მნიშვნელოვანი იყო აგრეთვე იმ გარემოებათა შეფასება, რომ პრივატიზება განხორციელდა 2012 წელს, მას შემდეგ, რაც 2009 წელს 49 ეკომიგრანტი ოჯახის წარმომადგენელმა საქართველოს მთავრობისაგან მოითხოვა საცხოვრებელი ფართებით უზრუნველყოფა და ამ საკითხზე მიმდინარეობდა სასამართლო დავა. პრივატიზების მიზნის განმსაზღვრელი ზემოაღნიშნული გარემოებები და მტკიცებულებები ქვედა ინსტანციის სასამართლოების მიერ არ შეფასებულა, რის გამოც არ არის დასაბუთებული დასკვნა იმის შესახებ, რომ მოსარჩელეთა ნაწილს საცხოვრებელი ფართი საკუთრებაში არ გადასცემიათ, როგორც ეკომიგრანტებს.

სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველს არ ქმნის სააპელაციო სასამართლოს 12.09.2013წ. გადაწყვეტილება და მის საფუძველზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცელი, ვინაიდან სასამართლო გადაწყვეტილებით მოხდა არა გადაწყვეტილებაში მითითებული პირებისათვის საცხოვრებელი სახლის მშენებლობის დავალება, არამედ მათი, როგორც სტიქიით დაზარალებული პირებისათვის, ინდივიდუალური საც-

ხოვრებელი სახლების მშენებლობის შესახებ განცხადების განხილვა-გადანყვეტის მიზნით ადმინისტრაციული წარმოების ჩატარების და მის საფუძველზე დასაბუთებული გადანყვეტილების გამოცემის ვალდებულების განსაზღვრა. ამდენად, მოსარჩელეთა მითითება სააპელაციო სასამართლოს 12.09.2013წ. გადანყვეტილებაზე და მის საფუძველზე გაცემულ სააღსრულებო ფურცელზე არ ქმნის სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველს.

ქვედა ინსტანციის სასამართლოების მოსაზრება, რომ მოსარჩელეთათვის საცხოვრებელი სახლების ან კომპენსაციის მიკუთვნებაზე უარის თქმის გამო ირღვევა თანასწორობის პრინციპი აგრეთვე მოკლებულია დასაბუთებას, რადგან ერთი მხრივ სათანადოდ არ გამოირიცხულა მოსარჩელეთა ნაწილის, როგორც ეკომიგრანტების საცხოვრებლით უზრუნველყოფა, ხოლო მეორე მხრივ კომპარატიორი ანუ პირთა ჯგუფი, რომელთან შედარებითაც დადგინდება არათანასწორი მოპყრობა, არ იქნა სათანადოდ იდენტიფიცირებული. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლითა და სზაკ-ის მე-4 მუხლით გარანტირებული თანასწორობის პრინციპი არ გულისხმობს ტოტალურ გათანაბრებას, მისი მიზანია არ დაუშვას არსებითად თანასწორის განხილვა უთანასწოროდ ან პირიქით. უთანასწორო მოპყრობის საკითხზე მსჯელობისას პირველ რიგში, უნდა დადგინდეს თუ რამდენად წარმოადგენენ პირები (პირთა ჯგუფები) არსებითად თანასწორებს და შესაბამისად, რამდენად განეკუთვნებიან შედარებად კატეგორიებს, ისინი მსგავს კატეგორიაში, ანალოგიურ გარემოებებში უნდა ხვდებოდნენ. დიფერენცირებული მოპყრობისას ერთმანეთისგან უნდა გაიმიჯნოს დისკრიმინაციული დიფერენციაცია და ობიექტური გარემოებებით განპირობებული დიფერენციაცია. დისკრიმინაციას ექნება ადგილი, თუ დიფერენციაციის მიზეზები აუხსნელია, მოკლებულია გონივრულ საფუძველს (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 27.12.2010წ. №1/1/493 გადაწყვეტილება საქმეზე „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებები „ახალი მემარჯვენეები“ და „საქართველოს კონსერვატიული პარტია“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II.2,3). განსახილველ შემთხვევაში, სააპელაციო პალატამ არსებითად თანასწორად მიიჩნია ის პირები, რომელთაც საცხოვრებელი ფართები საკუთრებაში გადაცემული აქვთ სამხედრო სამსახურის გავლის შესახებ კონტრაქტის საფუძველზე და მოსარჩელები, ანუ ის პირები, რომელთაც სახელმწიფოსაგან საცხოვრებელი ფართი საკუთრებაში გადაცემული აქვთ ამ ეტაპზე დაუდგენელი საფუძველით. საკასაციო პალატა თვლის, რომ აღნიშნულ პირთა ჯგუფების არსებითად თანასწორად განხილვა არ ეფუძნება შესაბამის და-

საბუთებას, რადგან იკვეთება, რომ პირველ შემთხვევაში საცხოვრებელი ბინის საკუთრებაში გადაცემა მოხდა სამხედრო სამსახურის გავლის შესახებ კონტრაქტის საფუძველზე, ანუ მხარეთა შორის არსებული სახელშეკრულებო ურთიერთობის ფარგლებში, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესასრულებლად და არა სახელმწიფოს სოციალური ფუნქციის განხორციელების მიზნით. სამხედრო სამსახურის გავლის შესახებ კონტრაქტის შესაბამისად სამხედრო მოსამსახურის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამსახურის განწევა, კონკრეტული პერიოდის განმავლობაში სამხედრო ვალდებულებათა კეთილსინდისიერად და ჯეროვნად შესრულება, იმთავითვე წარმოშობდა სამხედრო მოსამსახურის საკუთრებაში საცხოვრებელი ბინის გადაცემის ვალდებულებას, რადგან ხელშეკრულება შეიცავდა ასეთ ვალდებულებაზე მითითებას. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ვალდებულება შეიძლება წარმოიშვას ხელშეკრულების ან კანონის (ნორმატიული აქტის) საფუძველზე. სახელშეკრულებო ვალდებულებები მხარეთა ურთიერთმფარავ ნებას, კონსესუსს ეფუძნება, ხოლო ნორმატიული აქტის საფუძველზე წარმოშობილი ვალდებულებები მხარეთა შეთანხმების მიღმაა. სახელშეკრულებო ვალდებულებების შემთხვევაში მხარეები კანონის ფარგლებში თავად არჩევენ კონტრაქტს, განსაზღვრავენ ვალდებულების შინაარსს, წარმოშობის წინაპირობებს, სახელშეკრულებო ზოგჯის ფარგლებს, ხოლო კანონისმიერი ვალდებულებების შემთხვევაში ვალდებულების წარმოშობის წინაპირობები, ვალდებულების შესრულებაზე პასუხისმგებელი სუბიექტი და შესრულების ფარგლები დგინდება კანონის საფუძველზე. კანონისმიერი ვალდებულების შესრულებისათვის პირის ნება საჭიროა მხოლოდ მოთხოვნის დაყენების თვალსაზრისით, – პირმა სათანადო წესით უნდა დააფიქსიროს კანონისმიერი ვალდებულების შესრულების სურვილი. ამდენად, ვალდებულების შესასრულებლად საჭირო ქმედებებს შორის ფორმალური მსგავსების მიუხედავად, წარმოშობის საფუძვლის გათვალისწინებით ვალდებულებები შესაძლოა არსობრივად განსხვავდებოდნენ ერთმანეთისგან, რის გამო პირთა არსებითად თანასწორ გარემოებებში მყოფ სუბიექტებად მიჩნევისათვის შეფასებას საჭიროებს არა მხოლოდ შედეგი – სახელმწიფო საკუთრებაში რიცხული ფართის კერძო საკუთრებაში გადასვლა, არამედ სახელმწიფოს მიერ საცხოვრებელი ფართის კერძო საკუთრებაში გადაცემის საფუძველიც, რაც ქვედა ინსტანციის სასამართლოების მიერ უგულებელყოფილ იქნა. არსებითად თანასწორად ვერ იქნებიან მიჩნეული აგრეთვე მოსარჩელები და ის პირები, რომელთაც საცხოვრებელი ფართი საერთოდ არ ჰქონდათ ან რომლებსაც საცხოვრებელი სა-

კუთარი სახსრებით ჰქონდათ შეძენილი, რადგან უდავოა, რომ მათ საცხოვრებელი ფართი სახელმწიფოსგან საკუთრებაში არ გადასცემიან განსხვავებით მოსარჩელეთა ნაწილისგან. საკასაციო პალატა თვლის, რომ აღნიშნული გარემოება მითითებულ შესაძარებელ ჯგუფებს შორის არსობრივ სხვაობას ქმნის. ამდენად, არ დასტურდება თანასწორობის პრინციპის დარღვევა, დისკრიმინაციული მოპყრობა, პირიქით, გასაჩივრებულ განჩინებაში მოყვანილმა არგუმენტაციამ შესაძლოა გამოიწვიოს ეკომიგრანტი პირების უსამართლო დიფერენციაცია, კერძოდ, სახეზე იქნება ის პირები, რომლებსაც საკუთრებაში აქვთ მიწის ნაკვეთები და მათზე სახელმწიფოს მიერ გაიცა 50 000 ლარი და მეორე მხრივ ეკომიგრანტთა კატეგორია, რომლებსაც საკუთრებაში აქვთ მიწის ნაკვეთები, სახელმწიფოს მიერ გადაცემული აქვთ საცხოვრებელი ბინები და დამატებით სასამართლოს სადავო განჩინებით გადაცემული ექნებათ 50 000 ლარი. ამგვარი მიდგომა გამოიწვევს იმ ეკომიგრანტ პირებთან მიმართებით არათანასწორ დამოკიდებულებას, რომლებსაც მხოლოდ ნაკვეთები და საკომპენსაციო თანხა აქვთ მიღებული და დამატებით საცხოვრებელი ფართი არ მიუღიათ.

ქვედა ინსტანციის სასამართლოებმა აღნიშნეს, რომ სახელმწიფომ მოსარჩელეთათვის, როგორც სტიქიური მოვლენებით დაზარალებულებისთვის, საცხოვრებელი ფართის გადაცემის ვალდებულება იკისრა ყოველგვარი პირობის გარეშე. ამ კუთხით საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ მოსარჩელეთა საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის ვალდებულება წარმოშობილია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 14.06.1989წ. №285, 09.10.1989წ. №497, 20.04.1990წ. №179 დადგენილებების საფუძველზე. ამ პერიოდში მოქმედი საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 104-ე მუხლის მიხედვით, მოქალაქეს პირად საკუთრებაში შესაძლებელი იყო ჰქონოდა მხოლოდ ერთი საცხოვრებელი სახლი. იმ შემთხვევაში, თუ პირის (მეუღლეების და მათი არასრულწლოვანი შვილების) საკუთრებაში აღმოჩნდებოდა ერთზე მეტი საცხოვრებელი სახლი, სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 105-ე მუხლი ითვალისწინებდა მხოლოდ ერთი მათგანის პირად საკუთრებაში დატოვების შესაძლებლობას. ამდენად, ლოგიკურია, რომ სსრ მინისტრთა საბჭოს 14.06.1989წ. №285 და 09.10.1989წ. №497 დადგენილებებში არ იქნებოდა მითითება ისეთი შემთხვევების მოწესრიგებაზე, როდესაც სტიქიური მოვლენებით დაზარალებულ პირს საკუთრებაში ჰქონდა სხვა, ალტერნატიული საცხოვრებელი ფართიც, რადგან იმ დროს მოქმედი ნორმატიული მოწესრიგება გამოორიცხავდა კერძო საკუთრებაში ერთ საცხოვრებელ სახლზე მეტის ქონას, შესაბამისად, დაზიანებული/

დანგრეული სახლის ნაცვლად სხვა საცხოვრებელი ეკომიგრანტებს საკუთრებაში ვერ ექნებოდათ. აქედან გამომდინარე, იმ პერიოდში ეკომიგრანტებისათვის საცხოვრებელი სახლების აშენების მიზანი იყო სწორედ თავშესაფრით უზრუნველყოფა, თუმცა დღეის მდგომარეობით არსებული ვითარება შეცვლილია, ეკომიგრანტისათვის საცხოვრებელი ფართის საკუთრებაში გადაცემას აღარ აქვს მხოლოდ თავშესაფრით უზრუნველყოფის მიზანი, რადგან საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 13.11.2013წ. №779 ბრძანებით დამტკიცებული „სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და გადაადგილებას დაქვემდებარებული ოჯახების (ეკომიგრანტების) განსახლების პროცედურის“ 2.12 მუხლი დასაშვებად თვლის იმ ეკომიგრანტი ოჯახების დახმარების შესაძლებლობას, რომელთა ოჯახის წევრ(ებ)ს საკუთრებაში აქვთ სხვა საცხოვრებელი სახლი. ამდენად, ამჟამად პირის საკუთრებაში საცხოვრებელი ფართის ქონა იმთავითვე არ გამორიცხავს მისთვის, როგორც ეკომიგრანტისთვის სახელმწიფოს მიერ საცხოვრებელი ფართის საკუთრებაში გადაცემის შესაძლებლობას, თუმცა მნიშვნელოვანია თუ რა საფუძვლით აქვს ეკომიგრანტს საკუთრებაში ალტერნატიული ფართი. კანონმდებლობა არ ითვალისწინებს ეკომიგრანტისთვის სტიქიით მიყენებული ზიანის გამო სახელმწიფოსგან რამოდენიმეჯერ საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილების შესაძლებლობას. უფლებამოსილი ორგანოს მიერ არ განიხილება იმ ეკომიგრანტი ოჯახის განცხადება, რომელსაც სახელმწიფოს ან დონორი ორგანიზაციების მიერ დაზარალების გამო ერთხელ უკვე აქვს მიღებული საცხოვრებელი სახლი ან სანაცვლოდ სათანადო ფულადი დახმარება, ეკომიგრანტის საცხოვრებელი სახლით უზრუნველყოფა ხორციელდება მხოლოდ ერთხელ (მინისტრის 13.11.2013წ. №779 ბრძანებით დამტკიცებული „სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და გადაადგილებას დაქვემდებარებული ოჯახების (ეკომიგრანტების) განსახლების პროცედურის“ 2.12, 2.81 მუხ.). აღნიშნული მოწესრიგება კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს მოსარჩელების ნაწილის სახელზე განხორციელებული პრივატიზების საფუძვლის დადგენის აუცილებლობას. მოცემულ შემთხვევაში სახელმწიფოს მიერ კომპენსაციის თანხა (50 000 ლარი) გადაეცა არა მხოლოდ სტიქიით დაზარალებულ იმ ოჯახებს, რომლებსაც არ გააჩნდა ალტერნატიული ფართი (22 ოჯახი), არამედ აგრეთვე იმ ოჯახებსაც, რომლებსაც შეძენილი ჰქონდათ საცხოვრებელი ფართი თავიანთი სახსრებით (11 ოჯახი). ამასთანავე, აღნიშნული არ ადასტურებს სახელმწიფოს ვალდებულებას რამოდენიმეჯერ დააკმაყოფილოს საცხოვრებელი ფართით მო-

სარჩელები. მოსარჩელეთა მოთხოვნას საფუძვლად უდევს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 14.06.1989წ. №285, 09.10.1989წ. №497 დადგენილებები, რომლებიც ითვალისწინებდა სტიქიით დაზარალებული პირებისთვის თავშესაფრის მიცემას, რისთვისაც დადგინდა დაზარალებული ოჯახებისთვის უძრავი ქონების – ნაკვეთების გამოყოფა და საცხოვრებელის ახლების აშენება. მოსარჩელებისათვის საცხოვრებელი სახლების აშენების ან მათი თანხმობის პირობებში მშენებლობის სანაცვლოდ კომპენსაციის გაცემაზე უარი მოცემულ შემთხვევაში განპირობებული იყო არა იმ გარემოებით, რომ სახელმწიფო არ აღიარებდა მათ წინაშე ნაკისრ ვალდებულებას, არამედ იმით, რომ მათ სახელმწიფოსგან ბინები სიმბოლურ ფასად (1 ლარად) უკვე მიღებული ჰქონდათ.

საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს აგრეთვე იმ გარემოებაზე, რომ მოსარჩელეთა ნაწილზე პრივატიზების განხორციელება, მათ შორის ეკომიგრანტობის საფუძვლის შემთხვევაშიც, იმთავითვე არ გამოირიცხავს სარჩელის დაკმაყოფილების შესაძლებლობას, რადგან შეფასებას საჭიროებს საცხოვრებელი სახლის ფართობისა და ოჯახის წევრთა სულადობის ურთიერთმიმართება. საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილების საკითხის გადაჭრილად ჩათვლისათვის უნდა გაირკვეს თუ რამდენად მოხდა პირდაპირი მიყიდვით ფართების მოსარჩელებისათვის გადაცემით სტიქიით დაზარალებულთა ოჯახების დაკმაყოფილება. ზოგადი წესის მიხედვით, არ განიხილება იმ ეკომიგრანტი ოჯახის განცხადება, რომელსაც დაზარალების გამო ერთხელ უკვე აქვს მიღებული საცხოვრებელი სახლი, თუმცა გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საცხოვრებელი სახლის მოცულობა რადიკალურად არ შეესაბამება ოჯახის წევრთა სულადობას (№779 ბრძანებით დამტკიცებული „სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და გადაადგილებას დაქვემდებარებული ოჯახების (ეკომიგრანტების) განსახლების პროცედურის“ 2.12 მუხ.). სახელმწიფომ ეკომიგრანტი ოჯახი უნდა უზრუნველყოს არა უბრალოდ საცხოვრებელი ფართით, არამედ სათანადო საცხოვრებლით, რომელშიც უზრუნველყოფილი იქნება ღირსეული ცხოვრებისათვის აუცილებელი პირობები, მათ შორის, უსაფრთხოებისა და სანიტარიული თვალსაზრისით, სახელმწიფო უზრუნველყოფს პირს არა უბრალოდ საცხოვრებლით, არამედ ღირსეული საცხოვრებლით (საქართველოს კონსტიტუციის 5.4 მუხ.). სააპელაციო პალატას არ დაუდგენია კონკრეტული მოსარჩელები, რომელთათვის საცხოვრებელი ფართის საკუთრებაში გადაცემა მოხდა, ამასთანავე, არ გამოკვლეულა გადაცემული საცხოვრებელი ფართის მახასიათებლები, მათ შორის, ფართობი და მიმართება ოჯახის სულადობასთან, არ დადგენილა აგრეთ-

ვე კონკრეტული პირებისათვის საცხოვრებელი ფართის პირდაპირი მიყიდვა განხორციელდა ინდივიდუალურად თუ ამ პირის ოჯახის საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის მიზნით. საკასაციო პალატა თვლის, რომ აღნიშნული გარემოებების დადგენა შესაძლოა განმსაზღვრელი ყოფილიყო საცხოვრებელი ბინით დაკმაყოფილების შესახებ მოსარჩელეთა მოთხოვნის საფუძვლიანობის გამოსარკვევად.

მოსარჩელეთა წარმომადგენლის მოსაზრება, რომ პრივატიზაციით მიღებული ბინები მოსარჩელების მიერ პირდაპირი წესით შესყიდვამდე შესყიდული იყო ბინების რეალური მესაკუთრეებისგან, რომლებსაც ბინებზე ჰქონდათ შესაბამისი ორდერები, რის შედეგად მოხვდნენ პირდაპირი წესით საცხოვრებელი ფართების შემსყიდველთა სიაში საქმის მასალებით არ დასტურდება. საქმის მასალებში დაცულია მხოლოდ ერთი მოსარჩელის (ო. მ-ის და მისი შვილის – ა. მ-ის) 02.10.2010წ. ხელწერილის ასლი, რომლის მიხედვით ...ის რაიონში, სოფ. ...ში მდებარე ბინის (სახლი №..., ბ. №..., II სადარბაზო, VII სართული) საფასურად ბინის მესაკუთრეს (ი. ს-ს) ფულადი თანხა (5 000 აშშ დოლარი) გადაუხადეს. სანოტარო წესით დამოწმებული 07.10.2010წ. №... მინდობილობის თანახმად, ი. ს-მა ამ მინდობილობით მინდობილ მესაკუთრეს – ო. მ-ეს მიანიჭა ი. ს-ის კუთვნილი ბინის (ორდერი №...) მართვის და განკარგვის უფლება (მათ შორის, ბინის პრივატიზების, განკარგვის, გაცვლის, თავის თავთან გარიგების დადების და სხვ. უფლებამოსილებით). საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს და ო. მ-ეს შორის დაიდო ნასყიდობის ხელშეკრულება 90 კვ.მ. ფართზე, საპრივატიზაციო საფასური 1 ლარით განისაზღვრა. საჯარო რეესტრის ჩანაწერის თანახმად, 14.09.2012წ. დამოწმებული ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე ო. მ-ის სახელზე რეგისტრირებულია 90 კვ.მ. ფართის მქონე №... ბინა. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სარჩელი დაკმაყოფილდა ხსენებული დოკუმენტაციის შეფასების გარეშე, ქვედა ინსტანციის სასამართლოების მიერ ამ მხრივ ფაქტობრივი გარემოებები არ დადგენილა, ამასთანავე, დანარჩენი მოსარჩელების მიმართ პრივატიზებამდე კერძო პირებისგან ფართის შესყიდვის ფაქტის დამადასტურებელი რაიმე დოკუმენტაცია საქმის მასალებში არ მოიპოვება. აღნიშნულ გარემოებებზე მსჯელობისას გასათვალისწინებელია აგრეთვე, რომ პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების განხორციელებისას (2012წ. სექტემბერი) მოქმედი ნორმატიული მოწესრიგების მიხედვით ბინის ორდერი იყო ბინით კანონიერი სარგებლობის დამადასტურებელი დოკუმენტი და ადმინისტრაციულ ორგანოში მისი წარდგენა ქმნიდა არაპრივატიზებულ საცხოვრებელ და არასაცხოვ-



რებელ ფართობზე კანონიერი მოსარგებლეებისათვის უსასყიდლოდ საკუთრების უფლების მინიჭების საფუძველს, რაც ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოს გადაწყვეტილების საფუძველზე ხორციელდებოდა „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ ორგანული კანონისა და საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით დამტკიცებული წესის შესაბამისად (საქართველოს პრეზიდენტის 29.01.2007წ. №73 ბრძანებულებით დამტკიცებული „კანონიერი მოსარგებლეებისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი (იზოლირებული და არაიზოლირებული) ფართობის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლეებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის“ 2.1 მუხ. „ე“, „ვ“ ქვ.პ., მე-3 მუხ.). უფლების მფლობელი ვერ გადასცემს მესამე პირს იმაზე მეტ უფლებას, ვიდრე თავად ეკუთვნის, რის გამო ერთ-ერთი მოსარჩელის მიერ ორდერის მფლობელი პირის ჩანაცვლების შემთხვევაში, იგი აღმოჩნდებოდა იმავე უფლებრივ მდგომარეობაში, როგორშიც ორდერის პირვანდელი მფლობელი იყო. ამდენად, მოსარჩელეთა ზემოაღნიშნული არგუმენტაციის შეფასებისას გათვალისწინებას საჭიროებს აგრეთვე ის გარემოება, რომ მოსარჩელეთა სახელზე ფართების პრივატიზება განხორციელდა „სახელმწიფო ქონების შესახებ“ კანონის და არა საქართველოს პრეზიდენტის 29.01.2007წ. №73 ბრძანებულებით დამტკიცებული წესის საფუძველზე.

რაც შეეხება კასატორის მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ მოსარჩელეთა სასარგებლოდ საკომპენსაციო თანხის გაცემის შემთხვევაში მოსარჩელებს უნდა დაეკისროთ სახელმწიფოს მიერ გადაცემული უძრავი ქონების სახელმწიფოს სასარგებლოდ დაბრუნება, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ვინაიდან მოპასუხეს არ აღუძრია შეგვებული სარჩელი ასეთი მოთხოვნით, შესაბამისად, განსახილველი დავის საგანს არ შეადგენს მოსარჩელებისათვის გადაცემული უძრავი ქონების, საცხოვრებელი ფართების დაბრუნება, სასამართლო ვერ გასცდება სასარჩელო მოთხოვნის ფარგლებს, სსკ-ის 248-ე მუხლის თანახმად, სასამართლოს უფლება არ აქვს მიაკუთვნოს თავისი გადაწყვეტილებით მხარეს ის, რაც მას არ მოუთხოვია.

სააპელაციო პალატა უთითებს, რომ მოსარჩელების მიერ საქალაქო სასამართლოს 18.12.2018წ. სხდომაზე დაზუსტდა სასარჩელო მოთხოვნა და მოთხოვნილ იქნა კომპენსაცია საცხოვრებელი ბინებით უზრუნველყოფის ნაცვლად. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 18.12.2018წ. სხდომაზე მოსამართლემ მოსარჩელეთა წარმომადგენელს არაერ-

თეზის შესთავაზა მოთხოვნის დაზუსტება, თუმცა მოსარჩელეთა წარმომადგენელმა ცხადად განმარტა, რომ არ აზუსტებდა მოთხოვნას, რადგან მოთხოვნის საფუძველს ქმნიდა 1989-1999 წლებში გამოცემული დადგენილებები, რომლებიც ითვალისწინებდნენ ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების აშენებას და არა კომპენსაციის მიღებას, რის გამო კომპენსაციის მოპასუხისთვის დაკისრების მოთხოვნას არ ექნებოდა შესაბამისი სამართლებრივი საფუძველი (აღნიშნულთან დაკავშირებით მხედველობაშია მისაღები, რომ მთავრობის 09.06.2017წ. №1182 განკარგულების თანახმად, თითოეულ ეკომიგრანტ ოჯახს გამოეყო 50 000 ლარი, ხოლო ამჟამად მოქმედი კანონმდებლობით ეკომიგრანტი ოჯახის დაკმაყოფილების მიზნით კერძო საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი სახლის შესყიდვისთვის ნასყიდობის ღირებულების მაქსიმალური ოდენობა ერთ საცხოვრებელ სახლზე არის არაუმეტეს 30 000 ლარი (საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 13.11.2013წ. №779 ბრძანებით დამტკიცებული „სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და გადაადგილებას დაქვემდებარებული ოჯახების (ეკომიგრანტების) განსახლების პროცედურის“ 4.3 მუხ.). ამასთანავე, მოსარჩელეთა წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მორიგების შემთხვევაში მოსარჩელები თანახმა იქნებიან კომპენსაციის მიღებაზე. ამდენად, წარმომადგენელს მართალია არ გამოურიცხავს კომპენსაციის მიღების შესაძლებლობა, თუმცა 18.12.2018წ. სხდომაზე მოთხოვნის დაზუსტება არ მომხდარა (11:13-11:17სთ). საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სასარჩელო მოთხოვნის დაზუსტება მოსარჩელის დისპოზიციის ფარგლებში ექცევა, რის გამო სასამართლოს უფლება აქვს მოახდინოს სასარჩელო მოთხოვნის დაზუსტების შეთავაზება, თუმცა არა მოსარჩელის ნების ჩანაცვლება. მაშინაც კი, თუ სასამართლო თვლის, რომ მოთხოვნის უკეთ ფორმულირებაა შესაძლებელი, ის ვერ განსაზღვრავს დავის საგანს, ამ პროცესში მოსარჩელის ნების იგნორირება დაუშვებელია. სააპელაციო პალატის მითითება სსკ-ის 83.4 მუხლზე, რომლის თანახმად, სარჩელის შეცვლად არ ჩაითვლება მოსარჩელის მიერ ნივთის ნაცვლად მისი ღირებულების ანაზღაურების მოთხოვნა, არ გამოირიცხავს პროცესუალური ხარვეზის არსებობას, რადგან როგორც აღნიშნა მოსარჩელის წარმომადგენელს კომპენსაცია არ მოუთხოვია. ის, რომ გარკვეულ ეკომიგრანტებთან მოლაპარაკების წარმოების შედეგად შეთანხმება მოხდა სახელმწიფოს მხრიდან თითოეული ოჯახისათვის 50 000 ლარის მიკუთვნებაზე, არ წარმოშობს იმავე ვალდებულებას სხვა ეკომიგრანტების მიმართ, რადგან სათანადოდ არ დასაბუთებულა კომ-

პენსაციის მიმღები ოჯახებისა და მოსარჩელეთა ოჯახების არსებითად მსგავს გარემოებებში ყოფნა. ამდენად, დადგენას საჭიროებს მოსარჩელეთა რეალური ნება და შესაბამისად, მათი სასარჩელო მოთხოვნა. მინდობილობების მიხედვით წარმომადგენელი არის უფლებამოსილი შეცვალოს მოთხოვნა, თუმცა იმის გათვალისწინებით, რომ სსკ-ის 83.4-ე მუხლის თანახმად, სარჩელის შეცვლად არ ჩაითვლება მოსარჩელის მიერ სარჩელში მითითებული გარემოებების დაზუსტება, დაკონკრეტება და დამატება, აგრეთვე სასარჩელო მოთხოვნების ოდენობის შემცირება, ან ერთი ნივთის ნაცვლად მეორე ნივთის მიკუთვნება მისთვის, ანდა ამ ნივთის ღირებულების ანაზღაურება, ამასთანავე, იმის გათვალისწინებით, რომ მოსარჩელეებს არ გაუსაჩივრებიათ გადანყვეტილება, ხოლო მათი წარმომადგენელი ადასტურებს მოთხოვნის ტრანსფორმაციას და ეთანხმება მას, საკასაციო პალატა თვლის, რომ კასატორის მოსაზრება სსკ-ის 248-ე მუხლის დანაწესის დარღვევის, უფლებამოსილების გადამეტების შესახებ არ არის დასაბუთებული.

საქმის მასალებით დასტურდება, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს კანონიერ ძალაში მყოფი 12.09.2013წ. გადანყვეტილებით სარჩელის ნაწილობრივი დაკმაყოფილების შედეგად საქართველოს მთავრობას დაევალა სტიქიით დაზარალებულთათვის ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების მშენებლობასთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების ჩატარება 13.03.2009წ. №31/26 განცხადებაზე, საქართველოს მთავრობას დაევალა ადმინისტრაციული წარმოების ჩატარების შემდეგ კანონით დადგენილ ვადაში დასაბუთებული გადანყვეტილების გამოცემა. ამდენად, განსახილველი საკითხის მიმართ მოპასუხეს – საქართველოს მთავრობას დაევალა აქტის გამოცემა, აღნიშნულის საფუძველზე მოპასუხემ საქართველოს მთავრობამ სასამართლოს კანონიერ ძალაში მყოფი გადანყვეტილების აღსრულების მიზნით დაიწყო წარმოება, რომელიც საბოლოოს დასრულდა 09.06.2017წ. №1182 განკარგულების გამოცემით. №1182 განკარგულებით განისაზღვრა, რომ სახელმწიფო ბიუჯეტიდან უნდა მომხდარიყო შესაბამისი თანხების გამოყოფა 36 ოჯახის დასაკმაყოფილებლად. განკარგულება არ შეიცავს მითითებას მოსარჩელეთა ოჯახების დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ, თუმცა განკარგულების განმარტებით ბარათში აღნიშნულია მოსარჩელეთა დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძვლები. ამასთანავე, მოცემული საქმის დავის საგანს არ შეადგენს საქართველოს მთავრობის 09.06.2017წ. №1182 განკარგულება, მოცემულ შემთხვევაში აღძრულია არა შეცდომითი (სასკ-ის 22-ე მუხ.), არამედ მიკუთვნებითი (სასკ-ის 24-ე მუხ.) სარჩელი. იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს მთავრობის

09.06.2017წ. №1182 განკარგულება არ შეიცავს მოსარჩელეთა შესახებ რაიმე მითითებას, განკარგულება ეხება მხოლოდ იმ პირებს, რომლებსაც გამოეყოთ საკომპენსაციო თანხა, აღნიშნულის გათვალისწინებით საკასაციო პალატა თვლის, რომ არსებობდა მიკუთვნებითი სარჩელის დასაშვებობის პირობა.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მართლმსაჯულების განხორციელება დაკავშირებულია საპროცესო ხარჯებთან, რომლებიც შედგება სასამართლო ხარჯისგან და სასამართლოსგარეშე ხარჯისგან (სსკ-ის 37.1 მუხ.). სასამართლოს ხარჯებს შეადგენს სახელმწიფო ბაჟი და საქმის განხილვასთან დაკავშირებული ხარჯები (სსკ-ის 37.2 მუხ.). საპროცესო კანონმდებლობა სახელმწიფო ბაჟისგან გათავისუფლების ორ შემთხვევას ითვალისწინებს – მხარის და დავის საგნის მიხედვით. მხარის მიხედვით სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლების შემთხვევაში გადაწყვეტილია მხარის სტატუსი (მაგ.: მოსარჩელის სოციალურად დაუცველობა, მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა და სხვ.), ხოლო დავის საგნის მიხედვით სახელმწიფო ბაჟისაგან გათავისუფლებისათვის მნიშვნელოვანია უშუალოდ სასარჩელო მოთხოვნა, დავის შინაარსი (მაგ. სოციალური დავები, დანაშაულით მიყენებული მატერიალური ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებული სარჩელები და სხვ.). სასკ-ის 9.1 მუხლის თანახმად, სახელმწიფო ბაჟი არ გადაიხდება სახელმწიფო სოციალური დაცვის საკითხთან დაკავშირებით აღძრულ სარჩელზე. განსახილველი დავის საგანს შეადგენს ეკომიგრანტი ოჯახების სათანადო საცხოვრებლით უზრუნველყოფა, რაც სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული პირების სოციალური უზრუნველყოფის სახეს წარმოადგენს. ამდენად, სარჩელი აღძრულია სახელმწიფო სოციალური დაცვის საკითხთან დაკავშირებით, რაც სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლების საფუძველს ქმნის. მოცემულ შემთხვევაში დგინდება, რომ სარჩელზე გადახდილია სახელმწიფო ბაჟი – 1100 ლარის ოდენობით. თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით, რომელიც უცვლელად დარჩა სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინებით, დაკმაყოფილდა რა სარჩელი, გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ანაზღაურება მოსარჩელეთა სასარგებლოდ დაეკისრა მოპასუხეს – საქართველოს მთავრობას. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მართალია, სსკ-ის 53.1 მუხლი ითვალისწინებს მოსარჩელის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის მოპასუხისათვის დაკისრებას იმ შემთხვევაშიც, თუ ეს უკანასკნელი გათავისუფლებულია სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან, თუმცა მხარის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ანაზღაურება მოწინააღმდეგე მხარეს იმ შემთხვევაში ეკისრება, რო-

დესაც ბაჟის გადახდა სარჩელის წარმოებაში მიღების აუცილებელი პირობა იყო. უკეთუ დავა სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლებულია, მოსარჩელის მიერ ბაჟის შეცდომით გადახდა იწვევს გადახდილი თანხის არა მოპასუხისათვის დაკისრებას, არამედ სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაბრუნებას. სააპელაციო პალატას ამ კუთხით საქალაქო სასამართლოს გადანყვეტილების კანონიერება არ შეუფასებია.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სამართლო თვლის, რომ სააპელაციო პალატის გასაჩივრებული განჩინება არ არის დასაბუთებული, სასამართლომ სრულყოფილად არ გამოიკვლია საქმის ფაქტობრივი გარემოებები და არ მისცა მათ სწორი სამართლებრივი შეფასება, განჩინება მოკლებულია სათანადო სამართლებრივ და ფაქტობრივ ნანამძღვრებს, გადანყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია, რაც სსკ-ის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად საკასაციო საჩივრის აბსოლუტურ საფუძველს ქმნის, აღნიშნული თავის მხრივ გასაჩივრებული განჩინების გაუქმებისა და სსკ-ის 412-ე მუხლის საფუძველზე ხელახალი განხილვისათვის დაბრუნების წინაპირობაა. საქმის ხელახალი განხილვისას სასამართლომ სრულყოფილად უნდა გამოიკვლიოს საქმის ფაქტობრივი გარემოებები, საქმეზე შეკრებილი მტკიცებულებები და მისცეს მათ სწორი სამართლებრივი შეფასება.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე, 412-ე მუხლებით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. საქართველოს მთავრობის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს 01.03.2021წ. განჩინება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**ადმინისტრაციული ორგანოსთვის მოქმედების  
განხორციელების დავალების საფუძველი**

**განჩინება  
საქართველოს სახელით**

№ბს-1046-(კ-19)

16 ივნისი, 2022 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა**  
**შემადგენლობა: ბ. სტურუა (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
მ. ვაჩაძე,  
ქ. ცინცაძე**

**დავის საგანი:** ქმედების განხორციელების დავალება

**აღწერილობითი ნაწილი:**

1. ა(ა)იპ ქართველ მუსლიმთა ურთიერთობამ, კ. კ-ემ, ბ. ი-ემ და თ. ხ-მა 2014 წლის 11 დეკემბერს სარჩელით მიმართეს ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას მოპასუხეების – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, ჟ. რ-ის, ა. ყ-სა და ზ. რ-ის მიმართ. მოსარჩელებმა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და ფიზიკური პირებისთვის – ჟ. რ-ისთვის, ა. ყ-ისა და ზ. რ-ისთვის ქ....ში, ...ის ქუჩა №13-ში მდებარე ა(ა)იპ ქართველ მუსლიმთა ურთიერთობის მართლზომიერ სარგებლობაში არსებული ქონების თავისუფალი სარგებლობის, მათ შორის, აღნიშნულ შენობაში მუსლიმი მოსწავლეებისათვის განკუთვნილი პანსიონის გახსნისა და ფუნქციონირების უზრუნველყოფის მიზნით განგრძობადი დისკრიმინაციული ქმედების აღმოფხვრის დავალებულება მოითხოვეს. კერძოდ, მოსარჩელებმა მოითხოვეს, მოპასუხე შინაგან საქმეთა სამინისტროს უზრუნველყოფა მუსლიმი მოსწავლეებისათვის განკუთვნილი პანსიონის საქმიანობის აღდგენა და ფუნქციონირება, რაც გულისხმობდა შემდეგს: პანსიონის შენობის წინ აღმართული ბარიერის მოხსნას, მოსარჩელები-სა და პანსიონთან დაკავშირებული პირებისათვის პანსიონის შენობაში უსაფრთხო და თავისუფალ შესვლასა და საქმიანობას; მოსარჩელებისა და მუსლიმი თემის წარმომადგენლების მიმართ პანსიონის და მის მიმდებარე ტერიტორიაზე სიტყვიერი შეურაცხყოფის, მუქარისა და იძულების ფაქტების დაუყოვნებლივ აღკვეთას, ასევე, მოპასუხეებისთვის – ჟ. რ-ისთვის, ა. ყ-ისა და ზ. რ-ისთვის პანსიონის გახსნისა და ფუნქციონირებისათვის ხელის შეშლის შეწყვეტის დავალებულებას. მოსარჩელებმა აგრეთვე მოითხოვეს

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და ფიზიკური პირებისთვის – ჟ. რ-ისთვის, ა. ყ-ისა და ზ. რ-ისთვის სოლიდარულად მოსარჩელეთა სასარგებლოდ ერთი ლარის ოდენობით მორალური ზიანის ანაზღაურების დაკისრება.

2. სარჩელის თანახმად, ქ....ში, ...ის ქუჩა №13-ში მდებარე საცხოვრებელი სახლისა და მიმდებარე საკარმიდამო მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს, შპს „M...-ს“ დირექტორს – მ. ბ-სა და ა(ა)იპ ქართველ მუსლიმთა ურთიერთობის თავმჯდომარეს – რ. კ-ეს შორის, 2014 წლის პირველ აგვისტოს, 1 წლის ვადით დაიდო უძრავი ქონების იჯარის ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც ქონება გადაეცა მოიჯარეს. ხელშეკრულების საფუძველზე ა(ა)იპ ქართველ მუსლიმთა ურთიერთობა წარმოადგენს უძრავი ქონების მართლზომიერ მფლობელს. აღნიშნულ შენობაში მოსარჩელე ა(ა)იპ ქართველ მუსლიმთა ურთიერთობა მუსლიმი მოსწავლეებისთვის პანსიონის გახსნას გეგმავდა, რისთვისაც 2014 წლის აგვისტოში ჩაატარეს მოსამზადებელი სამუშაოები და შენობა აღჭურვეს სათანადო ინვენტარით. მიუხედავად იმისა, რომ ქ....ში, ...ის ქუჩა №...-ში 6 წლის წინ დაიწყო ფუნქციონირება მუსლიმი მოსწავლეებისათვის გახსნილმა პანსიონმა, ახალი პანსიონის გახსნის საჭიროება ძველი შენობის არასაკმარისმა სივრცემ და პანსიონის ეფექტური ფუნქციონირების გამო, მის მომსახურებაზე მოთხოვნის ზრდამ განაპირობა.

3. მოსარჩელეთა მითითებით, მათ მიზანს წარმოადგენდა მაღალმთიანი აჭარის სოფლებში მცხოვრები მუსლიმი ბავშვებისათვის 24-საათიანი მზრუნველობითი პირობების შექმნა და ხარისხიანი სამოქალაქო განათლების მიღების ხელშეწყობა. სასწავლო გეგმის შესაბამისად, დღის განმავლობაში პანსიონის მოსწავლეებს საათნახევარი უნდა დაეთმოთ რელიგიის (ისლამი) შესასწავლად და შეესრულებინათ ხუთგზის ნამაზის ლოცვა, დანარჩენ დროს კი საშინაო დავალებების მომზადებასა და სხვადასხვა სააღმზრდელო ღონისძიებებში მონაწილეობას დაუთმობდნენ. პანსიონის მოსწავლეები სასკოლო განათლებას საჯარო სკოლაში იღებდნენ, პანსიონის მომსახურება კი ითვალისწინებდა მუსლიმი ბავშვებისათვის სასკოლო განათლების მიღების პროცესის ხელშეწყობასა და გაძლიერებას. პანსიონის ფუნქციონირება დაკავშირებული იყო სასკოლო პერიოდთან, შესაბამისად, მისი გახსნა 2014 წლის 15 სექტემბერს იგეგმებოდა.

4. სარჩელში აღნიშნულია, რომ მოპასუხეები – ჟ. რ-ე, ა. ყ-ე და ზ. რ-ე მუსლიმი მოსწავლეებისთვის განკუთვნილი პანსიონის ფუნქციონირების წინააღმდეგ მიმდინარე პერმანენტული აქციების ორგანიზატორებს წარმოადგენდნენ. აქციის მონაწილეები თავს

მართლმადიდებელ მრევლს მიაკუთვნებდნენ და საკუთარი რელიგიური მსოფლმხედველობითა და იდენტობით ხსნიდნენ პანსიონის საქმიანობისთვის ხელის შეშლის აუცილებლობას. აქციის მონაწილეების ქცევა კარგად ორგანიზებული და შეთანხმებული იყო. ისინი პანსიონის შენობასთან მორიგეობდნენ და თითქმის სამი თვის განმავლობაში, ფაქტობრივად აკონტროლებდნენ პანსიონის შენობაში გადაადგილებას. მოპასუხეები და მათ მიერ ორგანიზებული ჯგუფი 2014 წლის 10 სექტემბრის მოვლენებამდეც ახორციელებდნენ პანსიონის თანამშრომლების დევნას რელიგიური ნიშნით. მოსარჩელე მხარის განმარტებით, ადგილობრივ მცხოვრებთა 7-8-კაციანი ჯგუფი მათთან ხშირად მიდიოდა და იმუქრებოდა, რომ მუსლიმი მოსწავლეებისთვის პანსიონის გახსნას ...ის ქუჩაზე არ დაუშვებდნენ. გამოვლინდა პანსიონის რემონტისთვის ხელშეშლის, მათ შორის, ინვენტარის შეტანის შეზღუდვის ფაქტები.

5. მოსარჩელეთა განმარტებით, 2014 წლის 10 სექტემბერს, დაახლოებით 13:00 საათზე, ქ...ში, ...ის ქუჩა №13-ში შეკრებილმა აქციის მონაწილეებმა, რომელთა დიდი ნაწილი აღნიშნული ქუჩის მცხოვრებნი იყვნენ და თავს მართლმადიდებელ მრევლს მიაკუთვნებდნენ, მუსლიმური პანსიონის ფუნქციონირების ხელშეშლის მიზნით, პანსიონის შესასვლელთან ღორი დაკლეს და ცხოველის თავი დემონსტრაციულად შენობის კარზე მიაჭედეს. აქციის მონაწილეებმა საკუთარი მოქმედება ისლამში ღორზე, როგორც უწმინდურ ცხოველზე მოქმედ აკრძალვას განზრახ დაუკავშირეს. მოსარჩეელების რწმენით, აქციის მონაწილეები ფიქრობდნენ, რომ ღორის დაკვლის შემდეგ ამ ადგილს უწმინდურად ჩათვლიდნენ და მუსლიმები შენობაში შესვლას აღარ მოისურვებდნენ. მოპასუხეებისა და მათ მიერ ორგანიზებული ჯგუფის ქცევა დემონსტრაციულად რელიგიურ ხასიათს ატარებდა. პანსიონის შენობის წინ მათ რკინის დიდი ჯვარი აღმართეს და რამდენჯერმე ლოცვის რიტუალიც შეასრულეს.

6. მოსარჩელეთა განმარტებით, 2014 წლის 10 სექტემბრიდან მოყოლებული, ადგილობრივი მოსახლეობის ორგანიზებული ჯგუფი 24 საათის განმავლობაში მორიგეობდა პანსიონის შენობასთან და განგრძობითად აკონტროლებდა როგორც პანსიონის შენობის ტერიტორიაზე გადაადგილებას, ისე უშუალოდ პანსიონის შენობაში შესვლას. გადაადგილების თავისუფლების შეზღუდვამ უფრო მეტად მკაცრი და ორგანიზებული ხასიათი 2014 წლის 15 სექტემბრის შემდეგ მიიღო, როცა აქციის მონაწილეებმა პანსიონის ეზოში შესასვლელი გზა ხის კონსტრუქციებითა და მანქანის საბურავებით ჩახერგეს და ადგილზე მუდმივი მორიგეობა დააწესეს. ამ დღეს პანსიონში უნდა დაწყებულიყო სწავლა, რის გამოც შეკრე-



ბილი მუსლიმი მოსწავლეები და ადმინისტრაცია პანსიონის გახსნის ზეიმისთვის ემზადებოდა, თუმცა, ადგილობრივი მოსახლეობის ორგანიზებულმა ჯგუფმა მათ შენობაში შესვლის უფლება არ მისცა და რელიგიური შეუწყნარებლობის ნიადაგზე, მათ მიმართ იძულება და მუქარა განახორციელა. 2014 წლის 15 სექტემბრის შემდეგ ადგილობრივი მოსახლეობის ორგანიზებულმა ჯგუფმა, პანსიონში დარჩენის შესაძლებლობა პანსიონის 3 წარმომადგენელს მისცა, 27 სექტემბრის შემდეგ კი – მხოლოდ ერთ პირს. აქციის მონაწილეები, მათ შორის, მოპასუხეები მედიასთან საუბრისას პირდაპირ ადასტურებდნენ პანსიონის თანამშრომლებისა და მოსწავლეებისთვის გადაადგილების თავისუფლების შეზღუდვისა და პანსიონის საქმიანობისთვის ხელშეშლის ფაქტებს. მოსარჩელეთა განმარტებით, მოპასუხეებისა და მათ მიერ ორგანიზებული ჯგუფის მხრიდან განგრძობითად ხორციელდებოდა პანსიონის ადმინისტრაციისთვის, მოსწავლეებისა და პანსიონთან ან მუსლიმ თემთან კავშირში მყოფი სხვა პირებისთვის პანსიონის შენობაში შესვლისა და გამოსვლის კონტროლი. მოპასუხეებისა და მათ მიერ ორგანიზებული ჯგუფის მხრიდან გადაადგილების თავისუფლების კონტროლისა და შეზღუდვის ინტენსივობასა და მასშტაბს ამტკიცებს შეზღუდვის არაერთი კონკრეტული შემთხვევა, რომელსაც მოსარჩელები, მოწმეები და უშუალოდ მოპასუხეებიც ადასტურებენ. მოსარჩელები და მოწმეები მიუთითებდნენ, რომ ყოველი შემთხვევის დროს პოლიცია ადგილზე იმყოფებოდა, თუმცა უმოქმედობას ავლენდა და სიტუაციაში არ ერეოდა.

7. მოსარჩელეთა მითითებით, 2014 წლის 15 სექტემბრის შემდეგ პოლიციის ჯგუფი პერმანენტულად პანსიონის ახლოს მორიგეობდა და აკონტროლებდა სიტუაციას. ადგილზე პატრულირების მიუხედავად, პოლიცია არ რეაგირებდა გადაადგილების თავისუფლების შეზღუდვის, საკუთრების უფლებით სარგებლობის, მუქარის და იძულების ფაქტებზე. პოლიციის წარმომადგენლები სიტყვიერ გაფრთხილებასაც კი არ აძლევდნენ სამართალდამრღვევებს. ამასთან, მუსლიმი თემის ალქმით, პოლიცია პირად ურთიერთობებში ლოიალობას ავლენდა ადგილობრივი მოსახლეობის (აქციის მონაწილეთა) მიმართ. არაეფექტურ პრევენციასთან ერთად პოლიციამ არ უზრუნველყო ეფექტური გამოძიების ჩატარება. 2014 წლის 11 სექტემბერს პოლიციის მიერ დაკავებული სამი პირის მიმართ გამოტანილ სასამართლო გადაწყვეტილებაში (ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 12 სექტემბრის დადგენილება) საერთოდ არ ჩანს რაიმე კავშირი დაკავებული პირების მიერ ჩადენილ სამართალდარღვევასა და პანსიონის შენობასთან მიმდინარე მოვლენებს შორის. შსს-ს თანამშრომლების უმოქმედობის ფაქტზე

რეაგირებისა და რელევანტური საჯარო ინფორმაციის მიღების მოთხოვნით, 2014 წლის 20 ოქტომბერს, ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრმა, როგორც მოსარჩელეების წარმომადგენელმა, შინაგან საქმეთა სამინისტროს მიმართა, თუმცა სამინისტროსგან პასუხი ორგანიზაციას არ მიუღია.

8. ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 19 სექტემბრის გადაწყვეტილებით ა(ა)იპ ქართველ მუსლიმთა ურთიერთობის, კ. კ-ის, ბ. ი-ის და თ. ხ-ის სასარჩელო მოთხოვნა დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; მოპასუხეებს – ჟ. რ-ეს, ა. ყ-ეს და ზ. რ-ეს დაევალათ ქ. ...ში, ...ის ქუჩის №13-ში მდებარე მოსარჩელე ა(ა)იპ ქართველ მუსლიმთა ურთიერთობის მართლობიერ სარგებლობაში არსებული ქონების თავისუფალი სარგებლობის, მათ შორის, აღნიშნულ შენობაში მუსლიმი მოსწავლეებისათვის განკუთვნილი პანსიონის გახსნისა და ფუნქციონირების უზრუნველყოფის მიზნით განგრძობადი დისკრიმინაციული ქმედების აღმოფხვრა, კერძოდ, ჟ. რ-ეს, ა. ყ-ეს და ზ. რ-ეს დაევალათ შეწყვიტონ პანსიონის გახსნისა და ფუნქციონირებისათვის ხელის შეშლა, რაც მათ შორის გამოიხატება მოსარჩელებისა და პანსიონთან დაკავშირებული პირების მიმართ საკუთრების უფლებით სარგებლობისა და პანსიონში შესვლისა და შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე გადაადგილების თავისუფლების ხელშეშლის შეწყვეტაში; მოპასუხეებს – ჟ. რ-ეს, ა. ყ-ეს და ზ. რ-ეს დაეკისრათ მოსარჩელეთა სასარგებლოდ მორალური ზიანის ანაზღაურება 1 ლარის ოდენობით. დანარჩენ ნაწილში მოსარჩელებს უარი ეთქვა მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე.

9. ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 19 სექტემბრის გადაწყვეტილება, სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში, სააპელაციო წესით გაასაჩივრეს ჟ. რ-ემ, ა. ყ-ემ და ზ. რ-ემ, რომელთაც გასაჩივრებულ ნაწილში გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვეს.

10. ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 19 სექტემბრის გადაწყვეტილება, სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში, სააპელაციო წესით გაასაჩივრეს ა(ა)იპ ქართველ მუსლიმთა ურთიერთობამ, კ. კ-ემ, ბ. ი-ემ და თ. ხ-მა, რომელთაც გასაჩივრებულ ნაწილში გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება მოითხოვეს.

11. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 29 დეკემბრის განჩინებით სამოქალაქო საქმეს ცალკე წარმოებად გამოეყო ა(ა)იპ ქართველ მუსლიმთა ურთი-

ერთობის, კ. კ-ის, ბ. ი-ისა და თ. ხ-ის სააპელაციო საჩივარი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიმართ ქმედების განხორციელების დავალდებულებისა და მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით და ამ ნაწილში საქმე, განსჯადობის წესების დაცვით, განსახილველად გადაეცა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას.

12. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 18 აპრილის განჩინებით ა(ა)იპ ქართველ მუსლიმთა ურთიერთობის, კ. კ-ის, ბ. ი-ის, თ. ხ-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელი დარჩა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 19 სექტემბრის გადაწყვეტილება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიმართ ქმედების განხორციელების დავალდებულებისა და მორალური ზიანის ანაზღაურების შესახებ სარჩელზე უარის თქმის ნაწილში.

13. სააპელაციო სასამართლოს მითითებით, მხარეებს შორის სადავო არ არის, რომ ქ...ში, ...ის ქუჩა №...-ში ფუნქციონირებს ა(ა)იპ ქართველ მუსლიმთა ურთიერთობის მიერ დაფუძნებული პანსიონი, რომელიც მიზნად ისახავს აჭარის მაღალმთიან სოფლებში მცხოვრები მუსლიმი მოსწავლეებისათვის განათლების მიღების ხელშეწყობას. პანსიონში ბავშვები ცხოვრობენ საჯარო სკოლებში სასწავლო პროცესიდან თავისუფალ დროს და სწავლობენ რელიგიის საფუძვლებს. კ. კ-ე, ბ. ი-ე და თ. ხ-ი არიან მუსლიმი თემის წარმომადგენლები. ბ. ი-ე არის ქ...ში, ...ის ქ №...-ში მდებარე პანსიონის მასწავლებელი, კ. კ-ე წლების განმავლობაში სწავლობდა აღნიშნულ პანსიონში და დასაქმებულია აქვე, ხოლო თ. ხ-ი არის მუსლიმი თემის წარმომადგენელი და სურვილი აქვს მისი არასრულწლოვანი შვილი სწავლობდეს ამ პანსიონში. ა(ა)იპ ქართველ მუსლიმთა ურთიერთობა გეგმავდა ...ში, ...ის ქუჩა №13-ში შპს „M...-ს“ კუთვნილ შენობაში მუსლიმი მოსწავლეებისათვის პანსიონის გახსნას. პანსიონის ფუნქციონირება დაკავშირებული იყო სასკოლო პერიოდთან, შესაბამისად, ა(ა)იპ ქართველ მუსლიმთა ურთიერთობის მიერ ახალი პანსიონის გახსნა იგეგმებოდა 2014 წლის 15 სექტემბრისათვის. ამ მიზნით ა(ა)იპ ქართველ მუსლიმთა ურთიერთობის მიერ დაიწყო ქ...ში, ...ის ქუჩა №13-ში მდებარე შენობაში სარემონტო სამუშაოების ჩატარება და მისი სათანადო ინვენტარით აღჭურვა.

14. ქ...ში, ...ის ქუჩა №13-ში პანსიონის გახსნის წინააღმდეგ გამოვიდნენ აღნიშნული შენობის მეზობლად მცხოვრები მოქალაქეები, რომლებმაც 2014 წლის სექტემბრის დასაწყისში შენობის წინ მოაწყვეს საპროტესტო აქცია, რამაც პერმანენტული ხასიათი მიიღო.

15. 2014 წლის 10 სექტემბერს, დაახლოებით 13:00 საათზე, აქციის მონაწილეებმა, რომლებიც თავს მართლმადიდებელ მრევლს მიაკუთვნებდნენ, პანსიონის ფუნქციონირების ხელშეშლის მიზნით, პანსიონის შესასვლელთან ღორი დაკლეს და ცხოველის თავი დემონსტრაციულად პანსიონის შენობის კარზე მიაჭედეს. შენობის წინ კი რკინის დიდი ჯვარი აღმართეს. ...ის ქუჩის მცხოვრებნი ახორციელებდნენ 24-საათიან მორიგეობას პანსიონის შენობასთან და აკონტროლებდნენ ა(ა)იპ ქართველ მუსლიმთა ურთიერთობის წევრების და სხვა მუსლიმი მოქალაქეების მიერ პანსიონის შენობის ტერიტორიაზე გადაადგილებას, ასევე უზღუდავდნენ მათ პანსიონის შენობაში შესვლას.

16. 2014 წლის 15 სექტემბერს, როცა პანსიონი ოფიციალურად უნდა გახსნილიყო, აქციის მონაწილეებმა პანსიონის ეზოში შესასვლელი გზა ხის კონსტრუქციებით და მანქანის საბურავებით ჩახერგეს და ადგილზე მუდმივი მორიგეობა დაანესეს. 2014 წლის 15 და 16 სექტემბერს მიმდინარე საპროტესტო აქციის დროს ადგილობრივი მუსლიმები იმყოფებოდნენ შენობაში და აქციის მონაწილეები, რომელთა შორის იყვნენ მოპასუხე ფიზიკური პირები, მათ არ აძლევდნენ შენობის დატოვების უფლებას, ხოლო მუსლიმ მოსწავლეებს, რომლებიც გამოცხადდნენ სწავლის დასაწყებად, შენობის გვერდით მცხოვრებმა მეზობლებმა, მათ შორის, ჟ. რ.-ემ, ა. ყ.-ემ და ზ. რ.-ემ არ მისცეს შენობაში შესვლის უფლება.

17. 2014 წლის სექტემბერში ქ...ში, ...ის ქუჩა №13-ში მდებარე შენობის წინ მიმდინარე აქციების დროს მოპასუხეები აკეთებდნენ ისლამოფობიურ განცხადებებს, ისინი ეწინააღმდეგებოდნენ პანსიონის გახსნას. 2014 წლის 10 სექტემბრის შემდეგ მოპასუხეების და მათ მიერ ორგანიზებული ჯგუფის მხრიდან განგრძობითად ხორციელდებოდა ა(ა)იპ ქართველ მუსლიმთა ურთიერთობის წევრების, პანსიონის მოსწავლეებისა და პანსიონთან ან მუსლიმ თემთან კავშირში მყოფი სხვა პირებისათვის ქ...ში, ...ის ქუჩა №13-ში მდებარე შენობაში შესვლისა და გამოსვლის კონტროლი, ამასთანავე დაფიქსირდა სასმელი წყლის გადაკეცვის, ასევე მაღაზიის მომსახურების მიღების ხელშეშლის ფაქტები. სასამართლოს მითითებით, როგორც მოწმეების – დ. ც.-ის და რ. გ.-ის ჩვენებებით დგინდება, ადგილი ჰქონდა პანსიონში დარჩენილი პირებისათვის საკვებით უზრუნველყოფაში ხელშეშლას, პანსიონში თავისუფლად გადაადგილების ხელშეშლისა და შეურაცხყოფის ფაქტებს.

18. 2014 წლის 10 სექტემბერს ...ში მცხოვრებმა, შპს „M...-ის“ წარმომადგენელმა მ. მე-ემ განცხადებით მიმართა ...ის რაიონულ სამმართველოს აქციის მონაწილეების მხრიდან ქ...ში, ...ის ქუჩა №13-ში მდებარე შენობის გადანვისა და განადგურებისათვის გან-

ხორციელებული მუქარის შესახებ. აღნიშნული განცხადების საფუძველზე, მუქარის ფაქტთან დაკავშირებით, დაიწყო გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 151-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისათვის. აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით დაიკითხა 100-ზე მეტი მონმე და მიმდინარეობს გამოძიება.

19. ...ის გამგებლის ახსნა-განმარტებით და საქმეში წარმოდგენილი სხვა მტკიცებულებებით სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ აქციის მონაწილეებს, მათ შორის, მოპასუხე ფიზიკურ პირებსა და ა(ა)იპ ქართველ მუსლიმთა ურთიერთობის წევრებს შორის, მორიგების მიღწევის მიზნით, მოლაპარაკებებს აწარმოებდნენ ...ის გამგებელი და სახალხო დამცველის წარმომადგენლები. მხარეთა შორის არსებული კონფლიქტის აღმოფხვრის მიზნით, მოლაპარაკებებს აწარმოებდნენ როგორც ცენტრალური, ისე ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები. სასამართლოს მითითებით, აღნიშნული გარემოება ასევე დაადასტურა სასამართლო სხდომაზე მოსარჩელე ა(ა)იპ ქართველ მუსლიმთა ურთიერთობის თავმჯდომარემ, რ. კემაძე, რომელმაც განმარტა, რომ საკითხის მოგვარების მიზნით იგი არაერთხელ შეხვდა, როგორც ადგილობრივი მთავრობის, ისე ცენტრალური ხელისუფლებისა და სახალხო დამცველის წარმომადგენლებს. მიუხედავად აღნიშნულისა, მხარეები ვერ შეთანხმდნენ და ...ის ქუჩის მცხოვრებნი კვლავ ეწინააღმდეგებოდნენ პანსიონის გახსნას, რის გამოც ქ....ში, ...ის ქუჩა №13-ში მდებარე შენობასთან, 2014 წლის 15 სექტემბრის შემდეგ, მობილიზებულ იქნენ შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლები, რომელთაც სამართალდარღვევების თავიდან აცილების მიზნით დაიწყეს პრევენციული ზომების გატარება. შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლები ქ....ში, ...ის ქუჩა №13-ში მდებარე შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე მორიგეობდნენ 2014 წლის 15 სექტემბრის შემდეგ, 2014 წლის 10 სექტემბრის ინციდენტის დროს, როცა ...ის ქუჩა №13-ში მდებარე შენობაზე ღორის თავი მიაჭედეს, პოლიციის თანამშრომლები ადგილზე არ იმყოფებოდნენ.

20. 2014 წლის 15 სექტემბრის შემდეგ კი პოლიციის მხრიდან მუდმივად კონტროლდებოდა აღნიშნული ტერიტორია, ფიზიკური თუ სიტყვიერი დაპირისპირების თავიდან ასაცილებლად. პოლიციის თანამშრომლებისათვის დასახმარებლად ამ პერიოდში არავის მიუმართავს.

21. სააპელაციო სასამართლოს მითითებით, საქალაქო სასამართლოს სხდომაზე დაკითხული პოლიციის თანამშრომლების განმარტებებით ირკვევა, რომ ქ....ში, ...ის ქუჩა №13-ში მდებარე შენობის

მიმდებარე ტერიტორიაზე, 2014 წლის 15 სექტემბრიდან თვის ბოლომდე, 24 საათის განმავლობაში მორიგეობდა პოლიციის მინიმუმ ორი თანამშრომელი. როგორც აღნიშნული მოწმეების ჩვენებებით დგინდება, ამ პერიოდში შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებს აღნიშნულ ტერიტორიაზე არ შეუნიშნავთ რაიმე ინციდენტი, რომელიც დაარღვევდა წესრიგს და საჭიროს გახდიდა პოლიციის რეაგირებას.

22. მოწმეების – დ. ც-ის და რ. გ-ის, ასევე მოსარჩელების – კ. კ-ის და ბ. ი-ის ჩვენებებით სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ რამდენჯერმე ადგილი ჰქონდა პანსიონში დარჩენილთა საკვებით უზრუნველყოფის ხელშეშლას, ასევე მათ შეურაცხყოფას, თუმცა მათ დასახმარებლად პოლიციისთვის არ მიუმართავთ.

23. სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, აპელანტები (მოსარჩელები) მიუთითებდნენ, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მხრიდან დისკრიმინაციული მოპყრობა კანონით დადგენილი ვალდებულებების შეუსრულებლობაში გამოიხატა, რაც რელიგიური სიძულვილით მოტივირებული ქცევის შეწყნარებასა და დაშვებას განაპირობებს.

24. სააპელაციო სასამართლოს მითითებით, მოსარჩელებს მიაჩნიათ, რომ მუსლიმი თემის უფლებებისადმი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინდიფერენტულობითა და ზედაპირული დამოკიდებულებით განხორციელდა მათი დისკრიმინაცია რელიგიური ნიშნით. პანსიონში არსებული განგრძობადი დისკრიმინაციის შედეგად ხელი შეეშალათ კონსტიტუციური უფლებების განხორციელებაში. მუსლიმი მოსახლეობის მიმართ მუქარისა და დევნის ფაქტებზე არ მომხდარა სამინისტროს მხრიდან დროული რეაგირება, მოპასუხე ვერ ასაბუთებს რამდენად სწორად იყო გამოყენებული მის ხელთ არსებული მექანიზმები მუსლიმი მოსახლეობის უფლებების დასაცავად. აღნიშნულ გარემოებებზე მითითებით აპელანტების მოთხოვნას წარმოადგენს – მოპასუხე შინაგან საქმეთა სამინისტრომ უზრუნველყოს: მოსარჩელებისა და პანსიონთან დაკავშირებული პირებისათვის პანსიონის შენობაში უსაფრთხო და თავისუფალი შესვლა და საქმიანობა; დაუყოვნებლივ აღკვეთოს მოსარჩელებისა და მუსლიმი თემის წარმომადგენლების მიმართ პანსიონის და მის მიმდებარე ტერიტორიაზე სიტყვიერი შეურაცხყოფის, მუქარისა და იძულების ფაქტები და დაეკისროს სამინისტროს მოსარჩელეთა სასარგებლოდ მორალური ზიანის ანაზღაურება ერთი ლარის ოდენობით.

25. სააპელაციო პალატამ გაიზიარა საქალაქო სასამართლოს დასაბუთება, რომ სარჩელში მითითებული გარემოებები და წარმოდგენილი მტკიცებულებები არ ადასტურებს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოთხოვნას.

ნისტროს მხრიდან კანონით დადგენილი ვალდებულებების შეუსრულებლობას, რაც შესაძლოა განპირობებული ყოფილიყო დისკრიმინაციული მოტივით. ამდენად, ადგილი არ ჰქონია მოსარჩელეთა დისკრიმინაციას რელიგიური ნიშნით, გამოწვეულს საქართველოს სახელმწიფო აღმასრულებელი ხელისუფლების – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მხრიდან.

26. სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, სარჩელში მითითებულ ფაქტებთან დაკავშირებით შინაგან საქმეთა სამინისტროს მხრიდან გატარდა რიგი ღონისძიებები, კერძოდ, 2014 წლის 10 სექტემბერს შსს-ს ...ის რაიონულ სამმართველოში შესული განცხადების საფუძველზე, რომელშიც მითითებული იყო ...ის ქუჩაზე მცხოვრები მოქალაქეების მხრიდან განხორციელებული ...ის ქუჩის №13-ში მდებარე შენობის გადანგისა და განადგურების მუქარის ფაქტზე, დაწყებულ იქნა გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 151-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისათვის. აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით ჩატარდა სხვადასხვა საგამოძიებო მოქმედება, დათვალიერდა შემთხვევის ადგილი, დაიკითხა 100-ზე მეტი მოწმე და მიმდინარეობს გამოძიება. მხოლოდ ის გარემოება, რომ სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება ჯერ არ დასრულებულა, პალატის მოსაზრებით, არ შეიძლება ჩაითვალოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მხრიდან დისკრიმინაციის განხორციელების ფაქტად, ვინაიდან საქმეზე წარმოდგენილი მტკიცებულებებით არ დასტურდება, რომ გამოძიების გაჭიანურება მოხდა განზრახ და იგი გამოწვეულია რომელიმე მხარის რელიგიური კუთვნილების გამო. ასევე, სააპელაციო სასამართლომ საქმის მასალებით დადასტურებულად მიიჩნია, რომ მითითებულ ფაქტზე შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურ ინსპექციას წერილობით მიმართა ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრმა. გენერალურმა ინსპექციამ აღნიშნული საკითხი შეისწავლა და წერილობითი მიმართვები შემდგომი რეაგირებისათვის გადაუგზავნა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურატურას, აღნიშნული ეცნობა ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრს.

27. საქალაქო სასამართლოს სხდომაზე დაკითხული ...ის გამგებლის ახსნა-განმარტებით და საქმეში წარმოდგენილი სხვა მტკიცებულებებით სააპელაციო სასამართლომ ასევე დადგენილად მიიჩნია, რომ აქციის მონაწილეებს ანუ ქ. ...ში, ...ის ქუჩის მცხოვრებლებს, მათ შორის, მოპასუხე ფიზიკურ პირებს და ა(ა)იპ ქართველ მუსლიმთა ურთიერთობის წევრებს შორის მორიგების მიღწევის მიზნით მოლაპარაკებებს აწარმოებდნენ ...ის გამგებელი, სახალხო დამცველის და ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენ-

ლები, ასევე აჭარის მთავრობისა და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები.

28. სააპელაციო პალატამ დაადგინა, რომ ქ. ...ში, ...ის ქუჩის №13-ში მდებარე შენობასთან 2014 წლის 15 სექტემბრის შემდეგ მობილიზებულ იქნენ შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლები და მუდმივად კონტროლდებოდა ტერიტორია. სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლები ქ. ...ში, ...ის ქუჩა №13-ში მდებარე შენობის მიმდებარედ მორიგეობდნენ 2014 წლის 15 სექტემბრის შემდეგ. 2014 წლის 10 სექტემბრის ინციდენტის დროს, როცა ...ის ქუჩა №13-ში მდებარე შენობაზე ღორის თავი მიაჭედეს – პოლიციის თანამშრომლები ადგილზე არ იმყოფებდნენ, ისინი გამოიძახეს აღნიშნული ინციდენტის შემდეგ. შესაბამისად, აპელანტების მტკიცება, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრო იჩენდა პასიურ დამოკიდებულებას მოსარჩელეთა უფლებების დარღვევის მიმართ მათი რელიგიური იდენტობის გამო, უსაფუძვლო და დაუსაბუთებელი იყო.

29. სააპელაციო პალატამ ხაზგასმით აღნიშნა თვით აპელანტების განმარტება, რომ პოლიციას დაწესებული ჰქონდა 24-საათიანი მორიგეობა შემთხვევის ადგილზე, რაც პალატის აზრით, ადასტურებს სამართალდამცავთა მზადყოფნას – არ დაეშვათ მუსლიმი მოსახლეობის წარმომადგენელთა უფლებების დარღვევა და საჭიროების შემთხვევაში, მყისიერად აღეკვეთათ ამ თვალსაზრისით მართლწესრიგის დარღვევის მცდელობის ფაქტები.

30. პალატამ განმარტა, რომ ყველა ის მოქმედება, რომელიც განხორციელდა შინაგან საქმეთა სამინისტროს მხრიდან (მათ შორის, სისხლის სამართლის საქმის აღძვრა, სამართალდარღვევის ფაქტების გამოვლენა და სხვა) და ის გარემოება, რომ ამგვარი ფაქტები აღკვეთილია, მიუხედავად დაპირისპირებისა, მიუთითებს, რომ პოლიციის მხრიდან ყველა საჭირო ზომა იქნა მიღებული ეფექტიანი სამართლებრივი დაცვის განსახორციელებლად.

31. სააპელაციო სასამართლოს მითითებით, ასევე გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ საქართველოს კონსტიტუციისა და „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, სახელმწიფო ასევე იცავს სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებას, შესაბამისად, შს სამინისტრო მოქმედებდა გამოხატვის თავისუფლებისა და დისკრიმინაციის აღმოფხვრის ინტერესების დაცვით.

32. სასამართლომ მიიჩნია, რომ კანონით გათვალისწინებული უფლება, რომლის სარგებლობაშიც მოსარჩელებს ხელი შეეშალათ, მოპასუხე სახელმწიფო ორგანოს ქმედებას არ უკავშირდება – ადგილი არ ჰქონია ხსენებული ორგანოს მიერ მისთვის დაკისრე-



ბული ვალდებულებების შეუსრულებლობას და ასეთი შეუსრულებლობით მოსარჩელეთა უფლების (გამოველინათ საკუთარი რელიგია და მრწამსი სწავლებით, რაც, მოცემული საქმის ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, ასევე კავშირშია საკუთრების უფლებასთან, განათლების მიღების უფლებისა და მშობელთა უფლებასთან – ბავშვებმა მიიღონ თავიანთი რელიგიური და ფილოსოფიური მრწამსის შესაბამისი განათლება და სწავლება) დარღვევას.

33. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 18 აპრილის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრეს ა(ა)იპ ქართველ მუსლიმთა ურთიერთობამ, კ. კემ, ბ. იემ და თ. ხ-მა, რომელთაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება მოითხოვეს.

34. კასატორთა მითითებით, მოცემული დავა შეეხება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს პოზიტიური ვალდებულებების განუხორციელებლობას დისკრიმინაციული მოტივით, რომელიც არსებითად განპირობებული იყო მოსარჩელეთა რელიგიური იდენტობით. სააპელაციო სასამართლომ არასათანადოდ შეაფასა შინაგან საქმეთა სამინისტროს პოზიტიური ვალდებულებების და განვითარებული მოვლენების კონტექსტში მისი რეაგირების ადეკვატურობა, განსაკუთრებით კი პრევენციული ღონისძიებების განხორციელების კუთხით, „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონისა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ ჩამოყალიბებული პრაქტიკის შესაბამისად გასატარებელი პოზიტიური ვალდებულებების კონტექსტში. ასევე, კასატორთა მოსაზრებით, სასამართლოს მიერ თითქმის არ არის შეფასებული და, შესაბამისად, დასაბუთებული შინაგან საქმეთა სამინისტროს როლი მოპასუხე ფიზიკური პირების მიერ განგრძობადი დისკრიმინაციული მოპყრობისგან დაცვის კუთხით.

35. კასატორების განმარტებით, სასამართლოს არ დაუსაბუთებია, თუ როგორ გამოირიცხა შინაგან საქმეთა სამინისტროს პასუხისმგებლობა მოქალაქეთა უფლებების დაცვის თაობაზე იმ პირობებში, როდესაც სახელმწიფოს თავიდანვე კარგად ჰქონდა გაცნობიერებული ქ...ში, ...ის ქუჩა №13-ში განვითარებული მოვლენების საფრთხე და სწორედ ამის გამო იქნა მიღებული გადაწყვეტილება 2014 წლის 15 სექტემბრიდან პოლიციის მუდმივი მორიგეობის თაობაზე, შესაბამისად, სასამართლომ საერთოდ არ შეაფასა შინაგან საქმეთა სამინისტროს პოზიტიური ვალდებულება აღნიშნული შემთხვევის მსგავსი საფრთხეების პირობებში განახორციელოს სამართალდარღვევების პრევენცია, პირთა უფლებების პროაქტიული დაცვა და შინაგან საქმეთა სამინისტრო მთლიანად პასი-

ური დაკვირვების ინსტრუმენტად აქცია, რომელიც მხოლოდ რე-  
აქციული საქმიანობით შემოიფარგლებოდა.

36. კასატორთა მითითებით, კანონიერ ძალაში შესული საქალა-  
ქო სასამართლოს გადაწყვეტილებით დადგენილია, რომ მოსარჩე-  
ლეთა მიმართ ადგილობრივი მოსახლეობის მხრიდან ხორციელდე-  
ბოდა განგრძობადი დისკრიმინაცია რელიგიური ნიშნით, რაც გა-  
მოიხატებოდა პანსიონის შესასვლელთან მოსახლეობის ქმედება-  
ში, იმ პერიოდში, როდესაც პოლიციის თანამშრომლები 5-10 მეტ-  
რის დაშორებით მორიგეობდნენ 24 საათის განმავლობაში, შესაბა-  
მისად, მათთვის აღქმადი იყო ეს ყოველივე, რის გამოც კასატო-  
რებს დაუსაბუთებლად მიაჩნიათ შინაგან საქმეთა სამინისტროს  
პასუხისმგებლობის გამორიცხვა. ამასთან, გამოძიების ეფექტუ-  
რად ჩატარებასთან დაკავშირებით კასატორები აღნიშნავენ, რომ  
ბათუმის საქალაქო სასამართლოს მიერ სამი პირის ადმინისტრა-  
ციულ პასუხისმგებაში მიცემის შესახებ დადგენილება გამოტანილ  
იქნა სრულიად სხვა ეპიზოდთან დაკავშირებით, რომელსაც შემ-  
ხებლობა არ ჰქონია მუსლიმების მიერ უფლებების სარგებლობას-  
თან უშუალო ხელშეშლაში. კასატორთა მითითებით, მოცემულ შემ-  
თხვევაში პოლიციის მხრიდან დანაშაულებრივ ფაქტებზე ოპერა-  
ტიული და ეფექტური რეაგირება საერთოდ არ განხორციელბუ-  
ლა. კასატორთა მოსაზრებით, პოლიციის მხრიდან ხორციელდებო-  
და არაეფექტური მონიტორინგი.

37. კასატორთა მითითებით, მართალია, პოლიციის თანამშრომ-  
ლები ახორციელებდნენ 24-საათიან მორიგეობას, მაგრამ მათ მი-  
ერ არ განხორციელებულა „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კა-  
ნონის მე-8, მე-11, მე-16, მე-17 და 25-ე მუხლებით გათვალისწინე-  
ბული ღონისძიებები. პოლიციის თანამშრომლები თავიანთ ჩვენე-  
ბებში უარყოფენ 24-საათიანი მორიგეობის დროს პანსიონის ტე-  
რიტორიაზე რაიმე ინციდენტს. მსგავსი სახის უარყოფა კი მიუთი-  
თებს პოლიციის არაეფექტურობაზე, მიმდინარე პროცესების მი-  
მართ ინდიფერენტულობასა და ადგილობრივი დომინანტი ჯგუ-  
ფის წარმომადგენლების მიმართ ლოიალურ დამოკიდებულებაზე.  
კასატორები ასევე მიუთითებდნენ, რომ ისინი ვერ ახერხებდნენ  
პანსიონის შენობის გახსნასა და მისი ფუნქციონირების უზრუნ-  
ველყოფას.

38. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატის 2018 წლის 15 მარტის განჩინებით, ა(ა)იპ ქარ-  
თველ მუსლიმთა ურთიერთობის, კ. კ.-ის, ბ. ი.-ისა და თ. ხ.-ის საკასა-  
ციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა ქუთაისის სა-  
აპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017  
წლის 18 აპრილის განჩინება საქართველოს შინაგან საქმეთა სამი-

ნისტროსთვის ქმედების განხორციელების დავალების ნაწილში და საქმე აღნიშნულ ნაწილში ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს; დანარჩენ ნაწილში უცვლელად დარჩა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 18 აპრილის განჩინება.

39. საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ შინაგან საქმეთა სამინისტროს მიმართ მორალური ზიანის ნაწილში არსებითად სწორად გადაწყვიტა მოცემული დავა და აღნიშნულ ნაწილში მიღებული გადაწყვეტილება შესაბამისობაშია და არ ეწინააღმდეგება, როგორც ეროვნულ კანონმდებლობას და სასამართლო პრაქტიკას, ასევე ევროსასამართლოს მიერ დადგენილ სტანდარტებს.

40. საკასაციო სასამართლომ ხაზგასმით აღნიშნა, სასარჩელო მოთხოვნა მორალური ზიანის ნაწილში ეფუძნება დისკრიმინაციის მოტივით შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ პოზიტიური ვალდებულების შეუსრულებლობას. შესაბამისად, აღნიშნულ ნაწილში სასარჩელო მოთხოვნის საფუძვლიანობაზე მსჯელობისას კუმულაციურად უნდა შეფასდეს, როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროს მხრიდან პოზიტიური ვალდებულების განუხორციელებლობა, ასევე აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობა დისკრიმინაციის მოტივით. განსახილველ შემთხვევაში დისკრიმინაციის ფაქტის დაუდასტურებლობის პირობებში, მხოლოდ პოზიტიური ვალდებულების შეუსრულებლობა არ ქმნის მორალური ზიანის დაკისრების ნაწილში წარმოდგენილი მოთხოვნის დაკმაყოფილების შესაძლებლობას.

41. საკასაციო სასამართლოს მითითებით, „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, პოლიცია უფლებამოსილია დანაშაულისა და სხვა სამართალდარღვევათა თავიდან აცილებისა და აღკვეთის მიზნით განახორციელოს პრევენციული ღონისძიებები. ამავე კანონის 5.4 მუხლით, პოლიციის პრევენციული საქმიანობა ხორციელდება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობის სამართლებრივი ფორმების – ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტისა და ადმინისტრაციული რეალაქტის – გამოყენებით. საკასაციო სასამართლომ გაიზიარა შინაგან საქმეთა სამინისტროს მითითება იმის თაობაზე, რომ მოცემულ შემთხვევაში სწორედ ასეთი პრევენციული ღონისძიებების გატარების მიზნით იქნა დაწესებული მუდმივი მორიგეობა და 2014 წლის 15 სექტემბრის შემდეგ პოლიციის მხრიდან მუდმივად კონტროლდებოდა ქ...ში, ...ის ქუჩა №13-ში მდებარე შენობის მიმდებარე ტერიტორია, რათა არ მომხდარიყო რაიმე ფიზიკუ-

რი თუ სიტყვიერი დაპირისპირება.

42. ამასთან, საკასაციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრო მოსარჩელეთა უფლებების დაცვას ახორციელებდა გამოხატვის თავისუფლების უზრუნველყოფის პარალელურად. საქართველოს კონსტიტუციისა და „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, სახელმწიფო ასევე იცავს სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებას, შესაბამისად, შინაგან საქმეთა სამინისტროს პრევენციული ღონისძიებების განხორციელებისას უნდა შეენარჩუნებინა ბალანსი ორ დაპირისპირებულ უფლებას შორის, გამოხატვის თავისუფლებისა და დისკრიმინაციის აღმოფხვრის ინტერესების დაცვით.

43. საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ პოლიცია პრევენციული ღონისძიებების განხორციელებისას მოქმედებდა დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში, საფრთხის თავიდან ასაცილებლად განხორციელა საპოლიციო ღონისძიებები, მორიგეობდა 24 საათის განმავლობაში და მუდმივად აკონტროლებდა ტერიტორიას, რათა მხარეებს შორის არ მომხდარიყო ფიზიკური და სიტყვიერი დაპირისპირება. პოლიციას 24-საათიანი მორიგეობის დროს არ დაუშვია დაპირისპირება მოდავე მხარეებს შორის. სწორედ პოლიციის დამსახურებას წარმოადგენდა, რომ ერთჯერადი დაპირისპირების შემდეგ, პოლიციის მხრიდან პრევენციული ღონისძიებების განხორციელების შედეგად, უფრო მძიმე შედეგი არ დადგა და პოლიციის მობილიზაციის შედეგად მხარეებს შორის ფიზიკური და სიტყვიერი დაპირისპირების მცდელობას ადგილი არ ჰქონია.

44. კასატორთა მტკიცებასთან დაკავშირებით იმის თაობაზე, რომ პოლიციის მიერ გამოყენებული საშუალება არ ამართლებდა მიზანს და პოლიციის 24-საათიანი მორიგეობის მიუხედავად, მათ ვერ შეძლეს პანსიონით სარგებლობა, მიუთითებდა პოლიციის მიერ მისთვის მინიჭებული დისკრეციის ფარგლებში გამოყენებული პრევენციული ღონისძიებების არასათანადოობაზე და არ ადასტურებდა პოლიციის დისკრიმინაციულ მიდგომას კასატორთა მიმართ.

45. საკასაციო სასამართლომ მიუთითა საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-9 პუნქტი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის პირველი ნაწილი, 413-ე მუხლის პირველი ნაწილი და განმარტა, რომ სახელმწიფოს პასუხისმგებლობა მისი ორგანოების მიერ მიყენებული ზიანისათვის დადგენილია ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის XIV თავის დებულებებით. ადმინისტრაციული ორგანოს ზიანის მიმყენებელი ქმედება არსებითად არ განსხვავდება კერძო პირის ანალოგიური ქმედებისაგან, შესაბამისად, კოდექსის 207-ე მუხლით განსაზღვრულ იქნა კერძო სამარ-

თალში დადგენილი პასუხისმგებლობის ფორმებისა და პრინციპების გავრცელება სახელმწიფოს პასუხისმგებლობის შემთხვევებზეც, რაც გამოიხატა პასუხისმგებლობის სახეების დადგენით სამოქალაქო კოდექსზე მითითებით, იმ გამონაკლისის გარდა, რაც თავად ამ კოდექსით არის გათვალისწინებული. ამასთან, აღნიშნული კოდექსის 208-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სახელმწიფო ადმინისტრაციული ორგანოს, აგრეთვე, მისი თანამდებობის პირის მიერ ან სხვა სახელმწიფო მოსამსახურის მიერ მისი სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელებისას მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებელია სახელმწიფო.

46. საკასაციო სასამართლოს მითითებით, მორალური ზიანი ანაზღაურდება მხოლოდ კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევაში, გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების სახით. ანაზღაურებას ექვემდებარება არა ყოველგვარი მორალური ზიანი (სულიერი ტანჯვა), თუნდაც ეჭვს არ იწვევდეს მისი ანაზღაურება, არამედ მხოლოდ ისეთი, რომლის ანაზღაურებასაც პირდაპირ ითვალისწინებს მოქმედი კანონმდებლობა.

47. საკასაციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ კასატორები მორალური ზიანის ანაზღაურების საფუძვლად მიუთითებდნენ პოლიციის მხრიდან დისკრიმინაციის მოტივით პოზიტიური ვალდებულების განუხორციელებლობაზე და განმარტა, რომ დისკრიმინაცია, როგორც გამორჩევა, შეზღუდვა ან უპირატესობის მინიჭება თანაბარი უფლებებისა და მათი დაცვის უარყოფის მიზნით, არის თანასწორობის პრინციპის შელახვა და ადამიანის ღირსების ხელყოფა. ადამიანთა გარკვეული კატეგორიის დისკრიმინაცია შეიძლება ხდებოდეს მათი რასობრივი კუთვნილების, ეროვნების, სარწმუნოების, პოლიტიკური მრწამსისა და სხვა ამგვარი ნიშნებითა თუ მოტივით. დისკრიმინაცია, რა ფორმითაც უნდა იყოს იგი გამოხატული, ეწინააღმდეგება სამართლიანობის პრინციპს და აკრძალულია როგორც შიდასახელმწიფოებრივი, ისე საერთაშორისო სამართლის ნორმებით. სახელმწიფოებს ეკისრებათ, როგორც ნეგატიური ვალდებულება (თანასწორად მოეპყრონ თანაბარ მდგომარეობასა და პირობებში მყოფ პირებს), ასევე პოზიტიური ვალდებულება (განსხვავებულად მოეპყრონ არათანაბარ პირობებში მყოფ პირებს, რათა მათ თანასწორი ხელმისაწვდომობა ჰქონდეთ უფლებებსა და თავისუფლებებზე). სახელმწიფოს როლი, ვალდებულებები და პასუხისმგებლობა განუზომლად დიდია დისკრიმინაციის ეფექტურ პრევენციაში.

48. დისკრიმინაციის ფაქტის დადგენასთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლომ იმსჯელა მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის განაწილებაზე და მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექ-

სის 363<sup>1</sup> მუხლზე, რომლითაც დისკრიმინაციასთან დაკავშირებული სარჩელი შეიძლება განხილულ იქნეს ამ თავით დადგენილი წესით, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ხოლო ამავე კოდექსის 363<sup>3</sup> მუხლის თანახმად, სარჩელის აღძვრისას პირმა სასამართლოს უნდა წარუდგინოს ფაქტები და შესაბამისი მტკიცებულებები, რომლებიც დისკრიმინაციული ქმედების განხორციელების ვარაუდის საფუძველს იძლევა, რის შემდეგაც მოპასუხეს ეკისრება იმის მტკიცების ტვირთი, რომ დისკრიმინაცია არ განხორციელებულა.

49. საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ განსახილველ შემთხვევაში კასატორები ვერ ადასტურებენ პოლიციის მხრიდან რელიგიური სიძულვილის საფუძველზე მათ მიმართ არასათანადო მოპყრობას. საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებით დასტურდება მოსარჩელეთა მიერ პანსიონით სარგებლობის შეუძლებლობა ფიზიკური პირების წინააღმდეგობის გამო. კასატორთა მიერ დასახელებული გარემოებები კი მიუთითებს პოლიციის ქმედებათა არასათანადოობაზე და არ ადასტურებს პოლიციის დისკრიმინაციულ მიდგომას კასატორთა მიმართ. აღნიშნულის საპირისპიროდ, საქმეზე დადგენილი ის გარემოება, რომ პოლიციის მხრიდან ხდებოდა მორიგეობა 24-საათიან რეჟიმში (რასაც არც მოსარჩელები უარყოფენ), ამასთან, ის გარემოება, რომ როგორც ადგილობრივი ხელისუფლება, ასევე ცენტრალური ხელისუფლება ჩართული იყო დაპირისპირებულ მხარეთა მორიგების პროცესში, ასევე ის გარემოება, რომ ქ. ...ში, ...ის გამზირზე შეუფერხებლად ფუნქციონირებს მსგავსი ტიპის პანსიონი, გამორიცხავს შინაგან საქმეთა სამინისტროს მხრიდან მოსარჩელეთა მიმართ დისკრიმინაციულ მოპყრობას. ამასთან, განსხვავებით იეჰოვას მოწმეთა მიმართ განხორციელებული საყოველთაოდ ცნობილი ძალადობის არაერთი ფაქტისა (იხ. საქმე „ბელელური და სხვები საქართველოს წინააღმდეგ“, №28490/02, 07.10.2014; „იეჰოვას მოწმეების გლდანის მრევლის წევრები და სხვები“ საქართველოს წინააღმდეგ, №71156/01, 03.05.2007), აჭარის რეგიონში წლებია თანაცხოვრობენ ქართველი მუსლიმები, სადაც განხორციელდა ათობით მეჩეთის მშენებლობა, რაც ასევე გამორიცხავს ხელისუფლების მხრიდან ქართველი მუსლიმების მიმართ დისკრიმინაციულ მიდგომას.

50. საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ პოლიციის მიერ მასზე დაკისრებული პოზიტიური ვალდებულებების სათანადოდ შეუსრულებლობის პირობებშიც, არ დასტურდება ამ ვალდებულების შეუსრულებლობა დისკრიმინაციის მოტივით, რაც გამორიცხავს მოცემულ ნაწილში სარჩელის დაკმაყოფილების შესაძლებლობას. მოსარჩელეთა მიმართ ფიზიკური პირების (თავდაპირვე-

ლი მოპასუხეები) მხრიდან დისკრიმინაციული მოპყრობის ფაქტი კი დადასტურებული იყო სამოქალაქო საქმეზე კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით.

51. საკასაციო სასამართლომ ასევე არ გაიზიარა კასატორთა მითითება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებზე („ბელელური და სხვები საქართველოს წინააღმდეგ“, №28490/02, 07.10.2014; „იდენტობა და სხვები საქართველოს წინააღმდეგ“, №73235/12, 12.05.2015), სადაც ადგილი ჰქონდა მოცემული დავისგან რადიკალურად განსხვავებულ ფაქტობრივ გარემოებებს, რასაც შედეგად მოჰყვა ევროსასამართლოს შესაბამისი შეფასებები. დასახელებულ საქმეებში, ერთ შემთხვევაში („იდენტობა და სხვები საქართველოს წინააღმდეგ“) დადგინდა პოლიციის სრული უმოქმედობა, ხოლო მეორე შემთხვევაში („ბელელური და სხვები საქართველოს წინააღმდეგ“) თავად პოლიცია ახდენდა მომჩივანთა უფლებების დარღვევას. მითითებულ საქმეებში პოლიციის ორგანოებს არავითარი ღონისძიება არ განუხორციელებიათ მომჩივანთა ინტერესების დასაცავად, რასაც განსახილველ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონდა.

52. ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ არსებითად სწორი გადაწყვეტილება მიიღო მორალური ზიანის ანაზღაურებაზე უარის თქმის ნაწილში.

53. საკასაციო სასამართლომ ყურადღება გამამხვილა მოცემული დავის ფარგლებში სააპელაციო სასამართლოში აპელანტთა მიერ წარდგენილ სასარჩელო მოთხოვნაზე და აღნიშნა, რომ თავდაპირველად შინაგან საქმეთა სამინისტროს მიმართ აპელანტთა მოთხოვნას წარმოადგენდა როგორც მორალური ზიანის ანაზღაურების დაკისრება დისკრიმინაციის მოტივით პოზიტიური ვალდებულების შეუსრულებლობისათვის, ასევე პანსიონით შეუფერხებლად სარგებლობის უზრუნველყოფა, რაც ასევე მოიცავდა შენობის წინ არსებული ბარიერების მოშლას. სააპელაციო სასამართლოს სხდომაზე მოთხოვნის არაერთგზის დაზუსტების შედეგად, აპელანტების წარმომადგენელმა მოცემული დავის ფარგლებში მოითხოვა მოპასუხე შინაგან საქმეთა სამინისტროს უზრუნველყოფა მოსარჩელებისა და პანსიონთან დაკავშირებული პირებისათვის პანსიონის შენობაში უსაფრთხო და თავისუფალი შესვლა და საქმიანობა; დაუყოვნებლივ აღეკვეთა მოსარჩელებისა და მუსლიმი თემის წარმომადგენლების მიმართ პანსიონის და მის მიმდებარე ტერიტორიაზე სიტყვიერი შეურაცხყოფის, მუქარისა და იძულების ფაქტები და სამინისტროს მოსარჩელეთა სასარგებლოდ დაკისრებოდა მორალური ზიანის ანაზღაურება ერთი ლარის ოდენო-

ბით. აპელანტებმა მოთხოვნა მხოლოდ ხელოვნური ბარიერების ნაწილში მოხსნეს, იმ მოტივით, რომ იგი მუნიციპალიტეტმა დაასუფთავა. ამასთან, აპელანტების წარმომადგენელმა სააპელაციო სასამართლოს სხდომაზე არაერთგზის აღნიშნა, რომ პანსიონით შეუფერხებლად სარგებლობას ვერ ახერხებდნენ. თუმცა აღნიშნულის მიუხედავად, სააპელაციო სასამართლო გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში მსჯელობს მხოლოდ შინაგან საქმეთა სამინისტროს მიმართ მორალური ზიანის ანაზღაურების დაკისრების მოთხოვნის ნაწილში და მსჯელობის გარეშე ტოვებს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ პანსიონით შეუფერხებლად სარგებლობის უზრუნველყოფის ნაწილში სასარჩელო მოთხოვნას. იმ პირობებში, როდესაც აპელანტების წარმომადგენელი ადასტურებდა მოსარჩელეთა მიერ პანსიონით სარგებლობის შეუძლებლობას, სააპელაციო სასამართლო მიუთითებს, რომ ამგვარი ფაქტები ალკვეთილი იყო, რაც ადასტურებს საქმის გარემოებების არასათანადო გამოკვლევასა და აღნიშნულ ნაწილში საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების აუცილებლობას. საკასაციო სასამართლოს მითითებით, წარმოდგენილი სარჩელის უმთავრეს მიზანს სწორედ პანსიონით შეუფერხებლად სარგებლობის უზრუნველყოფა წარმოადგენდა.

54. საკასაციო სასამართლოს განმარტებით, მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელეთა მოთხოვნა მიმართულია ადმინისტრაციული ორგანოს მიერ რეალაქტის განხორციელებისაკენ. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 24-ე მუხლით გათვალისწინებული მავალდებულებელი სარჩელის მოთხოვნა საჭიროებს ადმინისტრაციული ორგანოს (მისი უფლებამოსილებიდან გამომდინარე) მოქმედების განხორციელების ან მოქმედების განხორციელებისაგან თავის შეკავების ვალდებულების დადგენას.

55. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის პანსიონით შეუფერხებლად სარგებლობის უზრუნველყოფის დავალების წინაპირობას წარმოადგენს საქმეზე არსებული ფაქტობრივი გარემოებების დადგენა, ვინაიდან სამინისტროსთვის ქმედების განხორციელების დავალების ნაწილში სასარჩელო მოთხოვნის საფუძვლიანობაზე მსჯელობისას საქმეზე უნდა დასტურდებოდეს მოსარჩელეთა მიერ პანსიონით სარგებლობის შეუძლებლობა.

56. საკასაციო პალატამ განმარტა, რომ სააპელაციო სასამართლომ მითითებულ ნაწილში საქმის ხელახლა განხილვისას უნდა იმსჯელოს პანსიონით შეუფერხებლად სარგებლობის უზრუნველყოფის ნაწილში სასარჩელო მოთხოვნის საფუძვლიანობაზე, რადროსაც სააპელაციო სასამართლოს უნდა გამოერკვია საქმის განხილვის დროს არსებული მდგომარეობა პანსიონით სარგებლობას-



თან დაკავშირებით და გადაწყვეტილება მიიღოს ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე.

57. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2019 წლის 12 მარტის განჩინებით, ა(ა)იპ ქართველ მუსლიმთა ურთიერთობის, კ. კ-ის, ბ. ი-ისა და თ. ხ-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელი დარჩა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 19 სექტემბრის გადაწყვეტილება გასაჩივრებულ – ა(ა)იპ ქართველ მუსლიმთა ურთიერთობის, კ. კ-ის, ბ. ი-ისა და თ. ხ-ის სარჩელზე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიმართ ქმედების განხორციელების დავალდებულებაზე უარის თქმის ნაწილში.

58. სააპელაციო სასამართლოს მითითებით, 2019 წლის 1 მარტს ა(ა)იპ ქართველ მუსლიმთა ურთიერთობის, კ. კ-ის, ბ. ი-ის და თ. ხ-ის წარმომადგენელმა დ. ბ-მა სააპელაციო სასამართლო სხდომაზე დააზუსტა, რომ სასარჩელო მოთხოვნა – „პანსიონით შეუფერხებლად სარგებლობის უზრუნველყოფა“ – გულისხმობდა მოპასუხის დავალდებულებას, უზრუნველყო:

პანსიონის მიმდებარე ტერიტორიაზე 24-საათიანი მორიგეობა, გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან 3 თვის განმავლობაში;

– პანსიონის ადმინისტრაციის თანამშრომლებისთვის, ბენეფიციარებისა და პანსიონთან დაკავშირებული პირებისთვის პანსიონის შენობასა და მიმდებარე ტერიტორიაზე უსაფრთხო და თავისუფალი გადაადგილების პირობების შექმნა;

– არ დაეშვა, ხოლო არსებობის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ აღეკვეთა, მოსარჩელებისა და მუსლიმი თემის წარმომადგენლების მიმართ პანსიონის და მის მიმდებარე ტერიტორიაზე სიტყვიერი შეურაცხყოფის მუქარისა და იძულების ფაქტები.

59. სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელეთა მოთხოვნა მიმართულია ადმინისტრაციული ორგანოს მიერ რეალაქტის განხორციელებისაკენ. მოსარჩელეთა მოთხოვნა ეფუძნება საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 24-ე მუხლს, რომელიც ითვალისწინებს ადმინისტრაციული ორგანოსათვის მოქმედების განხორციელების ან მოქმედების განხორციელებისაგან თავის შეკავების დავალების მოთხოვნით სარჩელის აღძვრის შესაძლებლობას. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 24-ე მუხლით გათვალისწინებული სარჩელის დაკმაყოფილების პირობებს ამავე კოდექსის 33<sup>1</sup> მუხლი შეიცავს, რომელიც სარჩელის დაკმაყოფილებას უკავშირებს სარჩელის დასაშვებობის რამდენიმე პირობას, კერძოდ, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ რაიმე მოქმედების განხორციელება ან უარი რაიმე მოქმედების განხორციელებაზე კანონს უნდა ეწი-

ნალმდეგებოდეს, ამასთანავე, ის პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს უნდა აყენებდეს მოსარჩელის კანონიერ უფლებას ან ინტერესს. საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსის 24-ე მუხლით გათვალისწინებული მავალდებულებელი სარჩელით პირი სასამართლოს მიმართავს არსებული მდგომარეობის შეცვლის და, შესაბამისად, მისთვის ხელსაყრელი მდგომარეობის მიღწევის მიზნით. სწორედ აღნიშნულით არის განპირობებული საკასაციო პალატის მითითება, რომ მოპასუხე სამინისტროსთვის ქმედების განხორციელების დავალების ნაწილში სასარჩელო მოთხოვნის საფუძვლიანობაზე მსჯელობისას საქმეზე უნდა დასტურდებოდეს საქმის განხილვის დროის მდგომარეობით მოსარჩელეთა მიერ პანსიონით სარგებლობის შეუძლებლობა.

60. საქმის ხელახალი განხილვისას წარდგენილი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პოლიციის დეპარტამენტის დირექტორის 27.02.2019 წლის MIA 1 19 00516851 წერილის საფუძველზე, სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ შსს-ს აჭარის ა/რ პოლიციის დეპარტამენტის ...ის რაიონულ სამმართველოში ა(ა)იპ ქართველ მუსლიმთა ურთიერთობის მფლობელობაში არსებული პანსიონის ფუნქციონირებისთვის ხელშეშლის ფაქტზე რაიმე სახის შეტყობინება, განცხადება ან მომართვა არ შესულა.

61. ასევე, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ „112-ის“ დირექტორის მოვალეობის დროებით შემსრულებლის 28.02.2019 წლის MIA 9 19 00525831 წერილით დადგინდა, რომ შსს-ს სსიპ „112-ში“ 2016 წლის 1 იანვრიდან 2019 წლის 1 იანვრამდე პერიოდში, ქ...ში, ...ის ქუჩა №13-ში ა(ა)იპ ქართველ მუსლიმთა ურთიერთობის მფლობელობაში არსებული პანსიონის ფუნქციონირებისთვის ხელშეშლის ფაქტთან დაკავშირებით შეტყობინება არ იქცენება.

62. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-4 და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 103-ე და 102-ე მუხლებზე და განმარტა, რომ მტკიცების პროცესი მოიცავს მხარეთა მიერ მტკიცებულებათა შეგროვებას და სასამართლოში წარდგენას. მხარე ვალდებულია თვითონვე დაამტკიცოს მის მიერ მითითებული გარემოებები. ამ ვალდებულების შესრულება განაპირობებს დავის შედეგს. მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის განაწილების ინსტიტუტს აქვს არა მარტო საპროცესო სამართლებრივი, არამედ მატერიალურ-სამართლებრივი მნიშვნელობაც, რადგან საქმის შედეგი იმაზეა დამოკიდებული, რა მტკიცებულებებზე მითითებით დაასაბუთებენ მხარეები გარემოებებს, რომლებზედაც ამყარებენ თავიანთ მოთხოვნებს.

63. სააპელაციო პალატამ მიუთითა პოლიციის საქმიანობის ძირითად პრინციპებზე, პოლიციის ფუნქციებსა და პოლიციის მიერ საკუთარი უფლებამოსილებების განხორციელების სამართლებრივ ფორმებზე და განმარტა, რომ პოლიცია თავისი ფუნქციების შესასრულებლად მოქმედებს დისკრეციული უფლებამოსილების (უფლებამოსილება, რომელიც ადმინისტრაციულ ორგანოს ან თანამდებობის პირს ანიჭებს თავისუფლებას საჯარო და კერძო ინტერესების დაცვის საფუძველზე კანონმდებლობის შესაბამისი რამდენიმე გადაწყვეტილებიდან შეარჩიოს ყველაზე მისაღები გადაწყვეტილება (სზაკ-ის 2.1 მუხ. „ლ“ ქ/პ)) საფუძველზე, კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებსა და ფარგლებში. პოლიციელი უფლებამოსილია გადაწყვიტოს, განახორციელოს თუ არა საპოლიციო ღონისძიება. პოლიციელს მინიჭებული აქვს თავისუფლება, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული რამდენიმე საპოლიციო ღონისძიებიდან შეარჩიოს ყველაზე მისაღები, თანაზომიერების პრინციპის შესაბამისად. საფრთხის აღკვეთისათვის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული რამდენიმე საპოლიციო ღონისძიების არსებობისას საკმარისია ერთ-ერთის გამოყენება (სპშკ-ის მუხ.13).

64. კანონით მინიჭებული ფუნქციების შესასრულებლად პოლიცია მოქმედებს დისკრეციული უფლებამოსილების საფუძველზე და თავად წყვეტს – განახორციელოს თუ არა საპოლიციო ღონისძიება. მას მინიჭებული აქვს თავისუფლება, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული რამდენიმე საპოლიციო ღონისძიებიდან შეარჩიოს ყველაზე მისაღები, თანაზომიერების პრინციპის შესაბამისად. ამდენად, პრევენციული ღონისძიების თუ სამართალდარღვევაზე რეაგირების ღონისძიებების შერჩევა, მათი პრიორიტეტულობა მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციას განეკუთვნება, რაშიც სასამართლო ვერ შეიჭრება.

65. სასამართლო უფლებამოსილია მხოლოდ გააკონტროლოს დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენების ფარგლები – რამდენად ემსახურება კონკრეტული ღონისძიების გამოყენება ლეგიტიმური მიზნის მიღწევას, აღნიშნული მიდგომა გამოსადეგი, აუცილებელი და პროპორციულია, თუ ადგილი აქვს უმოქმედობას, რითაც საფრთხე ექმნება კანონით დაცულ სიკეთეს – საზოგადოებრივ უსაფრთხოებასა და მართლწესრიგს.

66. სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ საქმის განხილვის დროის მდგომარეობით მოსარჩელეთა მიერ პანსიონით სარგებლობის შეუძლებლობა არ დასტურდება, სარგებლობის ხელშეშლის აღკვეთის მიზნით აპელანტს (მოსარჩელე) მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოსათვის არ მიუმართავს, შესაბამისად, სა-

მართლებრივი საფუძველი – სასამართლო გადაწყვეტილებით განხორციელდეს შინაგან საქმეთა სამინისტროს დავალდებულება საპოლიციო ღონისძიების განხორციელებაზე – არ არსებობს, რაც წარმოდგენილი სააპელაციო და სასარჩელო მოთხოვნის უარყოფას განაპირობებს.

67. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 12 მარტის განჩინება საკასაციო საჩივრით გაასაჩივრეს ა(ა)იპ ქართველ მუსლიმთა ურთიერთობამ, კ. კ-ემ, ბ. ი-ემ და თ. ხ-მა, რომელთაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსათვის ქმედების განხორციელების დავალება მოითხოვეს.

68. კასატორთა მითითებით, სააპელაციო სასამართლოს მიერ უარყოფილი სასარჩელო მოთხოვნა დაეფუძნა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს უმოქმედობით შექმნილ იმ ფაქტობრივ გარემოებას, რომელმაც ხელი შეუწყო და წაახალისა კერძო პირების მიერ კასატორთა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციითა და საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული უფლებების დარღვევა – კერძო პირთა მხრიდან რელიგიური კუთვნილებით განპირობებული დისკრიმინაციული ხელშეშლა, რაც გამოიხატა არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის აკრძალვის (ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლი), მფლობელობის უფლებით შეუფერხებელი სარგებლობის უფლების (ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის პირველი დამატებითი ოქმი), პირადი ცხოვრების უფლების (ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლი) და რელიგიის თავისუფლების (ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-9 მუხლი), აგრეთვე, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის 1-ლი დამატებითი ოქმის მე-2 მუხლითა და „სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტის“ მე-18 მუხლის მე-4 პუნქტით გარანტირებული ბავშვების მშობელთა მრწამსის მიხედვით რელიგიური და ზნეობრივი აღზრდის უფლებების დარღვევებში.

69. საკასაციო სასამართლოს 2018 წლის 15 მარტის განჩინებით, სააპელაციო სასამართლოს უნდა შეეფასებინა კერძო პირების მხრიდან კასატორთა უფლებების დარღვევის პრევენციის და აღმოფხვრის ნაწილში პოზიტიური ვალდებულების შეუსრულებლობის საკითხი, რამაც პირდაპირი ხელშეწყობი გავლენა იქონია კერძო პირთა მხრიდან დადასტურებული დისკრიმინაციული მოტივით რელიგიური ჯგუფის უფლებების დარღვევაზე. სააპელაციო სასამართლომ არასათანადოდ შეაფასა აღნიშნული ვალდებულება, რის გამოც საკასაციო საჩივრის განხილვას არსებითი მნიშვნელობა აქვს

ასკ-ის 24-ე მუხლით გათვალისწინებულ სამართალწარმოებაში სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულის შესრულების შეფასების კუთხით. კერძო პირთა მხრიდან დისკრიმინაციული მოტივით განხორციელებული კასატორთა უფლებების განგრძობადი დარღვევა, თავისთავად ნიშნავს შსს-ს მხრიდან პრევენციული ზომების მიუღებლობას და საფუძველს აძლევს სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულების შესრულების სადავოობას. მნიშვნელოვანია არსებობდეს ჩამოყალიბებული პრაქტიკა ქმედების განხორციელების დავალების მოთხოვნით წარმოებულ ისეთ დავებზე, სადაც ქმედების განხორციელებაზე ადმინისტრაციულ ორგანოთა უარი შესაძლებელია გავლენას ახდენდეს ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში სახელმწიფოზე დაკისრებული პოზიტიური ვალდებულების შესრულებაზე.

70. სააპელაციო სასამართლო გასაჩივრებულ განჩინებაში ავითარებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს საწინააღმდეგო მიდგომას, რომლის მიხედვით, განგრძობადი დისკრიმინაციული ქმედების მსხვერპლნი ვალდებული არიან გამუდმებით, ყოველ ჯერზე თავიდან მიმართონ სამართალდამცავ ორგანოებს, მაშინაც, როცა სამართალდამცავთა ჩარევას შედეგი არ მოაქვს და მხოლოდ ამ შემთხვევაში ექნება სასამართლოში პერსპექტივა მათ მოთხოვნას პოზიტიური ვალდებულების შესრულების მიზნით ქმედების დავალდებულების შესახებ.

71. სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულება არ არის დამოკიდებული იმაზე, მიმართავს თუ არა ადმინისტრაციულ ორგანოს პირი უფლების უზრუნველსაყოფად. მიუხედავად ამისა, სააპელაციო სასამართლომ გასაჩივრებული განჩინება სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის შესახებ დააფუძნა მხოლოდ იმ გარემოებას, რომ აპელანტს სარგებლობის ხელშეშლის აღკვეთის მიზნით ადმინისტრაციული ორგანოსათვის არ მიუმართავს, ისე რომ მხედველობაში არ მიიღო განგრძობადი დისკრიმინაციული ხელშეშლა, რაც პანსიონატის გახსნის დღიდან მიმდინარეობდა და ის გარემოება, რომ მოცემულ მომენტში პანსიონატი ვერ ახერხებს ფუნქციონირებას, რაც ეწინააღმდეგება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკას, მათ შორის, საქართველოს წინააღმდეგ გამოტანილ გადაწყვეტილებებს („ბელელური საქართველოს წინააღმდეგ“ no 28490/02, §145, 07.10.214; „გლდანის კონგრეგაციის 97 წევრი და ოთხი სხვა პირი საქართველოს წინააღმდეგ“, №71156/01, §96, 03.05.2007).

72. გასაჩივრებულ განჩინებაში ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ არასათანადოდ შეაფასა შინაგან საქმეთა სამინისტროს პოზიტიური ვალდებულების როლი, განსაკუთრებით კი პრევენციუ-

ლი ღონისძიების განხორციელების კუთხით „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონისა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის შესაბამისად გასატარებელი ღონისძიებების კონტექსტში ფიზიკურ პირთაგან მომდინარე განგრძობადი დისკრიმინაციული მოპყრობისგან დაცვის თვალსაზრისით.

73. გასაჩივრებული განჩინებით დადგენილია, რომ იმ პერიოდში როდესაც ადგილობრივი მოსახლეობის მხრიდან ხორციელდებოდა პანსიონატის საქმიანობისათვის დისკრიმინაციული ხელშეშლა (2014 წლის 10 სექტემბრიდან 15 სექტემბრის ჩათვლით და 2014 წლის 15 სექტემბრის შემდგომ) პოლიციის თანამშრომლები პერიოდულად, ხოლო 15 სექტემბრის შემდგომ 24 საათის განმავლობაში იმყოფებოდნენ ხელშეშლის ადგილზე. შესაბამისად, ამ ვითარებაში შსს-ს წარმომადგენლებისათვის აღქმადი უნდა ყოფილიყო ადგილობრივი პირებისგან მოსარჩელეთა მხრიდან პანსიონატით სარგებლობის ხელშეშლა, პანსიონატის თანამშრომელთა შეურაცხყოფა და მათი გადაადგილების კონტროლი. ბათუმის საქალაქო სასამართლოს ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადგენილია დისკრიმინაციული ხელშეშლა, ხოლო ხელშეშლის შედეგად სახეზეა პანსიონატით სარგებლობის, მისი ფუნქციონირებისა და საქმიანობის განხორციელების შეუძლებლობა, რაც იწვევს კასატორთა რიგი ფუნდამენტური უფლებების არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის აკრძალვის, მფლობელობის უფლებით შეუფერხებელი სარგებლობის უფლებისა და რელიგიის თავისუფლების, ასევე მიმოსვლის თავისუფლებისა და ბავშვების მშობელთა მრწამსის მიხედვით რელიგიური და ზნეობრივი აღზრდის უფლების დარღვევას.

74. კასატორებს მიაჩნიათ, რომ შემდგომ პერიოდში ვითარების უცვლელობაზე მიუთითებდა თავად საკასაციო სასამართლოს 2018 წლის 15 მარტის განჩინება. კასატორების განმარტებით, სააპელაციო სასამართლოში საქმის ხელახალი განხილვისას წარადგინეს მონმეთა – ს. მ-ის, ზ. ხ-ის, ტ. კ-ისა და მ. მ-ის წერილობითი ჩვენებები, სადაც მონმეთები აღწერდნენ 2019 წლის დასაწყისში არსებულ მდგომარეობას – როგორ უშლიდა ხელს ადგილობრივი მოსახლეობა პანსიონის შენობაში შესვლაში, მოქალაქეები უკრძალავდნენ მათ ტერიტორიაზე ყოფნას, აყენებდნენ შეურაცხყოფას და აშკარად ამბობდნენ, რომ არ დაუშვებდნენ პანსიონის ფუნქციონირებას. ადგილობრივი ინტერნეტგამოცემის სტატია და შპს „ქ...ის“ მიმართ გამოტანილი სასამართლო გადაწყვეტილება, დასტურია მოსახლეობის უარყოფითი განწყობისა და აშკარა განზრახვას, ხელი შეუშალონ პანსიონის ამოქმედების ყოველგვარ მცდელობას. მონმეთა ჩვენებების საქმისათვის დართვაზე სასამართლომ თქვა

უარი, ხოლო დანარჩენი მტკიცებულებები არ შეაფასა.

75. სააპელაციო სასამართლო, პანსიონით სარგებლობასთან დაკავშირებით საქმის განხილვის დროს არსებული მდგომარეობის გამორკვევისას შემოიფარგლა მხოლოდ იმის დადგენით, იყო თუ არა შსს-ში მიმართვა განხორციელებული ხელშეშლის შესახებ და მიიჩნია, რომ შსს-ს მიმართ ადმინისტრაციული სარჩელის დაკმაყოფილების წინაპირობა მხოლოდ მაშინ იარსებებდა, თუ მას მიმართავენ პანსიონის ფუნქციონირებისთვის ხელშეშლის აღმოფხვრის მოთხოვნით და შსს შესაბამის მოქმედებას არ განახორციელებდა, რაც ეწინააღმდეგება პოზიტიური ვალდებულების შესრულების შეფასების ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილ სტანდარტს.

76. სააპელაციო სასამართლომ მხედველობაში არ მიიღო განგრძობადი დისკრიმინაციული ხელშეშლა, რაც პანსიონის გახსნის დღიდან მიმდინარეობდა და ის გარემოება, რომ მოცემულ მომენტში პანსიონატი ვერ ახერხებს ფუნქციონირებას ადგილობრივი მოსახლეობისაგან მომდინარე ხელშეშლის გამო და სწორედ ამ ხელშეშლის მიზეზით ადგილობრივი მუნიციპალიტეტი ვერ უზრუნველყოფს პანსიონის წყალარინების ქსელზე დაერთებას, რაც გამორიცხავს მის ფუნქციონირებას. ეს მოცემულობა სამოქალაქო საქმეზე დადგენილ დისკრიმინაციული ხელშეშლის ფაქტთან ერთად ქმნის ისეთ შემადგენლობას, რასაც ვერ გადაწონის მხოლოდ ის ფაქტი, რომ კასატორებს შსს-სთვის არ მიუმართავთ ხელშეშლის აღკვეთის მოთხოვნით. მით უმეტეს, რომ სარჩელის აღძვრამდე მათ არაერთხელ მიმართეს შსს-ს ამ მოთხოვნით, თუმცა უშედეგოდ.

77. კასატორებს მიაჩნიათ, რომ პანსიონატის გახსნის დღიდან მიმდინარე განგრძობადი ხელშეშლა, ის გარემოება, რომ მოცემულ მომენტში პანსიონატი ვერ ფუნქციონირებს, სააპელაციო სასამართლოში დამატებით წარდგენილი მტკიცებულებები (ინტერნეტგამოცემის სტატია და სასამართლო გადაწყვეტილება), რომლებიც ადასტურებენ მოსახლეობის უარყოფით განწყობებს და აშკარა განზრახვას ხელი შეუშალონ პანსიონის ამოქმედებას, აშუამად სასამართლოში მიმდინარე დავა პანსიონატის წყალარინების ქსელზე დაერთებაზე, რასაც მპს „ქ...ი“ არ ახორციელებს ადგილობრივი მოსახლეობისგან ხელშეშლის გამო, ქმნის იმ ერთობლიობას, რაც სააპელაციო სასამართლოს მიერ უნდა შეფასებულიყო, როგორც შსს-თვის ქმედების განხორციელების დავალების საფუძველი. მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოსათვის მიმართვის არარსებობის დადგენა იმ ვითარებაში, როდესაც აშკარაა, რომ პანსიონატი ვერ ფუნქციონირებს უსაფრთხოების ზომების მიუღებლობისა და

კასატორთა უფლებების დარღვევის აღმოუფხვრელობის გამო, არ შეიძლება გამოყენებულიყო სააპელაციო სასამართლოს მიერ ქმედების განხორციელების შესახებ სარჩელის უარის საფუძვლად.

78. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლო, 2018 წლის 15 მარტის განჩინებაში მიუთითებდა დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელების ფარგლებში შერჩეული ღონისძიების სათანადოობის შეფასების აუცილებლობაზე, სააპელაციო სასამართლო მხოლოდ პოლიციის დისკრეციული უფლებამოსილების მიმოხილვით შემოიფარგლა და არ შეუფასებია კასატორთა მიმართ დამამცირებელი მოპყრობის, მფლობელობით შეუფერხებელი სარგებლობის, ბავშვების აღზრდის უფლების დარღვევის მაღალი ინტენსივობა და რამდენად სწორად იყო დისკრეციული უფლებამოსილება გამოყენებული შსს-ს მხრიდან კასატორთა დასაცავად და იყო თუ არა მათ მიერ განხორციელებული ღონისძიება გამოსადეგი ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად.

79. კასატორების მითითებით, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ საქმის ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში დაბრუნების შემდეგ კასატორების მხრიდან მიმართვის განუხორციელებლობის მიზეზი იყო სიტუაციის ესკალაციის თავიდან არიდება, ვინაიდან გაჩნდა მოლაპარაკების გარკვეული რესურსი. თუმცა, როგორც მათი ჩვენებები და ინტერნეტგამოცემა „...ის“ სტატიაც ადასტურებს, პანსიონის ტერიტორიაზე ყოველ შესვლას მაინც მოჰყვებოდა დაძაბულობა და შელაპარაკება.

80. კასატორების განმარტებით, გასაჩივრებულ განჩინებაში არ მოიპოვება სათანადო დასაბუთება, თუ როგორ გამოირიცხება შსს-ს პასუხისმგებლობა კასატორთა უფლებების დაცვაზე იმ პირობებში, როცა ადმინისტრაციულმა ორგანომ თვითონ მიიღო გადაწყვეტილება 2015 წლის 15 სექტემბრიდან უზრუნველყო საპატრულო ეკიპაჟის მუდმივი მორიგეობა. მით უმეტეს, რომ სამოქალაქო საქმეზე კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადგენილია, რომ მოსარჩელეთა მიმართ ადგილობრივი მოსახლეობის მხრიდან ხორციელდებოდა განგრძობადი დისკრიმინაცია რელიგიური ნიშნით, რაც გამოიხატებოდა პანსიონატის საქმიანობის, მისი სარგებლობის ხელშეშლაში, პანსიონატის თანამშრომელთა გადაადგილების და პანსიონატზე წვდომის შეზღუდვასა და კონტროლში. ეს ხდებოდა იმ პერიოდში, როცა ადგილზე, პანსიონატის შესასვლელიდან 5-10 მეტრში მორიგეობდნენ პოლიციის თანამშრომლები, მათთვის ადვილად შესამჩნევი და აღქმადი იყო ეს ქმედებები. თუმცა ეფექტური რეაგირება, რაც უზრუნველყოფდა კასატორთა პანსიონზე თავისუფალ წვდომასა და მის ფუნქციონირებას, არ განხორციელებულა. ამ პირობებში სასამართლოს არ შე-



უფასებია პოლიციისთვის მიმართვის შემთხვევაშიც კი, რამდენად ეფექტური შეიძლება ყოფილიყო ეს მიმართვა შეუძლებლობის აღმოფხვრისთვის, როცა კასატორებს ჰქონდათ თვალსაჩინო მაგალითი, როგორ არ რეაგირებდა იქვე მყოფი პოლიცია მათი უფლებების შეზღუდვაზე.

81. კასატორებმა აგრეთვე აღნიშნეს, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სამართალი სახელმწიფოს მხრიდან პოზიტიური ვალდებულების არსებობას არ უკავშირებს სახელმწიფოსადმი მიმართვის აუცილებლობას. პოზიტიური ვალდებულება სახეზეა მაშინაც, როცა ოფიციალურად მიმართვა დარღვევის თაობაზე არ ხდება, თუმცა სახელმწიფომ იცოდა/უნდა სცოდნოდა დისკრიმინაციული მოტივით კასატორთა მიმართ არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის, მვლობელობის უფლების განხორციელებაში ხელშეშლის, რელიგიის თავისუფლებასა და ბავშვების აღზრდის უფლებაში სხვა პირთა ნეგატიური ჩარევის განგრძობადი ფაქტების შესახებ და მაინც არ უზრუნველყო ამ ფაქტების აღმოფხვრით კონკრეტული შედეგის დადგომა.

82. კასატორებს ასევე მიაჩნიათ, რომ სააპელაციო სასამართლომ არამართებულად განმარტა დისკრეციული უფლებამოსილების შესახებ ნორმა, რის გამოც სასამართლო კონტროლს მიღმა დარჩა საქმეში არსებული და დადასტურებული ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა რიგ დარღვევებზე სახელმწიფოს პასუხისმგებლობის საკითხი. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს უზენაესმა სასამართლომ სააპელაციო სასამართლოს მიუთითა შსს-ს მხრიდან დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელების არასათანადოობის საკითხზე მსჯელობის აუცილებლობაზე, სააპელაციო სასამართლო მხოლოდ საპოლიციო დისკრიმინაციული უფლებამოსილებისა და სასამართლო კონტროლის ზოგადი სტანდარტის განმარტებით შემოიფარგლა.

83. კასატორები მიუთითებენ, რომ, მართალია, პოლიციის თანამშრომლები ახორციელებდნენ 24-საათიან მორიგეობას, მაგრამ ამას შედეგად არ მოჰყოლია „პოლიციის შესახებ“ კანონის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“, „ბ“, „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ფუნქციის შესრულება, არ განხორციელებულა ამავე კანონის მე-17 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ეფექტიანი პრევენციული ღონისძიებები, მათ შორის, 25-ე მუხლით გათვალისწინებული ადგილის დატოვების მოთხოვნა და კონკრეტულ ტერიტორიაზე შესვლის აკრძალვა. პოლიციის თანამშრომლები თავიანთ ჩვენებებში უარყოფენ 24-საათიანი მორიგეობის დროს პანსიონის ტერიტორიაზე რაიმე ინციდენტს, რაც მიუთითებს პოლიციის მოქმედების არაეფექტურობაზე.

84. კასატორთა განმარტებით, სააპელაციო სასამართლოს არ დაუსაბუთებია, რატომ მიიჩნია, რომ არ უნდა შეეფასებინა მოცემულ საქმეში შსს-ს მიერ დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელება იყო თუ არა გამოსადეგი ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად და ჰქონდა თუ არა ადგილი უმოქმედობას. სააპელაციო სასამართლოს არც ლეგიტიმური მიზნების იდენტიფიცირება მოუხდენია, რასთან მიმართებაშიც უნდა შეფასებულიყო დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენების სათანადოობა, კერძოდ, ხომ არ ჰქონდა ადგილი შსს-ს მხრიდან გაუმართლებელ პასიურობას, რაც დისკრეციული უფლებამოსილების ნულოვანი რედუქციის შესაძლებლობას იძლევა, მითითებული მიდგომა სამართალდამცავი ორგანოების მიმართ გამოიყენება მაშინ, როცა დასტურდება დარღვევის მაღალი ინტენსივობა და საფრთხე ემუქრება ადამიანთა სიცოცხლესა და ჯანმრთელობას ან ქონებას. აღნიშნულის შეფასებას არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა ქმედების განხორციელების შესახებ კასატორთა მოთხოვნის დაკმაყოფილების საკითხის გადასაწყვეტად.

85. კასატორებმა ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით აღნიშნეს, რომ დღევანდელი მდგომარეობით მოსარჩელეთა მიერ პანსიონით სარგებლობის შეუძლებლობის დასადგენად საკმარისი იყო იმ გარემოების შეფასება, რომ სახელმწიფოს პრევენციული დაცვით ჩარევის გარეშე პანსიონატი ვერ შეძლებდა ფუნქციონირებას. აქედან გამომდინარე, კასატორთა მოთხოვნები უკვე მოქცეულია სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულის შესრულების სფეროში და სააპელაციო სასამართლოს სწორედ ამ სამართლებრივი მოცემულობის ჩრდილში უნდა შეეფასებინა გარემოებები საქმის ხელახალი განხილვისას. პანსიონატის გახსნის დღიდან მიმდინარე განგრძობადი ხელშეშლა, ის გარემოება, რომ მოცემულ მომენტში პანსიონატი ვერ ფუნქციონირებს, კასატორთა მხრიდან სააპელაციო სასამართლოში საქმის ხელახალ განხილვაზე წარდგენილი და საქმისათვის დართული მტკიცებულებები – ადგილობრივი ინტერნეტგამოცემის სტატია და შპს „ქ...ის“ მიმართ გამოტანილი სასამართლო გადაწყვეტილება, რომლებიც ადასტურებენ მოსახლეობის უარყოფით განწყობას და აშკარა განზრახვას ხელი შეუშალონ ...ში, ...ის ქუჩა №13-ში პანსიონის ამოქმედებას, ის გარემოება, რომ სასამართლოში მიმდინარეობს დავა პანსიონატის წყალარინების ქსელზე დაერთებასთან დაკავშირებით, რასაც შპს „ქ...ი“ არ ახორციელებს მოსახლეობისაგან ხელშეშლის გამო, ქმნის იმ ერთობლიობას, რაც სააპელაციო სასამართლოს მიერ უნდა შეფასებულიყო, როგორც შსს-თვის ქმედების განხორციელების დავალების საფუძველი.

86. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 12 სექტემბრის განჩინებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული ა(ა)იპ ქართველ მუსლიმთა ურთიერთობის, კ. კ-ის, ბ. ი-ისა და თ. ხ-ის საკასაციო საჩივარი.

87. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 18 მარტის განჩინებით ა(ა)იპ ქართველ მუსლიმთა ურთიერთობის, კ. კ-ის, ბ. ი-ისა და თ. ხ-ის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად და მისი განხილვა დაიწმინა ზეპირი მოსმენით.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

88. საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, მხარეთა პოზიციების მოსმენის, გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობისა და საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ა(ა)იპ ქართველ მუსლიმთა ურთიერთობის, კ. კ-ის, ბ. ი-ისა და თ. ხ-ის მიერ წარმოდგენილი საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და უცვლელად უნდა დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 12 მარტის განჩინება.

89. საკასაციო სასამართლო უპირველესად ზაზგასმით აღნიშნავს, რომ განსახილველი საკასაციო საჩივრის ფარგლებში საკასაციო სასამართლო არ განიხილავს მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან პოზიტიური ვალდებულების შეუსრულებლობას დისკრიმინაციის საფუძვლით, რადგან აღნიშნულ მოთხოვნაზე საკასაციო სასამართლომ იმსჯელა 2018 წლის 15 მარტის განჩინებით და არ დააკმაყოფილა ა(ა)იპ ქართველ მუსლიმთა ურთიერთობის, კ. კ-ის, ბ. ი-ისა და თ. ხ-ის მიერ წარდგენილი საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 18 აპრილის განჩინებაზე.

90. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ 2018 წლის 15 მარტის განჩინებით ნაწილობრივ დააკმაყოფილა ა(ა)იპ ქართველ მუსლიმთა ურთიერთობის, კ. კ-ის, ბ. ი-ისა და თ. ხ-ის მიერ წარდგენილი საკასაციო საჩივარი და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნა მხოლოდ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსათვის ქმედების განხორციელების დავალების ნაწილში.

91. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში საქმის ხელახალი განხილვის დროს ა(ა)იპ ქართველ მუსლიმთა ურთიერთობამ, კ. კ-

ემ, ბ. ი-ემ და თ. ხ-მა დააზუსტეს სასარჩელო მოთხოვნა და მოითხოვეს „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ უზრუნველყოს მუსლიმი მოსწავლეებისათვის განკუთვნილი პანსიონის საქმიანობის აღდგენა და ფუნქციონირება. ამ მიზნით შსს-მ უზრუნველყოს: 1. პანსიონატის მიმდებარე ტერიტორიაზე 24-საათიანი მორიგეობა, გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან 3 თვის განმავლობაში; 2. პანსიონატის ადმინისტრაციის თანამშრომლების, ბენეფიციარებისა და პანსიონთან დაკავშირებული პირებისათვის პანსიონატის შენობასა და მიმდებარე ტერიტორიაზე უსაფრთხო და თავისუფალი გადაადგილების პირობების შექმნა; 3. არ დაუშვას, ხოლო არსებობის შემთხვევაში დაუყოვნებლივ აღკვეთოს მოსარჩელებისა და მუსლიმი თემის წარმომადგენლების მიმართ პანსიონის და მის მიმდებარე ტერიტორიაზე სიტყვიერი შეურაცხყოფის მუქარისა და იძულების ფაქტები“.

92. ამდენად, განსახილველი საკასაციო საჩივრის ფარგლებში მოსარჩელეთა მოთხოვნა ეფუძნება საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 24-ე მუხლს, რომელიც ითვალისწინებს ადმინისტრაციული ორგანოსათვის მოქმედების განხორციელების ან მოქმედების განხორციელებისაგან თავის შეკავების დავალების მოთხოვნით სარჩელის აღძვრის შესაძლებლობას. საკასაციო სასამართლომ კი უნდა შეაფასოს, არსებობს თუ არა მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოსათვის საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 24-ე მუხლის საფუძველზე მოქმედების განხორციელების დავალების საფუძველი.

93. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მოსარჩელეთა მოთხოვნა მიმართულია ადმინისტრაციული ორგანოს მიერ რეალაქტის განხორციელებისაკენ. რეალაქტი კი არის ადმინისტრაციული ორგანოს მმართველობითი ფუნქციის განხორციელების სამართლებრივი ფორმა, ისეთი საჯაროსამართლებრივი ღონისძიება, რომელიც მიმართულია არა სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის, შეცვლის ან შეწყვეტისაკენ, არამედ ფაქტობრივი შედეგების დადგომისაკენ (სპშკ-ის მე-2 მუხლის „ე“ პუნქტი; სუსგ. №ბს-260-257(2კ-11), 12.10.2011წ.; Erbuth/Guckelberger, Allgemeines Verwaltungsrecht, 9. Auflage §23, Rn. 9). დაინტერესებული პირის უფლება, ადმინისტრაციულ ორგანოს მოსთხოვოს რაიმე ქმედების განხორციელება, შეიძლება გამომდინარეობდეს უშუალოდ საქართველოს კონსტიტუციის ნორმიდან, კონკრეტული კანონიდან, კანონქვემდებარე ნორმატიული აქტიდან, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტიდან, ადმინისტრაციული ხელშეკრულებიდან ან ადმინისტრაციული ორგანოს დაპირებიდან. გარდა აღნიშნულისა, მოთხოვნა ასევე შეიძლება ემყარებოდეს ადამიან-

ნის ძირითადი უფლებების დაცვას (იხ. Friedhelm Hufen, Verwaltungsprozessrecht, 10. Auflage, §17 Rn.8). ამდენად, რეალაქტი უნდა შეესაბამებოდეს როგორც ადმინისტრაციულ, ასევე კონსტიტუციურ-სამართლებრივ ნორმებს და არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს მათ (იხ. Franz-Joseph Peine, Allgemeines Verwaltungsrecht 11. Auflage, §10, Rn. 888).

94. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 24-ე მუხლით გათვალისწინებული სარჩელის დაკმაყოფილების წინაპირობებს ამავე კოდექსის 33<sup>1</sup> მუხლი შეიცავს, რომელიც სარჩელის დაკმაყოფილებას უკავშირებს სარჩელის დასაშვებობის რამდენიმე პირობას, კერძოდ, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ რაიმე მოქმედების განხორციელება ან უარი რაიმე მოქმედების განხორციელებაზე კანონს უნდა ეწინააღმდეგებოდეს, ამასთანავე, ის პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს უნდა აყენებდეს მოსარჩელის კანონიერ უფლებას ან ინტერესს. სასამართლოს შეუძლია დაადგინოს ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება კონკრეტულ შემთხვევებში მმართველობითი ფუნქციის განხორციელების თაობაზე, თუ სახეზეა ასეთი დავალდებულების მოთხოვნით სარჩელის წარდგენის პროცედურული წინაპირობები.

95. სარჩელის საფუძვლიანობისათვის (დასაბუთებულობის შესაძლებლობად) მნიშვნელოვანია მოსარჩელემ დაამტკიცოს, რომ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ქმედების განუხორციელებლობამ (უარმა ქმედების განხორციელებაზე) გამოიწვია მოსარჩელეთა უფლებების დარღვევა (იხ. Friedhelm Hufen, Verwaltungsprozessrecht, 10. Auflage, §17 Rn.8). ამასთანავე, მოქმედების განხორციელების დავალების შესახებ სარჩელის აღძვრისას უნდა დადგინდეს – მიმართა თუ არა მოპასუხე ადმინისტრაციულ ორგანოს მოსარჩელემ იმ მოქმედების განხორციელების მოთხოვნით, რომლის დავალებასაც ითხოვს მოპასუხეზე და რაზეც ადმინისტრაციულმა ორგანომ განაცხადა უარი. საკასაციო სასამართლო აქვე მიუთითებს, რომ ასევე შესაძლოა, არსებობდეს ადმინისტრაციული ორგანოს ინფორმირებულობის ისეთი ხარისხი (მაგ. მასმედითი არაერთხელ გაჟღერებული ინფორმაცია საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული ადამიანის ძირითადი უფლებების და თავისუფლებების დარღვევის თაობაზე), როდესაც ადმინისტრაციულ ორგანოს, დამდგარი ან მოსალოდნელი საფრთხიდან გამომდინარე, ეკისრება მოქმედების ვალდებულება, ხოლო ადმინისტრაციული ორგანოს უმოქმედობა განიმარტება, როგორც უარი მოქმედებაზე, რაც სათანადო მტკიცებულებების წარდგენის შემთხვევაში ასევე დასაშვებს და დასაბუთებულს გახდის მოქმედების განხორციელების თაობაზე სარჩელს.

96. მოცემულ შემთხვევაში, საქმის მასალებით დადგენილია, რომ ა(ა)იპ ქართველ მუსლიმთა ურთიერთობა გეგმავდა ქ....ში, ...ის ქუჩა №13-ში შპს „M...-ს“ კუთვნილ შენობაში მუსლიმი მოსწავლეებისათვის პანსიონის გახსნას. პანსიონის ფუნქციონირება დაკავშირებული იყო სასკოლო პერიოდთან, შესაბამისად, ა(ა)იპ ქართველ მუსლიმთა ურთიერთობის მიერ ახალი პანსიონის გახსნა იგეგმებოდა 2014 წლის 15 სექტემბრისათვის. ამ მიზნით ა(ა)იპ ქართველ მუსლიმთა ურთიერთობის მიერ დაიწყო ქ....ში, ...ის ქუჩა №13-ში მდებარე შენობაში სარემონტო სამუშაოების ჩატარება და მისი სათანადო ინვენტარით აღჭურვა. ქ....ში, ...ის ქუჩა №13-ში პანსიონის გახსნის წინააღმდეგ გამოვიდნენ აღნიშნული შენობის მეზობლად მცხოვრები მოქალაქეები, რომლებმაც 2014 წლის სექტემბრის დასაწყისში შენობის წინ მოაწყვეს საპროტესტო აქცია, რამაც პერმანენტული ხასიათი მიიღო.

97. ასევე დადგენილია, რომ ქ....ში, ...ის ქუჩა №13-ში მდებარე შენობასთან, 2014 წლის 15 სექტემბრის შემდეგ, მობილიზებულ იქნენ შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლები, რომელთაც სამართალდარღვევების თავიდან აცილების მიზნით დაიწყეს პრევენციული ზომების გატარება. 2014 წლის 15 სექტემბრის შემდეგ პოლიციის მხრიდან მუდმივად კონტროლდებოდა აღნიშნული ტერიტორია, ფიზიკური თუ სიტყვიერი დაპირისპირების თავიდან ასაცილებლად. პოლიციის თანამშრომლებისათვის დასახმარებლად ამ პერიოდში არავის მიუმართავს. ამ ფაქტობრივ გარემოებას ასევე ადასტურებენ მოსარჩელე მხარის მიერ წარდგენილი მოწმეები – დ. ც-ე და რ. გ-ე, ასევე თავად მოსარჩელები – კ. კ-ე და ბ. ი-ე, რომლებიც ჩვენებებში აღნიშნავენ, რომ რამდენჯერმე ადგილი ჰქონდა პანსიონში დარჩენილთა საკვებით უზრუნველყოფის ხელშეშლას, ასევე მათ შეურაცხყოფას, თუმცა მათ დასახმარებლად პოლიციისთვის არ მიუმართავთ. დასახელებული ფაქტობრივი გარემოება ასევე დადასტურებულია პირველი ინსტანციის სასამართლოს სხდომაზე დაკითხული პოლიციის თანამშრომლების განმარტებებით, საიდანაც ირკვევა, რომ ქ....ში, ...ის ქუჩა №13-ში მდებარე შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე, 2014 წლის 15 სექტემბრიდან თვის ბოლომდე, 24 საათის განმავლობაში მორიგეობდა პოლიციის მინიმუმ ორი თანამშრომელი. დასახელებული მოწმეების ჩვენებებით დგინდება, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებს მორიგეობის დროს არ შეუნიშნავთ რაიმე ინციდენტი, რომელიც დაარღვევდა წესრიგს და საჭიროს გახდიდა პოლიციის რეაგირებას.

98. დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ 2014 წელს არსებული და-

პირისპირების დროს პოლიციამ მიიღო სათანადო ზომები, დაანესა ქ...ში, ...ის ქუჩა №13-ში მდებარე შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე მუდმივი მორიგეობა, რომელიც გაგრძელდა 2014 წლის სექტემბრის ბოლომდე, რის შედეგადაც საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები აღარ დარღვეულა. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ მისთვის ცნობილ ყველა ფაქტზე მოახდინა რეაგირება და უმოქმედობას, რაც შესაძლოა გამხდარიყო მოქმედების განხორციელების დავალების საფუძველი, არ ჰქონდა ადგილი.

99. საკასაციო სასამართლომ 2018 წლის 15 მარტის განჩინებით იმსჯელა რა მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს ქმედებაში დისკრიმინაციის ნიშნების არარსებობაზე, სააპელაციო სასამართლოს დაავალა დაედგინა მოსარჩელეთა მიერ, საქმის განხილვის დროისათვის, პანსიონით სარგებლობის შეუძლებლობის ფაქტი. საკასაციო სასამართლომ მუთითა, რომ „სააპელაციო სასამართლომ მითითებულ ნაწილში საქმის ხელახლა განხილვისას უნდა იმსჯელოს პანსიონით შეუფერხებლად სარგებლობის უზრუნველყოფის ნაწილში სასარჩელო მოთხოვნის საფუძვლიანობაზე, რა დროსაც სააპელაციო სასამართლომ უნდა გამოარკვიოს ამჟამად არსებული მდგომარეობა პანსიონით სარგებლობასთან დაკავშირებით და გადაწყვეტილება მიიღოს ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე“ (სუსგ №ბს-864-860(კ-17).

100. საკასაციო სასამართლოს აღნიშნული განჩინების საფუძველზე სააპელაციო სასამართლომ პანსიონით სარგებლობასთან დაკავშირებით დაადგინა ახალი ფაქტობრივი გარემოებები და მიუთითა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პოლიციის დეპარტამენტის დირექტორის 27.02.2019 წლის MIA 1 19 00516851 წერილზე, რომლის თანახმად შსს-ს აჭარის ა/რ პოლიციის დეპარტამენტის ...ის რაიონულ სამმართველოში ა(ა)იპ ქართველ მუსლიმთა ურთიერთობის მფლობელობაში არსებული პანსიონის ფუნქციონირებისთვის ხელშეშლის ფაქტზე რაიმე სახის შეტყობინება, განცხადება ან მომართვა არ შესულა.

101. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ „112-ის“ დირექტორის მოვალეობის დროებით შემსრულებლის 28.02.2019 წლის MIA 9 19 00525831 წერილის საფუძველზე სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ შსს-ს სსიპ „112-ში“ 2016 წლის 1 იანვრიდან 2019 წლის 1 იანვრამდე პერიოდში, ქ...ში, ...ის ქუჩა №13-ში ა(ა)იპ „ქართველ მუსლიმთა ურთიერთობის“ მფლობელობაში არსებული პანსიონის ფუნქციონირებისთვის ხელშეშლის ფაქტთან დაკავშირებით შეტყობინება არ იძებნება.

102. საკასაციო სასამართლოში საქმის განხილვისას კასატორებს

განემართათ, რომ პანსიონით სარგებლობის ხელშეშლის ფაქტი საჭიროებდა სათანადო დასაბუთებას და მიეცათ შესაძლებლობა, დამატებითი ინფორმაცია მიეწოდებიათ საკასაციო სასამართლოსათვის (იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სხდომის ოქმები, აჭარის პოლიციის დეპარტამენტის მოადგილის დირექტორის და სსიპ საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“-ის დირექტორის 2022 წლის 13 აპრილის წერილები), თუმცა სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოების გამომრიცხველ (საინანაღმდეგო) მტკიცებულებაზე კასატორებმა ვერ მიუთითეს.

103. სააპელაციო სასამართლოში საქმის ხელახალი განხილვის დაწყების დღიდან საკასაციო სასამართლოს მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე კასატორებმა მოთხოვნის საფუძვლიანობის დასადასტურებლად წარმოადგინეს 2019 წლის 28 თებერვლის ამონაწერი ინტერნეტგამოცემიდან, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის სამმართველოს უფროსის 2021 წლის 25 ივნისის №24/6146 წერილი, საქართველოს სახალხო დამცველის მოადგილის 2022 წლის 22 მარტის №19/3152 წერილი და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს აღსრულების ეროვნული ბიუროს აჭარი-ისა და გურიის სააღსრულებო ბიუროს აღმასრულებლის 2022 წლის 11 აპრილის №25597 წერილი. კასატორები მათი მოთხოვნის დაკმაყოფილების ფაქტობრივ საფუძვლად მიუთითებენ 2014 წლის სექტემბერში ადგილობრივ მოსახლეობასთან დაპირისპირებაზე და წყალარინების ქსელზე დაერთების პრობლემაზე, რის გამოც პანსიონმა ვერ დაიწყო ფუნქციონირება.

104. 2014 წლის სექტემბერში მომხდარ დაპირისპირებასთან დაკავშირებით, საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საქართველოს შსს-მ მიიღო შესაბამისი ზომები, კერძოდ, გამოცხადდა შემთხვევის ადგილას და საჭიროებიდან გამომდინარე დააწესა პოლიციის მუდმივი მორიგეობა. მხარეები ადასტურებენ იმ გარემოებას, რომ ქ...ში, ...ის ქუჩა №13-ში მდებარე შენობასთან პოლიციის მუდმივი მორიგეობის დაწესების მომენტიდან უფლების დარღვევასთან დაკავშირებით პოლიციისთვის არავის მიუმართავს. თავად პოლიციელები კი არ ადასტურებენ მორიგეობის განმავლობაში კასატორთა უფლებების დარღვევის ფაქტებს (პუნქტი 97). სასამართლოსთვის გაუგებარია, თუ უფლების დარღვევას ჰქონდა ადგილი, რა ინტერესი ამოძრავებდათ კასატორებს, რომ ამ ფაქტის შესახებ არ აცნობეს შემთხვევის ადგილას მყოფ პოლიციელებს და სარჩელის შემოტანის შემდგომ მხოლოდ სასამართლოში განაცხადეს აღნიშნულის თაობაზე. საკასაციო სასამართლო არადამაჯერებლად მიიჩნევს კასატორების მიერ სასამართლოში გაჟღერებულ



პოზიციას, პოლიციის თანდასწრებით მათი უფლებების დარღვევაზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორთა მიერ 2014 წლის სექტემბერში მომხდარ ფაქტებზე, როგორც მოთხოვნის დამადასტურებელ გარემოებაზე მითითებას, საკასაციო სასამართლო არ იზიარებს, რადგან დასახელებულ პერიოდში მოპასუხე ადმინისტრაციულმა ორგანომ განახორციელა ყველა შესაძლო ღონისძიება, რაც კანონმდებლობით ევალებოდა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მხრიდან ადამიანის უფლებების შელახვის ფაქტზე უმოქმედობას ან მოქმედების განხორციელებაზე უარს ადგილი არ ჰქონია.

105. საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს დადგენილ ფაქტობრივ გარემოებაზე, რომ კასატორებს სააპელაციო სასამართლოში საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების შემდეგ პოლიციისათვის არ მიუმართავთ (პუნქტი 100-101). მეტიც, განსახილველ საქმეში არ მოიპოვება არც ერთი განცხადება პოლიციისადმი, რომლითაც კასატორებმა მოპასუხე ადმინისტრაციულ ორგანოს მოსთხოვეს კონკრეტული ქმედების განხორციელება. კასატორების მიერ საქმეში წარმოდგენილი განცხადებებით მოთხოვნილია სხვადასხვა სახის ინფორმაციის მიწოდება გამოძიების მიმდინარეობის შესახებ, მიღებულ ან გატარებულ ღონისძიებათა შესახებ და პოლიციის თანამშრომელთა მიმართ დაკისრებული პასუხისმგებლობის შესახებ, ყველა მოთხოვნა უმთავრესად მიმართულია დისკრიმინაციის ფაქტის დადგენაზე და არა ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან ქმედების განხორციელებაზე.

106. აღსანიშნავია, რომ განსახილველი სახით მოთხოვნა მოსარჩელებმა მხოლოდ საკასაციო სასამართლოს მხრიდან სააპელაციო სასამართლოსათვის საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების შემდეგ ჩამოაყალიბეს, ამ მოთხოვნებით მათ მანამდე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსათვის არ მიუმართავთ და მიაჩნდათ, განვიღო პერიოდში არსებული ფაქტები საკმარისი იყო, რათა შსს-ს დავალებოდა მოქმედების განხორციელება.

107. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსის 24-ე მუხლით გათვალისწინებული მავალდებულებელი სარჩელით პირი სასამართლოს მიმართავს არსებული მდგომარეობის შეცვლის და, შესაბამისად, მისთვის ხელსაყრელი მდგომარეობის მიღწევის მიზნით. სწორედ აღნიშნულით არის განპირობებული საკასაციო პალატის მითითება, რომ მოპასუხე სამინისტროსთვის ქმედების განხორციელების დავალების ნაწილში სასარჩელო მოთხოვნის საფუძვლიანობაზე მსჯელობისას საქმეზე უნდა დასტურდებოდეს მოსარჩელეთა მიერ პანიონით სარგებლობის შეუძლებლობა. საკასაციო სასამართლოს მი-

აჩნია, რომ კასატორები ვერ ასაბუთებენ მოთხოვნას ქმედების განხორციელების დავალებაზე, რადგან არ არსებობს ქ...ში, ...ის ქუჩაზე მცხოვრებ მოქალაქეთა მხრიდან, კასატორთა მიმართ, უძრავი ქონებით სარგებლობის ან კანონით დაცული უფლებების განხორციელების ხელშეშლის განმეორების საფრთხე, რამეთუ ეს გარემოება არ დასტურდება სათანადო მტკიცებულებით და ძირითადად ემყარება 2014 წლის სექტემბერში მომხდარ დაპირისპირებას, რაზედაც საქართველოს შსს-ს ჰქონდა სათანადო რეაგირება (პუნქტი 97, 104).

108. რაც შეეხება 2019 წლის 5 თებერვალს ინტერნეტგამოცემასთან გაკეთებულ მოქალაქეთა განცხადებებზე კასატორთა მითითებას, როგორც მოთხოვნის დაკმაყოფილების საფუძველზე, საკასაციო პალატა არ იზიარებს, რადგან ადამიანის მიერ საკუთარი მოსაზრების გამოთქმა ვერ გახდება ადმინისტრაციული ორგანოსათვის საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 24-ე მუხლით აღძრული სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველი, რამეთუ წინამდებარე შემთხვევაში ადგილი აქვს გამოხატვის თავისუფლების ფარგლების დაცვით (რამდენადაც საწინააღმდეგო გარემოების დამადასტურებელი მტკიცებულება არ არის წარმოდგენილი) გამოხატულ პოზიციას, რითაც კასატორთა საქართველოს კონსტიტუციითა და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით დაცული უფლებები არ ილახება. მეტიც, მოქალაქეთა მიერ გამოთქმული მოსაზრება არ წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანოს უმოქმედობის დამადასტურებელ მტკიცებულებას, რადგან აზრის გამოთქმით არ წარმოიქმნება დაცული სიკეთისათვის საფრთხე, რომლის დასაცავადაც საქართველოს შსს-ს ევალება მოქმედება.

109. საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ როგორც ქართულ, ასევე გერმანულ სისხლის სამართალში დანაშაული იყოფა შემდეგ სტადიებად: დანაშაულებრივი განზრახვის გამომჟღავნება, დანაშაულის მომზადება, დანაშაულის მცდელობა და დანაშაულის დამთავრება. სისხლის სამართალში აღიარებულია, რომ განზრახვის გამომჟღავნება დანაშაულის განვითარების სტადიად არ განიხილება, რადგან განზრახვის გამომჟღავნება არავითარ საფრთხეს არ უქმნის საზოგადოებრივ მართლწესრიგს (თ. წერეთელი, დანაშაულის მომზადება და მცდელობა, თბ. 1961 წელი გვ.41). ადამიანის მიერ დანაშაულის დაგეგმვა და, შესაბამისად, გადაწყვეტილების მიღება, ისე რომ ადამიანმა არაფერი მოიმოქმედოს, მხოლოდ ადამიანის შინაგანი სფეროა. ამგვარი გადაწყვეტილებისათვის დასჯა ეწინააღმდეგება ქმედების პრინციპს და ლახავს პიროვნების თავისუფლებას, რადგან მხოლოდ გადაწყვეტილების მიღე-

ბა შორეული ეტაპია, რომელიც არ აზიანებს კანონით დაცულ სიკეთეს. ამიტომ, ქმედების შესახებ გადაწყვეტილება, რომლის განხორციელება ჯერ კიდევ არ დაწყებულა, რჩება დაუსჯელი (cogitationis poenam nemo patitur – აზრისთვის არავინ ისჯება (ულ-პიანე)) (იხ. Leipziger Kommentar StGB, 12. Auflage, Band I, §§ 1-31, Berlin, 2007 შ.1379). საკასაციო სასამართლო ყურადღებას არ ამახვილებს განზრახვის გამომჟღავნების დასჯადობის გამონაკლის შემთხვევებზე, რადგან ამ საკითხის განხილვა სცილდება განსახილველი დავის ფარგლებს და აღნიშნავს, რომ კასატორებს არ წარმოუდგენიათ და არც საქმის მასალებს ერთვის იმ გარემოების დამადასტურებელი მტკიცებულება, რომ ინტერნეტგამოცემასთან გამოთქმული მოსაზრება (კომენტარი) შეფასდა დანაშაულად (სამართალდარღვევად), რასაც შედეგად მოჰყვა, ან შესაძლოა მოჰყოლოდა ადამიანის უფლებების დარღვევა, რაც გახდებოდა მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოსათვის ქმედების განხორციელების დავალების საფუძველი.

110. საკასაციო სასამართლო მოიხმობს „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის 1-ლი მუხლის „ბ“ პუნქტს, რომლითაც აზრი განმარტებულია როგორც შეფასებითი მსჯელობა, თვალსაზრისი, კომენტარი, აგრეთვე ნებისმიერი სახით ისეთი შეხედულების გამოხატვა, რომელიც ასახავს რომელიმე პიროვნების, მოვლენის ან საგნის მიმართ დამოკიდებულებას და არ შეიცავს დადასტურებად ან უარყოფად ფაქტს.

111. ამავე კანონის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით, ყველას, ადმინისტრაციული ორგანოს გარდა, აქვს გამოხატვის თავისუფლება, რაც გულისხმობს აზრის აბსოლუტურ თავისუფლებას. ხოლო დასახელებული კანონის მე-4 მუხლის 1-ლი პუნქტით და 1-ლი მუხლის „ფ“ პუნქტით, აზრი დაცულია აბსოლუტური პრივილეგიით, რაც ნიშნავს კანონით გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან პირის სრულ და უპირობო განთავისუფლებას.

112. საკასაციო სასამართლო მიუთითებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებაზე, სადაც სასამართლომ აღნიშნა, რომ გამოხატვის თავისუფლება წარმოადგენს დემოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთ ძირითად ბურჯს, მისი პროგრესისა და თითოეული ადამიანის განვითარების ერთ-ერთ უმთავრეს წინაპირობას. მე-10 მუხლის მე-2 ნაწილით დაცულია არა მარტო „ინფორმაცია“ ან „იდეები“, რომლებიც კეთილმოსურნეა, ანდა ალიქმება როგორც უწყინარი ანდა ინდიფერენტული, არამედ ისეთებიც, რომლებიც შეურაცხყოფელი, გამოგნებელი ან შემაწუხებელია სახელმწიფოს ან მოსახლეობის რომელიმე ნაწილისათვის. ასეთია პლურალიზმის, შემწყნარებლობისა და ფართო თვალ-

სანიერის მოთხოვნები, რომელთა გარეშეც არ არსებობს „დემოკრატიული საზოგადოება“ (*Handyside v. the United Kingdom*, no 5493/72, § 49, 7.12.1976).

113. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ გამოხატვის თავისუფლება დემოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთ ძირითად ქვაკუთხედს და ადამიანის თვითრეალიზების ერთ-ერთ წინაპირობას წარმოადგენს. თანამედროვე ციფრულ ეპოქაში, ინტერნეტი და სოციალური ქსელი გახდა ერთ-ერთი უმთავრესი საშუალება ადამიანებისათვის ინფორმაციის მიღებისა და მისი გავრცელებისათვის. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, ხელმისაწვდომობის, ინფორმაციის უზარმაზარი რაოდენობის შენახვისა და კომუნიკაციის შესაძლებლობის გათვალისწინებით, ინტერნეტი მნიშვნელოვან როლს ასრულებს საზოგადოების მიერ ახალი ამბების ან საზოგადოებრივად საინტერესო საკითხებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებაში და ზოგადად, ინფორმაციის გავრცელებაში. შესაბამისად, ევროპული სასამართლო მიიჩნევს, რომ როგორც ინტერნეტი, ასევე ინტერნეტის მეშვეობით გავრცელებული ინფორმაცია დაცულია ევროპული კონვენციის მე-10 მუხლით. ევროპული სასამართლოს განმარტებით ინტერნეტი არის ერთ-ერთი ძირითადი საშუალება, რომლის მეშვეობითაც ადამიანები ლებულობენ და ავრცელებენ ინფორმაციას. კონვენციის მე-10 მუხლი კი ეხება არა მხოლოდ ინფორმაციის შინაარსს, არამედ გავრცელების საშუალებებსაც, რადგან ამ უკანასკნელზე დაწესებული ნებისმიერი შეზღუდვა აუცილებლად ახდენს ზეგავლენას ინფორმაციის მიღებისა და გავრცელების უფლებაზე. შესაბამისად, ინტერნეტის, რომელიც სასამართლოს ზემოხსენებული განმარტებიდან გამომდინარე ცალსახად ხედება გამოხატვის თავისუფლების დაცვის ფარგლებში, შეზღუდვა უნდა აკმაყოფილებდეს იმ კრიტერიუმებს, რომლებიც მოცემულია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტში (*ib. Cengiz and Others v. Turkey* no. 48226/10 and 14027/11, 1.12.2015; *Ahmet Yildirim v. Turkey*, no. 3111/10, 18.12.2012; *Kablis v. Russia*, no. 48310/16 59663/17, 30.04.2019; *Kalda v. Estonia*, no. 17429/10, 19.01.2016).

114. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ კასატორთა მიერ წარმოდგენილი ინტერნეტგამოცემით გავრცელებული ინტერვიუები მოქალაქეებთან წარმოადგენს კანონმდებლობით გარანტირებული გამოხატვის თავისუფლების ფარგლებში ინტერნეტით გავრცელებულ აზრს, რომლის გამოც ადამიანებს არ დაკისრებიან პასუხისმგებლობა, აღნიშნულს არ გამოუწვევია სამართლით დაცული სიკეთის ხელყოფა. შესაბამისად, მითითებული გარემოება ადმინისტრაციული ორგანოსათვის არ წარმოქმნის მოქმედების ვალ-

დებულებას, რამეთუ არ არსებობს ხელყოფილი სიკეთე, რომელიც საქართველოს შსს-ს მხრიდან საჭიროებს დაცვას.

115. კასატორთა მეორე ძირითად არგუმენტს, წარმოადგენს ე.წ. პანსიონატის შენობის წყალარინების ქსელზე დაერთების შეუძლებლობა, რაც, კასატორთა აზრით, გამოწვეულია ადგილობრივი მოსახლეობის წინააღმდეგობის განწევის საფრთხის გამო ადმინისტრაციული ორგანოების მხრიდან უმოქმედობით. ამ გარემოების დასადასტურებლად კასატორები მიუთითებენ ...ის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ №ბს-1205(კ-19) საქმეზე წარდგენილ საკასაციო საჩივარზე.

116. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ თავად კასატორებმა წარმოადგინეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2021 წლის 18 მარტის განჩინება (საქმე №ბს-1205(კ-19)), რომლითაც ირკვევა, რომ ...ის მერიის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დაუშვებლად, უცვლელად დარჩა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 10 ივლისის განჩინება და კანონიერ ძალაში შევიდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 12 ოქტომბრის გადაწყვეტილება, რომლითაც დაკმაყოფილდა საქართველოს სახალხო დამცველის სარჩელი; ...ის მუნიციპალიტეტის მერიის დაევალა შპს „ქ...ისათვის“ ქ...ში, ...ის ქუჩა №13-ში მდებარე ობიექტის წყალარინების სისტემაზე მიერთების სამუშაოების ჩატარების დავალება, ხოლო შპს „ქ...ს“ დაევალა იმავე ობიექტის წყალარინების სისტემაზე მიერთების სამუშაოების ჩატარება. კასატორების მიერ წარმოდგენილი სახალხო დამცველის აპარატის მთავარი სპეციალისტის №19/4782 განცხადებით ირკვევა, რომ დასახელებულ საქმეზე სააღსრულებო ფურცლის გაცემის მიზნით სახალხო დამცველმა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 19 მაისს მიმართა. საქართველოს სახალხო დამცველის პირველი მოადგილის 2022 წლის 22 მარტის №19/3152 წერილით ირკვევა, რომ შეიცვალა აღმასრულებელი, რომლის წარმოებაშიც იყო სააღსრულებო ფურცელი და აღნიშნული გარემოებისა და საქმეთა სიმრავლის გამო, ვერ ხერხდებოდა სააღსრულებო წარმოების დასრულება.

117. მითითებული გარემოებების გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო არ იზიარებს კასატორების განმარტებას, რომ შენობის წყალარინების ქსელზე დაერთება მოსახლეობის წინააღმდეგობის გამო ვერ ხერხდება, რაც საჭიროებდა მოპასუხე შსს-ს მხრიდან რეაგირებას, კერძოდ, შენობის ადგილას მუდმივად ყოფნას. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ ადმინისტრაციულ ორგანოებს ინდივიდუალურად ეკისრებათ პასუხისმგებლობა თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში მოქმედებისათვის. თუ ადგილობრივი

თვითმმართველობის ორგანო არ ასრულებს სააღსრულებო ბიუროს მოთხოვნას, ან, თავის მხრივ, აღმასრულებელი ვერ ახორციელებს მასზე დაკისრებულ უფლებამოსილებას, თუნდაც იმ მიზეზით, რომელიც აღინიშნა საქართველოს სახალხო დამცველის პირველი მოადგილის 2022 წლის 22 მარტის №19/3152 წერილში, ეს გარემოება არ წარმოადგენს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსათვის მოქმედების განხორციელების დაკისრების საფუძველს, რადგან საქართველოს შსს-ს მხოლოდ მის უფლებამოსილებას მიკუთვნებული ვალდებულებების შესრულება ეკისრება და მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანო ვერ ჩაანაცვლებს სხვა ადმინისტრაციულ ორგანოებს მათ მიერ მისაღები გადაწყვეტილების ფარგლებში. აქვე აღსანიშნავია, რომ საქმეში არ მოიპოვება იმ გარემოების დამადასტურებელი მტკიცებულება, რომ მოსარჩელებმა საქართველოს შსს-ს მიმართეს რეაგირებისათვის, სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულების პროცესში მოქალაქეთა მხრიდან ხელშეშლის ფაქტზე.

118. რაც შეეხება კასატორთა პოზიციას, სააპელაციო სასამართლოს მიერ დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელების შემონემების ფარგლების არასწორი განმარტების შესახებ, საკასაციო სასამართლო ნაწილობრივ იზიარებს და მიუთითებს, რომ პოლიციის საქმიანობის ძირითად პრინციპებს, პოლიციის ფუნქციებს, საპოლიციო ღონისძიებებსა და პოლიციის მიერ საკუთარი უფლებამოსილებების განხორციელების სამართლებრივ ფორმებს განსაზღვრავს „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონი, რომლის მიზანია, უზრუნველყოს საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და მართლწესრიგის დაცვა (მუხლი 1.1 და 1.2). პოლიცია, როგორც აღმასრულებელი ხელისუფლების განმახორციელებელი სამართალდამცავი დაწესებულება, საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილებების ფარგლებში ახორციელებს პრევენციულ და სამართალდარღვევაზე რეაგირების ღონისძიებებს საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და მართლწესრიგის დასაცავად (მუხლი 3). პოლიცია თავის საქმიანობაში განუხრელად იცავს ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვისა და პატივისცემის, კანონიერების, დისკრიმინაციის დაუშვებლობის, თანაზომიერების, დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელების, პოლიტიკური ნეიტრალობისა და პოლიციის საქმიანობის გამჭვირვალობის პრინციპებს (მუხლი 8.1). ამავე კანონის მე-11 მუხლით (2021 წლის 1 იანვრამდე მოქმედი რედაქცია), პოლიცია ვალდებულია პატივი სცეს და დაიცვას ადამიანის უფლებები და თავისუფლებები, განუზრუნველყოს რასისა, კანის ფერისა, ენისა, სქესისა, ასაკისა, რელიგიისა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებებისა, ეროვნ-

ნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა, წარმოშობისა, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობისა, საცხოვრებელი ადგილისა და სხვა მახასიათებლებისა.

119. საკასაციო სასამართლო არსებითად იზიარებს სააპელაციო სასამართლოს განმარტებას პოლიციის დისკრეციულ უფლებამოსილებასთან დაკავშირებით და აღნიშნავს, რომ პოლიციას ეკისრება ვალდებულება დაიცვას საქართველოს კონსტიტუციით გაწვდილი უფლებები ადამიანის უფლებები და თავისუფლებები.

120. საკასაციო პალატა მოიხმობს „საქართველოს პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის პირველ ნაწილს, რომლითაც პოლიცია თავისი ფუნქციების შესასრულებლად მოქმედებს დისკრეციული უფლებამოსილების საფუძველზე, კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებსა და ფარგლებში. ამავე კანონის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით, პოლიციის ერთ-ერთი ფუნქციაა ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ დასახელებული ნორმები არ უნდა იქნეს ისე გაგებული, რომ ადამიანის უფლებების დაცვა პოლიციის დისკრეციულ უფლებამოსილებას წარმოადგენს, რადგან ასეთი განმარტება ეწინააღმდეგება სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპს, რაც განმტკიცებულია საქართველოს კონსტიტუციის მე-4 მუხლით.

121. საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 2.1 მუხლის „ლ“ ქვეპუნქტზე, რომლითაც დისკრეციული უფლებამოსილება არის უფლებამოსილება, რომელიც ადმინისტრაციულ ორგანოს ან თანამდებობის პირს ანიჭებს თავისუფლებას კერძო და საჯარო ინტერესების დაცვის საფუძველზე კანონმდებლობის შესაბამისი რამდენიმე გადანყვეტილებიდან შეარჩიოს ყველაზე მისაღები გადანყვეტილება, ამავე კანონის მე-6 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, დადგენილია, რომ თუ ადმინისტრაციულ ორგანოს რომელიმე საკითხის გადასაწყვეტად მინიჭებული აქვს დისკრეციული უფლებამოსილება, იგი ვალდებულია ეს უფლებამოსილება განახორციელოს კანონით დადგენილ ფარგლებში.

122. ამდენად, დისკრეციული უფლებამოსილება ნიშნავს, რომ ადმინისტრაციულ ორგანოს აქვს მოქმედების და მისაღები გადანყვეტილების არჩევანის შესაძლებლობა. საკასაციო სასამართლო იზიარებს კასატორების პოზიციას და განმარტავს, რომ ერთეულ შემთხვევაში შესაძლებელია, არჩევანის შესაძლებლობა ერთ ალტერნატივამდე შემცირდეს. ასეთ შემთხვევას მაშინ აქვს ადგილი, როდესაც მხოლოდ ერთი კონკრეტული გადანყვეტილება არის მართებული და ყველა სხვა გადანყვეტილება ჩაითვლება არამარ-

თლზომიერად – შეცდომად დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებაში (Franz-Joseph Peine, Allgemeines Verwaltungsrecht, 11. Auflage, Rn. 225; Ehlers, JURA 1991, 208ff). ასეთ ვითარებაში ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია, „აირჩიოს“ და გამოიყენოს მხოლოდ ერთი დარჩენილი ღონისძიება, რასაც დოქტრინაში „დისკრეციული უფლებამოსილების ნულამდე შემცირებას“ (შეზღუდვას, რედუცირებას, ნულოვან რედუქციას) უწოდებენ (Maurer/Waldhoff, Allgemeines Verwaltungsrecht, 19. Auflage, § 7. Rn. 24).

123. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ პოლიცია, მიუხედავად ზოგადი დისკრეციული უფლებამოსილების თავისუფლების არსებობისა, რაც გათვალისწინებულია სპშკ-ის 13.1 და 16.2 მუხლებით, ვალდებულია მიიღოს ზომები (იმოქმედოს), როდესაც არსებითი საფრთხე ემუქრება სამართლებრივ სიკეთეს (BVerwGE, 11,95,97; Schenke, PolR Rn. 100f.). „დისკრეციული უფლებამოსილების ნულამდე შემცირება“ ასევე იმ შემთხვევაში შეიძლება დასაბუთდეს, როდესაც ადამიანის ძირითადი უფლებების და თავისუფლებების ხელყოფას (ხელყოფის საფრთხეს) აქვს ადგილი. ასეთ შემთხვევაში, უპირველესყოვლისა, უნდა დადგინდეს არსებობს თუ არა საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და მართლწესრიგის ხელყოფა (ხელყოფის საფრთხე) (ქმედების შემადგენლობა), რადგან მხოლოდ ამგვარი გარემოების დადასტურების შემთხვევაში წარმოიშვება პოლიციის ვალდებულება – დაიცვას სამართლით დაცული სიკეთე.

124. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლების შეზღუდვა შეიძლება შეეხოს როგორც ადმინისტრაციული ორგანოს ან თანამდებობის პირის მოქმედების გადანყვეტილების თავისუფლებას, ასევე რამდენიმე გადანყვეტილებიდან ყველაზე მისაღები გადანყვეტილების შერჩევის შესაძლებლობასაც. ასეთ შემთხვევაში თანამდებობის პირი ან ადმინისტრაციული ორგანო „იძულებულია“ იმოქმედოს და ერთი კონკრეტული გადანყვეტილება მიიღოს, რადგან სხვა გადანყვეტილება ჩაითვლება შეცდომად დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებაში, რამეთუ სამართლებრივად იმდენად მაღალი ღირებულების სიკეთეს ექმნება საფრთხე, რომ პოლიციას არ აქვს მოქმედების ალტერნატივა. ასეთ შემთხვევას განსაკუთრებით მაშინ აქვს ადგილი, როდესაც კონსტიტუციით გარანტირებული ადამიანის ძირითადი უფლებების და თავისუფლებების დასაცავად პოლიციელი ვალდებულია იმოქმედოს და განახორციელოს კონკრეტული ღონისძიება (Erbguth/Guckelberger, Allgemeines Verwaltungsrecht 9. Auflage, § 14, Rn. 48; DÖV 1969, 465; დანვრილებით საკითხთან დაკავშირებით იხ. Gusy, Polizeirecht, 9. Auflage., 2014, Rn. 393ff.).



125. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ დისკრეციული უფლებამოსილების უშეცდომოდ განსახორციელებლად პოლიციამ უნდა იხელმძღვანელოს ადამიანის უფლებების სამართლით, რადგან დისკრეციული უფლებამოსილების შეზღუდვა შეიძლება მიჩნეულ იქნეს, როგორც ადამიანის ძირითადი უფლებების და თავისუფლებების და კონსტიტუციური პრინციპების პირდაპირი მოქმედების შედეგი, რაც, თავის მხრივ, გამომდინარეობს სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპიდან, რომელიც მოცემულია საქართველოს კონსტიტუციის მე-4 მუხლში. დასახელებული მუხლის მე-2 ნაწილით, სახელმწიფო ცნობს და იცავს ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებსა და თავისუფლებებს, როგორც წარუვალ და უზენაეს ადამიანურ ღირებულებებს. ხელისუფლების განხორციელებისას ხალხი და სახელმწიფო შეზღუდული არიან ამ უფლებებითა და თავისუფლებებით, როგორც უშუალოდ მოქმედი სამართლით.

126. თუმცა ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციული უფლებამოსილების შეზღუდვას წინ უნდა უსწრებდეს მართლსაწინააღმდეგო ქმედება ანდა ასეთი ქმედების განხორციელების საფრთხე. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ჰიპოთეტური საფრთხე ადმინისტრაციული ორგანოს ან თანამდებობის პირის დისკრეციული უფლებამოსილების შეზღუდვის საფუძველს არ წარმოადგენს.

127. განსახილველი საკასაციო საჩივრის ფარგლებში, მთავარ საკითხს წარმოადგენს იმის დადგენა, რომ ემუქრება თუ არა რაიმე საფრთხე კასატორთა კონსტიტუციით დაცული უფლებების განხორციელებას. სწორედ ამ ფაქტობრივი გარემოების დასადგენად დააბრუნა საკასაციო პალატამ საქმე სააპელაციო სასამართლოში. მოსარჩელებმა კი სათანადო მტკიცებულებით ვერ დაადასტურეს და არც საქმეში მოიპოვეს იმ გარემოების დამადასტურებელი მტკიცებულება, რომ კასატორთა უფლებების განხორციელებას რაიმე საფრთხე ემუქრება ან შეიძლება დაემუქროს. მეტიც, საკასაციო სასამართლოში საქმის განხილვის დროს კასატორებს ორჯერ მიეცათ შესაძლებლობა გაეხაზათ სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოება რისთვისაც, საქმის განხილვის ხანგრძლივობის გათვალისწინებით, მათ საკმარისზე მეტი დრო ჰქონდათ, თუმცა სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოების საწინააღმდეგოდ კასატორებმა ღირებული ინფორმაცია ვერ წარმოადგინეს და ვერც შესაბამის მტკიცებულებაზე მიუთითეს. კასატორები ძირითად ეყრდნობოდნენ მოქალაქეთა მხრიდან 2014 წლის სექტემბერში განხორციელებულ ქმედებებს, რაზედაც საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ჰქონდა რეაგირება და პოლიციის მუდმივი მო-

რიგეობა დაწესდა კასატორების მფლობელობაში არსებულ შენობასთან (პუნქტი 97). კასატორთა მიერ მითითებულ სხვა ფაქტობრივ გარემოებებზე კი საკასაციო პალატამ უკვე დეტალურად იმსჯელა (პუნქტები 98-107; 108-114; 115-117). საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ განსახილველ შემთხვევაში არ არსებობს უმართლობა (ქმედების შემადგენლობა და მართლწინააღმდეგობა), რომლითაც შეილახებოდა კასატორთა უფლებები ან შეიქმნებოდა ისეთი ვითარება, რაც გამოიწვევდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დისკრეციული უფლებამოსილების შეზღუდვას და წარმოშობდა მოქმედების სავალდებულობას.

128. აქედან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო არ იზიარებს კასატორების პოზიციას, რომ მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან, ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტზე უმოქმედობას ჰქონდა ადგილი, რის გამოც შეიზღუდა ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციული უფლებამოსილება და მას მოქმედების ვალდებულება ეკისრება, რადგან აღარ არსებობს კასატორთა უფლებების დარღვევის ფაქტი და არც მათი უფლებების დარღვევის მყისიერი საფრთხე.

129. საკასაციო სასამართლო ასევე არ იზიარებს კასატორთა აპელირებას სახელმწიფოს მხრიდან პოზიტიური ვალდებულების დარღვევაზე და აღნიშნულის დასტურად ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებზე მითითებას (საქმეები – „ბელელური და სხვები საქართველოს წინააღმდეგ“, №28490/02, 07.10.2014; „იდენტობა და სხვები საქართველოს წინააღმდეგ“, №73235/12, 12.05.2015; „გლდანის კონგრეგაციის 97 წევრი და ოთხი სხვა პირი საქართველოს წინააღმდეგ“, №71156/01, 03.05.2007), რომლებიც ეხებოდა მოცემული დავისგან რადიკალურად განსხვავებულ ფაქტობრივ გარემოებებს, რასაც შედეგად მოჰყვა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს შესაბამისი შეფასებები. დასახელებულ საქმეებში, ერთ შემთხვევაში („იდენტობა და სხვები საქართველოს წინააღმდეგ“) დადგინდა პოლიციის სრული უმოქმედობა, მეორე შემთხვევაში („ბელელური და სხვები საქართველოს წინააღმდეგ“) თავად პოლიცია არღვევდა მომჩივანთა უფლებებს, მესამე შემთხვევაში („გლდანის კონგრეგაციის 97 წევრი და ოთხი სხვა პირი საქართველოს წინააღმდეგ“) პოლიციამ უარი თქვა საქმეში დაუყოვნებლივ ჩარევაზე, ძალადობის აღკვეთასა და მსხვერპლთა დაცვაზე. ხელისუფლებამ არავითარი რეაგირება არ მოახდინა 31 მომჩივნის საჩივარზე, სადაც მითითებული იყო კონკრეტული დეტალები მათი და მათი შვილების მიმართ განხორციელებული ფიზიკური ძალადობის და რელიგიური შეკრებებისთვის უკანონოდ, ძალადობის გზით ხელის შეშლის თაობაზე, რა-

საც განსახილველ შემთხვევაში ადგილი არ აქვს.

130. ადამიანის უფლებათა დაცვის მიზნით სახელმწიფოს პო-  
ზიტიურ ვალდებულებებზე ადამიანის უფლებათა ევროპულ სასა-  
მართლოს არაერთ გადაწყვეტილებაში აქვს ნამსჯელი. ადამიანის  
უფლებათა ევროპულმა სასამართლომ პოლიციის მხრიდან ადამი-  
ანის უფლებების დაცვის უზრუნველსაყოფად გასატარებელ ღო-  
ნისძიებებთან დაკავშირებით განმარტა, რომ თანამედროვე საზო-  
გადოებაში პოლიციის ვალდებულებების განხორციელების, ადა-  
მიანის ქცევის განუჭვრეტელობისა და იმ ოპერატიული არჩევანის  
გათვალისწინებით, რომელიც უნდა გაკეთდეს პრიორიტეტებისა  
და რესურსების მიხედვით, პოზიტიური ვალდებულების მასშტაბი  
არ უნდა იქნეს იმგვარად განმარტებული, რომ შეუძლებელი ან  
არაპროპორციული ტვირთი დაეკისროს ხელისუფლებას. სიცოც-  
ხლისადმი გაცხადებული ყოველი სავარაუდო საფრთხე, ვერ დაა-  
კისრებს ხელისუფლებას კონვენციის ვალდებულებას, მიიღოს  
დაუყოვნებელი ზომები საფრთხის მატერიალიზაციისაგან დასა-  
ცავად. იმისათვის, რომ დადგეს პოზიტიური ვალდებულება, უნდა  
დამტკიცდეს, რომ ხელისუფლებამ იცოდა ან უნდა სცოდნოდა პი-  
რის სიცოცხლისადმი მესამე პირის მიერ სისხლისსამართლებრივი  
ქმედებით გამოწვეული რეალური და დაუყოვნებელი საფრთხის  
არსებობა მოცემულ დროს და არ მიიღეს ზომები საკუთარი უფლე-  
ბამოსილების გათვალისწინებით, რომელიც გონივრულობის ფარ-  
გლებში მოეთხოვებოდა საფრთხის თავიდან ასარიდებლად. კი-  
დევე ერთი გასათვალისწინებელი ფაქტორი გახლავთ პოლიციის მი-  
ერ მათი უფლებამოსილების განხორციელების უზრუნველყოფა,  
რათა მოახდინონ დანაშაულის კონტროლი და პრევენცია შესაბა-  
მისი სამართლებრივი ნორმებისა და გარანტიების დაცვით, რომე-  
ლიც ლეგიტიმურ შეზღუდვას უწესებს მათ მიერ დანაშაულის გა-  
მოძიებასა და დამნაშავის სასამართლოსადმი წარდგენას, მათ შო-  
რის, კონვენციის მე-5 მუხლით დადგენილი გარანტიების ჩათვლით.  
სასამართლოს აზრით, როდესაც არსებობს პრეტენზია მასზედ,  
რომ ხელისუფლებამ დაარღვია პოზიტიური ვალდებულება, დაეც-  
ვა სიცოცხლის უფლება ზემოთხსენებული პრევენციისა და აღკვე-  
თის ვალდებულების ფარგლებში, რათა თავიდან ყოფილიყო აცი-  
ლებული პირის წინააღმდეგ დანაშაულების ჩადენა, სასამართლომ  
უნდა განსაზღვროს რამდენად იცოდა ან უნდა სცოდნოდა კონ-  
კრეტულ დროს ადამიანის ან ადამიანთა სიცოცხლის წინააღმდეგ  
მესამე მხარის სისხლისსამართლებრივი ქმედებებით შექმნილი რე-  
ალური და დაუყოვნებელი საფრთხის არსებობა და რამდენად არ  
გამოიყენა მისი უფლებამოსილების ფარგლებში არსებული ზომე-  
ბი, რომელიც, გონივრულად განხილვისას, შესაძლებელია გამოყე-

ნებულ ყოფილიყო საფრთხის თავიდან ასაცილებლად (Opus v. Turkey, no. 33401/02, §§ 129-130, 27 ივნისი, 2009 წელი).

131. საკასაციო სასამართლო იზიარებს რა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებებს სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებებთან დაკავშირებით, აღნიშნავს, რომ უკანონო მოქმედებამ, რომელიც არღვევს ადამიანის უფლებებს და რომელიც თავდაპირველად არ არის უშუალოდ სახელმწიფოზე მიკუთვნებადი, თუნდაც იმის გამო, რომ წარმოადგენს ფიზიკური პირის მიერ ჩადენილ ქმედებას, შესაძლოა, გამოიწვიოს სახელმწიფოს მიერ პოზიტიური ვალდებულების დარღვევა არა მოქმედების გამო, არამედ იმის გამო, რომ სახელმწიფომ არ განახორციელა ჯეროვანი ქმედებანი დარღვევის თავიდან ასაცილებლად ან არ გასცა სათანადო პასუხი. თუმცა სასამართლომ არ უნდა შეაფასოს პოლიციის მიერ გამოყენებული ტაქტიკის მიზანშეწონილობა ან ეფექტურობა, არამედ მხოლოდ ის უნდა დაადგინოს, არსებობს თუ არა სადავო საბაბი, რომ შესაბამისმა ორგანოებმა ვერ მიიღეს საჭირო ზომები (Platform „Arzte fur das Leben v. Austria“ №10126, 82 §36, 21 ივნისი, 1998 წელი).

132. საკასაციო სასამართლო შედარებისათვის მიუთითებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებაზე ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა უფლებების დაცვის მიზნით სახელმწიფოთა პოზიტიური ვალდებულების ფარგლების შესახებ, რაც ასევე უკავშირდება სხვა კატეგორიის საქმეებზე ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციიდან გამომდინარე სახელმწიფოთა პოზიტიურ ვალდებულებას. საქმეზე „თხელიძე საქართველოს წინააღმდეგ“ (Tkheidze v. Georgia, no.33056/17, 08.07.2021) სასამართლომ განმარტა, რომ ოჯახში ძალადობის მსხვერპლებს, რომლებიც მიეკუთვნებიან მონყვლად პირთა კატეგორიას, უფლება აქვთ ისარგებლონ სახელმწიფოს დაცვით (Talpis v. Italy, no. 41237/14, § 99, 02.03.2017). ყოველთვის, როდესაც საეჭვოა ოჯახში ძალადობის ან ქალთა მიმართ ძალადობის ფაქტები, საჭიროა დაუყოვნებლივი რეაგირება და შემდგომი განსაკუთრებული გულმოდგინება ხელისუფლების მხრიდან, რათა გაუმკლავდნენ ძალადობის სპეციფიკურ ხასიათს ეროვნული საქმის წარმოების პროცესში (Kurt v. Austria [GC], no. 62903/15, § 165-66, 15.06.2021; Volodina v. Russia, no. 41261/17, § 92, 09.07.2019). სასამართლომ ასევე განმარტა, რომ თანამედროვე საზოგადოების წესრიგის კონტროლის სირთულეების, პირის ქცევის არაპროგნოზირებადობისა და ოპერატიული არჩევანის გათვალისწინებით, რომელიც უნდა გაკეთდეს პრიორიტეტებსა და რესურსებთან მიმართებით, პრევენციული ოპერატიული ზომების მიღების ვალდებულება პირის დასაცავად, რომლის სიცოცხლესაც საფ-

რთე ემუქრება სხვა პირის დანაშაულებრივი ქმედებების მხრიდან, უნდა განიმარტოს ისე, რომ ხელისუფლებას არ დაეკისროს შეუძლებელი ან არაპროპორციული ტვირთი. შესაბამისად, სიცოცხლის საფრთხის შემცველი ყველა სადავო რისკი ხელისუფლებას არ აკისრებს ვალდებულებას, მიიღოს ოპერატიული ზომები, რომ არ მოხდეს ამ რისკის მატერიალიზაცია. ამგვარი პოზიტიური ვალდებულების წარმოშობისთვის უნდა დადგინდეს, რომ ხელისუფლებამ იცოდა ან უნდა სცოდნოდა მესამე პირის მხრიდან მომდინარე სიცოცხლის რეალური და დაუყოვნებლივი საფრთხის არსებობის შესახებ, და თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში ვერ მიიღო ზომები, რომელიც, გონივრული შეფასებით, შეძლებდა რისკის თავიდან აცილებას. ეს არის კითხვა, რომელზეც პასუხის გაცემა შეუძლებელია მხოლოდ კონკრეტული საქმის ყველა გარემოების გათვალისწინებით. უნდა შეფასდეს რეალური და დაუყოვნებლივი საფრთხის რისკი, ოჯახში ძალადობის სპეციფიკური კონტექსტის გათვალისწინებით. ასეთ ვითარებაში, საქმე ეხება არა მხოლოდ საზოგადოების ზოგადი დაცვის უზრუნველყოფის ვალდებულებას, არამედ, უპირველეს ყოვლისა, ოჯახში ძალადობის განმეორებითი ეპიზოდების გათვალისწინებას (Tkhelidze v. Georgia, no.33056/17, § 49, 8 ივლისი 2021 წელი). იმისათვის, რომ პოზიტიური ვალდებულება წარმოიშვას, ხელისუფლებამ უნდა იცოდეს რეალური და გარდაუვალი რისკის არსებობის შესახებ და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ხელისუფლებისათვის ამგვარი რისკის არსებობა ცნობილი იყო და არ მიიღო მის ხელთ არსებული ყველა ზომა, შეიძლება საქმე შეეხოს პოზიტიური ვალდებულების დარღვევას (Keenan v. the United Kingdom, no. 27229/95, §90, 03.04.2001; Osman v. United Kingdom, no. 23452/94, §116, 28.10.1998).

133. ამდენად, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო პირდაპირ მიუთითებს „რეალური და დაუყოვნებლივი საფრთხის/რისკის“ არსებობაზე და ჰიპოთეტურ საფრთხეს არ მიიჩნევს სახელმწიფოს მხრიდან პოზიტიური ვალდებულების შეუსრულებლობის საფუძვლად. პოზიტიური ვალდებულების ამგვარი განმარტება არ იქნებოდა გონივრული, რადგან თუნდაც ოჯახური დანაშაულის თითოეულ საქმეზე, გამომდინარე იქედან, რომ ამ კატეგორიის საქმეებზე დანაშაულებრივი ქმედების განმეორების ჰიპოთეტური საფრთხე მუდამ არსებობს, კონვენციის მონაწილე ყველა სახელმწიფო იქნებოდა ვალდებული პოზიტიური ვალდებულების შესასრულებლად, მოსალოდნელი საფრთხის შეფასების და სათანადო მტკიცებულებების გარეშე, თითოეული დაზარალებულის დასაცავად დაენესებინა პოლიციის მუდმივი მორიგეობა დაზარალებულების ადგილსამყოფელთან, მათი ჰიპოთეტური საფრთხისგან

დასაცავად, რა დროსაც შეფასების მიღმა რჩება რეალური და დაუყოვნებელი საფრთხის არსებობა.

134. აქედან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ აბსტრაქტულ საფრთხეზე დაყრდნობით სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულების მტკიცება დაუშვებელია და იგი უნდა ემყარებოდეს კონკრეტულ ფაქტობრივ საფუძველს, რამეთუ დანაშაულის ჩადენის ან ადამიანის უფლების დარღვევის ჰიპოთეტური საშიშროება არ შეესაბამება კონვენციის მოთხოვნებს. მოსალოდნელი საფრთხე დაფუძნებული უნდა იყოს იმგვარ გარემოებებსა და ინფორმაციაზე, რომელიც ობიექტურ პირს დაარწმუნებს ადამიანის უფლებების მოსალოდნელი დარღვევის საფრთხის რეალურობასა და დაუყოვნებლობაში. ამისათვის კი უნდა არსებობდეს სათანადო მტკიცებულებები, რომლებიც ამხელს პირს ასეთი ქმედების ჩადენაში, საფრთხის შექმნაში ან უნდა იყოს სხვა მტკიცებულებების ერთობლიობა, რომელებიც მსგავს შედეგს გამოიწვევს, რასაც, როგორც უკვე არაერთგზის აღინიშნა, განსახილველ საქმეში არ აქვს ადგილი.

135. საკასაციო სასამართლო ასევე არ იზიარებს კასატორების მითითებას დისკრიმინაციული ხასიათის ქმედების განგრძობითობაზე. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ, საქმეზე „თხელიძე საქართველოს წინააღმდეგ“ ყურადღება გაამახვილა ქმედების განგრძობითობაზე და აღნიშნა, რომ ძალადობა, რომელიც მომჩივნის ქალოშვილის მიმართ განხორციელდა, არ შეიძლება ჩაითვალოს ინდივიდუალურ და ცალკეულ ეპიზოდებად, არამედ უნდა განიხილებოდეს, როგორც განგრძობითი ხასიათის მქონე ძალადობა. როდესაც ოჯახში ძალადობა განგრძობითი ხასიათისაა, რთულად თუ შეიძლება ეჭვი გაჩნდეს იმასთან დაკავშირებით, იყო თუ არა მსხვერპლის მიმართ არსებული საფრთხე დაუყოვნებელი (Tkheidze v. Georgia, no.33056/17, § 53, 08.07.2021; Opus v. Turkey, no. 33401/02, §§ 134-135, 27.06.2009; Talpis v. Italy, no. 41237/14, § 121, 2.03.2017; Branko Tomašić and Others v. Croatia, no. 46598/06, §§ 52-53, 15.01.2009; Tërshana v. Albania, no. 48756/14, § 151, 4.08.2020). მითითებულ საქმეებში, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ „დაუყოვნებელი საფრთხე“ დაუკავშირა არაერთხელ განხორციელებულ ძალადობას, რის შესახებ პოლიციას არაერთხელ მიანოდა ინფორმაცია დაზარალებულმა, თუმცა პოლიციის მხრიდან სათანადო რეაგირებას არ ჰქონდა ადგილი. განსახილველ შემთხვევაში კი, როგორც უკვე განმარტა საკასაციო სასამართლომ, რამდენიმე წლის განმავლობაში კასატორთა უფლებების ხელყოფას არ ჰქონდა ადგილი (პუნქტი 100, 101, 103, 105), ხოლო პოლიციამ მისთვის ცნობილ ყველა ფაქტზე მოახდინა რეაგირება და მიიღო შესაბამი-

სი ზომები (პუნქტი 97).

136. ადამიანის უფლებების დარღვევის რეალური და მოსალოდნელი საფრთხის არარსებობის პირობებში, პოზიტიური ვალდებულებიდან გამომდინარე, პოლიციისათვის კონკრეტულ ადგილას დგომის დავალება საკასაციო სასამართლოს დაუსაბუთებლად მიაჩნია, რადგან ამჟამად, არ არსებობს კასატორთა უფლების შესაძლო დარღვევის დამადასტურებელი მტკიცებულება. რაც შეეხება შენობის წყალარინებზე დაერთების შეუძლებლობას, როგორც მოქალაქეთა დისკრიმინაციული ქმედების განგრძობითობის დამადასტურებელ გარემოებაზე მითითებას, საკასაციო სასამართლო ასევე არ იზიარებს, რადგან მოქალაქეთა ქმედება არ წარმოადგენს შენობის წყალარინების ქსელზე დაერთების დამაბრკოლებელ გარემოებას, თუნდაც თავად ქმედების (წინააღმდეგობის) არარსებობის და საქართველოს სახალხო დამცველის პირველი მოადგილის 2022 წლის 22 მარტის №19/3152 წერილში აღწერილი კონკრეტული გარემოებების გამო (იხ. პუნქტები 115-117).

137. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ განსახილველ შემთხვევაში საფრთხე არ ემუქრება კასატორთა კანონით დაცული უფლებების რეალიზებას და პოლიციისათვის ჰიპოთეტური საფრთხის გამო ქმედების განხორციელების დავალება გამოიწვევს მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოსათვის არაგონივრული ტვირთის დაკისრებას. საქმის მასალებით არ დასტურდება ერთი შემთხვევაც კი, რომ კასატორთა უფლებების დასაცავად პოლიციამ არასათანადო ზომები მიიღო ან პოლიციის მხრიდან უმოქმედობას ჰქონდა ადგილი. საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კასატორთა პოზიციას, რომ ამგვარი განმარტებით თითქოს სასამართლო ითხოვს მოქალაქეებმა საფრთხე შეუქმნან თავიანთ სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან კანონით დაცულ სხვა სიკეთეს. საკასაციო სასამართლო სააპელაციო სასამართლოში საქმის დაბრუნებისას და შემდგომ საკასაციო საჩივრის განხილვისას მიზნად ისახავდა მხოლოდ ერთი ფაქტობრივი გარემოების გარკვევას – საქმის განხილვის დროისათვის ჰქონდა თუ არა ადგილი კასატორთა უფლებების დარღვევას და ასეთის შემთხვევაში, რაში გამოიხატებოდა იგი. როგორც უკვე აღნიშნა საკასაციო პალატამ, კასატორთა უფლებების ხელყოფის მიმართ პოლიციის უმოქმედობის დამადასტურებელი მტკიცებულებები კასატორთა მხრიდან არ არის წარმოდგენილი და არც საქმეში მოიპოვება. საკასაციო საჩივარში მითითებული გარემოებების საწინააღმდეგოდ, საქმეზე დადგენილია, რომ შემთხვევის ადგილას 2014 წლის 15 სექტემბრიდან თვის ბოლომდე მუდმივად იმყოფებოდა პოლიცია და უფლების დარღვევის შესახებ პოლიციისთვის არავის მიუმართავს,

რასაც თავად კასატორებიც ადასტურებენ (პუნქტი 97). პოლიციის ქმედება ადასტურებს კასატორების უფლებების დაცვის მიზნით კანონით დაკისრებული ვალდებულების შესრულებას და საფუძველს აცლის კასატორთა მოსაზრებას პოლიციის უმოქმედების თაობაზე. საქმის მასალებით ასევე არ დასტურდება, რომ კასატორებმა მიმართეს პოლიციას დახმარებისათვის, ან მოსთხოვეს პოლიციას ქმედების განხორციელება, რაც პოლიციის მხრიდან არ დაკმაყოფილდა. ასევე არ დასტურდება სხვა მხრივ კასატორთა უფლებების დარღვევის ფაქტი, რომელიც უნდა სცოდნოდა პოლიციას და მოპასუხე ადმინისტრაციულმა ორგანომ არ აღკვეთა.

138. საკასაციო სასამართლო აქვე დამატებით მიუთითებს, რომ ა(ა)იპ ქართველ მუსლიმთა ურთიერთობა ...ში ...ის ქუჩა №13-ში მდებარე შენობას უძრავი ქონების მესაკუთრესთან 2014 წლის 1 აგვისტოს გაფორმებული იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე ფლობდა. ხელშეკრულება მოქმედებდა 2015 წლის 30 ივნისამდე. მეორედ, იმავე მხარეებს შორის იჯარის ხელშეკრულება გაფორმდა 2015 წლის 24 ივლისს და ხელშეკრულების მოქმედების ვადა ამოიწურა 2020 წლის 24 ივლისს. აღსანიშნავია, რომ საკასაციო სასამართლომ ამ გარემოებაზე ყურადღება გაამახვილა საკასაციო საჩივრის ზეპირი მოსმენის სხდომაზე. რა თქმა უნდა, საკასაციო სასამართლო მხედველობაში იღებს მესამე ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისათვის დათმობილ ვადას, რომლის ათვლის დაწყებისას მხარეთა შორის დადებული იჯარის ხელშეკრულება მოქმედებდა, თუმცა შეფასების მიღმა ვერ დარჩება საკასაციო საჩივრის განხილვის მომენტისათვის იჯარის ხელშეკრულების მოქმედების ამოწურვის საკითხი, რასაც პირდაპირ უკავშირდება ქ...ში, ...ის ქუჩა №13-ში მდებარე უძრავი ქონების კასატორთა მხრიდან მფლობელობის უფლება.

139. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლის თანახმად, ყოველ ფიზიკურ ან იურიდიულ პირს აქვს თავისი საკუთრების შეუფერხებელი სარგებლობის უფლება. ეს მუხლი იცავს არა მხოლოდ მესაკუთრეს, არამედ – მფლობელსაც. მაშინაც კი, როდესაც შენობა-ნაგებობა საკუთრება არ არის და მხოლოდ სარგებლობაშია. სასამართლოს განმარტებით, მფლობელობის კონცეფცია არ იზღუდება მხოლოდ არსებული მფლობელობით, არამედ იგი ასევე მოიცავს სხვა საშუალებებს, რომელიც დაკავშირებულია განმცხადებლის შესაძლებლობასთან იდავოს, რომ მას აქვს საკუთრების უფლებით ეფექტურად სარგებლობის სულ ცოტა გონივრული და ლეგიტიმური მოლოდინი (Saghinadze and Others v. Georgia, no. 18768/05, §103, 27.08.2010). საკასაციო პალატა აღ-



ნიშნავს, რომ 2020 წლის 24 ივლისის შემდეგ კასატორები აღარ წარმოადგენენ ქ...ში, ...ის ქუჩა №13-ში მდებარე შენობის მართლზომიერ მფლობელებს და დღევანდელი მდგომარეობით ასევე უსაფუძვლოა მოთხოვნა სხვისი საკუთრებით არამართლზომიერი მფლობელობის განსახორციელებლად პოლიციისათვის მოქმედების განხორციელების დავალება, რადგან, ერთი მხრივ, უძრავი ქონებით სარგებლობის ხელშეშლას არ აქვს ადგილი, ხოლო მეორე მხრივ, კასატორები 2020 წლის 24 ივლისიდან აღარ წარმოადგენენ უძრავი ქონების მართლზომიერ მფლობელებს. მომავალში გასაფორმებელ ხელშეკრულებაზე კი, როგორც კასატორის წარმომადგენელმა მიუთითა საკასაციო სასამართლოს სხდომაზე, საკასაციო პალატა ვერ იმსჯელებს, რადგან ეს გარემოება არ წარმოადგენს დედასტურებულ ფაქტობრივ გარემოებას, შეიცავს მხოლოდ ხელშეკრულების ერთი მხარის წარმომადგენლის მოსაზრებას, რომლის უფლებამოსილება არ მოიცავს იჯარის ხელშეკრულების გაფორმებასთან დაკავშირებულ საკითხებს და ასევე უცნობია თავად უძრავი ქონების მესაკუთრის პოზიცია, რის გამოც საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ა(ა)იპ ქართველ მუსლიმთა ურთიერთობა ქ...ში, ...ის ქუჩა №13-ში მდებარე შენობის მართლზომიერ მფლობელს აღარ წარმოადგენს. აქედან გამომდინარე, ერთი მხრივ, კასატორებს, საკასაციო სასამართლოს მიერ სააპელაციო სასამართლოში საქმის დაბრუნების შემდგომ არ უცნობებითა პოლიციისთვის მათი უფლებების დარღვევაზე, რაც უკავშირდებოდა ქ...ში, ...ის ქუჩა №13-ში მდებარე შენობით შეუფერხებელ სარგებლობას, ხოლო, მეორე მხრივ, 2020 წლის 24 ივლისიდან აღარ აქვთ სამართლებრივი საფუძველი მართლზომიერად ისარგებლონ დასახელებული შენობით, რაც დამატებით უსაფუძვლოდ წარმოაჩენს მოთხოვნას საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიმართ, კასატორების უფლებების დაცვის მიზნით 3 თვით მორიგეობის დაწყებაზე იმ შენობასთან, რომელთანაც კასატორებს სამართლებრივი კავშირი აღარ აქვთ.

140. საკასაციო სასამართლო ასევე არ იზიარებს კასატორების მითითებას საქართველოში ისლამოფობიასთან დაკავშირებით და მიუთითებს, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-9 მუხლი იცავს რელიგიის თავისუფლებას, რომელიც ფუნდამენტურ უფლებას წარმოადგენს. აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლება არის „დემოკრატიული საზოგადოების“ ერთ-ერთი საფუძველი. მისი რელიგიური განზომილება მორწმუნეთა იდენტობისა და მათ მიერ სამყაროს აღქმის ჩამოყალიბების უმნიშვნელოვანესი ელემენტია და ასევე მნიშვნელოვან აქტივს წარმოადგენს ათვისებისა და სკეპტიკოსებისთვის. პლურალიზმი დემოკრატი-

ული საზოგადოების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს. რელიგიის თავისუფლება, უპირველეს ყოვლისა, პირადი რწმენის საკითხს წარმოადგენს, რომელიც ასევე მოიცავს რელიგიის გამოხატვის თავისუფლებას. კონვენციის მე-9 მუხლის თანახმად, რელიგიის გამოხატვის თავისუფლებით სარგებლობა შესაძლებელია არა მარტო სხვებთან ერთად „საჯაროდ“, არამედ სიმარტოვეშიც „კერძოდ“. უფრო მეტიც, იგი მოიცავს, სწავლების გზით სხვების რწმენაზე ზემოქმედების თავისუფლების პრინციპსაც, რომელის გარეშეც მე-9 მუხლი უბრალოდ მკვდარი ჩანანერი იქნებოდა (Kokkinakis v. Greece no. 14307/88, §31-§32, 25.05.1993).

141. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-9 მუხლი ასახულია საქართველოს კონსტიტუციის მე-16 მუხლში, რომლითაც ყოველ ადამიანს აქვს რწმენის, აღმსარებლობისა და სინდისის თავისუფლება. დაუშვებელია ადამიანის დევნა რწმენის, აღმსარებლობის ან სინდისის გამო, აგრეთვე მისი იძულება გამოთქვას თავისი შეხედულება მათ შესახებ. რწმენის თავისუფლება ადამიანის თვითგამორკვევის საწყისი და საფუძველია. ყველა სხვა უფლების მსგავსად, ეს თავისუფლებაც ადამიანის ღირსების პატივისცემის გამოხატულებაა. „ადამიანის ღირსება და პიროვნული თავისუფლება მის ძირითად უფლებებში, მათ ადეკვატურ დაცვა-სა და სრულად განხორციელებაში გამოიხატება“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 დეკემბრის გადაწყვეტილება №1/3/407 საქმეზე „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე ეკატერინე ლომთათიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“). რწმენის თავისუფლება გულისხმობს ადამიანის შინაგან თავისუფლებას, დამოუკიდებლად, თავად განსაზღვროს საკუთარი რელიგიური, მსოფლმხედველობრივი თუ მორალურ-ეთიკური თვალსაზრისით განვითარების მიმართულებები, პრიორიტეტები, ჩამოყალიბდეს მათ შესაბამისად, საზოგადოებაში იცხოვროს ინდივიდუალური თვითრეალიზაციის შესაძლებლობით და ამ განცდით იპოვოს საკუთარი თავი. ამ თვალსაზრისით, რწმენის თავისუფლება არის ადამიანის მოსაზრებების, გრძნობების და მათ შესაბამისად ცხოვრების საფუძველი. ნიშანდობლივია, რომ ის მოიცავს როგორც რელიგიურ, ისე არარელიგიურ რწმენას და, შესაბამისად, არ წარმოადგენს მხოლოდ რელიგიის თავისუფლების იდენტურ ცნებას. ის მოიცავს რელიგიის თავისუფლებით დაცულ სფეროს, მაგრამ არ შემოიფარგლება მისით (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 22 დეკემბრის გადაწყვეტილება №1/1/477 საქმეზე საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ).

142. საქართველოში მოქმედი კანონმდებლობა, სასამართლო პრაქტიკა და საქართველოში მცხოვრები სხვადასხვა აღმსარებლობის ადამიანების თანაცხოვრების მრავალწლიანი გამოცდილება საფუძველს აძლევს საკასაციო სასამართლოს მიუთითოს, რომ საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედებს სხვადასხვა რელიგიური დაწესებულება და საქართველოში მცხოვრები ადამიანების გამონეწვას რელიგიური კონფლიქტები არ წარმოადგენს. საქართველოში შეფერხების გარეშე ფუნქციონირებს ათობით მეჩეთი, (ასევე სხვა რელიგიური დაწესებულებები), სადაც ისლამის მიმდევრები შეუფერხებლად აღასრულებენ რელიგიურ რიტუალებს. კანონმდებლობით დაცული ადამიანის უფლებების ხელყოფის შემთხვევაში კი, დაინტერესებული პირი ვალდებულია მიმართოს სამართალდამცავ ორგანოს. უფლების დარღვევის შესახებ ინფორმაციის არარსებობის და მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოსათვის მიმართვის/შეტყობინების გარეშე, პოზიტიური ვალდებულებაზე მითითებით, სასამართლოს მხრიდან იმ გარემოების შეფასება, შეძლება თუ არა „პანსიონატი“ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ჩარევის გარეშე ფუნქციონირების დაწყებას, როგორც ამას მოითხოვენ კასაციონები, სცილდება გონივრული მსჯელობის ფარგლებს და არ გამოდინარეობს პოზიტიური ვალდებულებისგან.

143. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ა(ა)იპ ქართველ მუსლიმთა ურთიერთობის, კ. კ-ის, ბ. ი-ისა და თ. ხ-ის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და უცვლელად უნდა დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 12 მარტის განჩინება.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით,

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. ა(ა)იპ ქართველ მუსლიმთა ურთიერთობის, კ. კ-ის, ბ. ი-ისა და თ. ხ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
2. უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 12 მარტის განჩინება.
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საქართველოს უზენაესი სასამართლო  
თბილისი 0110, ძმები ზუბალაშვილების ქ. №6  
ტელ.: (995 32) 298 20 75  
[www.supremecourt.ge](http://www.supremecourt.ge)